კვირის პალიტრა

ფეხი

N41 (279) 13/X.-19/X.2005. ფასი 60 თ.

სოფო ჭყონია:

„სილამაზის კონკურსებზე დიდი ჩაწყობა ხდება...“

თემა: ალერგია

1168
2005

ანუ როცა დ(ი)ადები პატარებს კლავენ...

„სალამოს ნინოს საავადმყოფოში ლევანმა მიაკითხა... თურმე საშინელება ახლა იწყებოდა...“

პრობლემა: ქართველ ქალს საკუთარ სხეულზეც არა აქვს უფლება

„უნდა ვიბრძოლოთ... ჩვენში ქალი ყოველთვის დაფასებული იყო...“

რეპორტაჟი პარლამენტის მისალებიდან – რატომ იმალებიან დეპუტატები

ბახუსი

„თუ გასცდები ათს, თავი მომჭერი!... ბგრეევე თავში ურტყამს...“

„მე სხვა სივრცე მჭირდება...“

ეკა კვალიაშვილი ჰოლივუდში მიდის

ჟურნალში საჩუქარია

№21(107) 13.X-26.X.05

ოჯახის მეუნიკალი

საამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

რა უნდა ვიცოდეთ ტუბერკულოზის ვაქცინაციის შესახებ

გენიტალური ჰერპესი

როგორ შევაჩეროთ სისხლდენა

გვემუქრება თუ არა ფრინველის გრიპი?

მთავარი თემა: ყნოსვის პათოლოგიები

ახალი: საოჯახო ენციკლოპედია

რევმატიზმი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

№41 (279)
13 — 19 ოქტომბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ისტორიულ-თანამედროვე
პრეცედენტი ანუ
„ორმერობა“ ქუთაისში 3
ერთი კითხვა 4
რეპორტაჟი
„არ არის?.. როდის იქნება?..
აი ემ ბენქამენ!..“ ანუ
„ჩვენ ვართ განგები
ჩვენი მთავრობისთვის“ 6
სცენის მიღმა
რატომ შრეკავდა ნინაკა
გელაშვილი ავლიპ
გურაბაშვილსა და
ირაკლი აბაშიძეს 8
სტიქია
„მდინარეს უნდა დავუთმოთ
თავისი საბრძანებელი...“ 10
გულისტკივილი
„ვეძებ შვილს,
მელანო მურცხვალაძეს“ 12
კრიმინალი
ჩხუბს 19 წლის ახალგაზრდის
სიცოცხლე შეეწირა 13
ოჯახი
რატომ არ სურდა
ნუგზარ ერგემლიძეს
შვილის დაოჯახება? 16
გზავნილები
ადამიანი-„თაბაშირი“ და
საყვარლის ცოლთან ერთად
ჩატარებული ექსპერიმენტი 18
თემა
აბორტი ანუ როცა დიდები
პატარებს კლავენ... 22
პრობლემა
ქართველ ქალს
საკუთარ სხეულზეც
არ აქვს უფლება 26
ნამდვილი ამბავი
მძიმეწონოსანი პატარძალი,
მოხერხებული „ხორეშანი“
და დატყვევებული სიძე 28
ბახუსი
რამდენი სათითე ათრობს
ვასო ფხაკაძეს... 29
ამპლუა
„მე სხვა სივრცე
მჭირდება...“
— ეკა კვალიაშვილი
ჰოლივუდში მიდის 30
ჯანმრთელობა
10 ყველაზე მოდური დიაგნოზი 32
დღესასწაული
- საშარველი ყოვლადწმინდა
  ღვთისმშობლისა 34
- როგორ აიგო სვეტიცხოვლის
  ტაძარი 34

„არ არის?.. როდის იქნება?.. აი ემ ბენქამენ!..“

— ნამუსი არა აქვთ?! რა ჰგონიათ, აღარ მოვა არჩევნები თუ?.. იმ დღეს ჩემი თვალით დავინახე, რომ შემოვიდა ჩემი რაიონის დეპუტატი, გამოვეკიდე — ბატონო ბეჟან-მეთქი, — და ურცხვად მიმტკიცებს: მე არა ვარ, შეგეშალ - თო... — მალევე იპოვა თანამოაზრე გაანჩხლებულმა ქალბატონმა.

6

„მე სხვა სივრცე მჭირდება...“ — ეკა კვალიაშვილი ჰოლივუდში მიდის

„ვიდრე წავალ, მოსწავლეები სულ მეკოლება, რადგან არ შეიძლება, რომ შენთვის ჩაკეტილი იყო, მხოლოდ შენ იცოდე რაღაც და სხვას არ გაუზიარო. თუ გული შეგტკივა მომავალზე და გინდა, რომ ნიჭიერი თაობა წამოვიდეს, მას უნდა დაეხმარო და სწორი მიმართულება მისცე. არ შეიძლება, ბავშვმა სიმღერა პირდაპირ სცენით და კლიპებით დაიწყოს“...

30

რამდენი სათითე ათრობს ვასო ფხაკაძეს...

„თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, არ ვარ დიქტატორი თამადა და თავიდანვე ვაცხადებ ხოლმე — მოდი, ყველამ ჩვენ-ჩვენი ვთქვათ-მეთქი. მოკლედ, „ბიძები“ შემოგვესწრნენ სუფრაზე და იქ სმა დაიწყო!..“

29

„სილამაზის კონკურსებზე დიდი ჩაწყობა ხდება...“

„ჩვენი გოგონები ძალზე მოუმზადებელი მიდიან. მათ აქ მეგყველებას ასწავლიან, რაც „მის მსოფლიოზე“ არავის სჭირდება. ყველა მოდელს უამრავი პლასტიკური ოპერაცია აქვს გაკეთებული, მიუხედავად იმისა, რომ ამას ყველა უარყოფს. ორგანიზატორების გემოვნების ბრალია ისიც, რომ ქართველი „მისები“ ცუდად ჩაცმულები არიან ხოლმე“.

53

საგანძური

შაჰმა ხალიჩა მოქსოვა, საცოლეს გაუგზავნა და შეუთვალა... 35

ემიგრანტები

ქართული „ელადა“, მმობლიური კუთხიდან წაღებული პეშვი მიწა და სახლის დარაჯად დატოვებული მთვარე 37

ასპარეზი

- ვიქტორ სანეევი – ოლიმპიადების საუკუნის ლეგენდა 38
- ქალი, რომელიც უიარაღოდ ვერ ძლებს 41

ანომალია

ძალაუფლება – გონჯებს (დასასრული) 44

ვარსკვლავი

ნატალი პორტმანი: „არავითარი შიშველი ნატურა!“ 46

ბომონდი 47

ქართული დეტექტივი

შუშის თვალში ჩარჩენილი სიყვარული (დასასრული) 49

საქმიანი ქალი

რას ვერ „ქაჩავენ“ ქართველი გოგონები და რა უშლის ხელს სოფო ჭყონიას საგზვარგარეთ წასვლაში 53

ტესტი

ერთგული მკითხველი 54

ავტო 55

სპორტული მოზაიკა 58

ჰოროსკოპი

კვირის (13-19 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

რას უნდა ელოდეთ ხვალინდელი დღისგან? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

რატომ არ სურდა ნუგზარ ერგემლიძეს შვილის დაოჯახება?

ცნობილი ქართველი მომღერლის, ნუგზარ ერგემლიძის ვაჟმა – გიორგიმ რამდენიმე თვის წინ ოჯახი შექმნა. ამ ნაბიჯმა, როგორც გიორგის მშობლების, ასევე მისი მეუღლის ოჯახის წევრების აღშფოთება გამოიწვია, მშობლები მიიჩნევდნენ, რომ მეტისმეტად მცირე ასაკის გამო, წყვილის დაქორწინება ჯერჯერობით ნაადრევი იყო. ახალდაქორწინებულები კი...

16

ანუ როცა დიდები პატარებს კლავენ...

რატომ იქცევიან ქალები ასე? – „იმიტომ, რომ ქაჯები არიან! – „მარტივად“ გადამიწყვიტა პრობლემა ჩემს „რესპონდენტებს“ შორის ყველაზე ახალგაზრდამ – ტინეიჯერმა თიკამ. – ბავშვის გაჩენა თუ არ გინდა, მეტი ვერაფერი უნდა მოიფიქრო?..

22

მოდელი დაოჯახებაზე ოცნებობს

მსახიობსა და ფოტომოდელ ევა ლონგორიას ჩვენი ტელემაყურებელი ტელესერიალით – „სასოწარკვეთილი დიასახლისები“ – იცნობს, სადაც ის გაბრიელას როლს ასრულებს. ამერიკელმა კალათბურთის ქომაგებმა კი ისიც იციან, რომ ევა „სან ანგონიო სპერზის“ მოთამაშის, ტონი პარკერის მეგობარია. 30 წლის ლონგორია ტონიზე 7 წლით უფროსია.

59

შუშის თვალში ჩარჩენილი სიყვარული

– აქ საბას ჩაასვენებენ... ისინი კვლავ ერთად იქნებიან... რა კარგია, რომ მისი გასამართლება ვერ მოასწრეს... – ბედნიერი გამომეტყველებით წარმოთქვა ბადრიმ. შემდეგ, ჯიბიდან შუშის თვალი ამოიღო და ჯერ კიდევ სველ სამარეში ფრთხილად ჩააგორა.

49

ისტორიულ-თანამედროვე პრეზიდენტი ანუ „ორმერობა" ქუთაისში

როდემდე შეიძლება ეს ითმინოს ხალხმა, მე არ ვიცი! ეს საქართველო მარტო თბილისი ხომ არაა, ყველაფერი რომ დედაქალაქში ხდება: სად გაიფიცნენ „მარშრუტკების" მძღოლები? — თბილისში; სად აღმოაჩინეს ცხენისხორციანი ძეხვი? — თბილისში; სად „დააყარეს" ერთმანეთს ოპოზიციამ და „პოზიციამ"? — თბილისში... ქუთაისი რა, არ ეკუთვნის საქართველოს, ასე მშვიდად და უდრტვინველად რომ ცხოვრობს ხალხი?! იქაც ხომ სჭირდება მოსახლეობას რაღაც გასართობი, რომ ამ ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ იგრძნოს თავი. ესაა თქვენი დეცენტრალიზაცია?!

მოკლედ, „უპრასვეტოდ და უპონტოდ" დარჩენილ ქუთათურებს შორის ხშირად იმართებოდა ასეთი მოსაწყენი საუბრები:

— ახალი ამბავი გეიგე, სიმონ?

— არა, რავა?

— არც მე არ გამიგია და მთელი დღეა, გადარეული ვარ კაცი!..

როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ასე, ვინ იცის, რომ არა ერთი ჭკვიანი ბიჭი: კაი შესახედავი, ჟურნალისტი, ქართული პრესის ლიდერის საკუთარი კორესპონდენტი ამ ქალაქში, რომელიც სხვაზე ადრე მიხვდა, რომ ისევ შინაურმა უნდა იკისროს ხალხის გახალისება, თორემ სხვის იმედად ყოფნა არ შეიძლება.

ამიტომ, ჩაიცვა პიჯაკი, წაიჭირა ჰალსტუხი, გადაივარცხნა ქოჩორი და თქვა, მერი ვარო... დედაააა, რა ცოტა კმარა ხალხის გასახარებლად: ატყდა ქალაქში სიცილ-ხარხარი, მარა რა ატყდა!.. მოსახლეობა მუზეუმივით დადიოდა მერიაში ახალი მერის სანახავად.

აი, რა არის საკუთარი ქალაქის სიყვარული: ბიჭმა მშობლიურ პროფესიას, დიქტოფონით ხელში აქეთ-იქით სირბილსა და ჩინოვნიკების მუდამ დაკეტილი კაბინეტების კართან ლოდინს, მერის სავარძელი არჩია, რომელიც იმდენად უხეში და მოუხერხებელია, რომ 6 თვეზე მეტხანს ვერ ძლებს კაცი.

არადა, ხომ შეეძლო ეთქვა, დეპუტატი, მინისტრი ან საერთოდ — პრეზიდენტი ვარო (ბარემ კი იყო ჩაცმული), მაგრამ არა — მშობლიურ ქალაქს უერთგულა და თქვა, მერი ვარო...

ქართველი კაცის ბუნება ხომ კარგად მოგეხსენებათ: პირველს გიჭირს სარისკო ნაბიჯის გადადგმა, თორემ სხვა რომ გადადგამს და გაუმართლებს, მერე მაგარი ხარ. ასე მოხდა ქუთაისშიც: უცებ გამოჩნდა მეორე მერიც — ხელისუფლება მე მიჭერს მხარსო... ეგრე სადაა, ძმაო?! მართალია, იმ მერს არც ქალაქიდან უჭერენ მხარს და არც „ზემოდან", მაგრამ დაგასწრო უკვე. თუ ასე გინდოდა მერობა, სად იყავი აქამდე, „რავა", პიჯაკი არ გქონდა თუ ჰალსტუხი?!

აქეთ, ცენტრალური ხელისუფლება აღშფოთდა: „ორმეფობა" გამიგია, მაგრამ ეს „ორმერობა" რა ჯანდაბაოო; რომელი „ულუ" და „ნარინი" თქვენ მყავხართ, რიონს გაღმა და გამოღმა რომ მართოთ ერთი ციცქნა ქალაქიო... თავმოყვარეობაშელახულად იგრძნო თავი იმ პირველმა მერმა, მოიხსნა ჰალსტუხი და თქვა, აღარ ვარ მერიო — ესაა საქმე?!

რას ერჩოდით, თქვე დალოცვილებო, თუ ასე უნდოდა მერობა, ყოფილიყო ისიც და ესეც. ქუთაისელი ხალხის მდგომარეობის გამოსწორებას, დამერწმუნეთ, ორი კი არა, რატომ ათი მერი არ სჭირდება!.. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისაღებში ლოდინით რომ ათენ-აღამებს ხალხი და მდივანი ეუბნება, მერი არ გახლავთ, საქმეზეა გასულიო, მეორე მერი კაბინეტში დარჩება და ხალხს მიიღებს.

ასეთი პრაქტიკა, მე თუ მკითხავთ, მაღალ ეშელონებშიც უნდა დაინერგოს და ორ-ორი მინისტრი უნდა გვყავდეს. რაც შეეხება პრეზიდენტის თანამდებობას, აქ გაცილებით მეტი კადრია საჭირო: ერთი პრეზიდენტი კიევში იქნება წასული, მეორე — ვაშინგტონში, მესამე — ბრიუსელში, მეოთხე — სტრასბურგში და ამასობაში ქვეყანასაც მიხედავს ვიღაცა...

P.S. ქუთაისის მერის მისაღებში მისული მოქალაქე მდივანს:

— მერი ადგილზეა?

— დიახ, მერი ახლა კაი ადგილზეა და სანამ ბოლო ჭიქას არ გამოცლის, ლოდინი მოგიწევთ. რა გნებავდათ?

— სოლომონ I-ის ქუჩაზე კანალიზაცია არ მუშაობს.

— რა პრეტენზიულები ხართ! სოლომონ I-ის დროს სულ არ იყო კანალიზაცია, მაგრამ მშვენივრად მეფობდა კაცი, არ გააწყალეს გული?!

პროვოკატორი

ვინ ჩაანაცვლებს ცისფერჩაფხუტიანებს

— პარლამენტის მიერ დათქმულ ვადებში, რუსი ცისფერჩაფხუტიანები არ გამოსწორდებიან. მშვიდობისმყოფელთა ჩანაცვლების რა ალტერნატიული გეგმა არსებობს?

შოთა მოლაშხია, *ევროინტეგრაციის კომიტეტი:*

— აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე, საქართველო სრულყოფილი სახელმწიფო ვერ იქნება, ამიტომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ხელისუფლების პრიორიტეტია და უკან დახევა გამორ-

იცხულია. თუ რუსეთი და მის განკარგულებაში მყოფი ცისფერჩაფხუტიანები პარლამენტის მიერ დათქმულ ვადებში არ გამოსწორდებიან, რისი შანსიც ძალიან მცირეა, ამუშავდება ჩანაცვლების ალტერნატიული გეგმა. უკვე შემუშავებულია რამდენიმე ვარიანტი. შესაძლოა, რუს ცისფერჩაფხუტიანებს სუუამის ქვეყნების სამხედრო კონტინგენტი ან ევროკავშირის სწრაფი რეაგირების სამშვიდობო კორპუსი ჩაენაცვლოს. განიხილება ის ვარიანტიც, რომ რუსი სამშვიდობოების გასვლის შემდეგ, კონფლიქტის ზონებში წესრიგი პოლიციის ერთობლივმა — ქართულ-აფხაზურმა და ქართულ-ოსურმა ძალებმა დაამყარონ. ამის პარალელურად, ხელისუფლება ეუთოს სთხოვს, სეპარატისტული ხელისუფლების მილიტარიზაციის პროცესთან დაკავშირებით პრინციპული პოზიცია დაიკავოს და რუსეთზე გარკვეული საერთაშორისო ზეწოლაც მოახდინოს. როგორც საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი აცხადებს — გაყინული კონფლიქტების არსებობა კიდევ გასაგებია, მაგრამ კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო ინიციატივის გაყინვა დაუშვებელია. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ■

ოპოზიცია გელბახიანს არ ენდობა

— „ოპზის“ საქმესთან დაკავშირებით შექმნილ საგამოძიებო კომისიას ხელისუფლების განცხადებით, უმჯობესია, ვალერი გელბახიანმა უხელმძღვანელოს. რატომაა ოპოზიციისთვის მისი კანდიდატურა მიუღებელი?

ლევან ბერძენიშვილი, *რესპუბლიკური პარტია:*

— პირადად მე, ვალერი გელბახიანის იურისპრუდენციულ შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ „აღორძინების“ ყოფილი წევრების მიუკერძოებლობის ნაკლებად მჯერა. ოპოზიციას სურს, კომისიას კობა დავითაშვილი ჩაუდგეს სათავეში. თუ უმრავლესობას კობა არ უნდა, შევთავაზოთ კუკავას კანდიდატურა. თუ ისიც არ უნდათ, „ახლების“ წევრი ავირჩიოთ. ამაზეც გაჯიუტდებიან? რესპუბლიკელების კანდიდატურას შევთავაზებთ. რაღა პირდაპირ ისეთი ფრაქციიდან შეარჩიეს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ხელისუფლებასთანაა დაახლოებული?! არის თუ არა ვანო ჩხარტიშვილი ოპოზიციონერი და მისი ფრაქცია ოპოზიციური? ამ ფრაქციას კი ჰქვია „დამოუკიდებელი მაჟორიტარები“, მაგრამ მისი თითოეული წევრი ყველა კრიტიკულ მომენტში, მხარს უჭერს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს აძლევს უმრავლესობას. ჩვენ კენჭისყრის მომენტში ვსწავლობთ, ვინ რა პოზიცია დააფიქსირა, ვინმე ხომ არ შემოგვიერთდა ან თავი ხომ არავინ შეიკავა. აქედან გამომდინარე, „დამოუკიდებელ მაჟორიტარებს“ ოპოზიციად ვერ მივიჩნევ. თუ ხელისუფლებას ბექაურთან და მაჭავარიანთან დაკავშირებით სიმართლის დადგენა სურს, საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ ნამდვილი ოპოზიციონერი და გამოცდილი იურისტი უნდა დანიშნოს, მაგრამ ასეთ სურვილს ხელისუფლებას ვერ ვატყობ. ■

„26 მაისის მოედანი ახალი „ბერმუდის სამკუთხედი“ გახდება“

— მთავრობის გადაწყვეტილებით, სასტუმრო „აჭარის“ წინ მდებარე მოედანი გაიყიდება — კვადრატული მეტრი 150 დოლარად. რამდენად კანონიერია მოედნების გასხვისება?

პაატა ჯიბლაძე, *თბილისის საკრებულოს წევრი:*

— საკრებულომ, სააკაშვილის თავმჯდომარეობის პერიოდში მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მოედნების, სკვერებისა და ტროტუარების გასხვისება აიკრძალა. მაგრამ დღეს, თავად პრეზიდენტის მითითებით, ქალაქის მთავრობა კანონს არღვევს და ქონების გასხვისებას ახდენს იმ ინვესტორებზე, რომელთა ინტერესებსაც ხელისუფლება ლობირებს. თბილისში სულ ოთხი დიდი მოედანია და თუ ასე გააგრძელეს, არც ერთი აღარ დაგვრჩება. როგორც ვიცი, „აჭარის“ წინ უზარმაზარი ცათამბჯენის აშენება იგეგმება, თუმცა კონკრეტულად არავინ იცის, რა ფართი გასხვისდება ან როგორ მოეწყობა იმ ადგილას სატრანსპორტო კვანძი. ვიდრე მთავრობა ასეთ სულელურ გადაწყვეტილებებს მიიღებდეს, ჯერ ურბანისტები უნდა მოიწვიოს და კონსულტაციები მიიღოს. მოედნის გასხვისების არაკანონიერებას თავი რომ დავ-

ანებოთ, მალე 26 მაისის მოედანზე ახალ „ბერმუდის სამკუთხედს“ მივიღებთ. უგულავა რით ჩამორჩება ჭიაბერაშვილს? ქალაქს მანაც ხომ უნდა დაატყოს ხელი!.. გარდა ამისა, მოედნის კვადრატული მეტრის 150 დოლარად გაყიდვა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ჯერ ტენდერი გამოეცხადებინათ, გაერკვიათ — იქნებ, სასტუმრო „აჭარის“ ინვესტორზე მეტს, სხვა კომპანია იხდიდა. პრობლემა ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის პირველი პირები შეთანხმებაზე მიდიან მხოლოდ იმ ინვესტორებთან, რომლებთანაც ფარული გარიგებების მიღწევა შეიძლება. ■

ჩხუბისთავი პარლამენტარები ჯარიმას გადაიხდიან

— ეთიკის კოდექსის შემდეგ, პარლამენტარებს შორის ფიზიკური ძალადობის თავიდან ასაცილებლად, რეგლამენტში ცვლილება შევა. ამის შემდეგ ნაცემი პარლამენტარები აღარ გვეყოლება?

ფიქრია ჩიხრაძე, *„ახალი მემარჯვენეები“:*

— ვერც ეთიკის ნორმებს დაიცავ და ვერც ცემა-ტყეპის სცენებს გამორიცხავ, როცა სხდომათა დარბაზში ბოკერიასა და ბექაურის მსგავსი დეპუტატები გეყოლება. რა უნდა გააკეთოს ოპოზიციის წარმომადგენელმა, როცა მას უმრავლესობის იდეოლოგიური მამები პროვოკაციას უწყობენ, უფრო მეტიც — დედას და ცოლშვილს აგინებენ?!. რეგლამენტში ცვლილება ვერც ერთ მამაკაცს ვერ აიძულებს, მაგინებელს „ეთიკურად გაუღიმოს“ და ფიზიკური ძალადობის თავიდან ასაცილებლად ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა ერთი მუშტიც არ უთავაზოს შეურაცხმყოფელს. რაც ეთიკის კანონი მივიღეთ, თავად ამ კანონის ინიციატორებმა და ხელმომწერებმა უმალვე დაივიწყეს მიღებული დოკუმენტი და დღეს ყველაზე უღირსი ქმედებები სწორედ მათგან მოდის. მე ვფიქრობ, დროა, პარლამენტმა აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელი ფუნქციის გაზრდაზე იფიქროს და რეალურად დაიბრუნოს საკანონმდებლო ხელისუფლების სახე, ვიდრე იმაზე ხარჯოს დრო, ვინ რა ფულადი ჯარიმა უნდა გადაიხადოს იმის გამო, რომ ვიღაცას შემოულაწუნა. ჯერ ერთი, თუ ადამიანი გაბრაზებულია, შეიძლება, თავისი ღირსების დასაცავად, ფულის გადახდაც არ დაენანოს. დეპუტატი ისე უნდა იქცეოდეს, რომ მისი გალახვის სურვილი არ გაუჩნდეთ.

■

როგორ ვიცავთ თავს ქათმის ვირუსისგან

— არის თუ არა იმის გარანტია, რომ კარანტინის გამოცხადების შემდეგ, დაზიანებული პროდუქცია კონტრაბანდული გზით არ შემოვა?

გოჩა ხევიაშვილი, *აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე:*

— იმის გამო, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში — თურქეთში, რუსეთსა და რუმინეთში, საიდანაც საბორნე გადმოზიდვები ხორციელდება, ამ დაავადების შემთხვევები გამოვლინდა, დიდი სიფრთხილე გვმართებს. საქართველოში ქათმის ვირუსის არც ერთი ფაქტი არ გამოვლენილა. ვეტერინარულ სამსახურთან და საბაჟოსთან ერთად დავგეგმეთ ღონისძიებები, რათა დაზიანებული ქვეყნებიდან აიკრძალოს იმ პროდუქტების იმპორტი, რომელმაც შეიძლება, ქვეყანაში ქათმის გრიპი შემოიტანოს. აიკრძალება საინკუბაციო კვერცხის შემოტანაც. აღნიშნული კარანტინი 12 თვე მაინც უნდა გაგრძელდეს. რაც შეეხება კონტრაბანდას — ეს ძალზე სერიოზული ინფექციაა, ამიტომ ისეთი კონტროლი უნდა დაწესდეს, რომ ასპროცენტიანი უსაფრთხოების გარანტია გვქონდეს: არა მარტო სატვირთო მანქანების, არამედ „ჟიგულების“ დონეზეც შემოწმდება ყველაფერი. თუმცა, ვირუსი ფეხსაცმლითაც შეიძლება შემოვიდეს, ასევე — თბილ ქვეყნებში გადამფრენმა ჩიტებმაც გადმოიტანონ — ვთქვათ, რუსეთიდან გამოსაზამთრებლად წამოსულმა ბატებმა, რომლებიც ჩვენს წყალსატევებზე დაეშვებიან. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე მონადირეებს მართებთ...

■

ვის დარჩება ქუთაისი?..

— საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქში ორხელისუფლებიანობა დამყარდა, რამდენად კრიზისულია ქუთაისში არსებული სიტუაცია?

თემურ შაშიაშვილი, *იმერეთის ყოფილი რწმუნებული:*

— ქუთაისში სახელისუფლებო ქაოსი გრძელდება. ქალაქის მერი, ბესიკ გულორდავა საკრებულომ თანამდებობიდან გადაყენა, მაგრამ იგი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე თავს ისევ მერად მიიჩნევს. საკრებულოს მიერ მერის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულ გიგა ჩოგოვაძეს კი საქალაქო სამსახურების დიდი ნაწილი არ ემორჩილება... თუმცა, ის, რაც ქუთაისში ხდება, ამ ქალაქის პრობლემა არ არის. მისი ფესვები ცენტრალურ ხელისუფლებაშია. ორხელისუფლებიანობა სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც დაიწყება, რადგან ხელისუფლება ხალხის არჩევანს პატივს არ სცემს. ქუთაისში ხალხის მიერ არჩეული მერი იძულებული გახდა, გადამდგარიყო, შემდეგ დაინიშნა ახალი პიროვნება, რომელიც წავიდა, შემდეგ მოვიდა მერის მოვალეობის შემსრულებელი და ისიც მიდის, ასე გრძელდება დაუსრულებლად. ქუთაისს ხუთთვიანი, შვიდთვიანი და ცხრათვიანი მერები ჰყავს, ყველა ახალი რწმუნებული, რომელსაც იმერეთი უკეთეს შემთხვევაში, კვარტალში ერთხელ იცვლის, მიიჩნევს, რომ გეგმების განსახორციელებლად საკუთარი გუნდი სჭირდება და დანიშვნა-გათავისუფლების გარდა, ამ რეგიონში არაფერი კეთდება. წინა მერი კარგი იყო თუ ცუდი, ხალხმა აირჩია და მისი გადადგომის შემდეგ, მერის პირდაპირი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. ეს პირობა უნდა შესრულდეს, რადგან დღეს ხელისუფლება ადგილობრივი ავტორიტეტული ადამიანების თანამდებობაზე მოყვანას ერიდება. ის კომპრომეტირებულ პირებს ეძებს, რათა ადვილად მართოს და საჭიროების შემთხვევაში, იოლადაც მოიცილოს თავიდან.

■

„არ არის?.. როდის იქნება?.. ეს ამ გვინდა!...“

ანუ „ჩვენ ვართ ზანგები ჩვენი მთავრობისთვის“

რა ვქნა — გნებავთ, სლენგის სიყვარული დამწამეთ, მაგრამ ძალიან მომწონს ხალხში გავრცელებული გამოთქმა — კაბინეტი გაინაღდაო! მართლაც, ბევრი ისეთი ჩინოსანი მინახავს, „თავის გემოზე“ რომ მოკალათებულა გემოვნებით მოწყობილ და ძვირად ღირებულ, თანამედროვე ავეჯით „გაძეძგილ“ სამუშაო კაბინეტში, ხალხმა რომ უბოძა საცოდავი და ღარიბი ქვეყნის სამართავად. როგორც წესი, ასეთ კაბინეტებს ერთი მისაღები და ამდენივე (რიგ შემთხვევაში კი — მეტიც), გვერდით მდებარე ოთახი ახლავს. და კიდევ — მდივანი, თანაშემწე, დაცვა, მძღოლი... მოკლედ, სრული კომფორტი აქვთ საიმისოდ, რომ იმუშაონ, დაისვენონ და სტუმრებიც მიიღონ. მართალია, სტუმარი ღვთისაა, უთქვამს ქართველ კაცს, მაგრამ მათთან, ვისზეც მოგახსენებთ, შემთხვევით გამვლელი როდი მოხვდება. ჩემი ჟურნალისტური გამოცდილება დამემოწმება, რომ ჩინოსანთა მისაღებში ძირითადად, ამავე უწყების თანამშრომლები ან ნერვიულად მომლოდინე ჟურნალისტები ტრიალებენ. ქვეყნისა და ხალხის საზრუნავით დაკავებულ ჩინოსანს თუ დრო დარჩა, ჟურნალისტის სტატუსით მისულ სტუმარსაც შეხვდება, ხოლო სოციალურ პრობლემებზე საუბრისას, ისე მზრუნველად მოიწმენდს შუბლზე მომდგარ ოფლს, სინდისი რომ შეგაწუხებს: ქვეყნის ბედ-იღბალზე ზრუნვას, როგორ მოგწყვიტეო?!. მოკლედ, ამჯერად „მორიდება ვიქონე“ და ჩინოსანთა ნაცვლად, ჩემი მოკრძალებული ტრიბუნა მათ დავუთმე, ვინც სამთავრობო კედლებს მიღმა დგას და უშედეგოდ ცდილობს აუდიენციას მათთან, ვინც ცოტა ხნის წინ, საკუთარი ქვეყნის მხსნელად ესახებოდა. ასე რომ, ჩემი საკრედიტაციო ბარათი ცოტა ხნით დავივიწყე და პარლამენტის ფოიეში შეკრებილ მოქალაქეებს შევუერთდი...

ემა ტუხიაშვილი

— ქალბატონო, სხვებსაც გვინდა დარეკვა! არ ჩამოეკიდა ამ ტელეფონს! — აბუზღუნდა ქალბატონი, რომელიც ტელეფონის აპარატთან ურიგოდ ცდილობდა მისვლას.

— ძალიან გთხოვთ, რიგი დაიკავეთ, აქ ყველას რაღაც მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემა გვაქვს — წესრიგის დამყარებას ცდილობდა იღლიაში საქაღალდეამოჩრილი მამაკაცი. მოკლედ, მოქალაქეთა რიგი, ძველი, საბჭოური პერიოდის ტელეფონის აპარატებთან იდგა, რადგან ეს ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალებაა ხალხის რჩეულებთან, იმავე დეპუტატებთან. მათი მისაღების ტელეფონის ნომრები კი ნაირ-ნაირი კალიგრაფიით პირდაპირ კედლებზეა მიწერილი. და არა მხოლოდ ეს... ჩანთიდან უბის წიგნაკი ამოვიღე და საპარლამენტო კედლიდან, რამდენიმე სკაბრეზული ფრაზა გადმოვიწერე: „ნანა მაგარი ნაშა და „ბეზატკაზნია“ — რა თქმა უნდა, თან ერთვის ტელეფონის ნომერი... კიდევ: „გავიცნობ სექს ბიჭს, დარეკეთ სასწრაფოდ“, „ამ ნომერზე დამირეკონ მხოლოდ მზეთუნახავებმა“, „ემილ სექსი ახჩიკ“ და მრავალი სხვა.

— ვაიმე, შენ შემოგევლე, ქალბატონი ელენე მინდა თევდორაძე, — ქალის ხმამ „საინტერესო“ საკითხავს მომწყვიტა და შემახსენა, რომ პარლამენტში რეპორტაჟის გასაკეთებლად ვიყავი მისული.

— არ არის? როდის იქნება? სესიების კვირა ხომ არის ახლა? კარგი კაცო, რამდენჯერ უნდა დამაწერინოთ წერილი, არ შეიძლება, პირადად რომ შევხვდე?.. — არ კარგავდა დეპუტატთან შეხვედრის იმედს შუახნის ქალატონი, თან ჟესტით მიუთითებდა რიგში მდგომებს: გაჩუმდით და ტელეფონით ლაპარაკი მაცალეთო.

— წამოდი, რა, დედიკო, ხომ ხედავ, არ იღებენ ყურმილს, — ახლა მეორე ტელეფონის აპარატთან მდგარი დედა-შვილის დიალოგს დავუგდე ყური. მოულოდნელად ქალს მოღუშული სახე გაებადრა:

— ბატონი გია გვინდა ხევიაშვილი, რუსთავიდან ვართ, გენაცვალე, — და ისევ მოეღუშა ქალს სახე. — რა არის, კაცო, ეს, პარლამენტია თუ ქაჯეთის ციხე?!. არჩევნების შემდეგ არც ჩამოსულა რუსთავში ჩვენი დეპუტატი, იქნებ, რა გვიჭირს ან გვილხინს, მოვიდეს, დაგველაპარაკოს ხალხს. ერთი კვირაა, დავდივარ აქ, ქალბატონო და ყოველდღე მეუბნებით: ხვალ დარეკე, ზეგ დარეკეო. ნამუსი გაქვთ ახლა თქვენ? იმ დღეს, ბავშვით დილიდან საღამომდე რომ დამაყუდეთ: ან ერთ საათში მოვა, ან მოგვიანებითო... — ქალმა მოზრდილი ტელეფონის ყურმილი ხმაურით ჩამოკიდა და ახლა უკვე ხალხს მიუბრუნდა — აქ რომ მოხვალ, რკინის ნერვები უნდა გქონდეს...

— ნამუსი არა აქვთ?! რა ჰგონიათ, აღარ მოვა არჩევნები თუ?.. იმ დღეს ჩემი თვალით დავინახე, რომ შემოვიდა ჩემი რაიონის დეპუტატი, გამოვეკიდე — ბატონო ბეჟან-მეთქი, — და ურცხვად მიმტკიცებს: მე არა ვარ, შეგეშალეთოო... — მალევე იპოვა თანამოაზრე გაანჩხლებულმა ქალბატონმა.

— ...კი, მაგრამ რა არის აქ გაუგებარი? მაინტერესებს, როდის იქნა მიღებული კანონი ქველმოქმედების შესახებ! ქალბატონო, უკვე მეოთხე ტელეფონზე ვრეკავ, საორგანიზაციო სამსახურშიც დავრეკე და პასუხი ვერ მივიღე... — კიდევ ერთი ქალბატონი ცდილობდა, ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოსთან დაემყარებინა კონტაქტი.

— ბებო, შენ შემოგევლე, 85 წლის ქალი ვარ, თვალში ვერ ვიყურები და დამირეკე ამ ნომერზე — სახელოზე დამქაჩა ვიღაცამ და რომ მივიხედე, ერთის ნაცვლად, ორი ღრმად მოხუცი ქალბატონი მთხოვდა დახმარებას. იმას კი ნამდვილად არ ველოდი, უშუალოდ მე თუ მომიწევდა ჩემი რეპორტაჟის პერსონაჟების ადგილას ყოფნა, მაგრამ ხელჯოხებით მოსულ და წელში მოხრილ ბებიებს რომ შევხედე, ტელეფონთან მისასვლელი რიგი დავიკავე. ბებიები ფეხდაფეხ მომყვებოდნენ და როდესაც ტელეფონის ყურმილი ჩამოვხსენი, მხოლოდ მაშინღა დავხედე, რომ მათ მიერ მოცემულ ნაგლეჯზე გიგი წერეთლის ნომერი ეწერა.

— ბატონი გიგის მისაღებია? ქალბატონო, აქ ორი მოხუცი ქალბატონია და ბატონ გიგისთან სურთ შეხვედრა.

ჩემს ლაპარაკს გულმოდგინედ უსმენდ-

ნენ მოხუცი ქალბატონები და დასტურის ნიშნად, ორივე ერთდროულად მიქნევდა თავს...

— ახლა ბატონი გიგი ვერ მიიღებს, ორშაბათს მობრძანდნენ და 12 საათისთვის დაგვირეკონ, — მიპასუხეს დეპუტატის მისაღებიდან.

— იცით, ძალიან მოხუცები არიან და არა მგონია, რომ ამდენჯერ მოსვლა შეძლონ, — ვცდილობდი, ბებიების ნდობა გამემართლებინა.

— რა საკითხზე არიან მოსული? — გაისმა ვიღაცის ხმა დეპუტატის მისაღებიდან.

— რა საკითხზე არიანო? — გადავულაპარაკე ბებიებს.

— ქარელის რაიონიდანა ვართ, შვილო, პენსიას გვაკლებენ, „სობესი“ ყოველთვე ფულსა გვთხოვს, — ჩამომიყალიბეს სატკივარი მოხუცებმა, რომლებმაც ბატონ გიგიმდე თავიანთი პრობლემის მიტანა იმ დღეს ვერ შეძლეს...

— დღეს რა დიდი ჯაფა ადგას ამ



პარლამენტის შემდეგ, რეპორტაჟის დასასრულებლად სახელმწიფო კანცელარიის მოქალაქეთა მისაღებში გადავინაცვლე...

შეჩვენებულსა, მიველეთ, რა იქნებოდა?! ამბობენ, მთავრობაში შეგნებული ხალხია და მოხუცები უყვართო. რა ვიცი, შვილო, იქნებ, ორშაბათამდე ჩვენი ძვალიც აღარ იყოს. არაა ჩვენი პატრონი ამ ქვეყანაზე, — აღნიშნა ერთ-ერთმა ბებომ და მეც ზურგი მაქცია.

სიმართლე გითხრათ, თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ ამ რეპორტაჟის შესაქმნელად პარლამენტში რამდენჯერმე მაინც მომიწევდა მისვლა; მაგრამ იქ გატარებული ერთი საათიც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ მეღიარებინა გენიალური სიტყვების ჭეშმარიტება — დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალიო...

პარლამენტის შემდეგ, რეპორტაჟის დასასრულებლად სახელმწიფო კანცელარიის მოქალაქეთა მისაღებში გადავინაცვლე. გახსოვთ ალბათ, 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ, ხალხთან სიახლოვის ნიშნად, კანცელარიას შემოვლებული რკინის ღობე დემონსტრაციულად რომ მოხსნა და ახლა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, იმ პაწაწინა ფლიგელში შევიდეს, საიდანაც კანცელარიაში მოსახვედრად საშვების გაცემა წარმოებს. იქვეა რამდენიმე ტელეფონი, რომლითაც მთავარ სახელმწიფო უწყებას უკავშირდები და 3 რკინის ყუთი წერილებისთვის.

— გამარჯობათ, დაჯილდოების სამსახურია? მე სამამულო ომის მონაწილე გახლავართ. ცოტა ხნის წინ, ორდენი მომპარეს, მაქვს ცნობა, რომ იგი ნამდვილად მე მომანიჭეს... ვერ დამეხმარებით? რატომ? — ხანში შესულ მამაკაცს ცალ ხელში ცილინდრი ეჭირა, ხოლო ის ხელი, რომლითაც ყურმილი ეკავა, ისე უკანკალებდა, ძლივს იჩერებდა ყურთან... ერთ-ერთ ქალბატონს ოფიციალური კორესპონდენციისთვის განკუთვნილ ყუთზე ჩამოედო თავი და ღრმა ძილით ეძინა...

— ძალიან გთხოვთ, იქნებ დაგვეხმაროთ, მრავალშვილიანი დედა ვარ, საცხოვრებელი არ გვაქვს, მერიამ ვერაფერი გამოგვინახა — უკვე მუდარით ლაპარაკობდა ახალგაზრდა ქალი. — წერილით უკვე მოგმართეთ, ეს წერილები ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე იყრება ამ ცისფერ ყუთში და როგორ უნდა დაგარწმუნოთ, რომ არაერთხელ აღვწერე წერილობით ჩემი პრობლემა?..

— იქნებ ვინმემ გამიწიოს კონსულტაცია — როგორ უნდა შევავსო ეს ფორმულარი? ამდენი მარბენინეს, უმრავი დოკუმენტი შევაგროვე, 80 ლარიც გადავიხადე და ჩემი ბედი რომ ვიცი, 6 თვის შემდეგ მეტყვიან: მიმართვის ფორმა არასწორად შეავსეო, — აშკარად სასაუბროდ მიწვევდა მოსული, ქერათმიანი ქალბატონი.

— იქნებ, მე დაგეხმაროთ... — მართლაც დავინტერესდი, რას ავსებდა ეს ქალი ასე გულმოდგინედ.

— აქ წერია — „თქვენი ოჯახური მდგომარეობა“. მეუღლესთან უკვე მრავალი წელია, გაყრილი ვარ, ახლა რა უნდა დავწერო — ის, რომ ქმარი მყავდა, თუ ის, რომ ახლა არ ვიმყოფები ქორწინებაში?

— რატომ ავსებთ ამ დოკუმენტს? — ეს კითხვა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ამ ქალის შესახებ თითქმის ყველაფერი შემეტყო.

— უკვე მრავალი წელია, თურქეთში ვცხოვრობ, იქაური მოქალაქეობაც კი მივიღე. მომენატრა ჩემი ქვეყანა. მართალია, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, ჯერ აქ საცხოვრებლად ვერ ჩამოვალ, მაგრამ ვიფიქრე, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის კეთილი ნებით მესარგებლა და მეც ორმაგი მოქალაქეობა მიმეღო, უფრო სწორად — საქართველოს მოქალაქის სტატუსი აღმედგინა. სიმართლე გითხრა, აქ იმდენი ბარიერი დამხვდა გადასალახავი, რომ იმედები გამიცრუვდა. ჯერ ხომ დოკუმენტების შეგროვებას მთელი კვირა უნდები, შემდეგ ამ ყველაფერს ერთ დიდ ყუთში ყრი და პასუხს ელოდები, რომელსაც 6 თვის შემდეგ ან მიიღებ, ან — არა.

— მოქალაქეობის მისაღებად ჩამოხვედით?

— არა, ამის გამო არ ჩამოვსულვარ. ახალგაზრდა ქართველი ქალი გადმოვასვენეთ თურქეთიდან სამშობლოში. იცით, რამდენი ქალი ინახავს ოჯახს თურქეთში მუშაობით?.. ამ საცოდავსაც, დაღლილს, ჩასძინებია და დენის გამათბობელი დარჩენია ჩართული, სახლს ცეცხლი წაჰკიდებია და... შემთხვევით მივაგენით თურქეთის ქალაქ იალოვას ერთ-ერთი საავადმყოფოს პროზექტურაში. ვინ იცის, რამდენი ქართველის ცხედარი იკარგება თურქეთში უპატრონოდ. წესი აქვთ ასეთი — 5 დღის განმავლობაში თუ გვამს პატრონი არ გამოუჩნდა, მარხავენ...

— გიორგი არველაძე... აი ემ ბენუამენ!.. მე არა ქარტული... — უცხოელი ყმაწვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მეგობრობას იჩემებდა და რომ გავიფიქრე, ესეც ჩვენი მოქალაქეების ბედს გაიზიარებს-მეთქი, მოულოდნელად კანცელარიიდან მოაკითხეს, მისთვის საშვი დაუშვეს და მეგობართან შესახვედრად გაუძღვნენ.

— ესენია ხალხი და ჩვენ ვართ ზანგები ჩვენი მთავრობისთვის! 6 წელია, რაც კანცელარიის კარზე დავდივარ და ვერავისთან შეხვედრას ვერ ველირსე. მგონი, დაავიწყდა კიდეც ჩვენს მთავრობას, ცხინვალიდან ლტოლვილები რომ ჰყავს. უსახლკარო ვარ... თავიდან კახეთში, ერთ-ერთ ღვინის ქარხანაში ვცხოვრობდი ორი შვილით, შემდეგ კი მფლობელი შეეცვალა და ჩვენც გარეთ გამოგვიძახა. ამიხსნას ვინმემ, როგორ შეიძლება იცხოვროს ადამიანმა 15-ლარიანი შემწეობით. რამდენი ვიარე, ვეხვეწე მთავრობის წევრებს, შემხვდით და გადამარჩინეთ-მეთქი. ვერაფერს გავხდი. იცით, ბოლოს რა ზომამდე მივედი?.. კანცელარიის ეზოში მათხოვრობა დავიწყე!.. რა მექნა აბა? თურმე, შიმშილი თავმოყვარეობაზე ძლიერი ყოფილა. გაახარებს ღმერთი ზინაიდა ბესტაევას — 5 ლარი მომცა ერთხელ. ბენდუქიძეს რომ ვთხოვ ფულს, ზედაც არ მიყურებს. ბადრი ბიწაძე მეუბნება ხოლმე: ფულს თან არ ვატარებო... ისე, რასაც ამ კანცელარიის ეზოში ვაგროვებ, პურის ფულად კი მყოფნის. რა ვქნა, გამამათხოვრა ამ მთავრობამ! — ეს ის ქალბატონი იყო, ოფიციალური კორესპონდენციის ყუთზე ტკბილად რომ ეძინა... ■

„მოულოდნელად წამოხტა და – შენ გენაცვალეო!..“

რატომ ურეკავდა ნინაკა გელაშვილი ავლიპ ზურაბაშვილსა და ირაკლი აბაშიძეს

პაროდიის თეატრის მსახიობი, ნინაკა გელაშვილი უკვე 15 წელია, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზეც გამოდის. ალბათ, ძნელია, წარმოიდგინო ასეთი მხიარული ადამიანი დრამატული როლის შესრულებისას, თუმცა ასეთი სახეც არაერთხელ შეუქმნია. დედა — ბალერინა ჰყავდა, მამა — მეცნიერი, თავად კი ყველაფერს, მსახიობობა არჩია. პირველად თურმე, სკოლის მასწავლებლებისა და დირექტორის პაროდიები შეუქმნია. მოგვიანებით გადაწყვიტა, ცნობილ ფსიქიატრად, ავლიპ ზურაბაშვილად გარდასახულიყო... ანებივრებენ თუ არა ერთადერთ პაროდისტ ქალბატონს დასის წევრი მამაკაცები და რა არის ნინაკასთვის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

ემა ტუხიაშვილი

— არ მახსოვს, ოდესმე ჩემთვის ეკითხოს ვინმეს: სად აბარებ ან ვინ გინდა, გამოხვიდეო? ალბათ, ეს იმის ნიშანია, რომ იმთავითვე იყო განსაზღვრული და მეც მტკიცედ ვიცოდი, რომ მსახიობი ვიქნებოდი. ცხადია, ასეთი არჩევანის გამო, ჩემთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია, პირიქით — ყველასგან მხოლოდ ის მესმოდა: ეს პატარა არტისტიაო. როგორც ხედავთ, ბავშვობის ოცნება ამიხდა და ვფიქრობ, ეს ერთადერთი ოცნებაა, რომელიც ჩემს ცხოვრებაში რეალობად იქცა.

— ბავშვობაში როგორ ავლენდით მსახიობურ ნიჭს?

— თავდაპირველად გეტყვით, რომ პატარაობიდანვე ვეუფლებოდი მუსიკას. გარდა ამისა, ჩვენს ოჯახში ყოველთვის იყრიდნენ თავს ადამიანები, რომლებსაც ხელოვნებასთან ჰქონდათ შეხება. დედა-ჩემი პროფესიონალი ბალერინა გახლდათ, ამიტომ მისი მეგობრები ხშირად გვსტუმრობდნენ. მამა ტექნიკური სფეროს მეცნიერი გახლდათ, მაგრამ დიდად აფასებდა და საკმაოდ კარგად იცნობდა ხელოვნებას. უფრო მეტიც: მახსოვს, მსახიობები ხშირად მამისგან იგებდნენ მათთვის საინტერესო ისტორიულ ცნობებს. რაც შემეხება მე — ყოველგვარი კომპლექსის გარეშე შემეძლო, მეცეკვა, მემღერა მშობლების მეგობრების წინაშე, თუმცა დედამ, როგორც ბალერინა, დამიწუნა...

— რატომ?

— არ ვიცი. სულ იმას მეუბნებოდა: შენ ბალერინა არ უნდა გამოხვიდეო. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ ისეთი მაღალი „პადიომი“ მაქვს, პროფესიონალ ბალერინებს შეშურდებათ. ალბათ, ყველა მშობელი, თავისი მძიმე პროფესიიდან გამომდინარე აძლევს შვილს რჩევას. ყველაფრის მიუხედავად, ბალერინობაც მინდოდა, მსახიობობაც, მომღერალიც მინდოდა, გამოვსულიყავი. ერთადერთი, რაც არ მინდოდა, მხატვრობა იყო, რადგან ამ სფეროში სრულიად უნიჭო ვარ, ბურთის დახატვაც კი არ გამომდის. სხვათა შორის, ძალიან ზარმაცი ადამიანი ვარ და ჩრდილში ყოფნა მიყვარს. არ მახსოვს, რომ ჩემი ინიციატივით რაიმე გამეკეთებინოს. ალბათ, ჩემს ადგილას სხვა ადამიანი რომ ყოფილიყო, უკეთ გამოიყენებდა ყველა ჩემს მისწრაფებას. მაგრამ რა ვქნა — მშობლებმა ასე გამზარდეს და მასწავლიდნენ, რომ ჩრდილში ყოფნა და მოკრძალება ყოველთვის ჯობს. თუმცა ვხვდები, რომ ზოგჯერ ცხოვრებისადმი მსგავსი მიდგომა არ ამართლებს...

— მით უმეტეს, მსახიობისთვის, არა?

— ნამდვილად ასეა. მაგრამ რა ვქნა — სხვანაირად არ გამომდის.

— ნინაკა, სკოლაში სწავლისას თუ აკეთებდით მასწავლებლების პაროდიებს?

— დირექტორით დაწყებული, აბსოლუტურად ყველა პედაგოგის პაროდიას ვაკეთებდი. სკოლის დირექტორი კი კაცი იყო და გამოსაშვებ საღამოზე დამემუქრა კიდეც: იცოდე, ატესტატზე ხელს არ მოგიწერო. მეც ვუპასუხე: ძალიან კარგადაც მომიწერთ, ბატონო გურამ-მეთქი, — და მაინც წარმოვადგინე მისი პაროდია... სასკოლო საგნებიდან არც ფიზიკა მიყვარდა, არც ქიმია და ბოტანიკას ხომ საერთოდ, ვერ ვიტანდი. მაგრამ სკოლის გამოჩენილი არტისტი ვიყავი და თუ ვინმე საპატიო სტუმარი გვეწვეოდა ხოლმე სკოლაში, მის წინაშე სხვადასხვა დადგმით გამოვდიოდი. ამასთან ერთად, ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, როდესაც ანსამბლმა „ივერიამ“ „არგონავტები“ დადგა და მედეას როლზე ამიყვანა. ამის გამო ძალიან ვიღლებოდი და გაკვეთილზე ჩამომეძინებოდა ხოლმე. მაგრამ მასწავლებლებს ისე ვუყვარდი, მოულოდნელად კლასში შემოსულ დირექტორსა თუ სასწავლო ნაწილს ეტყოდნენ: არ გააღვიძოთ, ამას გუშინ კონცერტი ჰქონდაო.

— მამათქვენი ტექნიკურ მეცნიერებათა სპეციალისტი იყო, თქვენ კი ეს საგნები არც კი გისწავლიათ?

— მართალია, მამა ყოველთვის წუხდა იმის გამო, რომ მისი შვილი ალგებრისა

ისეთი მაღალი „პადიომი“ მაქვს, პროფესიონალ ბალერინებს რომ შეშურდებათ...

მიყვარს ძლიერი, ამაღლებული, კეთილშობილი მამაკაცები.

და ფიზიკის მიმართ ინტერესს არ იჩენდა, მაგრამ რა მექნა — არ შემეძლო, გამომეჭედა ტვინი იმით, რაც არც მესმოდა და არც მაინტერესებდა. სხვათა შორის, დღემდე შემომრჩა ეს თვისება: ზოგჯერ ტელევიზორსაც არ ვრთავ სახლში, თუ რაიმე კონკრეტული ინფორმაცია არ მაინტერესებს.

— მაშინ მითხარით, რა არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებაში?

— ერთგულება, რადგან თვითონ ვარ ძალზე ერთგული ყველას მიმართ — იქნება ეს შვილი, ოჯახი, მეგობარი, თანამშრომელი, ნათესავი თუ საყვარელი ადამიანი. მხოლოდ და მხოლოდ ერთგულება მჭირდება და ის, რომ ჩემთან ურთიერთობისას ადამიანი იყოს სუფთა. სამწუხაროა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ასე არ ხდება, რადგან ადამიანები იცვლებიან და ეს მტკივნეულია, განსაკუთრებით — ჩემნაირი ადამიანებისთვის.

— ოდესმე „ბოროტად" თუ გამოგიყენებიათ პაროდიის თქვენული ნიჭი?

— ბავშვობაში ხშირად ვურეკავდი ბატონ ავლიპ ზურაბაშვილს და ბატონ ირაკლი აბაშიძეს. ორივეს საკმაოდ სპეციფიკური ხმა ჰქონდა და ვცდილობდი, მათი ხმა უკეთ შემესწავლა... რაც შეეხება ნიჭის „ბოროტად" გამოყენებას — რა ვქნა, ცხოვრებაში თამაში არ შემიძლია, ამიტომ, როდესაც სხვისი ხმით მეგობრებს ვურეკავ, მეც მეცინება ხოლმე. ამის გამო გადავწყვიტე, რომ ასე აღარ ვიხუმრო.

— როცა ავლიპ ზურაბაშვილსა და ირაკლი აბაშიძეს ურეკავდით, პირდაპირ ეუბნებოდით, რომ მათი პაროდიის შექმნა გსურდათ?

— რა თქმა უნდა, არა. ბატონ ავლიპს ვეუბნებოდი, რომ ჩემი ძმა მისი პაციენტი იყო, ხოლო ბატონ ირაკლის — რომ ლექსების ციკლი მქონდა დაწერილი და არ მიბეჭდავდნენ. სხვათა შორის, ორივე მათგანი დავითანხმე შეხვედრაზე, მაგრამ ორივემ ერთსა და იმავე დროს დამითქვა შეხვედრა, ამის გამო გავბრაზდი და არც ერთ მათგანს აღარ შევხვდი.

— პაროდიის თეატრში ერთადერთი ქალბატონი ხართ. ალბათ კოლეგა მამაკაცები ამის გამო ძალიან განებივრებენ, ხომ?

— პაროდიის თეატრში ბევრი ქალბატონიც რომ იყოს, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, მაინც მე ვიქნებოდი განებივრებული. მაგრამ აქვე გეტყვით, რომ მეც ვანებივრებ ჩვენი დასის წევრ მამაკაცებს... მართლაც, ძალიან ვუყვარვარ ჩემს კოლეგებს და ჩემი დიდი იმედი აქვთ. ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ და ეს ოჯახი ბატონმა ჯემალ ბაღაშვილმა შექმნა.

— ქართველი მაყურებელი ძალიან პრეტენზიულია. თუმცა, თქვენ ყოველთვის ახერხებთ, რომ „იუმორინაზე" სრული ანშლაგი იყოს, როგორ ფიქრობთ — რაშია თქვენი თეატრის პოპულარობის საიდუმლო?

— ალბათ, ყოველივე ეს იმის წყალობით ხდება, რომ არასდროს გვიცდია ჩვენი მაყურებლის მოტყუება და ყოველთვის ვამართლებთ იმ ნდობას, რომელსაც ისინი გვიცხადებენ. ეს ისეთი სათუთი რამაა, რომელსაც სულ მოვლა და მოფრთხილება სჭირდება. თუ მაყურებელი ერთხელ მაინც იგრძნობს, რომ შენ მასზე არ გიფიქრია ანუ ცოტა ხნით მაინც ვერ შეძლებ დაავიწყო პრობლემები, რომლებიც ოჯახში, სამსახურში აქვს, უმალვე დაკარგავ მის ნდობას.

— რამდენად რთულია, შეასრულო ვინმეს პაროდია? ეს ხომ მხოლოდ ხმის მიბაძვა არ არის — საჭიროა, შეისწავლო ამ ადამიანისთვის დამახასიათებელი ჟესტიკულაცია, მიმიკა და ა.შ.

— უნდა გრძნობდე, რომ იმ დროს, ის ადამიანი ხარ, ვის პაროდიასაც აკეთებ. სხვათა შორის, ეს ძალიან საინტერესო პროცესია, გარდასახვას ჰგავს.

— ალბათ, არც თაყვანისმცემლები მოგკლებიათ ოდესმე. თუ გახსოვთ, ვინ იყო მათ შორის ყველაზე ორიგინალური?

— როდესაც ამ ყურადღებას მამაკაცი იჩენს, ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება. მაგრამ მქონდა შემთხვევა, როდესაც ქალბატონის მიერ გამოჩენილმა ყურადღებამ კინაღამ შოკში ჩამაგდო. ერთ-ერთი კონცერტის დროს, მსახიობებს სცენიდან ჩამოსვლა და მაყურებლის რიგებთან მიახლოება მოგვიხდა. მახსოვს, ეს ქალბატონი დაახლოებით მეხუთე რიგში იჯდა. მოულოდნელად წამოხტა და გავიგონე მისი შეძახილი: შენ გენაცვალეო! ეს ჩემთვის იმდენად ამაღელვებელი იყო, რომ ძლივს შევიკავე ცრემლები და სასწრაფოდ გავერიდე...

— მამაკაცები ალბათ, უფრო მოკრძალებულად გამოხატავენ საკუთარ გრძნობებს, არა?

— ხშირია შემთხვევა, როდესაც მორთმეულ თაიგულში წერილი დევს: შენ ხარ ჩემი ოცნების ქალიო, — და ა.შ. ზოგჯერ მეცინება ასეთ ბარათზე, ზოგჯერ კი, ჩემი განწყობილება სხვაგვარია, ხოლო ვისი ბარათი მნიშვნელოვანია ჩემთვის და ვისი — არა, ეს უკვე სხვა საუბრის თემაა...

— გამოდის, რომ თქვენი მისამართით გამოგზავნილ ყველა ბარათს ეცნობით...

— რა თქმა უნდა. მაყურებლის მხრიდან სიყვარულის ამ ფორმით გამოვლინება ჩემი პროფესიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მეც ვყოფილვარ მათ მდგომარეობაში და მეც მყოლია ჩემი კერპები...

— თუმცა, არსებობს ალბათ, მამაკაცთა კატეგორია, რომელიც თქვენს გულს ვერასოდეს დაიპყრობს...

— არ მიყვარს მატყუარა მამაკაცები, ეს მათ სისუსტეზე მიუთითებს. მიყვარს ძლიერი, ამაღლებული, კეთილშობილი მამაკაცები. თუმცა, კაცის სიძლიერე მისი სოციალური მდგომარეობიდან როდი უნდა გამომდინარეობდეს... კატეგორია მამაკაცებისა, რომლებსაც პატივს ვცემ, ძალიან მცირეა. თუმცა, ჩემი რჩეული მამაკაცები ამ ქვეყანაზე ნამდვილად დადიან, მაგრამ სამწუხაროდ, ძალიან ცოტანი არიან...

■

„მდინარეს უნდა დავუთმოთ თავისი საბრძანებელი...“ რაც მოხდა და ხდება, მართვადი პროცესია

სამი დაღუპული, უფრო მეტი დაშავებული და უამრავი უსახლკაროდ დარჩენილი — ასეთია მძიმე სტატისტიკა, რომელიც წყალდიდობათა შედეგად, აჭარისა და გურიის რეგიონებში მიყენებულ ზარალს ასახავს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის, გიორგი პაპუაშვილის განცხადებით, უახლოეს მომავალში სტიქიის შემოტევას სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმშიც უნდა ველოდეთ. მეწყერები მოსალოდნელია აღმოსავლეთ საქართველოს მთისძირა რაიონებშიც, მათ შორის კახეთში. თუმცა, მინისტრის თქმით, ჯერჯერობით, საპანიკო არაფერია. — თუ სტიქიამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, მოსახლეობის ევაკუაცია მოხდება, — გვაიმედებს გიორგი პაპუაშვილი.

შეიძლებოდა თუ არა, აჭარასა და გურიაში უბედურების თავიდან აცილება და რამდენად არის შესაძლებელი სტიქიური მოვლენების პრევენცია? ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად, ორ სპეციალისტს მივმართეთ.

ეკა ლომიძე
ლელა ჭანკოტაძე

ტატო ბერიძე, *სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი:*

— საქართველო მდებარეობს დედამიწის ისეთ ზონაში, სადაც სულ იქნება მიწისძვრები, რადგან მილიონი წლების წინ დაწყებული მთათა წარმოშობის პროცესი მუდმივად მიმდინარეა. რთული მთაგორიანი სისტემის გამო კი, ყოველთვის რთული იქნება მდინარეთა მოქმედების რეჟიმი. ამგვარად, წყალმოვარდნები გამოწვეულია, როგორც რთული გეომორფოლოგიული პირობების, ისე შავი ზღვის მეზობლად არსებობით. დასავლეთ საქართველო ამფითეატრივით არის მოქცეული ზღვისკენ, საიდანაც წამოსული ჰაერის მასები აჰყვება მთებს, ცივდება და ნალექებად მოდის. როგორც ირკვევა, დედამიწაზე არსებული ოკეანეების წყლის მასა 3 წელია, უკვე მუდმივად ცირკულირებს. შესაძლოა, ამ ეტაპზე, გლობალური დათბობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს, მაგრამ ყველაფერს მასაც ვერ დავაბრალებთ. წყალმოვარდნები არ არის მხოლოდ ტემპერატურულ ცვლილებებზე პირდაპირ დამოკიდებული, მით უმეტეს საქართველოში, სადაც ტყის მასივები ნადგურდება. ძველი ბერძნების და ვახუშტი ბაგრატიონის ჩანაწერები ერთმანეთს ძალიან ჰგავს იმ ნაწილში, სადაც საქართველოს გეოგრაფიულ და ბუნების რესურსებს ეხებიან. კოლხეთი გაუვალი ტყეებით იყო სავსე. დღეს მათი მასობრივი გაჩანაგების გამო, ციდან მოსული ნალექები ზედაპირული წყლების სახით სწრაფად ჩაედინება მდინარეებში და იქიდან ასევე სწრაფად ჩადის ზღვაში. იმის გამო, რომ მწვანე საფარი აღარ აკავებს ნიადაგში წყალს და ეტაპობრივად არ ხდება მათი მდინარეებში ჩადინება, ეს მდინარეები ხდება წყალმარჩხი, ძლიერი წვიმებისას კი, სწრაფად მოვარდება და რასაც იწვევს, ამ დღეებშიც ვნახეთ. სამწუხაროდ, მოსახლეობა ვერ ხვდება, რომ უნდა შეწყვიტოს იმ ტოტის მოჭრა, რომელზეც ზის. წინათ, ნებისმიერი კუთხის მცხოვრები არ უძვრებოდა ლომს ხახაში — სახლს ჭალაში არ აშენებდა, რადგან კარგად იცოდა, რომ ჭალა მდინარის საასპარეზო ადგილი იყო და მის ტერიტორიაზე შეჭრას არავის აპატიებდა. უკვე ათეული წლებია, მთიანი სოფლებიდან ბარში მასობრივი მიგრაცია მიმდინარეობს, თანაც, პირდაპირ ჭალებში სახლდებიან, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეიძლება გქონდეს, რადგან ერთხელ თუ წაგართმევს წყალი მოსავალს, მომდევნო 5 წელიწადს მაინც გექნება. უბედურება ის არის, რომ მხოლოდ რიგითი ადამიანები კი არ სცოდავდნენ, არამედ ხელისუფალნიც. სკოლები, ადმინისტრაციული შენობები ჩადგეს ჭალებში! ახლა კი, მოვარდება წყალი და იწყება ერთი და იგივე — არიქა, გვიშველეთ! აბა, კომპენსაციები, აბა, ნაპირსამაგრი სამუშაოები დავიწყოთო!.. ეს არასწორი მიდგომაა. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრსა და სხვა სამსახურებსაც მივწერე. უნდა აიკრძალოს ჭალებში ხალხის დასახლება. მდინარეს უნდა დავუთმოთ თავისი საბრძანებელი.

— მერე, გაითვალისწინებს ხელისუფლება თქვენს რჩევას?

— ვიმედოვნებ. მთავრობის მიერ მაისში მიღებულ 111-ე დადგენილებაში წერია, რომ არასწორია მოსახლეობის განსახლება მაღალი რისკ-ფაქტორის მქონე მდინარეთა ხეობებში. ცაგერში ოთხსართულიანი სკოლის შენობა პირდაპირ ჭალაში დგას. დაანგრია ცხენისწყალმა და შენობის ნახევარი წაიღო. გზებია გაყვანილი ჭალაში. რომ დაზიანდება, აღადგენენ, მაგრამ არც ეს არის სწორი. მუდმივად წყალში მოგვიწევს ფულის ყრა.

— თქვენი აზრით, უახლოეს ხანებში საიდან უნდა ველოდეთ სტიქიის შემოტევას?

— საქართველოში 26 ათასი მდინარე მოედინება. მათგან უმრავლესობა ეროზიას იწვევს და მათ სიახლოვეს ცხოვრება საშიშია. კახეთიდან მოყოლებული, აჭარითა და აფხაზეთით დამთავრებული — ყველგან რთული მდგომარეობაა. ზოგან შეიძლება მოცდა — მსხვერპლი არ არის მოსალოდნელი და შეიძლება, ყურადღება უფრო რთულ ზონაზე მივმართოთ. ამის მიხედვით უნდა გადავწყვიტოთ, თუ სად რა ღონისძიება გავატაროთ. მაგრამ ამ საქმისთვის გამოყოფილი თანხები არ უნდა დაურიგდეთ რაიონების გამგებლებს, თორემ, მათი „ჯიბის ფულად“ იქცევა... კატეგორიულად ვაცხადებ, ეს არის კორუფციისათვის ხელშეწყობა. „ზღვისა და მდინარეების ნაპირების საინჟინრო ნაგებობების შესახებ“ კანონის თანახმად, ყველაფერი უნდა აკეთონ სპეციალისტებმა.

— გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის თქმით, უახლოეს ხანს, ცხენისწყლის ადიდებაა მოსალოდნელი. ისიც ნაპირების წალეკვით იმუქრება?

— მიწისძვრის ზუსტად პროგნოზირება შეუძლებელი რომ არის, იაპონელებმა მისგან თავდასაღწევად, სეისმომედეგი შენობების აგება დაიწყეს. რაც შეეხება წყალდიდობებს — ამ მოვლენის წინასწარ განჭვრეტა უფრო იოლია. სპეციალური სამსახურების მიერ წლების განმავლობაში წარმოებული დაკვირვება იძლევა იმის საშუალებას, რომ ვთქვათ, ცხენისწყალზე წყალმოვარდნები ასეთი სიხშირითაა მოსალოდნელი. ამ კვლევათა შედეგად შეიძლება ითქვას, რომ წყალდიდობებით ერთ-ერთი ყველაზე რთული უბნები, ლენტეხი და ცაგერია. იქაური რთული გეომორფოლოგიური სტრუქტურის გამო, ცხენისწყალი მთიდან გამოსვლის შემდეგ, შუა წელში ვიწრო კანიონში სიჩქარეს კარგავს, ვერ იცლება სათანადოდ და ცაგერის ქვაბულში ხდება დიდი რაოდენობით წყლის დაგროვება. ამ პრობლემას ვერაფერს მოუხერხებ. მდინარეს რეჟიმს

ვერ შეუცვლი, მაგრამ ის ნამდვილად შეიძლებოდა, რომ ცაგერის თავზე არ აეშენებინათ წყალსაცავი, რომელიც შეიძლება, ყოველ წუთში გაირღვეს...

— გამოდის, რომ ბუნების კანონების გაუთვალისწინებლობის გამო, კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

— თუ გვინდა ამ ქვეყანაში ცხოვრება, გააზრებულად უნდა ვიმოქმედოთ. ეს უნდა შეიგნოს ხელისუფლების იმ ნაწილმა, რომელსაც ფულის განკარგვა ევალება. არსებობს რეგიონები, რომელთა მოსავლელად საჭიროა ფულის მუდმივად, მაგრამ გააზრებულად ხარჯვა. დროულად უნდა გაკეთდეს მდინარეთა სისტემების დაცვის სქემები, რათა ვიცოდეთ, სად ღირს ნაპირგასამაგრებელი სამუშაოების ჩატარება და სად — არა. კომუნისტური მენტალიტეტიდან აქვთ გამოყოლილი კომისიების შექმნა და მომხდარის მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებით შეფასება. კომისიების თავმჯდომარე ხან პრემიერია, ხან რომელიმე მინისტრი ან პარლამენტარი. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ორგანიზაცია, რომელსაც პატრონი ეყოლება და მთავრობის სხდომაზე სწორედ მას უნდა მოეკითხოს, რა პრევენციული ზომები მიიღო მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად. რაც მოხდა და ხდება, მართვადი პროცესია. ჩვენს ქვეყანაში არსებობს იმის რესურსები, რომ მსგავსი კატასტროფები არ მოხდეს. გუბაზეულის და სუფსისგან მოსალოდნელი პრობლემები კარგა ხანია, ცნობილი იყო. ჯერ კიდევ 2 წლის წინ მქონდა ამის შესახებ ინფორმაცია. საქმის კურსში იყო ყველა. გურიას სულ რამდენიმე ათასი ლარი ეყოფოდა და დღეს არანაირი პრობლემა აღარ გვექნებოდა, ზომები რომ დროულად მიგვეღო...

დიმიტრი ონიანი, *სააქციო საზოგადოება „საქართველოს გეოლოგიის ეროვნული კომპანიის“ საინჟინრო-ჰიდროგეოლოგიური სამსახურის უფროსი:*

— ორმოც წელზე მეტია, რაც მეწყერებსა და ღვარცოფებს ვიკვლევთ. მეწყრის შემსწავლელი პირველი სადგური საქართველოში 1964 წელს შეიქმნა. კვლევები თითქმის მთელ საქართველოში გვაქვს ჩატარებული. უწინ დაფინანსება გვქონდა, შეგვეძლო, ბევრი მეწყერსაშიში ზონა სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგ ტერიტორიად გვექცია.

— საქართველოში ბევრია ასეთი ზონა?

— მეწყერსაშიში ზონების რაოდენობა 70000-ზე მეტია. განსაკუთრებით გამოირჩევა შემდეგი რეგიონები: რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი და გურია. ბოლო დროს, უკვე მთათუშეთი და კახეთიც მეწყერსაშიშ მხარეებად იქცა. წინათ, აღმოჩენილი გვქონდა კანონზომიერება: მეწყერი და ღვარცოფი დაახლოებით 8-10 წელიწადში ერთხელ მეორდებოდა. მაგრამ ბოლო 3-4 წელია, პროცესი უმართავი გახდა. წვიმა წვიმას აღარ ჰგავს და თოვლი — თოვლს. შარშან აგვისტოში, ლენტეხის რაიონში სეტყვამ 40 წუთს გასტანა. მანამდე იქ სეტყვა 5 წუთზე მეტხანს არასდროს გაგრძელებულა. ასეთ ცვლილებებს მეცნიერები ჩერნობილის აფეთქებას ვაბრალებთ. ამ ტრაგედიის შემდეგ (1986 წ.), სვანეთის ზონაში თოვლმა 16 მეტრს მიაღწია. 2 თვის მანძილზე გადაუღებლად თოვდა. დეკემბრის პირველ რიცხვებში დაწყებულმა თოვამ თებერვლის დასაწყისამდე გასტანა. ხალხმა თოვლში გვირაბები გათხარა. ზვავებმა იმძლავრა. მარტო ლენტეხის ზონაში ჩვენ მიერ 200 ზვავი იქნა დაფიქსირებული. დიდთოვლობას წყალდიდობა მოჰყვა. მაგრამ მაშინდელი წყალდიდობა უფრო სუსტი აღმოჩნდა წლევანდელ წყალდიდობებთან შედარებით... წელს მომხდარ წყალდიდობებს და საერთოდ, ბუნების უმართავ პროცესებს გლაციოლოგები გლობალურ დათბობას აბრალებენ. ფაქტია, რომ მყინვარები უკან იხევს. ამიტომაც გახშირდა და გაძლიერდა წვიმები.

— რა ვითარებაა თქვენს სამსახურში? თუ გყავთ ისეთი კადრები, რომლებსაც უტყუარი პროგნოზების გაკეთება შეუძლიათ?

— სულ ახლახან, ტელევიზიით გამოსვლისას, ეკონომისტმა სანდრო თვალჭრელიძემ განაცხადა: სამწუხაროდ, საქართველოში მეწყერების კვლევა არც ახლა მიმდინარეობს და არც აქამდე ყოფილაო. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ცენტრი „სტიქია“, რომელსაც პროფესორი ემილ წერეთელი ხელმძღვანელობს, მაღალი დონის სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული. ყველა რეგიონში პროგნოზები გვაქვს გაკეთებული თითოეულ სახლზე. ეს ხომ ის სფეროა, სადაც ზუსტი პროგნოზირება შესაძლებელია. ვაკეთებთ დასკვნებს, რომელშიც ვწერთ: რომელი სოფელი და ამ სოფლის რომელი მოსახლე იმყოფება მეწყრული საფრთხის ქვეშ... ახლა ლაპარაკია ახალი უწყების შექმნაზე — მაშინ, როცა უწყება უკვე არსებობს. თანაც, ისეთი სპეციალისტები გვყავს, ფერდობს რომ შეხედავენ, თვალით ხვდებიან, მეწყერი ჩამოწვება იქ თუ არა!..

— რა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაა შესაძლებელი მეწყრისა და ღვარცოფის შესაჩერებლად?

— ბევრი საშუალება არსებობს, მაგრამ უპირველესია, ქანების საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა. ამის შემდეგ შეიძლება, ტყის მასივების გაშენება. ზოგჯერ ტყე ფერდობს აზიანებს და თავად ხდება მეწყრის მიზეზი. ყველგან კი არ შეიძლება ტყის მასივის გაშენება. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი ჯიშის ხეს გავაშენებთ. მაგალითად, აკაციის ფესვები მიწაში ღრმად ჩადის და წყალს კარგად იწოვს, ამიტომ მისი გაშენება კარგ შედეგს იძლევა. მაგრამ ამ ყველაფრის გაკეთება თანხებთან არის დაკავშირებული. თუმცა, არც იმდენი ფული ჯდება, რამდენიც ვთქვათ, ცენტრალური ქუჩების მოასფალტება... წინასწარ უნდა დადგინდეს, ღირს თუ არა მეწყერსაშიში ადგილის გამაგრება, ამა თუ იმ სოფლის შენარჩუნება.

— განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. სტრატეგიული ობიექტების მდგომარეობა. ამ მიმართულებით თუ ხორციელდება სერიოზული კვლევა?

— „სტიქია“ მუშაობდა იმ ტერიტორიის კვლევაზე, სადაც ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი გაჰყავდათ. დავაფიქსირეთ უბნები, სადაც ახლა „ეკოლოგიური ბომბების“ აფეთქებას ველოდებით. ყველაზე მძიმე უბანია ბორჯომი. ბორჯომის წყალი იღუპება. ჯობდა, მილი ბორჯომ-პარკზე გაეტარებინათ, რადგან თუ იქ მოხდებოდა დაღვრა, ნავთობი ბორჯომის წყლებამდე ვერ ჩააღწევდა. მაგრამ სადენი მდინარე ბორჯომულას სათავესთან გაატარეს. სწორედ იქ ხდება ბორჯომის წყლის ფორმირება. ნალექი და ზედაპირული წყლები ჩაიჟონება 3000 მ-ზე, სადაც ბორჯომის წყლის ფორმირება ხდება. თუ იქამდე ნავთობი ჩააღწევს, ქანები ველარასდროს გაიწმინდება... მაშინ, გადაჭრით უარყოფითი დასკვნა გამოვიტანეთ. მახსოვს, ჩვენს საწინააღმდეგოდ ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: ამ ადგილებს ზემოდან გადავუფრინე და მანდ ვერანაირი საფრთხე ვერ დავინახეო... კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: წალკაში დაშბაშის წყაროებია. ლევან ხარატიშვილისა და მისი უწყების მიერ გაკეთდა დეტალური გამოკვლევა. აღმოაჩინეს საუკეთესო სასმელი წყალი, რომელიც საკმარისი იქნებოდა რუსთავის, თბილისისა და გორის წყალმომარაგებისთვის. ზვიად გამსახურდიას სურდა ამ წყლის გამოყენება და პროექტიც გაკეთდა, მაგრამ ვერ განხორციელდა. შემდეგ, ბაქო-ჯეიჰანის მილმა სწორედ იმ ადგილას გაიარა. მე, ლევან ხარატიშვილი და მთავარი გეოლოგი, ჯემალ გაბეჩავა ვემუდარეთ, ვეხვწეთ ნავთობკორპორაციას, მაგრამ განზრახვაზე ხელი ვერ ავაღებინეთ. არადა, წყლისთვის გვერდი რომ აევლოთ, სულ 7 კმ-ით გრძელი მილის გაყვანა მოუხდებოდათ. „ბი-პის“ ხელმძღვანელობა დაგვთანხმდა, მაგრამ გია ჭანტურიამ *(კორპორაციის მაშინდელი თავკაცი. — ავტ.)* კატეგორიული უარი განგვიცხადა.

— თბილისში რა მდგომარეობაა?

— თბილისში 70 მეწყერსაშიში ადგილია ფიქსირებული. ყველაზე მძიმე ზონაა ნახალოვკა, სადაც ისეთი ქანებია, რომელიც მეწყრისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის, ასევე — ნუცუბიძის პლატო, სადაც მცოცავი ფერდობებია. ახალი გზა მთაწმინდიდან ვაკემდე უკვე დაძრულია... ქალაქში ძველი კომუნიკაციებია, საიდანაც წყალი იჟონება და ქანებში გუბდება... სამწუხაროდ, სახელმწიფო ჯერ არ აფინანსებს სერიოზულ პროექტებს... საბედნიეროდ, მეწყრული ტერიტორიები არ აკრავს არც თბილისის ზღვას და არც კაშხლებს. მაგრამ საერთოდ, სტიქია არ გვინდობს. ამის მაგალითია წლევანდელი წყალდიდობები. ადამიანი ძალიან უხეშად ერევა ბუნებრივ პროცესებში და ამის შედეგს ვიმკით... ჩვენი აზრით, აუცილებელია, თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გასწვრივ ტარდებოდეს უწყვეტი ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური მონიტორინგი, რომელიც ფონური მდგომარეობის შეფასების საშუალებას მოგვცემს.

■

«ვიქეს შვილს, მელანო მურცხვალაძეს»

მელანო დედასთან ერთად

ჩემს რესპონდენტს, გოგიტა მურცხვალაძეს გულდამძიმებული დავემშვიდობე და მის მიერ დატოვებული მასალების გაცნობას მივყავი ხელი... ჩემ წინ, მაგიდაზე წერილებისა და ღია ბარათების დასტა დევს. „1992 წელი — ჩემო მელანო, შენ ახლა 7 წელი გისრულდება... სკოლაში წახვალ... წერას რომ ისწავლი, ალბათ ჩემს წერილებსაც გამოეხმაურები... მიყვარხარ, მახსოვხარ, მენატრები; 1993 წელი — ჩემო საყვარელო მელანო, გილოცავ ახალ სასწავლო წელს. მე იმ ბინაში ვცხოვრობ, სადაც შენ ფეხი აიდგი. შენი კაბები და სათამაშოები ისევ ხელუხლებელია. გულში ვიხუტებ და ვეალერსები შენს ნაცვლად. ჩემო ტკივილო, ჩემო სიცოცხლევ, მომავალს იმედით შევყურებ... ჩვენი შეხვედრის იმედით; 1994 წელი — ჩემო მელანო, გილოცავ ახალ წელს. ვლოცულობ შენთვის... ჩემო „მელაკუდავ“, მენატრები; 1996 წელი — ჩემო მელანო, ვერა და ვერ მოხერხდა ჩვენ შორის წერილობითი კავშირიც კი... უსაზღვროდ მიყვარხარ, მენატრები. შენ 11 წლის ხდები... ღმერთო, ძლიერო, ჩემი მელანო დამიბრუნე და კვლავ ერთად გვამყოფე; 1997 წელი — გამარჯობა, ჩემო დაუვიწყარო მელანო. როცა მომენატრები, შენი სურათების თვალიერებით ვივჯერებ გულს, მერე დავჯდები და წერილს გწერ... უკვე დიდი გოგო ხარ! მენატრები! მოდი! 2005 წელი — წლები გავიდა... შენ უკვე ქმარ-შვილიც გყოლია... ღმერთმა გაბედნიეროს... გილოცავ დაბადების დღეს...“

ეს მხოლოდ ნაწყვეტია იმ წერილებიდან, რომელსაც ყოველწლიურად რამდენიმე ფურცელი ემატება და ჯერჯერობით, ადრესატამდე ვერ აღწევს... ავტორი კი დარწმუნებულია, რომ ოდესმე მისი წერილები მელანომდე მივა და 16 წლის უნახავი საკუთარი სისხლი და ხორცი მათ წაიკითხავს... ყველაფერი კი ასე დაიწყო:

მარი ჯაფარიძე

— ჯარიდან რომ დავბრუნდი, ბევრი ახალი მეგობარი შევიძინე. მათ შორის იყო ორი და. ერთი წლის შემდეგ, ერთ-ერთ მათგანზე, ლიაზე დავქორწინდი. მიუხედავად იმისა, რომ ცოლისდასთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა, ის ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი გახლდათ და ქორწილშიც არ გვეწვია. სიძე-პატარძალი, თეთრი კაბითა და კოსტიუმით, ქორწილიდან გავიპარეთ და ურჩ ცოლისდას შინ მივადექით. ვეხვეწებოდით, რომ ჩვენთან ერთად წამოსულიყო, მაგრამ თანაგრძნობის ნაცვლად წყევლა მივიღეთ. ეს წყევლა აგვისრულდა კიდეც. მე და ლიას გოგონა შეგვეძინა. მელანო დავარქვით. ერთად სულ 4 წელი ვიცხოვრეთ. შემდეგ გავიყარეთ, თუმცა მანამდე, რამდენჯერმე ვიჩხუბეთ და შევრიგდით: არ მინდოდა ოჯახის დანგრევა, ის ჩემთვის წმინდა და ხელშეუხები გახლდათ.

— თქვენ და ლია მშობლებთან ერთად ცხოვრობდით?

— დიახ, ჩემმა მშობლებმა ის შვილივით შეიყვარეს. ოჯახის სრულუფლებიან წევრად მიიღეს. მაშინ ტყიბულში ვცხოვრობდით და მე ქვანახშირის მაღაროში ვმუშაობდი. საკმაოდ დიდი ხელფასი მქონდა და ოჯახს მატერიალურად არ უჭირდა. მიუხედავად ამისა, ლიამ მაინც აიჩემა, უნდა ვიმუშაოო. მაღაზიაში დაიწყო მუშაობა, თუმცა მე ამის წინააღმდეგი ვიყავი... როცა ერთმანეთს გავშორდით, ლია ცაგერში ცხოვრობდა. მერე შევიტყვე, რომ თბილისში, ნათესავთან გადმოსულა. შემდეგ გათხოვდა კიდეც. იმ დროისთვის ცოლი მეც მყავდა...

— ამ ხნის განმავლობაში მელანოს არ ნახულობდით?

— ვერ ვნახულობდი. მათ ასავალ-დასავალს ვერ ვიგებდი. გავიკითხავდი, გავიგებდი მისამართს, მივიდოდი და იქ აღარ მხვდებოდნენ. მე და ლია წლების განმავლობაში რამდენჯერმე შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, ორჯერ — თბილისში, ერთხელ — ბათუმში. არც ერთხელ მელანო თან არ ახლდა. ყველა შეხვედრისას ვეუბნებოდი — ბავშვი მენატრება, ნახვის საშუალება მომეცი-მეთქი. შემპირდებოდა, შემდეგ ისევ იკარგებოდა და ვეღარსად ვაგნებდი.

— მეორე ქორწინებიდან რამდენი შვილი გყავთ?

— ორი. უფროსი, ნანა მეცხრე კლასის მოსწავლეა. უმცროსი, ჯაბა კი 13 წლის გახლავთ. მის შესახებ თითქმის მთელმა საქართველომ იცის. ჯაბა ჰიდროცეფალიით არის დაავადებული. ის ჯანმრთელი დაიბადა, მაგრამ სამშობიაროში ხელიდან გაუვარდათ შეხვევის დროს და ყიფლიბანდი დაერღვა. ამის შემდეგ, 5 ოპერაცია გავუკეთეთ, მაგრამ ის წლების განმავლობაში სავარძელს იყო მიჯაჭვული. „კვირის პალიტრა“ წერდა ჩემი ჯაბას შესახებ. რედაქტორი, ცხონებული ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი ძალზე ჰუმანური და მორწმუნე ადამიანი გახლდათ, სულ მეუბნებოდა — ჯაბა მცხეთაში, ბერი გაბრიელის საფლავზე წაიყვანეო, მაგრამ კარგა ხანს ვერ მოვახერხე ამის გაკეთება. ბოლოს, 2001 წელს მოვიწადინე და ჩემი ინვალიდი შვილი სავარძლით ავიყვანე დედათა მონასტერში. ბავშვს მისვლისთანავე მოუსვენრობა დაეტყო. სავარძლიდან გადმოვიყვანე. ჯაბა, მამა გაბრიელის საფლავზე მლოცველივით დაემხო. ციოდა. ბავშვი 40-45 წუთის მანძილზე ასე იყო დამხობილი და მიუხედავად ჩემი მცდელობისა, ვერ წამოვაყენე... ამ ამბიდან მესამე დღეს, ჩემი მამიდაშვილის ოჯახში სტუმრად ვიყავით. სამზარეულოში ვისხედით, როდესაც ჩემს მეუღლეს ხელიდან თეფშები დაუცვივდა. სამზარეულოს კარში ჯაბა იდგა. თავისი ფეხით მოვიდა ჩვენამდე. ეს წარმოუდგენელი იყო. მანამდე, ჯაბა თავისით ვერ გადაადგილდებოდა... ახლა შეუძლია სიარული და სახლის კარსაც ყოველთვის ვკეტავთ, რომ კიბეზე არ დაგორდეს. შინაურებს გვცნობს, რეაქცია აქვს წყენაზე, გაბრაზებაზე, მოფერებაზე. თუ რამე მოეწონება, მისი სახის ყველა ნაკვთი გამოხატავს აღტაცებას. შეუძლია, მშრალი საკვები საკუთარი ხელით მიიღოს... ეს ყველაფერი მამა გაბრიელის მადლის წყალობაა... წარმოიდგინეთ, რამხელა ტკივილია ჩემთვის ჩემი ჯაბა. მაგრამ არანაკლები ტკივილია მელანო. მთელი ცხოვრების მანძილზე სამ

შვილს ერთად ვიფიცებ. მინდა, მელანო მოვძებნო თქვენი დახმარებით. გთხოვთ, იქნებ, ხმა მიაწვდინოთ მას და გაიგოს, რომ ვეძებ.

— თქვენმა ოჯახმა თუ იცის, რომ უფროს გოგონას ეძებთ?

— რა თქმა უნდა. წარმოიდგინეთ, ისეთი ბავშვის დედისთვის, როგორიც ჯაბაა, რაოდენ ძნელი უნდა იყოს, იფიქროს თავისი ქმრის შვილზე, რომელიც პირველი ცოლისგან ჰყავს, მაგრამ სულ მეუბნება — მოძებნე მელანო, რატომღა აყოვნებო? ყოველ დილით, როდესაც ჩემი მეუღლე და ჩემი შვილი ნანა, ლოცვებს კითხულობენ, მელანოს აუცილებლად მოიხსენიებენ. თუ ნებას დამრთავთ, მინდა, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან მივმართო ჩემს გოგონას.

— რა თქმა უნდა...

— ჩემო მელანო, შენ უკვე დამოუკიდებელი ადამიანი ხარ. გყავს მეუღლე, შვილები და იცი, რა არის შვილის სიყვარული. თუ ჩემი სიძულვილის გვერდით, რომელიც ალბათ დედამ ჩაგინერგა, სულ ოდნავი თანაგრძნობა მაინც არსებობს, გაიმეტე ერთი შეხვედრისთვის რამდენიმე წუთი და მომისმინე. შვილო, მე ბევრი რამ მინდა გითხრა, რასაც ჟურნალის ფურცლებიდან ვერ გეტყვი. ამ წლების განმავლობაში, ისეთი არაფერი ჩამიდენია, რომ ჩემთან შეხვედრის შეგრცხვეს. შენი ინვალიდი ძმის, ჯაბას წყალობით იმდენჯერ მოვხვდით პრესის ფურცლებსა თუ ტელევიზიის ეკრანზე, რომ შეუძლებელია, ჩვენ შესახებ არ შეგეტყო. მე კი ისიც არ ვიცი, სად გეძებო, შვილო...

■

„კვირის პალიტრა“ წერდა ჩემი ჯაბას შესახებ. რედაქტორი, ცხონებული ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი ძალზე ჰუმანური და მორწმუნე ადამიანი გახლდათ, სულ მეუბნებოდა – ჯაბა მცხეთაში, ბერი გაბრიელის საფლავზე წაიყვანეო

ჩხუბს 19 წლის ასპიზაურის სიცოცხლე შეეწირა

„ვიღაცას ხელში რაღაც უელავდა... მერე გასროლაც მოხდა“

2003 წლის 26 იანვარს, თბილისში, გლდანის ხევში მომხდარ ჩხუბს 19 წლის ვანო ქართელიშვილის სიცოცხლე შეეწირა. ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული სასიკვდილო ჭრილობის შედეგად, ქართელიშვილი იმავე დღეს, საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ჭრილობა მარჯვენა ბარძაყის არეში დაფიქსირდა. სიკვდილის მიხზეზად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მწვავე სისხლნაკლებობა დაასახელეს.

მეგი ცანავა

როგორც ამბობენ, გავრცელდა ხმა, რომ ქართელიშვილს გლდანის ხევში მცხოვრებმა, 21 წლის ზურაბ ხაჟალიამ ესროლა. შემთხვევიდან ორ კვირაში, ხაჟალია საკუთარი ნებით, ადვოკატთან ერთად გამოცხადდა პოლიციაში. სამართალდამცველებს აუხსნა, რომ გაზეთიდან შეიტყო ვანო ქართელიშვილის გარდაცვალების შესახებ. მისი თქმით, გაზეთში ისიც ეწერა, თითქოს ის — ხაჟალია დააკავეს, როგორც დანაშაულში ეჭვმიტანილი და სწორედ ეს გახდა პოლიციაში მისი გამოცხადების მიზეზი.

ხაჟალიამ სამართალდამცველებს განუცხადა, რომ სრულიად უდანაშაულო იყო და ქართელიშვილისთვის მას არ უსვრია. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველები ჩადენილ დანაშაულში დღემდე, მხოლოდ მას სდებენ ბრალს.

გამოძიების ინფორმაციით, 2003 წლის 26 იანვარს, ხაჟალიასა და ქართელიშვილს შორის შელაპარაკება მოხდა. ხაჟალია გლდანის ხევის მე-3 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა. ამ დროს, იქ მეგობრებთან ერთად, ვანო ქართელიშვილმა ჩაიარა. ქართელიშვილი ნასვამი იყო და უმისამართოდ იგინებოდა. ხაჟალიამ, რომელიც ქართელიშვილს იცნობდა, შენიშვნა მისცა და წესრიგისკენ მოუწოდა მას. ქართელიშვილმა ეს იუკადრისა და შეურაცხყოფად მიიღო. მათ შორის სიტყვიერი შელაპარაკება სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდა. სიტუაცია ქართელიშვილის თანმხლებმა პირებმა განმუხტეს. მაშინ ხაჟალიამ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და ქართელიშვილის მიმართულებით გაისროლა. ეს უკანასკნელი, ბარძაყის არეში დაიჭრა, ხაჟალია კი გაიქცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მეგობრებმა ტაქსით წაიყვანეს №4 კლინიკურ საავადმყოფოში, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

გამოძიების მასალებში მოყვანილ ამ ფაქტებს ხაჟალია კატეგორიულად უარყოფს. სამართალდამცველების წინაშე მან თავიდანვე უარყო ბრალდება. აღსანიშნავია, რომ მას სხეულის განზრახ, მძიმე დაზიანების (რამაც გამოიწვია სიკვდილი) და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების მუხლები მიუყენეს. ხაჟალიამ თავის ჩვენებაში ქართელიშვილთან შელაპარაკების ფაქტი დაადასტურა, მაგრამ მის მიერ იარაღიდან გასროლისა — უარყო. მისი თქმით, შემთხვევის დღეს, მას ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონია და საერთოდ, იარაღს ის არასდროს ატარებდა და არც ინახავდა. ხაჟალია ირწმუნება, რომ სინამდვილეში, სწორედ მას დაესხნენ თავს ქართელიშვილი და მისი თანმხლები პირები. ხაჟალიას თქმით, ქართელიშვილმა და მისმა მეგობრებმა მას აგინეს და სცემეს, შემდეგ კი, იარაღიდანაც ისროლეს. ხაჟალიას ჩვენებების მიხედვით, ახალგაზრდას, რომელსაც ის ეჭიდებოდა, ხელში იარაღი ეჭირა და გასროლაც სწორედ ამ ჭიდილის დროს მოხდა. იმ ახალგაზრდის ამოცნობა მას, როგორც თავად აღნიშნავდა ეჭვმიტანილად დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაში, არ შეუძლია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზურაბ ხაჟალიას სხეულზე, ისევე, როგორც ტანსაცმელზე, დაზიანებების კვალი დაფიქსირდა. ექსპერტების თქმით, მხრის არეში, ორ ადგილას, მას სხეულზე მჭრელი საგნით, სავარაუდოდ დანით, მიყენებული მსუბუქი ხარისხის ჭრილობები აღენიშნებოდა. კომპლექსურ-კომისიური ექსპერტიზის დასკვნით,

ხაჟალიას ტანსაცმელზე დაფიქსირდა, როგორც დენთის, ისევე ცეცხლსასროლი იარაღით და მჭრელი საგნით მიყენებული დაზიანებების კვალი. ექსპერტიზის ეს დასკვნა ადასტურებს ხაჟალიას ჩვენებას, რომ მას ჭრილობებს აყენებდნენ და მისი მისამართით ისროდნენ კიდეც. მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც აღნიშნული საქმე განიხილა, ასე არ ჩათვალა. სასამართლომ ხაჟალია პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნო და მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად, განაჩენში პირველ რიგში, აწ გარდაცვლილის ნათესავის — ფრიდონ ბაღიაშვილის ჩვენებაა მოყვანილი.

მოწმე ბაღიაშვილის ჩვენების მიხედვით, 2003 წლის 26 იანვარს, ის და თემურ ქართლელიშვილი (აწ გარდაცვლილის ბიძაშვილი) შეხვდნენ ვანო ქართლელიშვილსა და მის მეგობრებს და გლდანულაში საქმის გასარჩევად წავიდნენ. მათ ვანო ქართლელიშვილმა და მისმა მეგობრებმა სთხოვეს, გაჰყოლოდნენ. როგორც აუხსნეს, რამდენიმე თვის წინ, ვანო ქართლელიშვილს ჩხუბი მოუხდა გლდანულაში მცხოვრებ ვინმე ა. ტაბატაძესთან, მას შემდეგ არ უნახავს და ახლა სწორედ ამ საქმის გასარკვევად აპირებდა მასთან შეხვედრას. გლდანულაში მისულებს, ა. ტაბატაძე არ დახვდათ. სწორედ ამ დროს შეხვდნენ ისინი ხაჟალიას. ბაღიაშვილის თქმით, ქართლელიშვილისა და ხაჟალიას შელაპარაკების მომენტში, მან შენიშნა, თუ როგორ ამოიღო ხაჟალიამ ჯიბიდან (ან ქამრიდან, ზუსტად არ ახსოვს) ცეცხლსასროლი იარაღი და დაუმიზნა ქართლელიშვილს. მათ შორის მანძილი დაახლოებით 2 მეტრი იქნებოდა. როცა ხაჟალიამ პირველად გამოჰკრა სასხლეტს ხელი, ტყვია არ გავარდა; არც მეორედ, არც მესამედ. ამასობაში, 30-40 წამი გავიდა.

ქართლელიშვილის თანმხლები პირები, ისევე, როგორც ბაღიაშვილი, იქვე იდგნენ უძრავად. ხაჟალიამ ისევ სცადა გასროლა და ამჯერად, ტყვია გავარდა. ქართლელიშვილი მაშინვე წაიქცა. რატომ ვერ შეაჩერეს ხაჟალია და ვერ მოიმოქმედეს რაიმე, ამას ბაღიაშვილი ვერ ხსნის. მისი თქმით, იქ მყოფთაგან არც ერთს არაფერი უღონია შეიარაღებული ხაჟალიას შესაჩერებლად და ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ მოჩხუბრებისკენ.

მოწმე თემურ ქართლელიშვილის თქმით, ხაჟალია და ვანო ქართლელიშვილი შემთხვევის დღეს ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველად, ხაჟალია გლდანის ხევის მე-9 კორპუსთან გამოჩნდა. საქმის გასარკვევად მისული ვანო იმ დროს ამბობდა — სად არიან, რატომ არ ჩანანო? ამ სიტყვებზე, ხაჟალია მივიდა მასთან და უთხრა — შენ არავინ გემალებაო. ამის გამო შელაპარაკდნენ, მაგრამ მალევე დაშორდნენ ერთმანეთს. როცა მე-3 კორპუსთან ჩავიდნენ, ხაჟალია კვლავ გამოჩნდა, ქართლელიშვილს უთხრა — რატომ ყვირი? აქ მე ვცხოვრობო!.. ისევ შელაპარაკდნენ, მაგრამ ამჯერად, ყოველივე ეს ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. მოჩხუბრები გააშველეს, მაგრამ ხაჟალიამ იარაღი ამოიღო და ვანოს დაუმიზნა. თემურ ქართლელიშვილიც აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ იარაღიდან ტყვია რამდენჯერმე არ გავარდა.

აღსანიშნავია, მოწმე სარჯველაძის ჩვენებაც. ის ამბობს, რომ ჩხუბს სრულიად შემთხვევით შეესწრო. აივანზე გავიდა და სწორედ მაშინ გაიგონა გასროლის ხმა. გასროლამდე ერთი გაჩხაკუნებაც მოესმა. შემდეგ ამას მოჰყვა სიტყვები — არ გავარდაო. მეორე გასროლის ხმა მას არ გაუგონია, რადგან სახლში სტუმრები ჰყავდა და ხმაური იყო.

დაზარალებული მხარე სასამართლო პროცესზე აღნიშნავდა, რომ ზურაბ ხაჟალია არა სხეულის განზრახ დაზიანებაში, არამედ განზრახ მკვლელობაში იყო დამნაშავე და მუხლის გადაკვალიფიცირებას მოითხოვდა. აწ გარდაცვლილი ვანო ქართლელიშვილის დედის თქმით, ის ხაჟალიას კარგად იცნობდა, მის ხელში იყო გაზრდილი, რადგან ბაღში თავად ასწავლიდა. გარდა ამისა, ის და მისი შვილი თანასკოლელებიც იყვნენ. აქედან გამომდინარე, დაზარალებულის თქმით, ბევრი რამ იცის ხაჟალიას პიროვნების შესახებ. *„ის ყოველთვის გამოირჩეოდა აგრესიული ბუნებით. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის კი, ორჯერ იყო დაკავებული. მან ჩემი შვილი განზრახ, სწორედ იარაღიდან გასროლით მოკლა. მასალებში ეს ნათლად ჩანს და საგამოძიებო სამსახურმა წინასწარი გამოძიების შემდეგ, პროკურატურას გადაუგზავნა კიდეც საქმე გამოსაძიებლად, იმ მოტივით, რომ ჩადენილი დანაშაული 108-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა) ნიშნებს შეიცავდა“.*

თუმცა, პროკურატურამ აღნიშნული დადგენილება გააუქმა და დანაშაულში 108-ე მუხლის ნიშნების გამოკვეთასთან დაკავშირებით პოზიცია არ გაიზიარა. ხაჟალია და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი, ზურაბ როსტიაშვილი აღნიშნავენ, რომ საქმეში ზემოთ აღნიშნული მუხლის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება არ მოიპოვება, დაზარალებული მხარე კი პროკურატურას დამნაშავის მფარველობასა და არაობიექტურობაში ადანაშაულებს.

„შემთხვევის დღეს, ზურაბ ხაჟალია მარტო არ იყო, მაგრამ მან დუმილის უფლება გამოიყენა და იმ პირთა ვინაობა არ გამოააშკარავა. არსებობენ მოწმეები, რომლებიც ამბობენ, რომ შელაპარაკების შემდეგ, ხაჟალია სახლში ავიდა, ჩამოიტანა იარაღი და ესროლა ჩემს შვილს“, — აღნიშნავს საჩივარში აწ გარდაცვლილის დედა.

მის სიტყვებს კატეგორიულად უარყოფს ხაჟალიას ადვოკატი. ზურაბ როსტიაშვილის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი არასდროს ყოფილა დაკავებული იარაღის გამო და არც არასდროს ჰქონია იგი. შემთხვევის დღესაც, სრულიად მარტო იყო ქართლელიშვილისა და მისი თანმხლები პირების — დაახლოებით 10-15 კაცის წინააღმდეგ. ადვოკატის თქმით, ხაჟალიამ გამომძიებელს რეალური სურათი აღუწერა და სამართალდამცველებისთვის მის მიერ მიცემულ ჩვენებებს შორის არც ერთი შეუსაბამობა არ ფიქსირდება.

ზურაბ ხაჟალიას ჩვენებიდან:

„იმ საღამოს, პურის საყიდლად მივდიოდი. როცა მე-3 და მე-3ა კორპუსებს შორის გასასვლელს მივუახლოვდი, გინება შემომესმა — აგერ, ეს ახვარი, ეს ნაბოზარიო!.. იქითკენ გავიხედე და გზაზე 10-12 ახალგაზრდა ბიჭი დავინახე. ერთ-ერთი მომიახლოვდა, უმიზეზოდ დამარტყა ხელი სახეში. მეც დავარტყი. ყველა წამოიწია ჩემკენ და დამიწყეს ცემა, თან მაგინებდნენ. როგორც შემეძლო, ისე ვიგერიებდი მათ. ამ დროს, ერთ-ერთმა ჩემკენ გამოიშვირა ხელი, მე ვიფიქრე, რომ მას რაღაც ჰქონდა ხელში და ხელი დავუჭირე... ის მიძალიანდებოდა... ასე გრძელდებოდა რამდენიმე ხანს. ამ ჭიდაობაში ვგრძნობდი, რომ დანარჩენები ჩემს ცემას განაგრძობდნენ. მხრებისა და ფეხის არეში ტკივილს ვგრძნობდი. ვინც მიძალიანდებოდა, იმ ბიჭს ხელი ჩემკენ ჰქონდა მოშვერილი. მაშინვე შევამჩნიე, რომ ხელში იარაღი ეჭირა. რა იარაღი იყო, არ ვიცი. იარაღის ცნობა საერთოდ არ ვიცი და არც მქონია არასდროს. იარაღიან ხელს მას ქვევით ვაწევინებდი და სწორედ ამ დროს მოხდა გასროლაც. ამას მეორე გასროლის ხმა მოჰყვა. ვინ ისროდა, არ ვიცი. შეიძლება, მეორე გასროლაც იმავე იარაღიდან მოხდა. ის ბიჭი თან მაგინებდა და იძახდა — ვის დაარტყიო?!. ამ გინების შემდეგ, მე მათ ხელიდან დავუსხლტი. ისინიც გაიფანტნენ სროლის ხმაზე. მე გავიქეცი, საით, არ მახსოვს. გაოგნებული ვიყავი და ვერ ვაკონტროლებდი ჩემს თავს. ძალა მქონდა გამოლეული და რაღაც მომენტში, ჩავიკეცე კიდეც. ისე ვიყავი ძალაგამოცლილი, რომ რამდენჯერმე ჩავიკეცე და წამოდგომას ვერ ვახერხებდი. სახლში თუ სად და როგორ მივედი, არ მახსოვს, არ შემიძლია აღდგენა. სულ გაოფლიანებული ვიყავი და მთელი სხეული მიკანკალებდა. სიბნელე იყო და იმ ახალგაზრდების ამოცნობა არ შემიძლია. არც ხმაზე მეცნობა რომელიმე“.

ხაჟალია აღნიშნავს, რომ ის უდანაშაულოა და უფრო მეტიც — დაზარალებულია, რადგან შემთხვევის დროს სასტიკად სცემეს და სამ ადგილას დაჭრეს. მის ჩვენებებს მოწმე მ. კაკაურიძე ადასტურებს. მოწმის თქმით, იმ საღამოს, 6 საათისთვის შინისკენ მიდ-

იოდა, ჩხუბს შემთხვევით შეესწრო. აღნიშნავს, რომ 10-15 ახალგაზრდა უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა და იგინებოდა, ხოლო ქვევიდან ვიღაც ბიჭი მარტო მოდიოდა. „ერთ-ერთმა იმ ჯგუფიდან მას დაარტყა. ვიღაცას ამ ჯგუფში ხელში რაღაც უელავდა. ვფიქრობ, დანა იყო. მერე მარტო მყოფს მისცვივდნენ და სცემეს... მერე გასროლაც მოხდა“, — აღნიშნავს მოწმე.

ზურაბ როსტიაშვილი, *ხაჟალიას ადვოკატი:*

„გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ თავდაპირველად, საქმე დამატებით ძიებაში დააბრუნა და ამის საფუძველი რეალურად არსებობდა. გამოძიება მართლაც, არ იყო სრულყოფილად ჩატარებული. მოსამართლემ მაშინ გამომძიებელს მართლაც, მართებული და მნიშვნელოვანი მითითებები მისცა, მაგრამ გამოძიება, ხაჟალიას მდგომარეობის დამძიმების მიზნით, განგებ წარმართეს არასწორი გზით. აშკარად ჩანს, რომ გამომძიებელი ხაჟალიას საწინააღმდეგოდ მხოლოდ გამამტყუნებელი მასალების შეგროვებით იყო დაკავებული. დიდი იყო მცდელობა იმისა, რომ საქმე 108-ე — განზრახ მკვლელობის მუხლით წარემართათ, მაგრამ ამდენი ვერ მოახერხეს. იმ მუხლებში, რაც ხაჟალიას მიუყენეს, ის სრულიად უდანაშაულოა და უსამართლოდ ზის დღემდე ციხეში. ასევე სრულიად დაუსაბუთებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რომლის მიხედვითაც, ხაჟალია დამნაშავედ ცნეს და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. განაჩენში არავითარი შეფასება არ აქვს მიცემული კომისიურ-კომპლექსურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომლის მიხედვითაც, ხაჟალიას ქურთუკზე არსებული დაზიანება მიყენებულია ცეცხლსასროლი იარაღიდან სპილენძის შემცველი ჭურვის ზემოქმედებით, ძლიერ ახლო მანძილიდან (5-8 სმ-ის დაშორებით) სროლის შედეგად. ქურთუკი ორ ადგილას არის გახვრეტილი ტყვიით. როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, ერთი — შემავალია, მეორე — გამომავალი. ჯემპრიც გატრუსულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ხაჟალიას სხეულზე არსებული დაზიანებები მარჯვენა და მარცხენა მხრის ზედაპირზე, ტანსაცმელზე არსებულ დაზიანებებს შეესაბამება. არ არის დადგენილი, თუ ვინ მიაყენა სხეულზე დაზიანებები ხაჟალიას და არც ის არის გარკვეული, ვისი გასროლის შედეგად დაზიანდა ქურთუკი.

რაც შეეხება იმ მოწმეების ჩვენებებს, რომლებიც ირწმუნებიან, რომ იარაღიდან ხაჟალიამ გაისროლა — ადვილი მისახვედრია, რომ სიმართლეს არ შეეფერება. ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთერთგამომრიცხავია. ვანო ქართელიშვილი, ისევე, როგორც მისი თანმხლები რამდენიმე პირი, ნასვამი იყო. შეზარხოშებულებმა გადაწყვიტეს, საქმის გასარჩევად წასულიყვნენ და წავიდნენ კიდეც 8-სართულიანი და 4-სადარბაზოიანი კორპუსისკენ. ცხადია, საქმის გასარჩევად წასულებს, თან ექნებოდათ დანები და იარაღიც, მით უმეტეს, ჩხუბის შემთხვევაში, დიდი იყო იმის შანსი, რომ იმხელა კორპუსიდან, მოწინააღმდეგის მხარდამჭერი ახალგაზრდებიც მოიყრიდნენ თავს. არც იმაშია ლოგიკა, რომ ხაჟალიამ ქართელიშვილს იარაღი დაუმიზნა, სამჯერ გამოჰკრა სასხლეტს ხელი და იარაღიდან ტყვია არ ვარდებოდა, ქართელიშვილის მეგობრები კი (მათ შორის იყო მისი ბიძაშვილიც) უმოქმედოდ უყურებდნენ ამ ყველაფერს და მის შეჩერებას არც ცდილობდნენ“.

მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს. ადვოკატი განაჩენის გაუქმებასა და ხაჟალიას გამართლებას მოითხოვს. საქმეს ამჟამად, სააპელაციო პალატა განიხილავს. ■

„ჩემი შვილები ბანდიტები არ ყოფილან“

„გზის“ №39-ში ვწერდით შვიდკაციანი ბანდიტური დაჯგუფების შესახებ, რომელმაც რამდენიმე ჯგუფური დანაშაული ჩაიდინა და მისი წევრებისთვის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენიც გაგაცანთ. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, საქმესთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებაც. პალატამ კოლეგიის მიერ გამოტანილ განაჩენში ცვლილება შეიტანა.

ბანდის წევრებს პროკურატურა უმძიმეს ბრალდებებს უყენებდა, მათ შორის — განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის მუხლებით. ბანდის ოთხ წევრს — ვარდუაშვილს, ბაქაქურს, ოქრუაშვილსა და შ. აბრამოვს პროკურატურა თბილისში მცხოვრები დარჩიაშვილების ოჯახზე თავდასხმასა და დიასახლისის — ანა შალამბერიძის განზრახ მკვლელობაში, ასევე ამ უკანასკნელის ქმარ-შვილის მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებდა. დაჯგუფების დანარჩენ წევრებს — გაგნიძეს, კოშუაშვილსა და მ. აბრამოვს მხოლოდ ყაჩაღურ თავდასხმებში მონაწილეობაში სდებდნენ ბრალს. ბრალდებები უზენაესი სასამართლოს კოლეგიამაც დაადასტურა. თუმცა, განაჩენი ორივე მხარემ — დაზარალებულმაც და მსჯავრდებულებმაც (ვარდუაშვილის გარდა) გასაჩივრეს. დაზარალებულის აზრით, კოლეგიამ განსასჯელების მიმართ უსაფუძვლოდ გამოიჩინა ლოიალობა და მათ მეტისმეტად მსუბუქი და აშკარად უსამართლო სასჯელი გამოუტანა. მსჯავრდებულებმა კი, პირიქით, სასჯელის შემსუბუქება, ხოლო აბრამოვებმა — განაჩენის გაუქმება და მათი გამართლებაც კი მოითხოვეს. აღსანიშნავია, რომ ყაჩაღურ თავდასხმებში აბრამოვების მონაწილეობა დანარჩენმა მსჯავრდებულებმაც უარყვეს პალატის სხდომაზე.

ზაირა აბრამოვა: *(მსჯავრდებულების, მამუკა და შალვა აბრამოვების დედა).*

„ჩემს შვილებს არანაირი დანაშაულებრივი კავშირი არ ჰქონიათ ბანდასთან. ისინი ბანდიტები არ ყოფილან და სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ ამ საქმეში. დილიდან შინ იყვნენ და არსად გასულან. შემდეგ მოულოდნელად, სახლში ბიჭებმა დაჭრილი მოიყვანეს. აღმოჩნდა, რომ მათ დარჩიაშვილების ოჯახი დაუყაჩაღებიათ, იქ სროლა ამტყდარა და ჯგუფის ერთ-ერთი წევრიც დაჭრილა. მათ სახლს შეაფარეს თავი. ცოტა ხანში პოლიცია მოვიდა და იმ ბიჭებთან ერთად ჩემი შვილებიც აიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ მათ არაფერში მიუძღოდათ ბრალი, ორივე ბანდიტებად შერაცხეს“.

პალატის მოსამართლეებმა გაიზიარეს აბრამოვებისა და მსჯავრდებულთა ჩვენებები იმ ნიწილში, რომლის მიხედვითაც, ძმებს ბანდასთან შეხება არ ჰქონიათ და ყაჩაღობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ საქმეში მათ დასადანაშაულებლად საკმარისი მტკიცებულება არ არსებობდა. თუმცა, ძმები 375-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა, წინასწარ შეუპირებლად) დამნაშავეებად ცნეს. შალვა აბრამოვს სასჯელი 4 წლამდე, ხოლო მამუკა აბრამოვს — 3 წლამდე (პირობით) შეუმცირეს. რაც შეეხება ვარდუაშვილს, მას საბოლოოდ, 15 წლით, გაგნიძესა და კოშუაშვილს კი — 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს; ოქრუაშვილისა და ბაქაქურის მიმართ განაჩენი უცვლელი დარჩა.

აღსანიშნავია, რომ სასჯელის გარდა, მსჯავრდებულებს დაზარალებულების — დარჩიაშვილების სასარგებლოდ ფიზიკური და მორალური ზიანის სახით, სოლიდარულად 40 ათასი ლარის გადახდაც დაეკისრათ. თანხის გადახდისგან პალატამ მხოლოდ აბრამოვები გაათავისუფლა. ■

რატომ არ სურდა ნუგზარ ერგემლიძეს შვილის დაოჯახება?

ცნობილი ქართველი მომღერლის, ნუგზარ ერგემლიძის ვაჟმა — გიორგიმ რამდენიმე თვის წინ ოჯახი შექმნა. მისმა ამ ნაბიჯმა, როგორც გიორგის მშობლების, ასევე მისი მეუღლის ოჯახის წევრების აღშფოთება გამოიწვია, რადგან უფროსი თაობის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ მეტისმეტად მცირე ასაკის გამო, წყვილის დაქორწინება ჯერჯერობით ნაადრევი იყო. სულ სხვაგვარად ფიქრობენ ახალდაქორწინებულები, რომლებიც ამბობენ — ნაადრევი, სიკვდილის გარდა, ყველაფერი კარგიაო...

ლიკა ქაჯაია

გიორგი ერგემლიძე:

— ჩემი მეუღლე, ნათია კოხოძეა, რომელიც ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსამზადებელ ფაკულტეტზე (საერთაშორისო ურთიერთობების) სწავლობს. შეიძლება, მე არ უნდა ვაქებდე, მაგრამ ნათია არაჩვეულებრივი გოგოა.

— სად გაიცანით ერთმანეთი?

ნათია:

— 58-ე საშუალო სკოლაში. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ 2 წლის განმავლობაში ერთ სკოლაში, ერთ სართულზე ვსწავლობდით, ჩვენი საკლასო ოთახებიც გვერდიგვერდ იყო, მაგრამ ერთმანეთს არ ვიცნობდით.

გიორგი:

— სკოლის დამთავრების დღეს, ნათია ჩვენმა საერთო მეგობარმა გამაცნო. საოცრად მოხიბლული დავრჩი.

ნათია:

— ალბათ, ბედი იყო, თორემ, რაღა მაინცდამაინც ბოლო დღეს გავიცანით ერთმანეთი?! ხომ შეიძლებოდა, იმ დღესაც ჩვეულებრივად ჩაევლო და სხვადასხვა გზით წავსულიყავით!..

— ერთმანეთი დანახვისთანავე მოგეწონათ?

გიორგი:

— ალბათ კი, რადგან მალე დავმეგობრდით, ერთმანეთი შეგვიყვარდა და ოჯახიც შევქმენით.

— გიორგი, ნათიას პირველი პაემანი სად დაუნიშნე?

— მგონი, უნივერსიტეტის ეზოში, ზუსტად არ მახსოვს.

ნათია:

— პირველი პაემანი მართლაც, უნივერსიტეტთან დამინიშნა. ერთმანეთს კორპუსთან შეეხვდით და მერე ბარში წავედით, რადგან ქუჩაში ხეტიალი არ მიყვარს.

გიორგი:

— მოკლედ, ეს ბარი ამოვიჩემეთ და ზამთარ-ზაფხულ იქ დავდიოდით ხოლმე.

ნათია:

— თუ ფინანსები ხელს არ გვიწყობდა, მაშინ გიოსთან სახლში მოვდიოდით.

— როგორ ხვდებოდნენ ამ ამბავს გიოს მშობლები?

— მის დედასთან და მამასთან თავიდანვე კარგი ურთიერთობა მქონდა.

— შენს მშობლებს თუ მოსწონდათ გიორგი?

— გიორგი მოსწონდათ, მაგრამ გიჟდებოდნენ იმაზე, რომ ბოლო პერიოდში, დროის უმეტეს ნაწილს მას ვუთმობდი.

გიორგი:

— აბა, ვისთვის უნდა დაგეთმო?

ნათია:

— სწავლისთვის. მეუბნებოდნენ — ჯერ ისწავლე და გიორგისთან შეხვედრას ყოველთვის მოასწრებო.

— სწავლის გაგრძელებას აპირებ?

გიორგი:

— უნდა გააგრძელოს, აბა, რა უნდა ქნას!

ნათია:

— მადლობა ღმერთს, რომ ისეთი ქმარი არ მყავს, რომელიც მკაცრად მეტყვის: ქალო, სახლში დაჯექი, რა დროს სწავლაა *(იცინიან)*?!. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი პრობლემები არ მექმნება.

— როგორც ვიცი, გაიპარეთ, ხომ?

გიორგი:

— კი, მამაჩემის და ჩემს საერთო მეგობარს, სოსო მაზმანიანს ვესტუმრეთ, რომელიც გლდანში ცხოვრობს, რადგან იქ უსაფრთხო ადგილი გვეგულებოდა.

— უსაფრთხოში რას გულისხმობ?

— იქ ვერავინ გვიპოვიდა. სახლს ჩვენ თვითონაც ძლივს მივაგენით...

— მშობლები თქვენი დაქორწინების წინააღმდეგი იყვნენ?

ნათია:

— რა თქმა უნდა. ეს არც ჩემს მშობლებს უნდოდათ და არც გიორგის მშობლებს მოეწონებოდათ.

— რატომ?

— ჩემს მშობლებს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ 17 წლის ვარ. არ უნდოდათ, რომ ადრე გავთხოვილიყავი. 5 წელი მაინც მოითმინეო, — მეუბნებოდნენ. მაგრამ მაინც, მე იმდენ წინააღმდეგობას არ შევხვდებოდი — გოგოები ხომ უფრო ადრეულ ასაკში ვყალიბდებით (როგორც გონებით, ასევე ფიზიკურად), ვიდრე ბიჭები. გიორგის ცოლის მოყვანა კი იმიტომ არ უნდოდათ, რომ ოჯახს ვერ არჩენს, ჯერ ამისთვის მზად არ არისო.

— გიორგი, როგორ ფიქრობ, ოჯახის რჩენას შეძლებ?

— რომ ვთქვა, შემიძლია-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ ჯერჯერობით, ამაში ჩემი ოჯახი დამეხმარება. იმედი მაქვს, რომ მალე დამოუკიდებელ ცხოვრებასაც შევძლებთ...

ნათია:

— ყველაზე ნაღდი შემოთავაზება, რომელიც გიორგის აქვს, 200-დოლარიან ანაზღაურებას ითვალისწინებს, რომლითაც ოჯახს ვერ შეინახავ.

გიორგი:

— თავიდან, დახმარება ყველას სჭირდება. დღეს დამოუკიდებლად ვინ ცხოვრობს?.. მე თვეში 200 დოლარი მაინც მექნება, ზოგ ჩემი ასაკის და უფრო დიდი ასაკის ბიჭს, საკუთარი 1 ლარიც არ აქვს, ზოგს ლარი კი არა, საკუთარი აზრიც არ გააჩნია... რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როდის მოვიყვანდი ცოლს?.. დახმარება მერეც ხომ დამჭირდებოდა!

ნათია:

— ნაადრევი, სიკვდილის გარდა, ყველაფერი კარგია.

გიორგი:

— ბევრ ბიჭს უნდა, ცოლი მოიყვანოს, მაგრამ მატერიალურ მდგომარეობას უყურებს და ვერ მოჰყავს, მარტო ცხოვრობს, მარტოობა კი ძნელია.

ნათია:

— მატერიალურ მდგომარეობას თუ უყურე, შეიძლება, ოჯახი საერთოდ ვერ შექმნა... მალე გიორგი იმუშავებს. მეც სწავლას დავამთავრებ და ჩემი ხელფასიც რაღაცაში დაგვეხმარება.

გიორგი:

— გააჩნია, სად იმუშავებ. მაგალითად, რესტორანში მიმტანად რატომ უნდა იმუშაო?..

— მშობლები როგორ შეგირიგდნენ?

ნათია:

— გიორგის დედამ მეორე დღესვე მოგვაკითხა, მიხვდა, სადაც ვიქნებოდით... დედაჩემი კი, 1 კვირის განმავლობაში საერთოდ არ მინახავს. მერე მომაკითხა და შემირიგდა...

გიორგი:

— როგორც ხდება ხოლმე, რა... ნელ-ნელა შეგვირიგდნენ.

ნათია:

— მხოლოდ მამები არ გველაპარაკებოდნენ უფრო დიდი ხნის განმავლობაში. გიოს მამა ახლახან შეგვირიგდა. მე ეს არც გამკვირვებია და არც მწყენია, რადგან ვხვდები, რომ სადღაც, მართალი იყო...

გიორგი:

— მთავარია, რომ ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა და დღეს ყველანი ბედნიერები ვართ.

— თაფლობის თვე სად გაატარეთ?

— ბათუმში წავედით.

ნათია:

— იქ თვე-ნახევარი ვიყავით...

გიორგი:

— აჭარული კილოც კი „ავიკიდე“. „აი რაია?“ „კოფე“ არ დავლიოთ?“ — ასე ვლაპარაკობდი. ისე, ბათუმში ვიყავით მოცეკვავე შადრევნის გახსნის დროს, და ამ ყველაფერს ტელევიზიით ვადევნებდით თვალყურს. კურიოზია, არა?

ნათია:

— ბათუმში, ბუნგალოებში ხშირად ეწყობოდა კონცერტები, რომლებშიც გიორგიც მონაწილეობდა.

— ქორწილის გადახდას არ აპირებთ?

გიორგი:

— ქორწილს აუცილებლად გადავიხდით. ჯერ ჯვარიც არ დაგვიწერია, ხელიც არ მოგვიწერია — ქორწილს ველოდებით.

— ყველაზე მეტად ერთმანეთის რომელ თვისებებს აფასებთ?

ნათია:

— გიორგიში მომწონს ის, რომ საოცრად მიზანდასახულია, ენერგიულად ცდილობს, რაღაცას მიაღწიოს. სიმართლე გითხრათ, ამ თვისებამ მომაწონა იგი, გიორგის ასაკის ბიჭები ქუჩაში დგანან... თუმცა, ეს მათი ბრალი არ არის, რადგან არა აქვთ საქმე და რა აკეთონ, არ იციან. გიორგის კი, ქუჩა ნაკლებად იზიდავს.

გიორგი:

— მეც არ მაქვს საქმე, მაგრამ... ხომ გაინტერესებთ, ნათიამ რით მომხიბლა?.. მთელი ცხოვრება ვერ ვიტანდი მარიაჟებს, ძაან „ტაკო“ გოგოებს, რომლებსაც ყველაფერი ფულზე აქვთ აგებული... ასეთი გოგოები მეზიზღებოდნენ... ვეძებდი ისეთ გოგოს, რომელიც ასეთი არ იყო და ვიპოვე კიდეც. თან ძალიან წესიერი და ლამაზია. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრს შურს ჩემი *(იცინიან)*...

— ერთმანეთის უარყოფით თვისებებზე რას იტყვით?

— უარყოფითი თვისებები ყველას აქვს. ნათიას მნიშვნელოვანი ნაკლი არ აქვს.

ნათია:

— გიორგის უარყოფითი თვისება ისაა, რომ ხშირად უყვარს განსხვავებული აზრების გადმოფრქვევა...

გიორგი:

— ეს უარყოფითი თვისებაა?.. ნათია ამ თვისებას უარყოფითად იმიტომ თვლის, რომ ძალიან ბევრს ჩემი არ ესმის.

ნათია:

— უნდა, ყველა დაარწმუნოს თავის სიმართლეში. იმედია, ამას მოახერხებს.

გიორგი:

— რაღაც პონტში, მართალი ვარ და ვიცი, რომ ბევრი ადამიანი ჩემს აზრს ითვალისწინებს, მაგრამ სიმართლეს არ აღიარებს.

— გიორგი, კონფლიქტური ადამიანი ხარ?

— კონფლიქტურ სიტუაციებს საერთოდ ვერ ვიტან. სადაც არ უნდა ვიყო, ვცდილობ, ადამიანებს შორის ურთიერთობა დავარეგულირო, გაბრაზებული ადამიანები შევარიგო... გული მწყდება იმაზე, რომ ქართველების უმეტესობა, იმის მაგივრად, რომ მეგობრობდეს, ერთმანეთს პირში უცინის, ზურგს უკან კი, ძირს უთხრის...

— ასე მარტო ქართველები იქცევიან?

— არა, მაგრამ საზღვარგარეთ ამისთვის ჯარიმებს იხდიან. ჩვენთანაც, რომ შემოვიდოდეს ეს კანონი, ხომ აზრზე ხარ, როგორ გავმდიდრდებოდი *(იცინის)*?!

— ნათია, ოჯახში რა მოვალეობები გეკისრება?

— ბათუმში რომ ვიყავით, იქ უფრო მეტი მოვალეობა მეკისრებოდა... აქ კი არაფერს მავალებენ, იმიტომ, რომ გვყავს არაჩვეულებრივი გალია ბებო და გიორგის დედა. ისინი არაფერს მაკეთებინებენ.

— გიორგი, ნათიას კერძების მომზადება თუ ეხერხება?

— კი, კარგად ამზადებს, განსაკუთრებით — ყიყლიყოს, მაკარონს...

— შენ თუ ეხმარები რამეში?

— როგორ არა?! ერთხელ, ბუტერბროდის მომზადება ვცადე და სამზარეულოში ისეთი ბუღი დავაყენე, ერთმანეთს ვერ ვხედავდით. ისე, ნათია, შენ რატომ არ გეწვება ხოლმე?

ნათია:

— არ ვიცი, რა გიპასუხო... ცალკე რომ გადავალთ საცხოვრებლად, მერე ყველაფერს გავაკეთებ.

— ცალკე გადასვლას აპირებთ?

გიორგი:

— კი, როგორც კი მუშაობას დავიწყებ, ეგრევე გადავალთ.

— მუშაობას სად და როდის იწყებ?



მხოლოდ მამები არ გველაპარაკებოდნენ უფრო დიდი ხნის განმავლობაში...

— 4 სტუდიაში მაქვს მუშაობის დაწყების ვარიანტი, მაგრამ ჯერჯერობით, ოთხივეში რემონტია. გითხრა, მომღერლის „პრასვეტი“ რა არის?..

— რა არის?

— არანჟირებას უნდა აკეთებდე, თორემ მოკვდები მშიერი. ბევრი მომღერალი ვერ აკეთებს.

— გინდა თქვა, რომ ბევრი მომღერალი შიმშილით კვდება?

— არა, მთლად მასეც ვერ ვიტყვი, მაგრამ...

— ამბობენ, ბიჭები ცოლს რომ მოიყვანენ, თავიდან, მეგობრები ავიწყდებათ, სახლიდან არ გადიანო...

ნათია:

— მეგობრების წრე ფაქტობრივად, საერთო გვყავს. მათთან შეხვედრას ნებისმიერ დროს ვახერხებთ ხოლმე...

გიორგი:

— ერთი პერიოდი, ისე ვიყავი, რომ სახლში ვერ ვჩერდებოდი. მაგრამ მერე სანამ ცოლს მოვიყვანდი, მანამდე 1 წლით ადრე, ეგეთი ტიპი გავხდი — გარეთ სირბილი მომბეზრდა. მარტო ნათიას ვნახულობდი. იცი, რა?.. მგონი, ტინეიჯერული მოთხოვ-

ნილებები გამიქრა, თუმცა, მეგობრებს ვნახულობ ხოლმე, როცა თეატრალურ ინსტიტუტში მივდივარ.

— ნათია, ძნელია პოპულარული კაცის ცოლობა?

— რა ვიცი, მე მგონი, ძნელი არ არის.

გიორგი:

— ჰო, მაგარი ძნელი იქნება, აბა, რა! საქართველოში პოპულარობა ძალიან ძნელია, არა?..

ნათია:

— ნერვები მხოლოდ მაშინ მეშლება, როცა რეკავენ, ხმას არ იღებენ და ტელეფონს თიშავენ... ადრე მეგონა, რომ ეს ძნელი იყო, მაგრამ დღეს ამასაც შევეჩვიე და მომწონს კიდეც.

— ნათია, გიორგი შენს ჩაცმულობაში ერევა?

— არანაირი გართულება არა აქვს.

გიორგი:

— რატომ უნდა შევზღუდო რამეში? თავისუფლება ზოგს ცუდად ესმის. მე კი ვფიქრობ, რომ ადამიანი არ უნდა დააკომპლექსო. უნდა ჩაიცვა, იცხოვრო ისე, როგორც გაგიხარდება. შენი გემოვნების და აზრის გამოხატვის არ უნდა შეგრცხვეს.

— რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?

ნათია:

— ჯერ მაგაზე არ გვიფიქრია, მაგრამ...

გიორგი:

— ალბათ, ერთის.

ნათია:

— რატომ ერთის? ორი ჯობია.

გიორგი:

— შენ არავინ გეკითხება *(იცინის)*... 2 ბავშვი ერთ ოჯახში ეგოისტურად გაიზრდება.

ნათია:

— ასე რატომ ამბობ? თქვენც ხომ ორნი ხართ!

გიორგი:

— კი, მაგრამ 1 მირჩევნია: რაც მექნება, ყველაფერს მას მივცემ...

ნათია:

— ე.ი. ამას ფინანსების გამო ამბობ?

გიორგი:

— ჰო, აბა. თუ ღმერთმა გადმოგვხედა და ფული მექნება, 5 ბავშვს გავაჩენთ, რა პრობლემაა?!

ნათია:

— ნუ მანერვიულებ *(იცინიან)*...

— დაბოლოს, რას ნიშნავს თქვენთვის ოჯახი?

გიორგი:

— ოჯახი არის სითბო, სიყვარული, რომლის გულისთვისაც ყველაფრის გაკეთებას შეძლებ.

ნათია:

— გიორგის ვეთანხმები. ადამიანი, რომელიც ოჯახს შექმნის, მისთვის ყველაფრის გაკეთებას შეძლებს. რა თქმა უნდა, თუ მას თავისი ოჯახი ნამდვილად უყვარს. ■

ადამიანი-„თაბაშირი“ და საყვარლის ცოლთან ერთად ჩატარებული ექსპერიმენტი

რისკი კეთილშობილი საქმეაო, ამტკიცებენ ერთნი. ვინც არ რისკავს, ის არც შამპანურს სვამსო, — გვმოძღვრავენ მეორენი, მაგრამ იმას აღარ გვეუბნებიან, ვისაც შამპანური არ უყვარს, იმანაც უნდა გარისკოს თუ არა... რისკზე წასვლა იმავეს ნიშნავს, თვალდახუჭულმა უფსკრულის პირზე გაიარო — ან სამშვიდობოს გახვალ, ან გადაიჩეხები. თუ რისკის შედეგი მხოლოდ შამპანურის დალევაა, ალბათ, არ ღირს ბედის სასწორზე შეგდება, მაგრამ თუ „დიდი კუში“ გელით, იქნებ „გაგერისკათ?.. პირველი რესპონდენტი გარისკვას მოერიდა და ახლა ნანობს. როცა ურემი გადაბრუნდა, გზა მერე გამოჩნდა, მაგრამ აბა, რაღა დროს?

მარი ჯაფარიძე

„აი, თურმე როგორი ყოფილხარ...“

„4 წლის წინ, სრულიად შემთხვევით, ტელეფონით გავიცანი ერთი მამაკაცი. არც მე ვიყავი პატარა გოგო და არც ის — ყმაწვილი. საკმაოდ მოწიფულ ასაკში გახლდით, მაგრამ ჯერ ოჯახის ტკბილ-მწარე გემო გასინჯული არ მქონდა. მე და ჩიკომ ტელეფონზე მშვენივრად გავუგეთ ერთმანეთს. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, მინდოდა გამეგო, როგორი გარეგნობა ჰქონდა, სად ცხოვრობდა, სად მუშაობდა, მაგრამ როცა ამის შესახებ საუბარს ჩამოვუგდებდი, მპასუხობდა — დრო მოვა და შეეხვდებით, ყველაფერს მაშინ შეიტყობო. არ ც თვითონ მისვამდა კითხვებს ჩემ შესახებ, არც შეხვედრას ჩქარობდა — მინდა შენი ხასიათი, ინტელექტი და აზროვნების უნარი შევისწავლო, შემდეგ უკვე შეხვედრაზე შევთანხმდეთო. ეს ნერვებს კი მიშლიდა, მაგრამ არ ვიმჩნევდი. როგორც იქნა, მთელი 6 თვის შემდეგ, პაემანი დავთქვით. — როგორ უნდა გიცნო-მეთქი? — რომ ვკითხე, მიპასუხა — თუ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილნი, გული გულს იცნობს და ერთმანეთს არ ავცდებითო. წარმოიდგინეთ, რუსთაველზე, ოპერასთან უნდა შეეხვდე კაცს, რომლის მხოლოდ ასაკი ვიცი. წავედი. კარგა ხანს ვიტრიალე, ამდენ ხალხში ვერ მოვძებნე, მან კი იოლად მომაგნო. — აი, თურმე როგორი ყოფილხარო... — გარშემო მივლიდა და ინტერესით მათვალიერებდა. მე კი დანახვისთანავე მომეწონა. უნაკლო გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ... აი, ეს „მაგრამ“ გახდა ჩემი თავსატეხი: გემოვნებით ეცვა, ოღონდ, ძალზე ღარიბულად. გვარიანად გაცვეთილი ფეხსაცმლის წვერები ჰაერში ჰქონდა აშვერილი; შელახული შარვალი, გახუნებული მაისური... კაფეში დამპატიჟა. გადამეკიდა, — რას მიირთმევ და რას მიირთმევო? შიშით ხმას ვერ ვიღებდი: იქნებ, ყავისთვისაც არ ჰყოფნის ფული და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაგდო-მეთქი. კომპლიმენტს კომპლიმენტზე მეუბნებოდა, — ჩემთვის ხარ გაჩენილიო, — დარწმუნებით ამბობდა, მაგრამ მე მასთან ურთიერთობის სურვილი დავკარგე. „32 წლის ქალი გავთხოვდე და „ბომჟზე“? მხოლოდ მისი ლამაზი თვალების გულისთვის?“ — ვფიქრობდი და ვიბოღმებოდი. ის კი განაგრძობდა საუბარს ზებუნებრივ, ზეციურ სიყვარულზე, ოქროსა და ფულის არარაობაზე და სულიერ სიმდიდრეზე... ძლივს გავძელი ერთი საათი. ბოლოს, საქმე მოვიმიზეზე, დავემშვიდობე და წამოვედი. ამის შემდეგ ტელეფონზე მასთან საუბარს გავურბოდი, თუმცა არც ის მინდოდა, ეფიქრა, რომ მისმა სილარიბემ შემაშინა, რადგან სულიერი

სიმდიდრის მნიშვნელობაზე მეც ბევრი ვიქაქანე მასთან შეხვედრისას... გულს მიწყალებდა — როდის შეხვდებითო? — მაგრამ თავს ვარიდებდი... ასე გავიდა თითქმის 2 თვე. რომ არა და არ მომეშვა, ავდექი და პირდაპირ ვუთხარი — სულიერი სიმდიდრე ძალზე კარგია, მაგრამ არც მატერიალურია ნაკლებად მნიშვნელოვანი ოჯახის შესაქმნელად, ამიტომ მე ისეთ კაცზე უნდა გავთხოვდე, ვისაც ელემენტარული პირობების შექმნა მაინც შეეძლება-მეთქი. გაიცინა. ეს რაღაც უცნაური სიცილი იყო და ვერ მივხვდი, რა იმალებოდა ამ სიცილის მიღმა. — აი, თურმე როგორი ყოფილხარო... — მითხრა და ყურმილი დაკიდა. შვებით ამოვისუნთქე. თითქოს დიდი ლოდი მომეხსნა, რომ როგორც იქნა, გავრისკე და სიმართლე ვუთხარი. ან აქამდე რატომ ვიტანჯავდი თავს? პირდაპირ მეთქვა, რომ ჩვენს ურთიერთობას „ჰეფი ენდი“ არ ექნებოდა-მეთქი, — ვფიქრობდი ჩემთვის... იმავე საღამოს, ისევ დამირეკა და მთხოვა, უკანასკნელად შევხვედროდი და ჩვენი განშორების აღსანიშნავად (სულ ერთხელ შეეხვდი და რომელ განშორებაზე ლაპარაკობდა), ყავა დაგველია. ბევრი ხვწნის შემდეგ დავთანხმდი. მისი გულისთვის შორს წასვლა დამეზარა, ამიტომ ვთხოვე, ჩემს სახლთან მოსულიყო და იქვე, კაფეში დავსხდებოდით... შინიდან რომ გავედი, ჩემს ფეხებთან უზარმაზარმა ჯიშმა დაამუხრუჭა. ლამის გული შემიღონდა — საჭესთან აჩიკო იჯდა და მიღიმოდა. მანქანაში მოვთავსდი და გაოცებული ვაკვირდებოდი მის სახეცვლილებას. ძვირად ღირებულ კოსტიუმში გამოწყობილს, ფეხსაცმელი ისე უბრწყინავდა, თვალს მოგჭრიდათ; ხელზე ძვირფასი საათი და ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ეკეთა. პირი ღია დამრჩა. — რა იშოვე ამდენი ორ თვეში-მეთქი? — ვერ დავფარე გაოცება. ის კი იცინოდა, სწორედ ისე, როგორც მაშინ, როცა ჩემი უარის ნამდვილი მიზეზი გავუმხილე.. ალბათ მიხვდით, რომ პირველ შეხვედრაზე სპეციალურად მოვიდა ღარიბულად გამოწყობილი. მე კი, სულელმა, ხელი ვკარი. ვერ გავრისკე, ღარიბ კაცს ცოლად გავყოლოდი. ჰოდა, სწორედ ამიტომ, დამშვიდობებისას მითხრა — მე აღარ შეგაწუხებთ, ქალბატონო და თქვენც ნუ გაირჯებით; თქვენი ფაქიზი თითებით ჩემი ტელეფონის ნომერს რომ აკრეთ, არ დაიღალოთ, მეშინიაო... დაცინვაც ასეთი უნდა!.. ეკა“.

კაცმა არ იცის, გარისკვა სჯობია თუ სიფრთხილე. ეგ თქვენი აჩიკო, ქალბატონო ეკა, ალბათ ახლაც ხშირად კითხულობს ზღაპარს და მის ერთ-ერთ პერსონაჟადაც თვლის თავს — კერძოდ, იმ უფლისწულად, კუდიანი დედაბრის წყევლამ რომ უწია და ურჩხულად გადააქცია. მას მხოლოდ ლამაზი ქალის წრფელი სიყვარული გადაარჩენს... ზღაპარში ყოველთვის კეთილი იმარჯვებს, მაგრამ ცხოვრება ხანდახან საპირისპიროს გვიმტკიცებს... შემდეგი რესპონდენტი ირწმუნება, რომ რისკმა დაღუპა. მე კი, მის პრობლემებს ცნობისმოყვარეობას უფრო დავაბრალებდი.

მოახლე თუ ქმრის საყვარელი?

„საერთოდ, რისკიანი ადამიანი ვარ. სწორედ ამიტომ, როდესაც ცოლშვილიანი კაცი შემიყვარდა, მასთან ურთიერთობაზე უარი არ მითქვამს. მართალია, ბევრი ვახვწნინე, თითქმის ერთი წლის განმავლობაში კუდში ვადევნინე და ჩემს საჩუქრებში ბლომად ფულიც ვახარჯვინე, მაგრამ სამაგიეროდ, ამან კარგი შედეგი გამოიღო და მთელი 7 წლის განმავლობაში თითქმის ცოლ-ქმარივით ვცხოვრობდით. უზომოდ მიყვარდა. გარეგნობითაც მშვენიერი მამაკაცი გახლდათ, ფულიც ჰქონდა და სულ ვშიშობდი, ვინმე გამვლელ „ქონადირე“ ქალს ჩემთვის არ წაერთმია. ყველაზე მეტად კი, ცოლზე ვეჭვიანობდი. ცოლ-ქმრის ურთიერთობის შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია მქონდა და სულ მაინტერესებდა, რა ხდებოდა მათ ოჯახში. ერთხელ, მშვენიერი აზრი მომივიდა. დათო ერთი თვით უცხოეთში მიდიოდა. წასვლის წინ მინახულა და მითხრა — ოჯახში დამხმარედ, ქალს ვეძებთ, თუ სანდო პიროვნება გეგულება, იქნებ, დამეხმაროო. დავპირდი, რომ რამეს მოვახერხებდი და გეგმა შევიმუშავე: დათო გაემგზავრა თუ არა, მის ცოლს დავურეკე — გავიგე, მოსამსახურეს ეძებთ, თუ ჯერ არავინ შეგირჩევიათ, უმუშევარი ვარ, ობოლ ბავშვს ვზრდი და იქნებ, ხელი გამიმართოთ, სამსახურში მიმიღოთ-მეთქი. იმავე საღამოს მივედი. დათოს ოჯახი ორსართულიან, კერძო სახლში ცხოვრობდა. მე და ნინომ ერთმანეთი გავიცანით, მასზე კარგი შთაბეჭდილებაც მოვახდინე და მეორე დღიდანვე შევუდექი საქმეს. მე და ნინო ძალზე გავშინაურდით. ისე შემეჩვია, რომ მეგობრად მთვლიდა. დათო რომ დაბრუნდა და თავის ოჯახში მნახა, გაგიჟდა. ცოლს ჩემი თანდასწრებით გამოუცხადა — ეს ქალი უნდა გავაგდოთ, არ მომწონსო. ნინომ ჩემი მხარე დაიჭირა და ცოლ-ქმარმა კარგადაც იჩხუბა. ნინომ თავისი გაიტანა და მათ ოჯახში დავრჩი. ძნელი იყო ჩემთვის იმის ყურება, როგორ ესაუბრებოდნენ ისინი ერთმანეთს, დასაძინებლად ერთად მიდიოდნენ, დილით კი დათო კოცნის გარეშე არ გადიოდა შინიდან. მთელი საღამო მათ შვილს ვამეცადინებდი, ისინი კი, ერთად უყურებდნენ ტელევიზორს და კურკურებდნენ. ალბათ, დათო სპეციალურად, ჩემს დასანახად ექცეოდა ცოლს ასე თბილად, რადგან ნინო ხშირად ამბობდა ხოლმე გაოცებული — რაც უცხოეთიდან დაბრუნდა, ჩემი ქმარი სულ შეიცვალა, როგორც ჩანს, იქ მარტო ყოფნამ მიახვედრა, როგორი ძვირფასი ვარ მისთვისო... ერთ საღამოს, ჩვეულებისამებრ, ტატოს ვამეცადინებდი. წამოვდექი და მათთან შევედი. დივანზე მჯდარ დათოს ცოლი კალთაში ეჯდა და ეფერებოდა. — უკაცრავად, მაგრამ აუცილებლად უნდა წავიდე შინ-მეთქი, — ვთქვი და უცებ გამოვბრუნდი. მეორე დღეს ნინოს დავურეკე და ვუთხარი — თქვენთან ველარ ვიმუშავებ, იქნებ, სხვა მოსამსახურე მოძებნოთ-მეთქი. დათოს კი ჩემი სახელის ხსენებაც ავუკრძალე. აი, ასე გავრისკე, საყვარლის ოჯახში მოსამსახურედ დავდექი და საყვარელ კაცთან ურთიერთობის სურვილიც კი დავკარგე. რა მინდოდა? ვგდებულიყავი ჩემთვის, არც ფული მაკლდა, არც სიყვარული და არც ალერსი. ჩემზეა ნათქვამი, კატამ თხარა, თხარაო...“

„ვინ ხარ, ვის დაჰკარგვიხარ?..“

„ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვიყავი. სკოლა რის ვაი-ვაგლახით დავამთავრე, „გეპეიშიც“ მამაჩემის მოწადინებით მოვხვდი. ლექციებს არ ვესწრებოდი, არც ვმეცადინეობდი, დღე და ღამე ქუჩაში ვიდექი და ბირჟას „ვამაგრებდი“, ყველა რომ შემომეცლებოდა გარშემო და სახლებში წავიდ-წამოვიდოდნენ უბნის ბიჭები, მერე მივდიოდი შინ. მთელი უბნის გოგონებს ვიცნობდი, ზოგს მხოლოდ გარეგნობით, ზოგს — სალმით, ზოგს — გადაკოცნით და ზეპირად ვიცოდი, ვინ რით სუნთქავდა. ერთ დღეს, ბირჟაზე ისეთმა გოგომ ჩამოიარა, რომ ყბა ჩამომივარდა. თვალი გავაყოლე და ამოვიოხრე. არავინ იცოდა, ვინ იყო ეს ანგელოზი. ამის შემდეგ ეს გოგო ხშირად ჩნდებოდა ჩვენს უბანში, მთელი სერიოზულობით დავინტერესდი და გავიგე, რომ ანას ოჯახი სულ ახლახან გადმოსულა საცხოვრებლად ჩემ გვერდით კორპუსში. მისი მამა კი, ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსი ყოფილა. ბიჭებმა მითხრეს — არ გარისკო, მაგ გოგოს არაფერი უთხრა, თორემ, მამამისი რაღაცის გაგიჩალიჩებს და ციხეში ამოგალპობსო. ამ გოგოს სიყვარული ისე ამიგიზგიზდა გულში, რომ დღე და ღამე მოსვენება დავკარგე... როგორც იქნა, ანა გავიცნი, დიდი უკარება ვინმე იყო. ვერც შეხვედრაზე დავითანხმე, არც ტელეფონით მელაპარაკებოდა. ხან აქედან მოვუარე, ხან — იქიდან, მაგრამ ვინ ხარ, ვის დაჰკარგვიხარ?! ბოლოს, რომ ვერაფერი მოვუხერხე, გადავწყვიტე, გამბერისკა და მომეტაცებინა. ამ საქმეში მისი მეგობარი გოგო დავიხმარე. მან გამოიყვანა შინიდან და შვიდმა კაცმა ძლივს „ჩავტენეთ“ მანქანაში. სინათლის სიჩქარით მიგვაქროლებდა ჩვენი მძღოლი. ისეთ ადგილზე გადავმალე ჩემი ანა, რომ ეშმაკიც ვერ მოგვაგნებდა. მთელი ორი კვირა ვიმალებოდით. ამასობაში, ანა შემეჩვია. მშვენივრად შევეწყვეთ ერთმანეთს. თვითონ მიამედებდა — მამაჩემს მე მოვუვლი, შენ ნუ შეგეშინდებაო. ბოლს, თვითონ დაუკავშირდა მამას და უთხრა — შმაგი მიყვარს და მას რომ დამაშოროთ, ერთი დღეც არ ვიცოცხლებ თავსო. გადაირია კაცი. იმუქრებოდა, გვაგინებდა, მაგრამ შვილმა ცრემლითა და თხოვნით გული მოულბო და ბოლოს, ჩვენი ადგილსამყოფელიც გავუმხილეთ... თავიდან კი მიბღვერდა სიმამრი, მაგრამ რომ მიხვდა, ანას მართლა უნდოდა ჩემთან ყოფნა, დაწყნარდა... ახლა 3 შვილი გვყავს და ჩემი ანა შვილებზე მეტად მიყვარს. რომ არ გამერისკა, ხომ არ ვიქნებოდი ასეთი ბედნიერი!..“

„კიდევ გავრისკო?..“

„ვინ-ვინ და მე კი ნამდვილად კარგად ვიცი რისკის ფასი. ბევრი ვიფიქრე, ამ დაქცეული და „დამშეული“ საქართველოდან სად გავქცეულიყავი და ბოლოს გეზი ამერიკისკენ ავიღე. თუმცა, არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა ვიზის მიღება. მივდექ-მოვდექი, შევაწუხე ხალხი და გავიგე, რომ თურმე, კანადაში წასვლა უფრო იოლი ყოფილა. მერე იქიდან, ასე თუ ისე, შტატებში გადასვლაც შესაძლებელია... საჭირო საბუთები მოვაგროვე, 5 ათასი დოლარი ერთ კაცს ჩავუთვალე და სულ მალე, საოცნებო კანადაში ამოვყავი თავი. იქ მუშაობა დავიწყე. თევზის გადამამუშავებელ-დამამზადებელ-დამაკონსერვებელ-შესაბოლ ქარხანაში მუშად ვმუშაობდი. დიდი, მაღალყელიანი რეზინის

ჩექმა და წყალგაუმტარი ტანისამოსი მეცვა. თევზს დასანახავად ვერ ვიტან, მაგრამ სხვა გზა არ იყო. თავბედს ვიწყევლიდი. სამაგიეროდ, ინგლისური ენა ვისწავლე „ზეპირად". „ფინიშამდე" სულ რამდენიმე ათასი დოლარი მაშორებდა. ეს ის თანხა იყო, რომელიც ვიღაც კანადელისთვის უნდა გადამეხადა, რომ საზღვარზე გადავეყვანე. როგორც იქნა, წელიწად-ნახევრის შემდეგ შევაგროვე საჭირო თანხა. — დილით, 10 საათზე გავდივართო, — მითხრა. ჩემი ბარგი-ბარხანა მოვკრიბე და დილაუთენია გავუდექით გზას. ჯერ მანქანით მივდიოდით, შემდეგ — ცხენით, შემდეგ კარგა ხანს ფეხით ვიარეთ. მთელი 4 დღე ვიყავით გზაში. ათასი რამ გადამხდა თავს. ცხენიდანაც კი ჩამოვვარდი და ფეხი ვიღრძე. ბოლოს, ტრიალი მინდორი უნდა გადამეჭრა, ხოხვით მივდიოდი, რომ მესაზღვრეს არ დავენახე, მაგრამ მაინც შემნიშნეს იმ შეჩვენებულებმა. ჯერ რაღას მიყვიროდნენ, მერე კი ტყვიები დამიშინეს. ფილმებში რომ გინახავთ, სწორედ ისეთი სიუჟეტით განვითარდა მოვლენები. ჩემი ჩანთა იქვე დავაგდე, წელში მოვიხარე და რაც შემეძლო, გავქუსლე... როგორც იქნა, ტყვიების წვიმა შეწყდა. ამ დროს, უკვე საზღვრის იქით ვიყავი. ძლივს მივაღწიე დასახლებულ პუნქტამდე. 2 დღის მშიერ-მწყურვალი გახლდით. ერთ ოჯახს მივეკედლე. ცხენების რემა ჰყავდათ. სამსახური ვთხოვე და ცოტა ხნით მათთან ვიმუშაე. ცხენებს ვუვლიდი და კარგადაც მიხდიდნენ. იქაური ხალხი გავიცანი. ყველას მოვეწონე. ქართული ქეიფი ვასწავლე, იქაურ ქალებშიც გავერიე და თავსაც მშვენივრად ვგრძნობდი, მაგრამ გულმა მაინც დიდ ქალაქისკენ გამიწია. თითქმის მთელი ამერიკა მოვიარე და ბოლოს, ნიუ-იორკში დავბინავდი. სამსახური ავტოგასამართ სადგურში ვიშოვე. იქ ერთი კარგი ქართველი გოგო გავიცანი და დაქვორწინდით კიდეც. მოკლედ, ჩემმა რისკმა გაამართლა და ახლა უკვე საქართველოში ვარ, მაგრამ გული არ მიჩერდება. კიდევ ხომ არ გავრისკო?.. რას იტყვით?.."

„ბინაში უპრობლემოდ შევედით, მაგრამ ფული ვერ ვიპოვეთ..."

„ძალზე კარგი ბავშვობა მქონდა. მამა-ჩემი ყოველთვის მანებივრებდა და ბლომად ფულსაც შოულობდა, თუმცა, არავინ იცის, რა გზით. 14 წლის ვიყავი, როცა მამა გარდაიცვალა. ვიდრე მისი დანაზოგი ფული გვქონდა, არაფერი გვიჭირდა. შემდეგ, დედაჩემი ველარ აუდიოდა ოჯახის შენახვას. მეც მომაკლდა ჩასაცმელ-დასახურავი და დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ მეშოვა ფული. სწორედ ამ დროს დავუახლოვდი რამდენიმე ბიჭს. თავიდანვე მივხვდი, რომ ისინი შავბნელ საქმეებში იყვნენ გარეული, მაგრამ იმდენად დიდი იყო ჟინი კარგად ცხოვრებისა, რომ სულ ერთი იყო, რა გზით მოვახერხებდი ამას... თითოეული საქმის შემდეგ, შიშის კანკალით ვკვდებოდი. ერთხელ ვთქვი — ერთი მაგარი საქმე „გავარტყათ" და მერე, ყველაფერს უნდა შევეშვა-მეთქი. ცოტა ხანში, „ნაკოლი" მოგვცეს, ერთ ოჯახში ნახევარი მილიონი დოლარი იქნება შენახული 3 დღის განმავლობაშიო. შევიმუშავეთ გეგმა, როგორც უნდა მოგვეხერხებინა იმ ფულის გამოტანა. ბინაში უპრობლემოდ შევედით, მაგრამ ფული ვერ ვიპოვეთ. იქიდან გამოსულები კი, პოლიციამ დაგვაკავა... 8 წელი ვიხდიდი სასჯელს. მხოლოდ იქიდან გამოსვლის შემდეგ, 26 წლის ასაკში დავიწყე ცხოვრების მოწყობა. გავრისკე, მაგრამ აბა, რა მოვიგე? ფული მაინც გვეპოვა იმ დაწყევლილ სახლში!.."

მაღლობა „მხედრიონს"!

„ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვეთ, მაშინ მოხდა, როცა სამეგრელოს ტერიტორიაზე „მხედრიონი" მოქმედებდა. მე მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი და ზამთრის სესიას ვაბარებდი. რადგან გორელი ვარ, გამოცდებზე გორიდან დავდიოდი. იმ პერიოდში, ტრანსპორტიც ჭირდა, აქა-იქ თუ დადიოდა ავტობუსი და ისიც ძალზე ძვირი ღირდა. მე მაინც ჯიუტად, გორიდან დავდიოდი და გამოცდისთვის წინა საღამოს მოვდიოდი თბილისში... გამოცდა უნდა ჩამებარებინა ქირურგიაში. კარგად ვიმეცადინე და თბილისში წასასვლელად გავემზადე. მთელი 3-4 საათი ვიდექი ტრასაზე და ერთ მანქანასაც კი არ გაუვლია. დიდი თოვლი იყო. სულ მთლად გავიყინე. უკვე ბინდდებოდა, როცა ჩემ წინ „რაფი" გაჩერდა. ორი, სამხედროფორმიანი ბიჭი იჯდა მანქანაში. ერთმა მკითხა, თბილისში მივდიოდი თუ არა. თავი დავუქნიე — დაბრძანდითო, — მიმიპატიჟა მანქანაში და მეც ბევრი არ მიფიქრია, უცებ მოვთავსდი სალონში. როცა გავთბი, მხოლოდ ამის შემდეგ დავფიქრდი ჩემს საქციელზე და მივხვდი, რომ მაგრად გავრისკე, მაგრამ შიში არ შევიმჩნიე... დაწვრილებით გამომკითხეს, ვინ ვიყავი, თბილისში რატომ მივდიოდი, თვითონაც გამეცნენ. აღმოჩნდა, რომ „მხედრიონელები" იყვნენ და დასავლეთიდან თბილისში მიემგზავრებოდნენ. თან ავტომატები და „მხედრიონელების" მედალიონები მაჩვენეს. უფრო მეტად შევშინდი. იგოეთის შესასვლელთან მანქანა გააჩერეს და ორივენი გადავიდნენ. ვიფიქრე — დადგა ჩემი აღსასრული, ჯანდაბას გამოცდა, მგონი, სიცოცხლეს ვეთხოვები-მეთქი... ცოტა ხანში, ერთ-ერთმა მათგანმა სალონში შემოიხედა და მომიბოდიშა: მანქანა გაგვიფუჭდა და ცოტას დაგაგვიანებთო, — თან თავისი ავტომატი მომაწოდა — ცოტა ხნით შემინახეთო. ცოტა დავმშვიდდი — ცუდი განზრახვა რომ ჰქონდეთ, იარაღს ხომ არ მომაჩეჩებდნენ-მეთქი?! მანქანის შეკეთებას დიდხანს მოუნდნენ. ამასობაში კარგა გვარიანად დაღამდა. ბიჭები წარამარა ბოდიშს მიხდიდნენ. ბოლოს, თვითონ შემომთავაზეს — სხვა მანქანას გაგიჩერებთ და თბილისამდე ის წაგიყვანთო. ავტომატით ხელში გადაუდგნენ მანქანას, ჩემი თავი საგანგებოდ ჩააბარეს და მეც თბილისში მშვიდობიანად ჩავედი. სამწუხაროდ, მათი სახელები და გვარები არ ვიცი, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ მინდა, მადლობა გადავუხადო, თუ ცოცხლები არიან".

ჭაში — ბიჟუტერიის გადასარჩენად

მეგობარმა სოფელში დამპატიჟა დღეობაზე. მეც გამოვიპრანჭე და არც ბიცოლაჩემის ბრილიანტის ყელსაბამის გაკეთება დამვიწყნია. ეშმაკი რომ შეგიჩნდება ადამიანს, ისე დამემართა. შუა ქეიფის დროს, ცივი წყალი მომინდა და გადავწყვიტე, ჭიდან მე თვითონ ამომეღო. ეზოში გავედით, დავიხარე წყლის ამოსაღებად, ყელსაბამი მომძვრა და... ჭაში გაუჩინარდა. დიდხანს ვფიქრობდი, რა მექნა, ბოლოს, ჭაში ჩასვლა გადავწყვიტე. აბა, ძვირფას სამკაულს იქ ხომ არ დავტოვებდი! თანაც, ჩემი არ იყო. ალბათ რამდენიმე ჭიქა ღვინომაც იმოქმედა და გამბედაობა შემმატა. რის ვაი-ვაგლახით ჩავძვერი ჭაში: რისკმა გაამართლა, ჭაში წყალი ღრმა არ იყო და სამკაულს ადვილად მივაგენი. სწორედ ამ დროს, ჩემს მეგობარს გაუვლია ჭასთან და თავახდილი რომ დაუნახავს, უფიქრია, ვინმე არ ჩავარდესო, — და სახურავი დააფარა... 2 საათის განმავლობაში, არაადამიანურად ვყვიროდი და მშველელს ვუხმობდი უკუნი სიბნელიდან, მაგრამ ხმა ვერავის მივაწვდინე. როგორც იქნა, ვიღაცამ მომისაკლისა, მომძეძნეს და მიპოვეს. ძლივს ამომათრიეს ჭიდან, მაგრამ ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ თურმე, ის დაწყევლილი ყელსაბამი მხოლოდ ბიჟუტერია ყოფილა და არა ბრილიანტისთვლიანი. ეს მოგვიანებით გავიგე — როცა ბიცოლაჩემს ვუამბე ჩემი თავგადასავალი და მითხრა, — ამ ყვითელი რკინისთვის თავს როგორ იკლავდიო?"

ახლა კი, დროა მოკლე გზავნილებსაც გავეცნოთ.

„ნაოპერაციები, საავადმყოფოდან გავიპარე და... გავთხოვდი"

„ჩემთვის საყვარელ ადამიანთან შეხვედრა დიდ რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ მაინც... ლექსო, უშენობას ვერ ავიტან. მიყვარხარ".

„ძალიან რისკიანი და ხიფათიანი ვარ. 2 წლის წინ, სულების გამოსაძახებლად თეფში დავატრიალე. ვიცოდი, რომ რაღაც ცუდი მოხდებოდა და მაინც გავრისკე. ამ ამბავმა ჩემი მეგობარი შეიწირა (ოდესმე უფრო ვრცლად მოგიყვებით ამ ამბავს)".

„გავრისკე და ცოლად გავყევი ადამიანს, რომელიც არ მიყვარდა. ახლა ვზივარ და მწარედ ვნანობ. არ ვიცი, რა გზას დავადგე, ბავშვით ხელში. წუწკი და მუქთახორა აღმოჩნდა და არაფრით არ შემიყვარდა. მარტო ღმერთის იმედად ვარ და ალბათ, არ გამწირავს. ნინო".

„გავრისკე, ნიშნობა ჩავშალე და ის ადამიანი ავირჩიე, ვინც ნამდვილად მიყვარდა. ახლა კი შამპანურს ვსვამ..."

„უდიდეს რისკზე მაშინ წავედი, როცა უნივერსიტეტში ინგლისურის სახელმწიფო გამოცდაზე ჩემ ნაცვლად სხვა გავუშვი და ხუთიანიც „მივიღე"... მაგრამ რომ იცოდეთ,

იმ ერთი საათის განმავლობაში, რამდენი ვინერვიულე... ნანა, ყვარელი“.

„რისკი?.. სიყვარულის გულისთვის, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში, ზამთრის ყინვაში, 10 დღე და ღამე იმ ადამიანის სახლის წინ გავათენე, რომელიც უზომოდ მიყვარდა. ავთო, მიყვარხარ. ნანა“.

„ძალზე გავრისკე, როცა გალში გადავედი უსაბუთოდ. აფხაზებმა გამატარეს და ხიდის თავში ქართველმა მშვიდობისმყოფელებმა მომთხოვეს, მომეყოლა, საიდან მოვდიოდი და სად მივდიდიოდი. როცა პასუხი ვერ მიიღეს, სულ უზრდელი მეძახეს. მე კი მივახალე, ნუ მაიმუნობთ-მეთქი; შესაძლოა, ამ დროს ესროლათ კიდეც, მაგრამ გადავრჩი. თუ „ხიდის ყმაწვილები“ წაიკითხავენ ჩემს მესიჯს, კარგად იხალისებენ. მინდა გაიგონ, რომ ახლა დიპლომზე ვმუშაობ და არც ისეთი უზრდელი ვარ, როგორც მათ ჰგონიათ“.

„ერთი ძალიან საყვარელი ბიჭი მთხოვს შეხვედრას, მაგრამ ვერ ვრისკავ. მიხო, ვერ გიმხელ, რომ სიგიჟემდე მიყვარხარ. შენი მარო“.

„ერთი ბიჭი მიყვარს. ახლა უნდა გავრისკო და სიყვარული ავუხსნა. ძალიან ვნერვიულობ, ის ხომ როგორც დას, ისე მიყურებს. ხედავთ, როგორ ვრისკავ! აუცილებლად შეგატყობინებთ, რა პასუხს მივიღებ მისგან. მზია.“

„გზავნილებზე“ მაბოდებს, მაგრამ მესიჯს პირველად გწერთ. იცით, როდის გავრისკე?.. თაზო რომ შევიყვარე, მაშინ. დედაჩემს სასტიკად არ უნდოდა. მე კი დედაჩემის ჯიბრზე იმდენი ვიხტუნავე, რომ ტელეფონიც ჩამომართვეს და შინაც ჩამკეტეს, მაგრამ მან ვერ დამიფასა და მაგრადაც დამერხა. უმიზეზოდ მეჩხუბა, მერე კი, მთელი ზაფხული გოგოებს დასდევდა... შერიგება მთხოვა. მეც შევურიგდი, ბოლოს კი, სიყვარულის დღესაც არ დამირეკა. დავშორდი, მაგრამ დღემდე შერიგებას მთხოვს. ღირს კი? მეორედ აღარ გავრისკავ. მედუკა“.

„რისკზე უარესია ის, რაც მე ჩავიდინე. ახალი ნაოპერაციები, 25 ნაკერით, ავდექი, საავადმყოფოდან გავიპარე და... გავთხოვდი. კიდევ კარგი, გადავრჩი. ახლა 2 წლის შვილი მყავს“.

„გზავნილები“ მაგრად მიყვარს. პირველად გიმესიჯებ, მარი და იმედია, დამიბეჭდავ. მე ახლაც მაგრად ვრისკავ რადგან ღამის 4 საათზე გიგზავნი მესიჯს და შესაძლოა, გაბრაზდე და არ გამომიქვეყნო. იმედია, ასე არ მომექცევი. მინდა, თოკოს ვუთხრა, რომ მაგრად მენატრება. „პინკფლოიდი“.

„მარი, უკანასკნელი თეთრებით გწერ და ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე. ვასიკო მ-ძევ, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. უშენოდ როგორ ვიცოცხლო, არ ვიცი. რატომ მტანჯავ, არ გეცოდები? ვიცი, არც შენ ხარ ჩემ მიმართ გულგრილი, მაგრამ რა აზრი აქვს?“

„ძალიან გავრისკე და ვნანობ კიდეც, ჩემს უყურადღებო ქმართან შერიგებას. ახლა მგონი, ისევ უნდა გავრისკო, ოღონდ — პირიქით... ვნახოთ, იმედია, არ ვინანებ. ლანა“.

„35 წლის ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ქმარ-შვილი მყავს, მინდოდა, საყვარელიც მყოლოდა. გავრისკე და „გავიჩინე“ კიდეც. თურმე, ჩემ გარდა, 9 ქალს ხვდებოდა. მე კი სიგიჟემდე მიყვარს. ბესო, უზომოდ მიყვარხარ, მაგრამ რისკი ძვირად მიჯდება. თამილა.

ტყიბული“.

„გავრისკე და ერთ საძაგელ ტიპს სიყვარულში გამოვუტყდი. მას კი ჰგონია, რომ ვეკაიფები. ნუთუ ასეთი არასერიოზული გოგოს შთაბეჭდილებას ვტოვებ?!. ეჰ, რა ვქნა, რა? ერთხელ გავრისკავ და ახლა თქვენი საშუალებით ვეტყვი, რომ ძალიან, ძალიან მიყვარს. საძაგელო, დამიჯერე, თორემ, მესამედ აღარ გავიმეორებ“.

„ახლახან, პაემანზე უცხო ადამიანს შევხვდი. ასე თუ ისე, ვრისკავდი. უკვე შებინდებული იყო. მარტო წასვლის შემეშინდა და თან 4 ახლობელი ვიახლე, მაგრამ ისე, რომ მან არ იცოდა. საითაც წავიდოდით, ჩემი ახლობლები უკან მოგვყვებოდნენ, თან მიმიკით რაღაცებს მანიშნებდნენ. თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ გამცინებოდა... ზოგი რომ რისკავს, შამპანურს სვამს, მე კი ლუდი დავლიე. მერე იმ პატიოსანმა კაცმა სახლამდე მიმაცილა. მეც დავიღალე და ჩემი ამფსონებიც... ერთხელ კი, თმა მწვანედ შევიღებე და ნაცნობები აღარც მესალმებოდნენ. აი, ასეც ხდება ხოლმე“.

„გზავნილებს“ ყოველთვის სულმოუთქმელად ველი და ახლაც ერთი სული მაქვს, როდის წაიკითხავს ამ მესიჯს „გზაში“ ჩემი სიცოცხლე. მინდა, ახლა მაინც მიხვდეს, რომ ისევე ძალიან მიყვარს, როგორც მას ვუყვარვარ. დღეს პირველად გავრისკე და 3 წლის ნაცნობობის შემდეგ დავუმესიჯე. ამას დიდი ხანი ელოდა. დღეს ოცნება კი ავუსრულე, მაგრამ ვატყობ, ძვირად მიჯდება. ახლახან მესიჯი გამომიგზავნა — შენთან მოვდივარ, ღამის 12 საათზე უნდა შემხვდეო. აღარ ვიცი, რა ვქნა. მგონი გარისკვამ დამღუპა. სოფო“.

„ჩემი აზრით, ყველა ადამიანს უნდა შეეძლოს, რაღაც მომენტში გარისკვა, მაგრამ ჩემსავით ბავშვურად და სულელურად — არა. შარშან ქობულეთში ღელვის დროს თამამად შევედი ზღვაში, ვითომ ცურვა ვიცოდი. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ ერთ ტიპს დავენახე... ისე ღრმად შევედი წყალში, უკან რომ მოვიხედე, გული გამისკდა. ვერც დავიყვირებდი! ჰოდა, თავი ხელში ავიყვანე, ვითომც აქ არაფერიო და... არ გავცურე?!. თურმე, შიშს რა შესძლებია! აი, ასე ვისწავლე ცურვა. ხომ მაგარია?!.“

„ჩიგოგა, ძალიან მიყვარხარ. დაჭერილი რომ არ ვიყო, ცოლად მოგიყვანდი. სამწუხაროდ, ახლა ციხეში ვარ, მაგრამ გპირდები — რომ გამოვალ, მოგიტაცებ და შენი ღიმილი მარტო ჩემი იქნება. დამიჯერე, შენს თავს არავის დავუთმობ. მიყვარდი, მიყვარხარ და მეყვარები. „მალიშა“.

„გავრისკე და ცოლიანი ბიჭი შევიყვარე. მერე რა, მაინც მარტო ვარ, მაგრამ — ბედნიერი... ჩვენ ერთი ჰაერით ვსუნთქავთ... ნათია“.

„მინდა, გიოს მივმართო: ძალიან გამიჭირდება, მაგრამ მაინც დაგივიწყებ, რადგან ჩემი სიყვარულის ღირსი არ ხარ. ვისწავლი ჩემი ქმრის სიყვარულს. ის მაღმერთებს...“

„გავრისკო და შევურიგდე?.. არა, სიამაყე მიშლის. არადა, როგორ მენატრება! რამდენ ხანს მეხვწა და მეფერა!.. ეჰ, ბიჭებო, გიყვართ?.. მაშინ მეორე კურდღელს ნუ ეპოტინებით...“

„ერთხელ გავრისკე და ძმაკაცის მოტოციკლზე დავჯექი. ახლა ამ მესიჯს ადამიანი„თაბაშირი“ გწერთ...“

„ეჰ, სვანი ვარ და ერთი გოგოს მოტაცება მინდა, მაგრამ ვერ ვრისკავ, მეცოდება, რადგან სხვა უყვარს. მაგრამ ისე მაწვალებს, რომ ერთ მშვენიერ დღესაც გავრისკავ და ლენტეხის გზას გავუყენებ. სალო ლ-ძე, მაინც „მოგიპარავ“. მარი, ტყუილად არ დამახარჯვინო 6 თეთრი. აბა, შენ იცი!“

„რისკი — ღირსეული საქციელია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ უაზროდ არ უნდა გარისკო... რომ იტყვიან, გამჩენი არ ასვენებსო, — სწორედ ისე დამემართა. რა მინდოდა?.. ვცხოვრობდი ჩემთვის წყნარად, საათივით მქონდა აწყობილი ცხოვრება, საქმე და კარგი შემოსავალიც მქონდა, არ მშიოდა, არ მწყუროდა, მაგრამ ხომ იცით, გული მაინც არ ისვენებს. გავხსენი ახალი ობიექტი და „ჩავყარე“ შიგ, თუ რამდანაზოგი მქონდა. ახლა დავრბივარ დღე და ღამე, გაჩენის დღეს ვიწყევლი და ვნერვიულობ. ან მთლად ავშენდები, ან — დავიქცევი. ჩაფიქრებული მაქვს — თუ ამ საქმემ გაამართლა, კიდევ ერთხელ გავრისკავ და მეორედ გავთხოვდები. რაც იქნება, იქნება...“

ახლა კი საჩივრებს გადავხედოთ და ვნახოთ, რა აწუხებთ ჩვენს მკითხველებს. ერთი მეზობელი თურმე, უკვე გამოვასწორეთ:

„მარი, მე მადონა ვარ. წინა ნომერში გწერდით, რომ ჩემი მეზობელი კიბეზე ნაგავს ყრიდა. „გზა“ ვიყიდე, ჩემი საჩივარი წავაკითხე და უკვე ერთი კვირაა, მეც მოვისვენე და მთელმა სადარბაზომაც. დიიიიდი მადლობა!..

საჩივრის სვეტი

„მიშველეთ, ხალხო! მთელი გაკვეთილების განმავლობაში, ნიკა ხელს მიშლის. მერხზე ჩემ გვერდით ზის, სულ სძინავს და სიცოცხლის საშუალებას არ მაძლევს. უთხარით რამე, რააა!“

„ქუთაისელო პატრულებო, ამდენი ლამაზი გოგო ალბათ, არ გინახავთ და ამიტომაა სწორედ, რომ თვალებდაჭყეტილები იყურებით აქეთ-იქით. მარი, ხმა მიაწვდინე და უთხარი, რომ მეტი ყურადღება სამსახურს დაუთმონ.“

„მარი, ხმა მიაწვდინე კახა ლომაიას, რომ სკოლებში მასწავლებლების ფსიქიკური შემოწმება ჩაატაროს. ბავშვებს სულიერ სამყაროს უმახინჯებენ, თავიანთი მდარე აზროვნებითა და მოსწავლეებთან უხეში მოპყრობით. ამასთან, ზოგს ელემენტარული განათლებაც კი არ აქვს, თავისსავე სპეციალობაში. მერე უკვირთ — რა თაობა მოდისო?!“

„მარი, იცი, რა ცუდ დღეში ვარ? მერიდება ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ქმარზე უნდა ვიწუწუნო... წინდებს კვირაში ერთხელ იცვლის, თითქმის ყოველღამე მთვრალი ბრუნდება შინ, არც ახსენდება, ცოლი რომ ჰყავს და თავისი მამაკაცური მოვალეობა უნდა შეასრულოს... იქნებ, წაიკითხოს „საჩივრის სვეტში“ და“ გამოსწორდეს?!.“

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — როცა სიყვარულს პირველად ქალი ამხელს. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

ანუ როცა ~~ბ~~ბები პატარებს კლავენ...

ამ მწავე, საზოგადოებაში არაერთგზის განხილულ და არაერთგვაროვნად შეფასებულ პრობლემასთან კიდევ ერთხელ მიბრუნება ახალმა დამამძიმებელმა გარემოებამ მაიძულა. ცოტა ხნის წინათ, საინფორმაციო საშუალებებმა დანანებით გვაუწყეს, რომ ბოლო მონაცემებით, საქართველო, აბორტების რაოდენობით, ევროპაში პირველ ადგილზეა. „კიდევ არ დაიჯერებთ, რომ საბოლოო გადაშენების გზას ვადგავართ?! ისე, პირადად მე, ეს ამბავი სულაც არ მიკვირს... განა ქართველ ქალზე არ არის ნათქვამი, რომ შეეძლოს, ნახევარ შვილს გააჩენდაო?.. ჰოდა, ახლა ეტყობა, იმ ნახევრის გაჩენაც გადაიფიქრა..." — ბოლმის გუდას პირი ბოლომდე მოხსნა ერთმა ჩემმა კოლეგა მამაკაცმა და იქ მყოფი ქალები ისე ავად შეგვათვალიერა, თითქოს „ბოლო მონაცემებით", თითოს თითო აბორტი მაინც გვქონდა გაკეთებული... ისე, სხვისი არ ვიცი და პირადად მე, კოლეგის ბოლმიანმა სიტყვებმა სამოქმედოდ განმაწყო. გადავწყვიტე, ჩემს ნაცნობ-მეგობარ სხვადასხვა ასაკის ქალს შორის აბორტების თემის ირგვლივ პატარა შინაურული გამოკითხვა ჩამეტარებინა. შედეგად გავარკვიე, რომ ამ ქალებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აქტიური შვილსნობის პერიოდში, 3-4 აბორტი მაინც ჰქონდათ გაკეთებული. გამოიკვეთა რამდენიმე „რეკორდსმენიც", რომლებსაც მათ მიერ გაკეთებული აბორტების დასათვლელად ხელის თითები ნამდვილად არ ეყოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ აბორტის გაკეთებაზე უარი არ ჰქონიათ ნათქვამი იმ ქალებსაც, რომლებმაც პირველი შვილის გაჩენა ხანგრძლივი მკურნალობის თუ მძიმე ქირურგიული ოპერაციის გაკეთების შემდეგ თუ შეძლეს. ისმის კითხვა: რატომ იქცევიან ქალები ასე? — „იმიტომ, რომ ქაჯები არიან! — „მარტივად" გადამიწყვიტა პრობლემა ჩემს „რეპონდენტებს" შორის ყველაზე ახალგაზრდამ — ტინეიჯერმა თიკამ. — ბავშვის გაჩენა თუ არ გინდა, მეტი ვერაფერი უნდა მოიფიქრო?.. მე მაგალითად, ზუსტად იმდენ შვილს გავაჩენ და მხოლოდ მაშინ, როცა თვითონ მომინდება!.. გარეთ მაინც არ იხედებით, რომელი საუკუნეა?! აბორტს დღეს მარტო ველურები თუ იკეთებენ..." ისე, ველურებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ქვემოთ მეც შევეხები და იმასაც გეტყვით, მართლა იკეთებენ თუ არა აბორტს ველური ტომის ქალები. მანამდე კი, ცივილიზაციასთან წილნაყარ ქართულ სინამდვილეს დავუბრუნდეთ...

რუსუდან ლებანიძე

ბზარი

ნინოს და ლევანის სიყვარულით შექმნილ ოჯახს პირველი ბზარი ნინოს მეორედ დაფეხმძიმების შემდეგ გაუჩნდა. იმხანად, მათ სიყრმის შვილს, თვალებბრიალა გიორგის 3 წელი შეუსრულდა და ნინომაც მისთვის დაიკოს ან ძამიკოს გაჩენა სრულიად ბუნებრივად ჩათვალა. მაგრამ, ლევანმა მეორე შვილის გაჩენის პერსპექტივას სულ სხვა კუთხით შეხედა და მისი... „არგაჩენისთვის" ცოლს არაერთი და მისი აზრით, საფუძვლიანი არგუმენტიც მოუყვანა. ლევანი მიიჩნევდა, რომ მათი ახალგაზრდა ოჯახი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა და მატერიალურადაც ფეხზე ის-ის იყო დგებოდა. მართალია, მან (ლევანმა) სტაბილური სამსახური იშოვა და ნორმალური შემოსავალიც გაუჩნდა, მაგრამ ორი შვილისა და უმუშევარი ცოლის რჩენას ჯერ მაინც ვერ შეძლებდა...

ნინო ლევანს არც კი შეჰპასუხებია. უბრალოდ, მშვიდად მოუსმინა და რადგანაც „ყოველმხრივ დასაბუთებულ" არგუმენტებთან შედარებით, საკუთარი ბუნებრივი სურვილი ლამის ბავშვურ ახირებადაც კი მოეჩვენა, მეუღლის ნებას თითქმის უყოყმანოდ დაჰყვა. თუმცა, საავადმყოფოში წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, მაინც სევდიანი ფიქრები აეშალა, რომელთა გაფანტვასაც ყველანაირად შეეცადა. „სანერვიულო არაფერი მაქვს, — ვინ იცის, გულში მერამდენედ იმეორებდა ნინო, — აბორტს ხომ ნათელა დეიდას განყოფილებაში გამიკეთებენ, ყველაფერს თვითონ გააკონტროლებს და ამიტომაც, გართულებები თავიდანვე გამორიცხულია. ბავშვი კი... ორი თვის ფეხმძიმე ძლივს ვარ და ჯერ აბა, რომელ ბავშვზეა ლაპარაკი?!. ის ამ დროს ხომ ერთი უბრალო ხორცის ნაგლეჯია და მეტი არაფერი..."

მაგრამ, აგრერიგად ნაფერებ-ნალოლიავები სიმშვიდე ნინოს, საავადმყოფოში წასვლის წინაღამეს ნანახმა სიზმარმა კიდევ ერთხელ დაურღვია. სიზმარში ნინო მზის სხივებით განათებულ ულამაზეს ბაღში აღმოჩნდა, სადაც ყველაფერი ყვაოდა და იფურჩქნებოდა. ირგვლივ გამეფებულ უცნაურ სიმშვიდეს კი მხოლოდ ნაკადულების რაკრაკი და ჩიტების ჟღურტული თუ არღვევდა. ნინო ათასფერ ყვავილებს შორის გაკვალულ ბილიკს მშვიდად მიუყვებოდა და ბაღის მშვენიერებით ტკბებოდა. უეცრად, ბილიკის ბოლოში ანგელოზივით ლამაზი ოქროსკულულებიანი პატარა გოგონა შენიშნა, რომელმაც მაშინვე „დედიკო"! შესძახა და ნინოსკენ ხელებგაშლილი გამოიქცა. გაოცებულმა ნინომ ხელები თავადაც ინსტინქტურად გაშალა და ბავშვის გულში ჩასაკრავად მოემზადა. მაგრამ, შუა გზაში, გოგონა ტყვიანაკრავივით გაშეშდა, პატარა ხელები უსიცოცხლოდ ჩამოუცვივდა და მაშინვე გაუვალ ნისლში გაეხვა. დამფრთხალი ნინო ბავშვისკენ თავად გაიქცა, მაგრამ იმ ადგილზე, სადაც გოგონა ეგულებოდა, ხელებით მხოლოდ უსიამოდ ცივ ჰაერსღა „წაეპოტინა"...

ბუნებით დინჯი ნინო წონასწორო-

ბიდან დიდი ხნით იშვიათად თუ რამეს გამოჰყავდა. ამიტომაც, გამოღვიძებულმა ერთი კი გაიფიქრა, მაინც რა უცნაური სიზმარი ვნახეო და მერე აღარც ის პაწია გოგონა გახსენებია და არც მისი განწირული ძახილი. ცოტა ხანში თავი მოიწესრიგა და საავადმყოფოსკენ მშვიდად გასწია.

დასასრულის დასაწყისი

აბორტმა მართლაც უპრობლემოდ ჩაიარა. საღამოს ნინოს საავადმყოფოში ლევანმა მიაკითხა, შინ წამოიყვანა და ცხოვრებაც ჩვეულებრივად გაგრძელდა. მაგრამ თურმე, ყველაფერი უჩვეულოდ საშინელი, ნინოსთვის სწორედ ახლა იწყებოდა...

ერთი კვირის შემდეგ, პატარა გიორგის მოულოდნელად სიცხემ აუწია. ნინოს ეს ამბავი თავიდან დიდად არ შეუცხადებია: ალბათ, უბრალოდ გაცივდაო, — ფიქრობდა. მაგრამ როცა რამდენიმე დღის გულმოდგინე მცდელობის შემდეგ, ბავშვს სიცხე ვერაფრით დაუგდო, ექიმი გამოიძახა. მან გიორგი გულდასმით გასინჯა და ნინოს განაჩენივით სიტყვები უთხრა: „ბავშვს წითელა აქვს, თქვენ კი კაშკაშა სინათლისთვის არ მოგირიდებიათ. ასე რომ, მალე, მხედველობის სერიოზულ გაუარესებას უნდა ველოდოთ, თუმცა, ალბათ, არც სხვა გართულებებია გამორიცხული“. ექიმის სიტყვებით თავზარდაცემულმა ნინომ შვილი ხელში გიჟივით აიტაცა, გულში გამეტებით ჩაიკრა და სიცხისგან ალაპლაპებული, მაგრამ მაინც ძველებურად ღამაზი თვალები დაუკოცნა...

უბედურებამ კარზე მართლა მალევე მოაკაკუნა. გიორგის მხედველობამ ისეთი ტემპით დაუწყო გაუარესება, რომ ცოტაც და ალბათ, დაბრმავდებოდა. ექიმების დასკვნაც სწორედ ასეთი იყო: „ბავშვი რამდენიმე თვეში დაბრმავდება და ამისთვის აქედანვე უნდა შეემზადოთ“.

მომხდარით განადგურებულ ნინოს ბედმა მალე მეორე არანაკლებ მტკივნეული დარტყმაც მიაყენა. შვილის უბედურებით გადაღლილმა და ცოლის ყურადღებამოკლებულმა ლევანმა ჯერ შინ გვიან მოსვლას მოუხშირა, შემდეგ ერთი-ორჯერ ღამეც სხვაგან გაათია, ბოლოს კი, ნინოს პირდაპირ გამოუცხადა: ვიცი, ახლა ამისთვის სრულიად შეუფერებელი დროა, მაგრამ სხვა ქალი შემიყვარდა და შენგან მივდივარო... ნინოს მგონი, სიცოცხლეში პირველად დაავიწყდა თავმოყვარეობა, ლევანს მუხლებში ჩაუვარდა და — ნუ მიგვატოვებო! — ავადმყოფი შვილი და საკუთარი თავი ერთად შეავედრა... მაგრამ, ლევანი ოჯახიდან მაინც წავიდა და ცოლ-შვილი ისე უნუგეშოდ და უსახსროდაც დატოვა, რომ ნინოს მშობლები და მეგობრები რომ არა, ეგებ, შიმშილით სულიც ამოხდომოდათ...

ამბობენ, იმედი ყველაზე ბოლოს, ზოგჯერ კი, საერთოდ არ კვდებაო და ნინოს შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა. მკითხველი რომ აღარ დავღალო, ვიტყვი, რომ ბოლოს და ბოლოს, ნინომ შვილსაც და საკუთარ თავსაც თავადვე უშველა. თუმცა, მანამდე ნამდვილი ჯოჯოხეთიც მარტოდმარტომ გამოიარა...



მომხდარით განადგურებულ ნინოს ბედმა მალე მეორე არანაკლებ მტკივნეული დარტყმაც მიაყენა

არა კაც ჰკლა!

მსოფლიოში არ არსებობს რელიგია, რომელიც დედის საშოში ნაყოფის მოკვდინებას სასტიკად არ კრძალავდეს. ის კი არა და, მსგავსი აკრძალვა ამაზონის ნაპირებზე დღემდე პირველყოფილი წესებით მცხოვრებ ველურ ტომებშიც კი არსებობს. შობადობა მათთან შემდეგნაირად რეგულირდება: ტომის გრძნეული, ადგილობრივი მცენარეებისგან ამზადებს სპეციალურ ნაყენს. ქალი, რომელიც ამ ნაყენს დალევს, მანამდე არ დაფეხმძიმდება, ვიდრე ამის სურვილი თავად არ გაუჩნდება. როცა ეს დრო მოვა, ქალი გრძნეულს ისევ მიაკითხავს

ნაყოფი ერთი წამითაც კი არ არის „უბრალო ხორცის ნაგლეჯი“

და მისგან მეორე, პირველის გამანეიტრალებელ ნაყენს მიიღებს. უკვე ჩასახული ნაყოფის მოკვდინება კი არც ერთ იქაურ ქალს თავში აზრად არასოდეს მოსდის. ამაზონელი ველურების ეს წესჩვეულება ამერიკელი ანთროპოლოგებისა და ეთნოლოგების ექსპედიციამ ამ რამდენიმე წლის წინ, ამაზონის ყველაზე ღრმა ჯუნგლებში შეღწევის შემდეგ აღმოაჩინა და საგანგებოდ დააფიქსირა...

მაგრამ მოვეშვათ ველურებსა და ჯუნგლებს და ვნახოთ, როგორ ასაბუთებს აბორტის აკრძალვის აუცილებლობას ქრისტიანული რელიგია. მისი არგუმენტაცია ძალზე უბრალოა: ღმერთი ნაყოფს სულს დედის წიაღშივე შთაბერავს. ამდენად, ნაყოფი ერთი წამითაც კი არ არის „უბრალო ხორცის ნაგლეჯი“. ის თავიდანვე, პირველი წამებიდანვე ადამიანია. ამიტომაც, მისი მოკვდინება ისეთივე დანაშაულია, როგორიც ამქვეყნად მცხოვრები ნებისმიერი ადამიანის მკვლელობა და სასჯელსაც შესაბამისს იმსახურებს. „არა კაც ჰკლა!“ — ამ მცნების დარღვევა ერთ-ერთი ყველაზე მომაკვდინებელი და ამდენად ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გამოსასყიდი ცოდვაა და ამის არცოდნა ადამიანს ზენარე სასჯელისგან არ ათავისუფლებს. აი, როგორ განმარტავს ყოველივე ზემოთ თქმულს მაცხოვრის შობის სახელობის ქვემო ბეთლემის ტაძრის **დეკანოზი ალექსანდრე (გოლძვაძე):** „მოწმობა იმისა, რომ ადამიანის სიცოცხლე სწორედ ჩასახვისას იწყება, წმინდა წერილშიც არსებობს. დავით წინასწარმეტყველი უფალს მიმართავს: „შემიწყნარე მე დედის მუცლით ჩემითგან“ (ფს. 138, 13). იობი, რომელიც საკუთარი ცხოვრების შესახებ საუბრობს, თხრობას იმ ღამიდან იწყებს, როდესაც „ითქვა, კაცი ჩაისახაო“ (იობ. 3, 3). გარდა ამისა, ეკლესიაში არსებული ისეთი დღესასწაულები, როგორებიცაა მუცლადღება ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლისა, მოწმობს, რომ ადამიანის ცხოვრე-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. რუსები „სალას“ თეთრ ოქროს ეძახიან.

2. პროხლადნი ქალაქია ყაბარდო-ბალყარეთში.

3. პატრის ლუმუმბა 35 წლის ასაკში მოკლეს.

4. ძველ რომში სექსი ღვთის წყალობად ითვლებოდა.

5. ირლანდიელთა დამსჯელი რაზმები ჩერჩილმა შექმნა.

6. გერმანელები სიფილისს ფრანგულ დაავადებას ეძახდნენ.

7. თავისი პირველი ცოლი, ჟოზეფინა, ნაპოლეონს ერთი ნახვით შეუყვარდა.

8. ქურდვაჭრისხევი, ადმინისტრაციული ერთეული იყო შუა საუკუნეების საქართველოში.

9. ამერიკელი მწერალი სტივენ კინგი ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის დიდი მოყვარულია.

10. ტროის ომში წასულ აგამემნონს ცოლი, კლიტემნესტრა, მის ბიძაშვილთან ღალატობდა.

11. გლადიატორები ძველი რომის კანონმდებლობით მეძავებთან და ყაჩაღებთან იყვნენ გათანაბრებულნი.

12. მოთხრობები — „ცხოვრების ჩარხი“ და „შიოლა ღუდუშაური“ ალექსანდრე ყაზბეგს დაუმთავრებელი დარჩა.

13. არისტოტელე ონასისის გარდაცვალების შემდეგ, ჟაკლინ კენედის მემკვიდრეობად 20 მილიონი დოლარი დარჩა.

14. „ლომის ფაფარი“ უზარმაზარი მედუზაა. მისი წონა ერთ ტონამდე აღწევს, ხოლო შხამიანი საცეცები 50 კვადრატულ მეტრზე ბადესავით იშლება.

15. ნილ ტომფსონი ვერასოდეს მოიგებდა არჩევნებს ჩიკაგოს მერობაზე, მის საარჩევნო კამპანიაში ალ კაპონეს უზარმაზარი თანხა რომ არ ჩაედო.

16. ალექსანდრიის შუქურა, მსოფლიოს ერთ-ერთი შვიდ საოცრებათაგანი, მოგვიანებით არაბებმა მეჩეთად გადააკეთეს.

17. დედალ კუს, განაყოფიერების შემდეგ, მამალი კუს სპერმის შენახვა 7 წლის განმავლობაში შეუძლია და ამ ხნის განმავლობაში იგი განაყოფიერებულ კვერცხებს დებს.

18. ლეონიდ ბრეჟნევი ნადირობის დიდი მოტრფიალე იყო. მას ასობით

ბა სწორედ ჩასახვისას იწყება. ამიტომ, ეკლესია ყოველთვის გამოდიოდა აბორტის წინააღმდეგ. უფალმა ჯერ კიდევ სამოთხეში მისცა ადამიანებს მცნება: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ“ (შესაქ. 1, 28). „დედაკაცი... ცხონდების შვილთსხმისაგან, უკუეთუ ეგნენ სარწმუნოებით და სიყუარულით და სიწმიდით ღირსებასა ზედა“...

უხმო კივილი

სხვათა შორის, ჰიპოკრატეს ფიცში, რომელიც საფუძვლად დაედო სამედიცინო ეთიკას, ამგვარი აღთქმაცაა: „არც ერთ ქალს არ მივცემ აბორტისთვის წამალს“. ვნახოთ, რამდენად ასრულებს ამ აღთქმას თანამედროვე მედიცინა, რომლის ბევრ წარმომადგენელსაც კარგა ხანს ჯიუტად მიაჩნდა, რომ ემბრიონი დედის სხეულის ნაწილი იყო და საკუთარი, ავტონომიური სიცოცხლე არ გააჩნდა. აკი, აბორტების მომხრეებსაც საკუთარი შეხედულების სისწორის დასამტკიცებლად მთავარ არგუმენტად სწორედ ეს მოჰყავდათ; სხვათა შორის, ამ არგუმენტმა პირველი სერიოზული კრახი მაშინ განიცადა, როცა სამყაროს პირველი „სინჯარის“ ბავშვი მოევლინა. თუმცა, მანამდეც აბორტის მომხრეთა რიგებს არაერთი ექიმი-გინეკოლოგი გამოაკლდა, რადგან მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მტკიცება, თითქოს ემბრიონი, როგორც ცოცხალი ბავშვი, მხოლოდ ფეხმძიმობის 12 კვირის შემდეგაა, აშკარად მცდარია.

ექიმების ამ ჯგუფის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად ამერიკელი მეან-გინეკოლოგი ბერნარდ ნათანსონი უნდა ჩაითვალოს. ეს ის ნათანსონია, რომელიც კარგა ხნის მანძილზე აბორტების სპეციალიზებულ კლინიკას ხელმძღვანელობდა და წელიწადში 30000(!) ასეთ ოპერაციას აკეთებდა. შესაძლოა, სწორედ ამ მძიმე გამოცდილებამ უბიძგა ან იქნებ, აიძულა კიდეც ნათანსონი თავის საქციელს ჩაჰფიქრებოდა და აბორტის ყველა საშინელება ყველაზე თანამედროვე ტექნიკური საშუალებების დახმარებით გამოემზეურებინა.

ნათანსონს, პირველ რიგში, იმის გაგება სურდა, თუ ემბრიონის სახით როგორ სიცოცხლესთან გვაქვს საქმე და როდის იწყება სიცოცხლე. აი, მისი დასკვნა: „დღეს საკითხი იმის თაობაზე, რომ ემბრიონი დამოუკიდებელი ადამიანური არსებაა, მარტო რელიგიის საკითხი აღარ არის. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ეს მეცნიერული ჭეშმარიტებაა“...

საკუთარი დასკვნის დასამტკიცებლად, დოქტორმა ნათანსონმა აბორტის ულტრახმოვანი კინოგადაღების მეთოდს მიმართა. ვიდეოფილმი, რომელსაც მან „უხმო კივილი“ უწოდა, თვით ყველაზე უგულო ადამიანსაც კი შეაძრწუნებს. თუმცა, მაშინაც კი, თუ ყველა ემოციას გვერდზე გადავდებთ, ნათანსონის ფილმი ამტკიცებს, რომ:

1. ჩანასახი გრძნობს საფრთხეს იმ ინსტრუმენტისგან, რომლითაც აბორტი კეთდება.

2. როცა გრძნობს მოახლოებულ საფრთხეს, ნაყოფი სწრაფ და შეშფოთებულ მოძრაობას იწყებს და მისი გულისცემის სიხშირე წუთში 140-დან 200-მდე იზრდება.

3. და რაც ყველაზე საშინელია, ნაყოფი პაწია პირს სულ უფრო ფართოდ აღებს, სწორედ ისე, როგორც უხმო კივილისას ხდება...

მტკიცება დოქტორ ნათანსონისა, რომელიც ამ საშინელი დასკვნების გამოტანის შემდეგ, საკუთარ პროფესიას და სახელ-დიდებასაც უდრტვინველად გამოეთხოვა, დღეს უკვე, არახალია. თანამედროვე ბირთვულმა მედიცინამ ამ კუთხით უბრალო ნაბიჯი კი არა, უკვე ნამდვილი ნახტომი გააკეთა. და აი, იმ ძირითადი სამედიცინო დაკვირვებების შედეგები, რომლებიც ყველაზე თანამედროვე ტექნიკით ტარდებოდა და დღესაც ტარდება:

მე-18 დღიდან, ჩანასახის გულისცემის აღქმა შეიძლება და მოქმედებას იწყებს მისი საკუთარი სისხლის მიმოქცევის სისტემა.

7 კვირის (ანუ იმ ვადამდე ერთი კვირით ადრე, საიდანაც აბორტის გაკეთებაა ნებადართული) ჩანასახში ფიქსირდება ტვინის იმპულსები, ტვინის მდგომარეობა კი მოგეხსენებათ, მეცნერებისთვის ის ძირითადი ნიშანია, რომლითაც დგინდება, ცოცხალია თუ არა ადამიანი.

10 კვირის თავზე (ეს „გაგანია“ აბორტის პერიოდია), ჩანასახს ყველა ის მახასიათებელი აქვს, რაც ახალშობილს —

ანუ 9 თვის ნაყოფს.

12 კვირისთვის (ეს ის ვადაა, როცა აბორტებს კიდევ აკეთებენ, მაგრამ რომლის გასვლის შემდეგაც, დედის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების გამო, მსგავსი ოპერაციები სამედიცინო კანონებით აკრძალულია), ნაყოფს აბსოლუტურად ყველა ორგანო — თითების ანაბეჭდების ჩათვლით — ჩამოყალიბებული აქვს. ის უკვე პაწია თავს ატრიალებს და ყველა სხვა შესაძლებელ მოძრაობასაც აკეთებს: იჭმუხნება, მუშტებს კრავს, პირს აგნებს და თითებს იწოვს...

ერთი წამი და.. მთელი სიცოცხლე

ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, 30 ფერად სლაიდზეა ასახული და მეანგინეკოლოგების, ცოლ-ქმარ ვილკეების იმ მუშაობის შედეგია, რომლითაც დამტკიცდა, რომ „მეცნიერულად შეუძლებელია იმ ჯადოსნური წამის დაფიქსირება, რომლის დადგომამდეც ჩანასახი „უბრალო ხორცის ნაგლეჯია“, შემდეგ კი ადამიანი ხდება“.

მოდით, მეცნიერების ამ დასკვნით დავკმაყოფილდეთ და ახლა ის გავარკვიოთ, თუ რა ზენარე სასჯელს უნდა ელოდეს დედა (თუმცა, სასჯელი არც არშემდგარ მამებს ასცდებათ) საკუთარი ნაყოფის მოკვდინების გამო. რა უნდა იღონონ საკუთარი სულების გადასარჩენად იმ ქალებმა, რომლებიც აბორტის გასაკეთებლად ექიმებთან ლამის წამდაუწუმ დარბიან და თანაც ისე, რომ ბოლომდე, ალბათ, ვერც აცნობიერებენ, თუ რა საშინელებას სჩადიან. აი, რას ამბობს ასეთი ქალების გასაგონად **დეკანოზი ალექსანდრე:** „დედებმა უნდა შეიგნონ, რომ ღმერთი შვილებს ცხონებისათვის, ცათა სასუფევლისათვის აძლევს მათ და თუ ოდესმე მოუკლავთ საკუთარი შვილი აბორტით, სინანულით განიწმინდონ, იხსნან საკუთარი თავიცა და უდანაშაულო ბავშვებიც განსაცდელისაგან!..“

ახლა კი, ისევ ნინოს ცხოვრებას მივუბრუნდეთ. ამ ახალგაზრდა ქალს ცოტა დრო როდი დასჭირდა იმის შესაგებად, რომ ყველა მისი უბედურების სათავე ის „უპრობლემოდ“ ჩავლილი აბორტი იყო, მანამდე რომ გაიკეთა. და ამაზე ხელი ვერც იმ ღვთაებრივმა სიზმარმა ააღებინა, რომელშიც ანგელოზივით ლამაზი, მაგრამ მისგან თავიდანვე სასიკვდილოდ განწირული პაწაწინა გოგონა მოევლინა...

ღვთის მადლით, ცოდვის (თუნდაც ის ზემოთ ხსენებული მომაკვდინებელი ცოდვა იყოს) მონანიების საშუალება ნებისმიერი მსოფლიო რელიგიის მიმდევარ ქალებს აქვთ. ქრისტიანული რელიგია კი ასეთ ქალებს (ცხადია, საკუთარი ცოდვის სრული შეგნებისა და გულწრფელი მონანიების შემდეგ) ყოველ საღამოს, ძილის წინ სათანადო ლოცვის წაკითხვის და ღმერთისთვის იმ ჩვილების სულების შევედრებას ავალებს, ვინც დედის საშოშივე შემთხვევით, გაუფრთხილებელი ქმედების, მძიმე მშობიარობის გამო ანდა შეგნებულად იყვნენ მოკვდინებულნი...

ღმერთი მოწყალეა. ის მონანიე დედების ლოცვა-ვედრებასაც ისმენს და მათ ცოდვილ სულებსაც შეუნდობს. ასე მოხდა ნინოს შემთხვევაშიც. ის საკუთარი ცოდვის მონანიებას უდიდესი რუდუნებით შეუდგა და მიტევებასაც ეღირსა. ამის შემდეგ პატარა გიორგის პროგრესულად მიმდინარე დაბრმავების პროცესი, ექიმებისთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, შეჩერდა და მალე შეწყდა კიდეც. მართალია, ბიჭუნა ახლომხედველი დარჩა, მაგრამ დაბრმავება ნამდვილად აღარ ემუქრება. და ის იყო, ნინოს სიხარულის შეძახილი ლამის ცას შესწვდა, რომ კარზე თავჩაქინდრულმა ლევანმაც მიუკაკუნა: შევცდი და მაპატიეო. სიმშვიდედაბრუნებულმა ნინომ ლევანს კარი აღარ მიუხურა. თუმცა მისი ბედის საბოლოო გადაწყვეტა მაინც პატარა გიორგის მიანდო: გაიზრდება, ჭკუაში ჩავარდება და თავად განგსჯისო...

დასასრულ, კიდევ ერთი მძიმე სამედიცინო დასკვნასაც მოვიხმობ. ის ნიუიორკელ ექიმს, პაულ ლოკვალს ეკუთვნის. აი, როგორ აღწერს იგი 8 კვირის (შეგახსენებთ, რომ ეს ფეხმძიმობის ის ყველაზე „პოპულარული“ ვადაა, რომელზეც აბორტების 90% მოდის) ჩანასახის მოკვდინებას: „მე ხელში ავიღე პლაცენტა და ცხადად დავინახე ყველაზე პაწაწინა ადამიანის სხეული, ვისაც კი ოდესმე კაცის ხელი შეხებია. მამრობითი სქესის მიკროსკოპული არსება სითხეში საკმაოდ სწრაფად და მოხერხებულად დაცურავდა. კანი თითქმის გამჭვირვალე ჰქონდა. პაწია თითებზე კი უწვრილესი ვენებისა და არტერიების გარჩევაც ადვილად შეიძლებოდა. პატარა საკმაოდ აქტიურობდა და წამში ერთ წრესაც არტყამდა. მაგრამ, პლაცენტის გაგლეჯისთანავე მიკროსკოპული ადამიანი სიცოცხლეს გამოესალმა და ჩემთვის ასეთი ნაცნობი და მისი ასაკის ჩანასახისთვის ასეთი დამახასიათებელი ფორმა მიიღო... მომეჩვენა, რომ ზრდასრული ადამიანის სიკვდილი ვნახე...“

P.S. *ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა: „ან გავნათლდეთ, ან გავმრავლდეთ, ხოლო თუ ორივე იქნება, ამას რაღა აჯობებს“. როგორც ჩანს, ქართველებს დღეს განათლების და გამრავლების პრობლემაც ერთნაირად მწვავედ გვიდგას. თუმცა ეს ალბათ, კიდევ ერთი, ცალკე საუბრის თემაა...*

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

მოვერცხლილ-მოვარაყებული სანადირო თოფი ჰქონდა.

19. „ტრი დნია ი ტრი ნოჩი სკაკალ ივან ცარევიჩ, პაკა ნე ატაბრალი სკაკალკუ“, — ჰყვებოდა მიხაილ ზადორნოვი.

20. ყავის სამშობლო ეთიოპიაა. XV-XV საუკუნეებში ყავის კულტურა პირველად არაბეთის ნახევარკუნძულზე დაინერგა და მხოლოდ XV საუკუნეში გავრცელდა ბრაზილიაში, სადაც ახლა ყავის პლანტაციების 50 პროცენტია გაშენებული.

21. ლომი, რომელმაც ერთხელ მაინც იგემა ადამიანის ხორცი, აუცილებლად კაციჭამია ხდება. კაციჭამია ლომები ბევრი აფრიკული ქვეყნის უბედურებად არიან ქცეულნი.

22. ლეონიდ გაიდაის ფილმის „Операция „Ы“ и другие приключения Шурика“-ს მთავარ მოქმედ გმირს, რომლის როლს ალექსანდრ დემიანენკო ასრულებს, სცენარში თავდაპირველად, ვლადიკი ერქვა. ამის გამო ერთმა საბჭოთა მაღალჩინოსანმა რეჟისორს ურჩია, რად გინდათ ასეთი თავის ტკივილი, ლენინს ვლადიმირი ერქვა, რუსეთში უამრავ გავლენიან პირსაც ეს სახელი ჰქვია და უმჯობესია, მთავარ მოქმედ გმირს სხვა სახელი დაარქვათო. ასე გადაიქცა „ვლადიკი“ „შურიკად“. P.S. ფილმის გადაღებისას შავგვრემან ალექსანდრ დემიანენკოს თმა რატომღაც ქერად შეუღებეს.

23. მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი, ზევსის ქანდაკება, ოლიმპიაში მოქანდაკე ფიდიასმა შექმნა. ეს ქმნილება მთლიანად სპილოს ძვლისაგან იყო გაკეთებული. ფიდიასი სპილოს ძვალს ძმარში არბილებდა, ფორმას უცვლიდა და ფირფიტებად ჭრიდა. იგი 7 წელი მუშაობდა ქანდაკების ფრაგმენტებზე — ყველა დეტალი მილიმეტრის სიზუსტით უნდა ყოფილიყო მორგებული ერთმანეთზე. სამუშაოს დასრულების შემდეგ ქანდაკება ნაწილ-ნაწილ შეიტანეს ტაძარში და იქ ააწყვეს.

24. „— ცრემლის წონას თუ მეტყვი? — გააჩნია ვისი ცრემლის. ჭირვეულისა — ნიავზე მსუბუქია, მშიერი ბავშვისა — მთელ დედამიწას აიწონის!“ — წერდა ჯანი როდარი თავის ერთ-ერთ ზღაპარში.

25. ჰიტლერი ვეგეტარიანელი იყო. არ სვამდა, არ ეწეოდა და არც შვილები ჰყავდა. P.S. სტალინი ვეგეტარიანელი არ ყოფილა, კიდეც სვამდა, კიდეც ეწეოდა, არც უშვილობა აწუხებდა და ომიც მოიგო.

ქართველ ქალს საკუთარ სხეულზეც არ აქვს უფლება

საქართველოში ქალისადმი პატივისცემის ტრადიცია უძველესია და ჯერჯერობით ურყევიც. მაგრამ როგორი მდგომარეობაა ქალთა უფლებების დაცვის მხრივ? მიაჩნიათ თუ არა ჩვენს ქალებს, რომ მათი უფლებები ირღვევა? ალბათ, მათი ნაწილი მაინც ამ კითხვაზე დადებით პასუხს გასცემს — სხვაგვარად, არ ჩამოყალიბდებოდა ფემინისტური კლუბი, რომლის პრეზიდენტს ლიკა ნადარაიას ქალთა პრობლემებზე სასაუბროდ შევხვდით.

ლელა ჭანკოტაძე

— რა დაედო საფუძვლად საქართველოში ფემინისტური კლუბის შექმნას?

— ფემინისტური კლუბი 1997 წელს ჩამოვაყალიბეთ. ეს ის პერიოდი იყო, როცა უშიშროების საბჭოში ქალთა წინსვლის კომისია ჩამოყალიბდა. ამ კომისიას რუსუდან ბერიძე ხელმძღვანელობდა. ამას თან დაერთო გაეროს დიდი პროგრამების განხორციელება საქართველოში. ჩატარდა ფორუმი, რომელსაც ესწრებოდა მთელი მაშინდელი ისტებლიშმენტი. მეც მიმიწვიეს. ფორუმი გაიხსნა ასეთი ფრაზით: ჩვენ ფემინისტები არ ვართ, მაგრამ მოდი, ვილაპარაკოთ ქალთა უფლებებზე. ამ ფრაზის გამო, შესვენებაზე რამდენიმე ქალბატონმა, ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი აღშფოთება გავუზიარეთ: ფემინიზმი სათაკილო ცნება ხომ არ გახლავთ! ეს არის პოლიტიკური მოძრაობა ქალის განვითარებისა და მამაკაცთან გათანასწორებისთვის. აი, ასე, ხიზილალის ბუტერბროდების თანხლებით, თანამოაზრეებმა გადავწყვიტეთ, შეგვექმნა ორგანიზაცია და მის სახელწოდებაში სიტყვა „ფემინიზმი“ შეგვეტანა. ეს ჩვენი მხრიდან ერთგვარი გამოწვევა გახლდათ.

— რატომ გახდა ჩვენში მოდური, ქალთა ორგანიზაციების შექმნა?

— საქართველოში ქალთა ორგანიზაციები თითქმის არ არსებობდა. უცბად მათი რიცხვი 120-მდე ავარდა. ამის მიზეზი იყო გაეროს პროგრამების სიმრავლე, რომლის წყალობითაც ფინანსები გაჩნდა. გარდა ამისა, პრესამ და ტელევიზიამ აქტიურად დაიწყეს ქალთა უფლებებზე დისკუსიების გაჩაღება. ამასთან, მაშინდელი დუხჭირი ცხოვრების გამო, ქალი საშოვარზე გამოვიდა, იკისრა ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფის რთული საქმე, ძალზე გააქტიურდა და დაინახა, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე სრულფასოვანი არსებობის შესაძლებლობა არ ჰქონდა — თუნდაც, ბიზნესში ქალს უჭირს წინსვლა. ჩავატარეთ გამოკვლევა იმის დასადგენად, თუ რა ადგილი ეკავათ ქალებს საბანკო ოპერაციებსა და მსხვილმასშტაბიანი სესხების აღების სფეროში. საოცარი რამ დავადგინეთ: თურმე, არც ერთ ქალს სოლიდურ ბიზნესში მყარი ადგილი არ ეკავა.

თუ გინდა, თავი მოაწონო ევროპას, წინა პლანზე უნდა წამოსწიო გენდერული პრობლემები

— თუ შეგიძლიათ მოიყვანოთ, საქართველოში ქალების დისკრიმინაციის ფაქტი?

— ძალიან დიდია ქალთა დასნეულების ფაქტის სიმრავლე. მაღალია სიკვდილიანობა შობადობის დროს. ეს დისკრიმინაციაა, რადგან საბიუჯეტო სახსრები, რომლებიც დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას, ონკოლოგიური დაავადებების პრევენციას უნდა ხმარდებოდეს, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამებზე იხარჯება. ჩვენ, ქალებმა უნდა ვიბრძოლოთ, რომ სასიცოცხლო პირობები გავიუმჯობესოთ, ჩვენი გენოფონდი გადავარჩინოთ. ეს იყო აღნიშნული გაეროს რეკომენდაციებში. ქართველი ქალის დისკრიმინაციაზე მეტყველებს სექსუალური განათლების არქონაც. ფაქტია, რომ ჩვენში ფეხმძიმობისგან თავის არიდების საშუალებად, ძირითადად, აბორტი რჩება. ჩვენი ქალები ამაყად ლაპარაკობენ იმაზე, რომ ცხოვრების მანძილზე 35-45 აბორტი აქვთ გაკეთებული. სექსუალური განათლების ასამაღლებლად გამოყოფილი იყო უზარმაზარი თანხა, რომელიც დღემდე უცნობია, სად გაქრა. გარედან შემოსული თანხებიც ვერ იქნა რაციონალურად გამოყენებული — მაშინ, როცა სახელმწიფო ვალდებულია, თავად გამოყოს თანხა, რათა ქალები არ იყვნენ მოკლებული უმთავრეს უფლებას — სიცოცხლის უფლებას.

ეს დისკრიმინაციაა, რადგან საბიუჯეტო სახსრები, რომლებიც დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას, ონკოლოგიური დაავადებების პრევენციას უნდა ხმარდებოდეს, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამებზე იხარჯება

— დეპუტატი ქალები თუ

უწევენ ფემინისტურ კლუბს დახმარებას?

— თუ ქალი „დეკორატიული“ პოლიტიკოსია, ის გაურბის ზრუნვას გენდერულ ბიუჯეტზე, ქალთა განათლებაზე, დასაქმებაზე, წინსვლაზე და აქედან გამომდინარე, ჩვენი დამხმარე ვერ იქნება.

— რა ითვლება ოჯახში ქალის უფლებების დარღვევად?

— მე არ ვთვლი, რომ ქართულ ოჯახში ქალის უფლებები დაცულია, თუმცა ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე მუსლიმანურ ქვეყნებში. როცა სოფლებში ტრენინგებს ვატარებთ, ქალებს ვეკითხებით ხოლმე, თუ დროის რა ნაწილს ახმარენ საოჯახო საქმიანობას. აღმოჩნდა, რომ 3-4-ჯერ მეტს, ვიდრე მამაკაცები. ეს შრომა არსად აღინუსხება. როცა პენსიაზე გასვლის დრო მოვა, არავინ გაითვალისწინებს იმას, რომ ქალი ოჯახს უვლიდა, შვილებს ზრდიდა და ქვეყანას გენოფონდს უქმნიდა. ეს არის „გადაყრილი“, დაუფასებელი შრომა. არადა, სახელმწიფო ოჯახზე დგას, საქართველოში კი ოჯახის ძირი — ქალია. ჩვენმა ქალმა არაფერი ითაკილა — წავიდა უცხოეთში. აქ რომ ექიმად მუშაობდა, იქ ვიღაცას მოსამსახურედ დაუდგა, ბაზარში დახლთან დადგა, ხელში უზარმაზარი ტვირთი დაიჭირა და ქუჩაში წვრილმანებით ვაჭრობა დაიწყო... მცხეთა-მთიანეთისა და დუშეთის რაიონების აღწერისას აღმოჩნდა, რომ ქალების უმეტესობა საზღვარგარეთ არის წასული. თითოეული მათგანი ხომ თვეში დაახლოებით 500 ევროს გზავნის!.. არც ეს თანხა და ტიტანური შრომა აღირიცხება სადმე. სახელმწიფო ამაზე თვალს ხუჭავს...

ჩვენთან ყველაზე მტკივნეული, სექსუალური საკითხი გახლავთ

— რამდენად იოლია ქალებთან მათსავე უფლებებზე საუბარი? თავად თუ მიაჩნიათ, რომ მათი უფლებები ილახება?

— სოფელში ამ თემაზე საუბარი იოლია. ყველაზე რთულ კატეგორიას საშუალო კეთილდღეობის მქონე ქალები წარმოადგენენ, მათ მეტ-ნაკლებად გარანტირებული აქვთ გარკვეული სტატუსი — მაგალითად, ჰყავს მშრომელი ქმარი, მატერიალურად უზრუნველყოფილია და ამ ყველაფრის დაკარგვის ეშინია. იმ ქალებმა, რომლებიც მამაკაცურ გარემოში ტრიალებენ, იციან — მათ მხოლოდ იმის გამო დაჩაგრავენ, რომ ქალები არიან, რადგან საქართველოში გადაწყვეტილებები პარლამენტში კი არ მიიღება, არამედ სუფრასთან, ასევეა მთელ მსოფლიოში: კლუბებში, გოლფის თამაშის დროს, ქალებს ვერ ნახავთ... განსაკუთრებით აშკარაა უფლებების დარღვევა ქვედა ფენებში, სადაც ქალი დისკრიმინირებულია. მას იმდენი შრომა უწევს, რომ მთელი დღე ვერ ისვენებს.

— რა სირთულეები შეგხვდათ, როცა ფემინისტური კლუბი პირველ ნაბიჯებს დგამდა და როგორი მდგომარეობაა ახლა?

— პროგრესი სერიოზულია. პარლამენტის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი, ქალები არიან, აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველ რგოლებშიც 20% ქალია; ხუთი ელჩიც — ქალია. წლების წინ, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 25%-ს უდრიდა. პოლიტიკაში ქალის მოსვლის საკითხზეც ახლა აღარავინ დაობს. ჩვენი პრეზიდენტი სიტყვას არ იტყვის, „პროქალური“ ფრაზა რომ არ წარმოთქვას, რადგან ეს ძალიან მომგებიანია დასავლეთის თვალში იმიჯის თვალსაზრისით...

— ევროპაში ქალთა უფლებების დაცვის მხრივ უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში?

— ევროპაში ქალთა სოციალური დაცვისთვის უზარმაზარი პროგრამები ხორციელდება. შვედეთში ხელისუფლების 45%-ს ქალები შეადგენენ. მზადდება შესწორება ევროპარლამენტის წესდებაში, რომელიც ითვალისწინებს, რომ ქალების კვოტა გაიზარდოს. თუ გინდა, თავი მოაწონო ევროპას, წინა პლანზე უნდა წამოსწიო გენდერული პრობლემები. ახლახან თურქეთში გახლდით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრაზე. ასეთი ფორუმი საქართველოში შემდეგშიც ჩატარდება, რადგან როცა ვსაუბრობდი იმაზე, თუ რა წინსვლას მიაღწია ჩვენთან ქალთა მოძრაობამ, მუსლიმანური ქვეყნების ფონზე წარმოვჩნდით, როგორც პროგრესული ქვეყანა. არადა, შეიძლება, ქალს თავზე ჩადრი ეხუროს, მაგრამ სულით ფემინისტი იყოს. ბევრი ასეთი ქალი შემხვედრია...

— ქალთა უფლებების დაცვის ისტორიულ ტრადიციებზე რას იტყვით?

— X საუკუნეში, ქალთა დიპლომატიის სკოლები არსებობდა. საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით ფაქიზ მიდგომას მოითხოვდა, ქალები წყვეტდნენ. XX საუკუნეში საქართველო ქალთა სალონების სიმრავლით გამოირჩეოდა. არსებობდა ქალთა პოლიტიკური სალონებიც. ასე რომ, ჩვენი ისტორია მდიდარია პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის მაგალითებით. ჩვენს სახელმწიფოში ქალი ყოველთვის დაფასებული იყო.

— წლების წინ, ქართველი მამაკაცების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ფემინისტი ქალები ბევრ თავისუფლებას მოითხოვდნენ, რაც მამაკაცს შეურაცხყოფდა. ბოლო ხანს შეიცვალა ჩვენი მამაკაცების აზროვნება?

— ნაკლებად. ჩვენთან ყველაზე მტკივნეული, სექსუალური საკითხი გახლავთ. სექსუალურ სფეროში ძალიან კონსერვატიული ქვეყანა ვართ. არადა, როგორ შეიძლება, ვიყო თავისუფალი და სრულფასოვანი ადამიანი, თუ ჩემს საკუთარ სხეულზე არ მაქვს უფლება?!. სანამ ჩვენში ქალიშვილობის ინსტიტუტი მყარად არსებობს, ქალთა უფლებები ცხადია, მასობრივად დარღვეული იქნება. ამასთან, თუ ქალის მხრიდან ქმრის ღალატი ტრაგედიადაა მიჩნეული, რატომ ასევე არ აღიქმება ღალატი მამაკაცის მხრიდან. ბევრ მამაკაცს ჰყავს საყვარელი და მათი ცოლები ამას ეგუებიან, ამბობენ — კაცია და რა ქნასო?!. ეს არის სიმახინჯე. კანონი უზენაესია ორივე სქესისთვის. თუ ფაქიზად ვუდგებით ოჯახის ინსტიტუტს, მაშინ ღალატის დროს ერთნაირად უნდა განვსაჯოთ ქალიც და მამაკაციც.

— ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი ალბათ, ის არის, რომ კვლავ ხშირად ფიქსირდება მამაკაცის მხრიდან ცოლის დაჩაგვრის, შეურაცხყოფისა და ცემის ფაქტიც...

— ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც გამოსცა წიგნი — „ოჯახური ძალადობა დამწყებთათვის“. მაშინაც და ახლაც, ძალადობის ფაქტები მაქსიმალურად ინიღბებოდა. ამ საკითხებს უკვე აღარ ვეხებით. ახლა ვმუშაობთ, პოლიტიკურ ასპარეზზე ქალთა გააქტიურების მიმართულებით. ჩამოვაყალიბეთ კურსები — „პოლიტიკური სკოლა ქალებისთვის“. სულ მალე, გვექნება კურსები — „საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა ქალებისთვის“. ჩვენი მოწოდებაა, რაც შეიძლება კარგი განათლება მივცეთ ქალებს. საქართველოში ქალი მამაკაცზე ათჯერ უფრო ჭკვიანი და მომზადებული უნდა იყოს, სერიოზულ წარმატებას რომ მიაღწიოს.

■

მძიმეწონისანი ჰაყვრიძლი, მიხერხებული "ხორეშანი" და დაყვავებული სიძე

ინგა ჯაყელი

დარეჯანი როგორც შეატყუეს ლუარსაბს, ეს ამბავი ყველას მოგეხსენებათ და მიუხედავად დიდი მწერლისადმი ღრმა პატივისცემისა, მაინც მეგონა, რომ ყოველივე მხოლოდ და მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო... ახლა კი, XX საუკუნის დარეჯანზე უნდა გიამბოთ და მგონია, რომ მე, მით უმეტეს არ დამიჯერებთ — არადა, ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა და არაფერს არ ვიგონებ.

...„ჩემს დარეჯანს" თამარი ჰქვია, თითქმის ჩემი ტოლი გოგოა (იქნება ასე, 25-დან 35 წლამდე), რომლის სიმსუქნე ბევრჯერ გამხდარა ქილიკის საგანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭმელს დაინახავდა: სადამდეც ხელი მიუწვდებოდა, იმ რადიუსში ყველაფერს წუთში მუსრს გაავლებდა და მის გვერდით მჯდომი, ყველა მშიერი რჩებოდა. ამიტომაც ერიდებოდნენ მის სიახლოვეს დაჯდომას და ხშირად მომხდარა, სუფრას მარტოც შერჩენია... როგორი ლხინიც არ უნდა ყოფილიყო, არც ცეკვა აინტერესებდა და არც სიმღერა, მხოლოდ სუფრის მომსახურე ქალების „გოგმანს" ადევნებდა ყურადღებით თვალს და დამშეულივით შეჰყურებდა ხელებში... როცა მგლის მადას დაიოკებდა, უმალ კარგავდა ყველაფრისადმი ინტერესს და შინ წასვლას ჩქარობდა, ეჭვიც არ გვეპარებოდა — დასასვენებელ-დასაძინებლად, რადგან თუ შინ არ გავუშვებდით, ხშირად იქვე, სუფრაზე ჩამოიძინებდა ხოლმე, არც ხმაური უშლიდა ხელს და არც უცხო მზერის რიდი...

ხომ არ გგონიათ, გონებაშეზღუდული გახლდათ ან ღარიბი ოჯახის შვილი?! პირიქით, სკოლასა და ინსტიტუტშიც სანაქებო მოსწავლე იყო, ასპირანტურაც დაამთავრა, მიუხედავად იმისა, რომ ლექციებზე მეტ დროს, ბუფეტებში ატარებდა, შინ მისულს კი, მდიდარი მამიკოს მხოლოდშობილ ასულს, წინასწარ შეკვეთილ საჭმელ-სასმელს ახვედრებდა მოსამსახურე. ჰოდა, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას მიუკაკუნა ჩვენმა თამრომ 100-კილოგრამიან ზღვარს, ინსტიტუტში კი რატომ 120-საც არ გადააჭარბა?!. და თუმცა მამამისის ქონებაზე ბევრს რჩებოდა თვალი, თამროს გაბარიტების შიშით რისკზე ვერავინ მიდიოდა და საპატარძლოს ახლოსაც არ ეკარებოდნენ...

ბოლოს, მამამისმა, ძია სოსომ, არსებულ მზითევს სულ ახალთახალი, ტაოტიანი „მერსედესიც" დაუმატა: რა ექნა, შვილიშვილები უნდოდა კაცს, ეჩქარებოდა მათი დაზრდა-ფეხზე დაყენება...

ცნობილი დიეტოლოგებიც დაუქირავა შვილს, მაგრამ ორი დღის შემდეგ, შიმშილით გულწასული თამროს დანახვაზე, ვერ გაუძლო მის ტანჯვას და მოსასულიერებლად რესტორანში გააქანა საავადმყოფოს ნაცვლად...

სხვა გზა არ ჰქონდა და ცნობილ „ხანუმას" მიაკითხა კაცმა: ოღონდ გოგო გამათხოვებინე და ქალაქის ცენტრში შენს საოცნებო ბინას გიყიდიო! — უთხრა.

დატრიალდა, მაგრამ რა დატრიალდა „ხორეშანი"! ფრთები გამოისხა, ენად გაიკრიფა, საცოლე ბიჭებს რას აღარ დაჰპირდა... ისინიც კრავებივით მოსდევდნენ უკან, მაგრამ თამროს დანახვაზე ყველაფერი ავიწყდებოდათ და თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ. ერთმა ისიც თქვა საყვედურად: მთის ქვეშ თუ მოვიჭყლიტე, ქონებას რაღა თავში ვიხლიო?!.

სხვა გზა არ იყო და ბინის დაკარგვით შეშინებულმა, გამწარებულმა „ხორეშანმა", სოსოს შესთავაზა, ტყუილით და ხრიკებით შემოეტყუებინათ სასიძო: მეტი გზა არ გვაქვს, სხვა გოგო უნდა ვანახვოთ, თამრო კი ქორწილში შევაჩეროთო!..

იწყინა კაცმა, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ ვერიპოვა...

თავის პირად მდივანს სთხოვა დახმარება. ანას მთლად კისრიდან არ ეწყებოდა ფეხები და მწყერივით ჩაპუტკუნებულიც იყო, მაგრამ თუ ასეთი ქალის შერთვაზე დაითანხმებდნენ ბიჭს, თამროს წონა ნაკლებად შოკის მომგვრელი იქნებოდა მისთვის...

ქალაქში მაინც ვერავინ „გააბრიყვეს" და „ხორეშანმა" ზესტაფონში მიაგნო ერთ ჯიბეგაფხეკილ „ნაინჟინრალს", რომელიც ქალის გადანახულებაზე მარტო ჩამოვიდა ქალაქში სარეისო ავტობუსით, ერთი ნათესავიც ვერ იახლა, გზის ფულს ვერ გადაუხდიდა და იმიტომ...

ანახვეს ანა და... დაითანხმეს! სუფრაც გაიშალა, მაგრამ აჩქარდა ბიჭი: ავტობუსი გამასწრებს, ქალაქში კი არავინ მყავს, ღამეს ვერსად გავათევო! — თქვა ალალად.

ცრემლი მოადგა ძია სოსოს თვალზე: ბიჭო, მამობას გიპირებ და ქუჩაში დასარჩენი რა გჭირს, ეს სასახლე შენი არ იქნებაო?! — ჩაიკრა გულში დაბნეული ვასიკო და... ქეიფიც გაჩაღდა. აძალებდა და აძალებდა ბანგმორეულ ღვინოს სასიძოს, ისიც სვამდა და...

...დილით თვალი რომ გაახილა, ვერც იმას მიხვდა, სად იყო და ვერც იმას, რატომ ზანზარებდა საწოლი მთასავით ძონძროხა „კაცის" ხვრინვაზე, რომელიც მის გვერდით იწვა რატომღაც...

ე-ეჰ, ნეტავი კაცი ყოფილიყო! ქალი აღმოჩნდა, რომელმაც მორცხვად გაუღიმა და ჰკითხა: რას ინებებ, ჩემო საყვარელო ქმარუკაო?..

ჯერ ისევ სიზმარში ეგონა თავი და იდიოტივით გაეცინა, მაგრამ ბარძაყზე რომ იჩქმიტა და ეტკინა, დამდუღრულივით წამოხტა: რა ქმარი, რის ცოლიო!!! — შარვალს დაუწყო ძებნა და სირენასავით მოაღო პირი თამრომ: მიშველეთ, გამაუპატიურაო!..

ბევრი ამტკიცა — აფერი მიკადრებია მსგავსი, გამიშვით ჩემს გზაზეო! — მაგრამ, სად გაუვიდა, ძია სოსოს მოსყიდულმა პოლიციელებმა და ექსპერტებმა ხელად დაუდგინეს ქალზე „ძალადობა" და არჩევანიც „დაუყენეს": ან ქორწილი, ან ციხეო!

...გაიმართა ქორწილი და მეც ვიყავი მაყრებში. თამრო არც პატარძლობისას ყოფილა მადადაკარგული და არც ქმრის კრიჭაშეკრულობა შეუმჩნევია, რომელთანაც სტუმრები მილოცვის ნაცვლად, სამძიმრის სათქმელად უფრო მიდიოდნენ, მერე კი, დიდხანს ჭორაობდნენ, განზე გამდგრები: საწყალი ვასიკო, მიაგნებდეს მაინც „ჩიტის ბუდეს" ამოდენა მთაზეო!..

ეს ქორწილი ორი წლის წინ იყო. ახლა თამროს და ვასიკოს ტყუპი ბიჭი ჰყავთ და კაცი ამისათვისაც მადლობას სწირავს ღმერთს: კიდევ კარგი, გოგოები არ გაჩნდნენ, თორემ რა გაათხოვებდათო?!. — და სიყვარულით უცქერს პატარა გოლიათებს, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ ბაჯბაჯით და ორივეს ერთად ხელში დაჭერას კარგა ხანია, ვეღარ ახერხებს ბედნიერი მამა...

■

რამდენი სათითე ათრობს ვასო ფხაკაძეს...

ვასო ფხაკაძესთან თამადობასა და ქართულ სუფრაზე საუბროდ მისულს, იმედი გამიცრუვდა: ის თურმე, მაინცდამაინც დიდი მსმელი არ ყოფილა. როგორც მითხრა, სიამოვნებით მიირთმევს ერთ-ორ ჭიქა ღვინოს მდინარის ნაპირას და ნადირობის შემდეგ — როცა თითო-ოროლა მწყრის მოკვლის შემდეგ ისვენებს ხოლმე... არ უყვარს, სასმელს რომ აძალებენ, ამის გამო ერთხელ, თანამესუფრეც კი გაულახავს. თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ვასოს სიმთვრალეში ცუდი ხასიათი აქვს.

ნინო ჯავახიშვილი

— ვისაც არ უნდა ჰკითხო, ყველა გეტყვის — ვასო არ სვამსო. არადა, რატომღაც ყველას ჰგონია, რომ მაგარი მსმელი ვარ. დათრობამდე იშვიათად ვსვამ, იმიტომ კი არა, რომ ცუდი სიმთვრალე მაქვს — უბრალოდ, ზომიერება მიყვარს ყველაფერში. თანაც, დალევის პროცესი არ მსიამოვნებს. მე ყოველთვის ორ ჭიქაზე ვჩერდები ხოლმე, სხვები კი აგრძელებენ ქეიფს და სმას. განა ვერ ვსვამ, არ ეგონოს ვინმეს, დალევა არ შემიძლია — დალევით იმდენს დავლევ, რამდენიც მინდა, მაგრამ არ მინდა და...

— ალბათ, შენი მეორე ნახევარი ძალიან ბედნიერი იქნება ამის გამო. თაყვანისმცემლის რაოდენობის გაზრდა შენ ამის შემდეგ ნახე!..

— *(იცინის)* ალბათ, ასე იქნება. რა მოხდა მერე? სულაც არ ვარ ამის წინააღმდეგი. სხვათა შორის, იყო დრო, როცა ხშირად მიწევდა სმა. ეს იყო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში. რა უნდა გვეკეთებინა? უსაქმურად ვიყავით, ვიყიდდით ჭაჭას, მისაყოლებელს და... პირველად რაჭაში, ბაბუაჩემის მარანში შევიპარე და ორი ჭიქა „ხვანჭკარა“ დავლიე. მაშინ ალბათ, 8-9 წლის ვიქნებოდი. მახსოვს, ძალიან ცუდად ვიყავი, ყველაფერი ტრიალებდა — თავბრუ მეხვეოდა... ძალიან დავთვერი და ვინ გამიბედავდა რამის თქმას? ისე, საქეიფოდ ღვინო ჯობს, ოღონდ კახური — არა: 3 ჭიქას რომ დალევ, უკვე მთვრალი ხარ. არც ძალიან წყალწყალა ღვინო ვარგა. ყველას რაჭული სჯობს. ხასიათზე მოსაყვანად ერთი-ორი ჭიქა კონიაკიც კარგია. მაგრამ სიმართლე გითხრა, სასმლის გარეშეც მშვენივრად შემიძლია სუფრაზე მოვილხინო და კარგი დრო ვატარო.

— თამადობაც არ გიყვარს?

— მიუხედავად იმისა, რომ არ ვსვამ, თამადობა მაინც მიწევს ხოლმე. ერთმა ჩემმა მეგობარმა ცოლი რომ მოიყვანა, ასე, 50-კაციანი სუფრა გაშალა, სულ ახალგაზრდები ვიყავით. რატომღაც მე ამირჩია თამადად. ალბათ, იფიქრა — გაგვამხიარულებსო... თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, არ ვარ დიქტატორი თამადა და თავიდანვე ვაცხადებ ხოლმე — მოდი, ყველამ ჩვენ-ჩვენი ვთქვათ-მეთქი. მოკლედ, „ბიძები“ შემოგვესწრნენ სუფრაზე და იქ სმა დაიწყო!.. უკვე აღარაფერი მახსოვდა... იმდენად ცუდად ვიყავი, თამადობა ჩემი ნებით გადავულოცე სხვას. თანაც, როცა თამადა ხარ, ხომ არ მოიპარავ სასმელს! ბოლომდე გამეტებულად უნდა სვა.

— სიმთვრალეში თუ გიჩხუბია?

— თუ ვინმე არ ამიშარდა, არ არსებობს, მთვრალმა პირველმა მე დავიწყო ჩხუბი, მაგრამ თუ ვინმე ამიშარდა — მტრისას, ცუდად არის მისი საქმე. გალახვა არ ასცდება. ამიტომაც მიყვარს მეგობრების წრეში დალევა — ვიცი, ვის როგორი სიმთვრალე აქვს.

— როცა მეგობრების წრეში ქეიფობ, რაიმე გამორჩეული საღლეგრძელოები თუ გაქვს?

— არ მიყვარს, ზოგმა სიტყვით გამოსვლა რომ იცის და აქებს და ადიდებს სამშობლოს — ასე მიყვარს და ისე მიყვარსო. არავისზე ნაკლებად არ მიყვარს საქართველო, მაგრამ მოდისა და აუცილებლობის გამო, ასე არასდროს ვიტყვი. რა თქმა უნდა, ვაფასებ ქართულ სუფრასაც, ოღონდ — ზომიერება მიყვარს. ღრეობა ქართულ სუფრას არ შეშვენის. ქართულ სუფრას ცეკვა და სიმღერა უხდება. მე 18 წელი ვცეკვავდი და ახლობლების ქორწილებში ყველა მთხოვს — იცეკვე, იცეკვეო... გოგოებიც ჩემთან მოდიან და საცეკვაოდ მიწვევენ ხოლმე. რაც შეეხება ორიგინალურ სადღეგრძელოებს — ალეკო მალხაზიშვილს უყვარს. როცა ვქეიფობთ, უცნაურ სადღეგრძელოებს ამბობს ხოლმე. ერთხელ, საქართველოს ნოტარიუსების სადღეგრძელო დაგვალევინა, ერთხელ — ცერა თითის...

თუ გასცდები ათს, თავი მომჭერი!.. ეგრევე თავში „ურტყამს“. აი, სცადე და თუ არ დაგათროს, ნახავ...

ჩვენს საუბარს „გამღვიძებელი“ **ნიკა გრიგოლიაც** *შეესწრო და შემოგვიერთდა:*

— გასულ კვირას ბაიკერები „ალავერდობაზე“ ვიყავით წასული. თამადა ვინ იქნებაო? — ერთი საათი ეხვეწებოდნენ ერთმანეთს. ხომ იცი, თავის დაფასება რომ იციან ხოლმე. ბოლოს, მე გამოვიჩინე ინიციატივა — მე ვიქნები თამადა-მეთქი. დამთანხმდნენ. ბაიკერების სადღეგრძელო რომ დავლიე, კინაღამ მომკლეს — ალავერდში ხარ, რა დროს ბაიკერებიაო?!. მაგრამ საერთო ჯამში კახელებს მაინც მოვეწონე, ყველა მეპატიჟებოდა — არა, ჩემთან წამოდი, არა — ჩემთანო.

— ვასო, სიმთვრალეში ცუდად თუ მოქცეულხარ ოდესმე?

— ერთხელ ვიღაცის დაბადების დღეზე მაგიდაზე ავედით და ვიცეკვეთ, თეფშები დავამტვრიეთ, ასეთი მუღამი გვქონდა. ოჯახის უფროსმა დაიწყო პირველმა და ამან წაგვაქეზა.

— განსხვავებული სასმისით თუ დაგილევია?

— დამილევია, როგორ არა. ყველაზე მაგარი ის იყო, შპრიციდან რომ დავლიე. ვეტექიმებში ვქეიფობდით, ერთი დიდი შპრიცი გვქონდა შემონახული, რა თქმა უნდა — სუფთა. საშინელი დასალევია, ცუდად გავხდი. სხვათა შორის, სათითიდანაც დამილევია და დავმთვრალვარ კიდეც.

— კარგი ახლა, სათითე როგორ გათრობს?!

— აბა, დალიე კონიაკი სათითით! თუ გასცდები ათს, თავი მომჭერი!.. ეგრევე თავში „ურტყამს“. აი, სცადე და თუ არ დაგათროს, ნახავ... ერთხელ, ერთი ბოთლი კონიაკი რამდენიმე კაცმა სათითით დავლიეთ და მაგრად მოგვეკიდა... ■

„მე სხვა სივრცე მჭირდება...“

ეკა კვალიაშვილი ჰოლივუდი მიდის

მომღერალი ეკა კვალიაშვილი სულ მალე, ჰოლივუდის მცხოვრებთა გულებსაც დაიპყრობს: ზამთარში ის აშშ-ში იქნება და ახალ ჰოლივუდურ ფილმშიც გადაიღებენ... ვიდრე მომღერალი საზღვრებს გასცდენია და მასთან ინტერვიუ შეუძლებელი გამხდარა, მას სასაუბროდ შინ ვეწვიეთ. რა სილამაზის საიდუმლოებას ფლობს, რა ხდება მის პირად ცხოვრებაში და რას ფიქრობს მასზე გავრცელებულ უამრავ ჭორზე — ყველაფერ ამაზე თავად ეკა გვესაუბრება.

ნათია ქივიძე

— როგორც ვიცი, სულ მალე, ჰოლივუდში მიემგზავრებით. გვიამბეთ ამის შესახებ.

— მართალია, საკმაოდ სერიოზული გეგმები მაქვს. ზამთარში ჰოლივუდში გავემგზავრები, სადაც ვიზრუნებ ჩემს კარიერაზე და მონაწილეობას მივიღებ იქაურ ფილმში, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს შევასრულებ. ამერიკელები რატომღაც მომღერალ ქალს საქართველოში ეძებდნენ. ჩემი სიმღერა მოეწონათ, დამირეკეს და მითხრეს, ფილმში უნდა გადაგიღოთო. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ძალიან მოულოდნელი, მაგრამ ამასთანავე სასიამოვნო, ნამდვილი ღვთის წყალობა იყო.

— ფილმის შესახებ რაიმეს ხომ ვერ მომიყვებით?

— ამის თქმის უფლება ნამდვილად არ მაქვს. მათ თავიანთი კანონები აქვთ და მთხოვეს, რომ კერძო საუბარშიც კი არაფერი მეთქვა ამ ფილმის შესახებ. იმიტომ კი არ ვარ ჩუმად, რომ რაღაცებს ვმალავ, უბრალოდ, ამის უფლება არ მაქვს.

— როგორი განწყობილებით მიდიხართ?

— ერთი სული მაქვს, როდის წავალ. მართალია, საქართველო ჩემთვის ყველაზე საყვარელი ქვეყანაა და როცა საზღვარგარეთ ვარ, ყოველთვის ნოსტალგია მაწუხებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ალბათ, ამ ნოსტალგიას საქმე გადამატანინებს. ნოსტალგია რომ არ მქონოდა, საქართველოს აქამდეც დავტოვებდი.

— შვილიც თან მიგყავთ?

— რა თქმა უნდა. ბავშვს აქ ვერ დავტოვებ, რადგან ჩემი შვილი ჩემი შვილია.

— ინგლისური კარგად იცით?

— ძალიან კარგად ვიცი ინგლისური. როგორც კი საზღვარგარეთ ჩავდივარ და აეროპორტში ფეხს დავადგამ, მაშინვე ყველაფერი მახსენდება. უცხო ენას არაჩვეულებრივი პედაგოგი მასწავლიდა, რომელთანაც 1990 წლიდან ვემზადებოდი. საქართველოში როცა ვარ, ინგლისურად ლაპარაკი საერთოდ არ მიწევს, მაგრამ როცა მჭირდება, მაშინვე ყველაფერი მახსენდება და საუბრის პრობლემა არ მაქვს. სიმღერის ტექსტები და ლექსებიც კი მაქვს ინგლისურად დაწერილი.

— იმის გამო, რომ ძალიან ნოსტალგიური ხართ, იქ ისეთი ცხოვრებაა, ალბათ, აუცილებლად მოგენატრებათ ყველაფერი ქართული, თუნდაც — ღვინო...

— რა თქმა უნდა, მომენატრება, მაგრამ ახლა ამაზე არ ვფიქრობ, რადგან აქ ყველაფერი მომბეზრდა და მომწყინდა. ვერ ვიტან ერთფეროვნებას, მირჩევნია, საქმეში ვიყო ჩაფლული, თუნდაც ოკეანის იქით. აღარ მინდა, ეს ერთი და იგივე „პეიზაჟი“. საინტერესო ცხოვრებით მინდა ვიცხოვრო. ალბათ იმისთვის არ ვარ დაბადებული, რომ დილის 9 საათზე სამსახურში წავიდე, 6-ზე შინ დავბრუნდე, სახლი დავალაგო, სარეცხი გავრეცხო და მეორე დღეს იგივე გამეორდეს. ასე რომ ვცხოვრობდე, ჭკუიდან შევიშლებოდი. მე ხელოვანი და შემოქმედი ადამიანი ვარ. აბსოლუტურად სხვა სივრცე და პირობები მჭირდება. სადღაც იქით გადავარდნილი უნდა ვიყო, რასაც ხელოვნება ჰქვია და სულ არ უნდა ვფიქრობდე რაღაც ყოფით საკითხებზე. საქართველოში ძალაუნებურად გიწევს ამ ყველაფერზე ფიქრი და შემოქმედებისთვის ნაკლები დრო გრჩება. აქედან გამომდინარე, ყველაფერი ქართული მომენატრება, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი არ მინდა...

— რადგან ქართულ ტრადიციებს შევეხეთ, თავად შევესწარი ერთ-ერთ სუფრასთან, რომ არაჩვეულებრივი თამადა ყოფილხართ...

— ნამდვილად არ ვიცოდი, თუ კარგი თამადა ვიყავი. ჯერ შემთხვევა არ მქონია, რომ ვინმეს პერსონალურად მე დავენიშნე თამადად. მაგრამ მოგვიანებით, „ვოუები“ ამიღია ხელში და თამადისთვის თამადობა ჩამომირთმევია... საერთოდ, მიყვარს მჭევრმეტყველება. როცა ადამიანის აზროვნება და მეტყველება ერთმანეთს ემთხვევა და თავისუფლად გადმოსცემს იმას, რასაც ფიქრობს, ეს ძალზე კარგია. თუმცა, ამის განწყობილებაზე ყოველთვის არ ვარ. თუ ჩემ გარშემო ძალზე ახლობელი და საყვარელი ადამიანები არიან, მხოლოდ მაშინ ვაძლევ თავს ამის უფლებას. ვფიქრობ, რომ თამადობა ქალის საქმე ნამდვილად არ არის.

— მე ვფიქრობ, რომ ეს იშვიათი მოვლენაა და როცა ქალი კარგი თამადაა, მამაკაცებს ეს მოსწონთ კიდეც...

— ნამდვილად ვერ გეტყვი, მამაკაცებს რამდენად მოსწონთ, როცა ქალი აქტიურია და მამაკაცის ფუნქციებში იჭრება, თუმცა, მე შენიშვნა ამის შესახებ არასოდეს მიმიღია. ქალს რომ არ შეეფერება, ისე ნამდვილად არ მოვიქცევი...

— ქართული სუფრა გირჩევნიათ თუ ა-ლა-ფურშეტს ანიჭებთ უპირატესობას?

— ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. ზოგჯერ ა-ლა-ფურშეტი მირჩევნია. მაგრამ მე, როგორც ტრადიციული ოჯახის წარმომადგენელი და ამ ტრადიციებზე აღზრდილი ადამიანი, უპირატესობას მაინც ქართულ სუფრას ვანიჭებ. თუმცა, ხანდახან შეიძლება, ერთი და იგივე სიტუაცია მოგბეზრდეს. ა-ლა-ფურშეტს თავისებური ხიბლიც აქვს, მაგრამ ბოლოს, მაინც ყველა სკამს ეძებს ხოლმე, რადგან ეს ქართულ მენტალიტეტში არ ზის. საქმიანი შეხვედრებისთვის ა-ლა-ფურშეტი ჯობია. ქართული სუფრა მაინც უფრო შემეცნებითია, თუ რა თქმა უნდა, ვინმეს სასმელი ზედმეტი არ მოუვა, არ დათვრება, სუფრას არ აურევს და ყველას ყველაფერს არ ჩააშხამებს. იქ, სადაც მაღალი ინტელექტის ადამიანები იკრიბებიან, ბევრი ჭკვიანური რაღაცის გაგება და სწავლაა შესაძლებელი. დროსაც უფრო აზრიანად გაატარებ.

— როგორც ვიცი, სუფრასთან

კარგად ილხენთ და სულ მღერით. ცეკვა თუ გეხერხებათ?

— სიმღერა მთელი ცხოვრებაა, მინდა და სულ ვმღერი, ამის პრობლემა არ მაქვს. ცეკვით დიდად ვერ გამოვირჩევი. ძალიან მიყვარს ადგილზე ცეკვა. ფეხზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვდგები და ვცეკვავ, როცა სუფრას ძალიან ახლობლები ამშვენებენ. მაინცდამაინც კარგი მოცეკვავე არ ვარ, რომ ფეხზე ავდგე, ხელი გავშალო და ჩამოვუარო...

— მოდი, თქვენს შემოქმედებას დავუბრუნდეთ. წასვლამდე, რაიმე ახალ სიმღერას თუ მოამზადებთ, ქართველ მსმენელს რომ დაუტოვოთ?

— რა თქმა უნდა. ვწერ ახალ სიმღერას, რომელიც უკვე თითქმის დასრულებულია. წასვლამდე ამ სიმღერაზე კლიპის გადაღებასაც მოვასწრებ. ეს ჩემი საკუთარი მუსიკა და საკუთარი ლექსია. ახლა უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ლექსი. აქამდე, ჩემი სიტყვებით შედგენილ რაღაც პოეზიის „ნაგლეჯზე“ ვამბობდი — ტექსტია-მეთქი, — ახლა კი აღვნიშნავ, რომ ეს ლექსია. ამ სიმღერას როცა მოისმენთ, ამაში თავადაც დარწმუნდებით. ასე ხდება ცხოვრებაში, რომ შეიძლება, არაპოეტმა ადამიანმა ლექსი დაწეროს ან არაკომპოზიტორმა — მუსიკა.

— საუბრის თემა შევცვალოთ და მითხარით, როგორ ახერხებთ, რომ ყოველთვის ასე ლამაზად და კარგად გამოიყურებით?

— დღეს როგორსაც მიყურებ, ეს სულ ჩემი ნახელავია — გარეთ საერთოდ არ გავსულვარ და აბსოლუტურად თვითონ მოვუარე საკუთარ თავს. სახის კრემებს თითქმის არ ვხმარობ, რადგან ჯერჯერობით არ მჭირდება. ისე, თუ რაიმე კრემს გამოვიყენებ, აუცილებლად სახლში დამზადებული უნდა იყოს. მხოლოდ თვალის ქვეშ, სადაც ნაზი კანია, უნდა მიაშველო რაღაც, რომ არ გამოშრეს და ამის შედეგად, ნაოჭები არ გაჩნდეს. რაც შეეხება ტანს — ამწუთას არც ვვარჯიშობ და არც არაფერს ვაკეთებ ფიგურის შესანარჩუნებლად. თუმცა, წასვლამდე მინდა, რომ ერთ დილას კუს ტბაზე ძუნძულით ვირბინო და მეორე დილით აუზში ვიცურაო. ეს ყველაფერი არაჩვეულებრივად ალამაზებს და კარგი კუნთების მოყვანილობას აძლევს ტანს. მასაჟებსაც ხშირად ვიკეთებ.

— როგორც ვიცი, საკუთარ პროფესიონალურ გამოცდილებას სხვებსაც უზიარებთ — გყავთ მოსწავლეები, რომლებსაც სიმღერას ასწავლით...

— მართალია. ვიდრე წავალ, მოსწავლეები სულ მეყოლება, რადგან არ შეიძლება, რომ შენთვის ჩაკეტილი იყო, მხოლოდ შენ იცოდე რაღაც და სხვას არ გაუზიარო. თუ გული შეგტკივა მომავალზე და გინდა, რომ ნიჭიერი თაობა წამოვიდეს, მას უნდა დაეხმარო და სწორი მიმართულება მისცე. არ შეიძლება, ბავშვმა სიმღერა პირდაპირ სცენით და კლიპებით დაიწყოს. იმდენი საიდუმლო აქვს სიმღერას და ხმას, რომ ამას სწავლა და სწორი მიმართულების მიცემა უნდა, თორემ, ერთ სიმღერას ვიდრე ბოლომდე ჩაამღერებს, შეიძლება, გული გაუჩერდეს და მეორე სიმღერის შესრულებაზე ლაპარაკიც აღარ იყოს, არათუ მთელი სოლო კონცერტის ჩატარებაზე.

— თუ ბავშვს სმენა არ აქვს, მაგრამ დაჟინებით მოითხოვს, რომ სიმღერა ასწავლოთ, ასეთებს იღებთ თუ უარს ეუბნებით მასწავლებლობაზე?

— თუ თავს მოიკლავს და შემეხვეწება, რა თქმა უნდა, შევეცდები, რომ მისგან რაღაც გამოვიყვანო. ადრე მქონდა ასეთი შემთხვევა და ცოტა რაღაცას მივაღწიე. მერე, საბედნიეროდ, თვითონვე მიხვდა, რომ სიმღერა მისი საქმე არ იყო და წავიდა. ახლა ძალიან კარგი ბავშვები მყავს. ყოველ შემთხვევაში, მათ რაღაც პერსპექტივა ნამდვილად აქვთ. თუმცა, ახლა ისეთი დროა, უსმენო ბავშვებიც რომ მოვიდნენ, პრობლემა არ არის: კომპიუტერი მაინც ყველაფერს გააკეთებს. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ შრომისა და წვალების გარეშე, მიღწეული წარმატება აუცილებლად დროებითია.

— ახლა თქვენი პირადი ცხოვრების შესახებაც გვითხარით ორიოდე სიტყვა.

— პირად ცხოვრებაში აბსოლუტურად არაფერი ხდება და კარგა ხანს არც მოხდება, რადგან გეგმაში არ მაქვს...

— პირად ცხოვრებას წინასწარ გეგმავთ ხოლმე?..

— არა, წინასწარ არ ვგეგმავ. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ არ მაქვს მიზნად დასახული, რომ ჩემი პირადი ცხოვრება უნდა ავაწყო, ვიღაცას ვეძებ და ველი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე

გავრცელებული უამრავი სულელური ჭორი დადის, ჩემს პირად ცხოვრებაში არაფერი ხდება, რადგან მე ასე მინდა. ახლა ჩემს კარიერასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი საქმე მაქვს, პირადი ცხოვრება კი ამ ყველაფერს ყოველთვის ხელს უშლის.

— თუმცა მახსოვს, ადრე ამბობდით — თუ პირადი ცხოვრება აწყობილი მაქვს, თავს კარგად ვგრძნობ და ეს კარიერაშიც მეხმარებაო...

— კარიერაში არავინ დამხმარებია...

— მე ადამიანი არ მიგულისხმია.

— როცა ვიღაცას ეპრანჭები, ეს სასიამოვნოცაა... ამწუთას, მხოლოდ საკუთარ თავს ვეპრანჭები სარკეში. სულ იმაზე ვფიქრობ, თავს მოვუარო, რომ სცენაზე კარგად გამოვჩნდე და ხმას მოვუარო. ასევე ყველაზე მთავარი ამ ეტაპზე ჩემთვის, საკუთარ კარიერასთან ერთად, ჩემი შვილია, რომელიც მინდა, რომ ყველანაირად უზრუნველყოფილი იყოს: მივცე კარგი განათლება და ის ყველაფერი, რაც კი შეიძლება, რომ შვილს დედამ მისცეს. ასე რომ, ყველანაირი პირადი ცხოვრება ჩემთვის ზედმეტია.

— რადგან ჭორები ახსენეთ, იქნებ მითხრათ, რა რეაქცია გაქვთ თქვენ შესახებ გავრცელებულ ჭორებზე?

— თუ მეტი საქმე არ აქვთ, შეუძლიათ, რამდენიც უნდათ, იმდენი იჭორაონ, საერთოდ არ მაინტერესებს. თუ საზოგადოებას ჩემ შესახებ რაიმე აინტერესებს, თქვენი საშუალებით შემიძლია მათ ყველაფერზე გავცე პასუხი და სიმართლე ვუთხრა. თბილისი ისეთი ქალაქია, რომელიც ჭორის გარეშე წარმოუდგენელია. მე თვითონ ჭორიკანა არ ვარ, არავის შევუვარდები სახლში, არ გამოვიტან ამბავს გარეთ და არ ვიჭორავებ. ვინც უსაქმურია, საკუთარი ცხოვრება არ გააჩნია — ალბათ, ასეთი ხალხი ჭორაობს. ღმერთმა ყველას თავისი გზით გაუმარჯვოს!..

■

10 ყველაზე მოდური დიაგნოზი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

„საუკუნის დაავადებათა“ სამკურნალო უამრავი საშუალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დროა, ყველა ჩვენგანს დაესვას დიაგნოზი, რომელი? — ნებისმიერი, ქვემოთ მოცემული სიიდან!

№1. სალამი მალარიოლებისაგან

როგორც კი ბიოაქტიური დანამატების გამავრცელებლები მიხვდნენ, რომ „წიდებით დაბინძურება“ სარფიანი დიაგნოზი შეიძლებოდა ყოფილიყო, დაიწყო ორგანიზმის გაწმენდის ბუმი.

სინამდვილეში, დაწიდიანება სამედიცინო კი არა, სამრეწველო ტერმინია. ეს იგივე გადატვირთული ნაწლავია: როდესაც ადამიანი ბევრს ჭამს და ცოტა სითხეს იღებს, ანდა პირიქით — გახდომის მიზნით, ცოტას ჭამს და მხოლოდ კოქტეილებს იღებს, მას შეიძლება ყაბზობა განუვითარდეს, ამის შედეგად კი სისუსტე და თავის ტკივილი აწუხებდეს. მაგრამ ყაბზობა ხომ პრიმიტიული დიაგნოზია, „დაწიდიანება“ კი — თანამედროვედ, არისტოკრატულად ჟღერს...

როგორ მოვიქცეთ. უმრავლეს შემთხვევაში საკმარისია, ნაწლავის გაწმენდა საფაღარათო საშუალებით. კარგ შედეგს იძლევა განტვირთვის დღეებიც — კვირაში ერთი დღე უნდა იკვებოთ ვაშლით, მაწვნით ან დამბალი ბრინჯით. რაც შეეხება გამწმენდ პრეპარატებს, მათი მიღება შეიძლება, მაგრამ არა რეგულარულად და ხანგრძლივად, თორემ, საკუთარ ჯანმრთელობას ავნებთ.

№2. ყველამ თავი დამანებეთ!

ჩვენ ხშირად ვამბობთ: „დეპრესიაში ვარ!“ და ვგულისხმობთ: „ყველამ თავი დამანებეთ!“ ამ დიაგნოზს მეტისმეტად აფასებენ თანამედროვე ქალბატონები და ბატონებიც კი. იოლია, დეპრესიას მიაწერო ცუდი განწყობილება, სტრესი და... ჩვეულებრივი სიზარმაცე!

სინამდვილეში, დეპრესია მხოლოდ ემოციური მდგომარეობა როდია. ეს სერიოზული დაავადებაა და რეალურად, შემთხვევათა 3-5%-ში გვხვდება. ჩვეულებრივ, დეპრესიას, დიეტის მიუხედავად, თან ახლავს წონის მნიშვნელოვანი მატება ან კლება; მადის მატება ან კლება. აპათია, ძილის დარღვევა, მოძრაობის შეკავება ან, პირიქით, აგზნება. ხშირად აღინიშნება ზურგის ტკივილი და წნევის ცვალებადობაც. ავადმყოფს აქვს უსუსურობის, დანაშაულის განცდა.

როგორ მოვიქცეთ. თუ აღნიშნულ სიმპტომთა უმრავლესობა 2 კვირის განმავლობაში მაინც გაქვთ, ექიმს უნდა მიმართოთ. მაგრამ მანამდე, საკუთარი სულიერი მდგომარეობის „სიმძიმის ხარისხი“ უნდა შეაფასოთ. ზოგჯერ საკ-



მარისია, უბრალოდ, დადებითი ემოციების მიღება ან გარემოების შეცვლა, რომ მოჩვენებითი დეპრესიაც უკვალოდ ქრება. ჭეშმარიტ დაავადებას კი, პრეპარატებით მკურნალობა სჭირდება.

№3. მტანჯველი ტუბილი ცხოვრება

ჰიპოგლიკემია, ჭამაში თავშეუკავებლობისა და ტკბილეულისადმი სწრაფვის ძალზე მოსახერხებელი თავის გასამართლებელი საშუალებაა. „აუცილებლად უნდა ვჭამო ტკბილი, თორემ ცუდად ვაზროვნებ“, — ამბობს სოლიდური ქალბატონი, რომელიც შოკოლადის მეორე ფილას ხსნის...

სინამდვილეში, ჰიპოგლიკემია, სისხლში გლუკოზის ისეთ დონეზე დაქვეითებისას ვითარდება, რომლის მიღწევა სამდღიანი შიმშილობითაც კი ძნელია. მისი პროვოცირება ხდება ძლიერმოქმედი წამლებით, ენდოკრინული, ონკოლოგიური და სხვა პათოლოგიებით და არა რაციონიდან ტკბილეულის გამორიცხვით.

როგორ მოვიქცეთ. თუ ეჭვი გეპარებათ, მიმართეთ ენდოკრინოლოგს, თუ არა და, საკუთარი კვებითი მისწრაფებების გამართლება მოდური სიტყვით საჭირო არ არის.

№4. მადა თუ ბულიმია?

საკუთარ ტანადობაზე მეტისმეტად მზრუნველი გოგონები ხშირად, ბულიმიად მიიჩნევენ ჩვეულებრივ მადას. თუ ადამიანი აქტიურად მუშაობს (ფიზიკურად ან გონებრივად), მას აქვს ბუნებრივი და ნორმალური შიმშილის გრძნობა. ახალგაზრდა ორგანიზმი განსაკუთრებულად ითხოვს ჭამას.

სინამდვილეში, ბულიმია სერიოზული ფსიქიკური მოშლილობაა, რომელიც საკმაოდ იშვიათად (0,01%-ში) გვხვდება. ადამიანი კარგავს დანაყრების შეგრძნებას, ზოგჯერ იმ დონემდეც, რომ გაუგებარია, როგორ შეუძლია ამდენი საკვების მიღება.

როგორ მოვიქცეთ. ჭეშმარიტი ბულიმიის გარჩევა ცრუსაგან შესაძლებელია ერთი მარტივი ექსპერიმენტის მეშვეობით: თავი აარიდეთ კვების ობიექტებს, ქეიფებსა და ბანკეტებს. კარგ შედეგს იძლევა ფსიქოთერაპიაც.

№5. ცუდი ამინდია?

ღამით გვიან დაწექით დასაძინებლად, ძილის წინ კარგად დანაყრდით, საძინებელი ოთახი არ გაანიავეთ, ცუდად გეძინათ, გაღვიძებისთანავე სიგარეტი მოსწიეთ... თავი გტკივათ, ტანში გამტვრევთ, სარკეში ჩახედვისაც გეშინიათ. გარეთ კი, წვიმიანი და ქარიანი ამინდია. „აბა, როგორ ვიქნებოდი? ამინდი შეცვლილა!..“ — მაშინვე პოულობთ გამართლებას: თქვენ ხომ დიდი ხანია, თავს მეტეოდამოკიდებულ ადამიანად მიიჩნევთ!..

სინამდვილეში, ადამიანთა მხოლოდ 10-15%-ია მეტეომგრძნობიარე — მაშინ, როდესაც 50-60% მიიჩნევს თავს ასეთად.

როგორ მოვიქცეთ. დააკვირდით საკუთარ თავს. ეჭვების გაფანტვაში დაგეხმარებათ დღიური, რომელშიც

ჯეიმს კამერონის „ოსკაროსანი“ ფილმი	სიმინდის ყვავილედი	მსახიობი ... ჰოპერი	ხელოსანი აშენებს ქვის სახლს	შუშა	ორიგინალი ნარდში	დიდი მსუქანი მუცელი	
ყვავილი ჰოლანდიის სიმბოლო	პეტა უილსონი და როი დიუპუი სერიალში	ქანდაკება „მოაზროვნე“ (მოქანდაკე)	ხელსაწყოში: დანაყოფებიანი სახაზავი	ძვ. ტბილისური ბიბლიოთეკა	საბჭოთა წარმოების ავტომობილი	რძის პროდუქტი	კარტო კე

თვის განმავლობაში უნდა აღრიცხოთ საკუთარი ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა, ინტელექტუალური აქტივობა, პულსი, წნევა, ამა თუ იმ ამინდთან შესაბამისობაში. თუ აღმოაჩენთ ასეთ დამოკიდებულებას, ექიმს მიმართეთ.

№6. ავიტამინოზი

დაღლილობას, ძილიანობას, კანის პრობლემებს ავიტამინოზს მივაწერთ ხოლმე და ვებრძვით მას ნოემბრიდან ივნისამდე. ვიტამინები მიგვაჩნია სიმსივნისგან, ინფარქტისა და გაცივებისგან ორგანიზმის დამცველად, ახალგაზრდობის ელექსირად და ლამის პანაცეად ნებისმიერი დაავადების დროს.

სინამდვილეში, ავიტამინოზი ვიტამინების ნაკლებობით გამოწვეული საკმაოდ იშვიათი დაავადებაა. სადავო არ არის, რომ ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად განვიცდით ვიტამინთა დეფიციტს, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის ასეთი მნიშვნელოვანი. არსებობს მოსაზრება, რომ ორგანიზმში მართლაც, ვლინდება ავიტამინოზის ნიშნები, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ერთი ან რამდენიმე ვიტამინის სიჭარბე აღინიშნება სხვა ვიტამინთა დეფიციტის ფონზე.

როგორ მოვიქცეთ. ვიტამინების მუდმივად მიღების საკითხი (განსაკუთრებით, დიდი დოზით) ინდივიდუალურად უნდა გადაიჭრას ყველა დადებითი და უარყოფითი შედეგის გათვალისწინებით. ეს პირველ რიგში ეხება A, E და D ვიტამინებს, რომლებიც ორგანიზმში გროვდება. მათი სიჭარბე კი, სერიოზულ შედეგებს იწვევს.

№7. მონსტრი და მისი ფოლაქები

ფრაზა — „თქვენ ქოლესტერინის დონე გაქვთ მომატებული“ — ექიმის ბაგეთაგან ხშირად, საშიში განაჩენივით ეღერს. „საწყალ“ პაციენტს მკაცრ დიეტასა და მაღალეფექტურ აბებს უნიშნავენ და წარმოსახვაში, ქოლესტერინის ფოლაქებით დახშულ სისხლძარღვებს უხატავენ. მაგრამ მართლა ასეთი საშიშია ყველაფერი? უმრავლეს შემთხვევაში — არა.

სინამდვილეში, ბოლო გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ქოლესტერინის დონის დაქვეითებას სისხლში ხშირად, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან საშიშია არა საერთოდ ქოლესტერინი, არამედ ე.წ. „ცუდი ქოლესტერინი“, რომელიც ილექება სისხლძარღვებში და წარმოქმნის ფოლაქებს.

როგორ მოვიქცეთ. ნუ გაგვიტაცებს ქოლესტერინთან ბრძოლა. მის გარეშე ორგანიზმს არსებობა არ შეუძლია — იგი ყველა უჯრედის მნიშვნელოვანი საშენი მასალაა. ქოლესტერინის გარეშე ვერ იფუნქციონირებდა ცენტრალური ნერვული სისტემაც. თუმცა, ქოლესტერინის დონის შენარჩუნება ნორმის ფარგლებში მაინც საჭიროა. ხშირ შემთხვევაში, ამის მიღწევა შესაძლებელია კვების რაციონში ცხოველური ცხიმების შეზღუდვით.



№8. დავიღალე!

დღეს ძალზე პოპულარულია ქრონიკული დაღლილობის სინდრომი (ქდს), მაგრამ უბედურება ის არის, რომ ის ჩვეულებრივ დაღლილობაში ერევათ, რომელიც ხარისხიანად გატარებული, თუნდაც ხანმოკლე შვებულების შემდეგ გაივლის ხოლმე.

სინამდვილეში, ქდს-ს აქვს ტიპური სიმპტომები: ხასიათის ცვლილებები, გაღიზიანებულობა, სიბრალული საკუთარი თავისადმი, არამყარი არტერიული წნევა, მადის დარღვევა, ძილის სურვილი, გულმავიწყობა.

როგორ მოვიქცეთ. ნუ დაკარგავთ დროს მკითხავებსა და ექიმებაშებთან სიარულში, მიმართეთ ნევროლოგს, იმუნოლოგს, ფსიქოთერაპევტს. ქდს-ის მკურნალობა კომპლექსურია და ინდივიდუალური.

№9. ნუ შეუშლი ხელს საკუთარ თავს

იმუნოდეფიციტი საკმაოდ სერიოზული დიაგნოზია, თუ ის მართლა აქვს ადამიანს. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, იმუნიტეტისთვის დახმარების გაწევას დღეისათვის პოპულარული იმუნომოდულატორებით ისინი ცდილობენ, ვისაც ეს საერთოდ არ სჭირდება. მოყვარულთა მცდელობა კი ხშირად, უკუეფექტით მთავრდება.

სინამდვილეში, იმუნიტეტის დაქვეითებას აქვს მახასიათებელი ნიშნები. მაგალითად, თუ წლის განმავლობაში უკვე მესამედ ხდებით ავად ანგინით და ანტიბიოტიკები არ გშველით, ეს სერიოზული სიგნალია. თუ წელიწადში 4-ჯერ ან მეტჯერ ცივდებით, შეიძლება მართლაც, იმუნიტეტის დაქვეითებასთან გვქონდეს საქმე.

როგორ მოვიქცეთ. თუ საკუთარ იმუნურ სისტემას ემდურით, იმუნოლოგს უნდა მიმართოთ. ექიმი გაარკვევს შეუძლოდ ყოფნის მიზეზს და ინდივიდუალურად შეგირჩევთ მკურნალობის სქემას. იმუნური სისტემის მუშაობაში თვითნებურად ჩარევა საშიშია.

№10. გაღიზიანებული და შურისმაძიებელი

გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის დიაგნოზს „დაუდგენენ“ ხოლმე ყველას, ვინც ნაწლავურ კოლიკებს, ყაბზობას, მუცლის შებერილობას უჩივის. მათ შორის, ბევრია იპოქონდრიული (საკუთარ თავში დაავადების მაძიებელი), აგრეთვე აგრესიული, ისტერიისადმი მიდრეკილი, დეპრესიული ადამიანი.

სინამდვილეში, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი მოსახლეობის 15-20%-ს აქვს. ეს არის ნაწლავის მოძრაობითი აქტივობის დარღვევა, რომელიც იწვევს შეკრულობას, ფაღარათს, მეტეორიზმს, მუცლის ტკივილს. მისი მიზეზებია, უსისტემო კვება, ბანალური დანაყრება, უჯრედისით ღარიბი (რაფინირებული) პროდუქტის, ყავის, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება, სტრესები. ამიტომ ეს სინდრომი ხშირ შემთხვევაში, 30-40 წლის ასაკის იმ ადამიანებს აღენიშნებათ, რომლებიც აქტიური საქმიანობის ზენიტში იმყოფებიან და მუდმივად ცაიტნოტსა და სტრესულ სიტუაციაში ვარდებიან.

როგორ მოვიქცეთ. უარი თქვით გაზიან ტკბილ სასმელებსა და ჰოთდოგებზე — მათ წვნიანი კერძები და სალათები სჯობს. საღაფარათოებით თვითნებური მკურნალობა არ ღირს — შეიძლება, სერიოზული დიაგნოზი გამოგეპაროთ. უმჯობესია, რჩევისთვის გასტროენტეროლოგსა და დიეტოლოგს მიმართოთ.

■

საფარველი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა

მორენა მერკვილაძე



საფარველი ყოვლადწმინდა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულის მარიამისა — ასე ეწოდება ერთ-ერთ საეკლესიო დღესასწაულს, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია ყოველწლიურად 14 ოქტომბერს აღნიშნავს. ეს დღესასწაული დაწესდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ერთი სასაწაულებრივი გამოცხადების მოსაგონებლად და მოსახსენიებლად...

X საუკუნის დასაწყისში, ბერძენთა იმპერატორ ლეონ VI ბრძენის მეფობის ჟამს, საბერძნეთის იმპერია განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა: სარაცინები საბერძნეთს დაესხნენ თავს. მათი გამარჯვება თითქმის გარდაუვალი იყო. ამ განსაცდელის ჟამს, ღვთისმოსავმა ბერძნებმა ლოცვასა და სინანულს მიმართეს, რადგან სწამდათ, რომ უფლის შეწევნით, გამარჯვებას მოიპოვებდნენ. უფალმა მის წინაშე მლოცველ ბერძნებს სასწაული მოუვლინა: კვირადღეს, ძველი სტილით პირველ, ახალი სტილით კი 14 ოქტომბერს, კონსტანტინოპოლის ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში ღამისთევის ლოცვა აღევლინებოდა (ამ ტაძარში ინახებოდა წმინდა მარიამის სამოსელი, თავსაბურავი და სარტყლის ნაწილი). ტაძარი სავსე იყო მლოცველებით. მათ შორის იმყოფებოდა ანდრია სალოსი. ღამის 4 საათზე, ანდრია სალოსმა თვალი ზეციისკენ აღაპყრო და იხილა ზეციური ნათლით გაცისკროვნებული ღვთისმშობელი, ანგელოზებისა და წმინდანთა დასის თანხლებით. წმინდა ქალწულს კრძალვით მოაბრძანებდნენ იოანე ნათლისმცემელი და იოანე ღვთისმეტყველი. ყოვლადწმინდა მარიამი მუხლმოყრილი ავედრებდა უფალს საქრისტიანოს; შემდეგ ტრაპეზთან განაგრძო ლოცვა, ბოლოს კი თავსაბურავი მოიხსნა და ტაძარში შეკრებილ მლოცველებს გადააფარა, რომელიც მზეზე უბრწყინვალესად ელვარებდა. ამ ხილვით ათრთოლებულმა ანდრიამ, მის გვერდით მდგომ თავის მოწაფეს — ნეტარ ეპიფანეს მიმართა: „ხედავ, ძმაო მთელი სამყაროსთვის მლოცველ დედუფალსა და უფალს?“ — „ვხედავ, ძმაო, და ვძრწი“, — მიუგო ეპიფანემ. ნეტარი ეპიფანე და ანდრია სალოსი დიდხანს შესცქეროდნენ საკვირველ სახილველს (სწორედ ამ საოცარი მოვლენის მოსახსენიებლადაა დაწესებული ღვთისმშობლის საფარვლის დღესასწაული). როდესაც კონსტანტინოპოლის მოსახლეობამ ამ სასწაულის შესახებ შეიტყო (ღვთისმშობლის გამოცხადების ხილვის ღირსი, ყველა ტაძარში მლოცველი არ გამხდარა. ეს სასწაული ანდრია სალოსმა და ნეტარმა ეპიფანემ იხილეს), ყველა სიხარულმა მოიცვა, რადგან ქვეყნიერებასა და უფალს შორის შუამდგომელი, წმინდა ქალწულის გამოცხადება, ზეციურ მეოხებად მიიღეს. იმედი ამაო არ აღმოჩენილა. საბერძნეთის იმპერიამ ქრისტეს ეკლესიის მტრები დაამარცხა და განდევნა. ეს მოხდა 911 წელს.

ღვთისმშობლის საფარვლის, მფარველობის დღესასწაულით, წმინდა ეკლესია შეგვახსენებს, რომ ქრისტიანებმა, რომელთაც უნდა ახსოვდეთ ეს სასწაული, უნდა იცოდნენ, ვის შესთხოვონ შემწეობა და მეოხება განსაცდელის დროს. ■

როგორ აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი

14 ოქტომბერს, საქართველოს სამოციქულო ეკლესია მცხეთობა-სვეტიცხოვლობას აღნიშნავს. ამავე დღეს ვზეიმობთ დღესასწაულს საუფლო კვართისა და სვეტისა ღვთივგაბრწყინებულისა და მირონმდინარისა, ვიხსენებთ მოციქულთა სწორ მეფე მირიანსა და დედოფალ ნანას.

უძველესი ქრისტიანული ტაძრის — სვეტიცხოვლის პირველი ნაგებობის მშენებლობა ქართლის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელების ხანას უკავშირდება. ეს მოხდა IV საუკუნეში, მირიან მეფის დროს, როდესაც ქართლში მოციქულთა სწორი წმინდა ნინო ქადაგებდა. ტაძრის პირველი ნაგებობის აშენებას წინ უსწრებდა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მირიან მეფის ცხოვრებაში მოხდა: ერთხელ, როდესაც ის თხოთის მთაზე ნადირობდა, მოულოდნელად მზე დაბნელდა და ირგვლივ უკუნი სიბნელე ჩამოწვა. მეფემ დახმარება არმაზისა და ზადენის კერპებს სთხოვა, მაგრამ ამაოდ. მაშინ მირიანმა უცხო ქალისგან (ე.ი. წმინდა ნინოსგან) ქადაგებულ ჯვარცმულ ღმერთს მოუხმო შემწედ: „ღმერთო ნინოისო, განმინათლე ბნელი ესე და აღვიარო სახელი შენი და აღვჰმართოძელი ჯუარისა შენისაი და თაყვანი-ვსცე მას და აღგიშენო სახლი სახლად შენდა და სალოცავად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინოსი და სჯულისა ზედა ჰრომთასა“. ეს თქვა თუ არა, სიბნელე მაშინვე გაიფანტა. მეფემ მადლობა შესწირა ჭეშმარიტ ღმერთს და სამეუფო ქალაქისკენ გამოემართა. მცხეთაში დაბრუნებული მეფე მაშინვე წმინდა ნინოსთან მივიდა, მის წინაშე ხმამაღლა აღიარა ჭეშმარიტება და სთხოვა, ეკლესიის სახე ეჩვენებინა, რათა ღვთის სადიდებლად ტაძარი აეგო...

მეფემ ტაძრის აშენება მტკვრისა და არაგვის შესართავთან, „წმინდა ჭალაში“ — ანუ სამეფო ბაღში გადაწყვიტა. ტაძრის აგება მეფის ბრძანებით, იმ ადგილას გადაწყდა, სადაც საოცარი კვიპაროსის ხე იდგა, ნაძვი ლიბანისა (სწორედ ამ ხის ქვემოთ იყო დაფლული უფლის კვართი). ხე მოკვეთეს და მისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი ადვილად აღმართეს, მაგრამ მეშვიდე სვეტი, რომელიც ტაძრის მთავარ სვეტად უნდა აღემართათ და რომელსაც ტაძრის გუმბათი უნდა დაჰყრდნობოდა, ადგილიდან ვერასგზით ვერ დაძრეს. როდესაც ბინდი ჩამოწვა, ხალხი შინისკენ გაემართა, ნეტარი ნინო კი, მთელი ღამის მანძილზე მხურვალედ ლოცულობდა სვეტის მახლობლად. გამთენიისას მან იხილა ნათლით მოსილი ჭაბუკი, რომელმაც ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. ცოტა ხნით სვეტი ჰაერში იყო გაჩერებული, შემდეგ ნელ-ნელა დაეშვა და იმავე ადგილს დაემყარა, საიდანაც მოკვეთილიყო. იგი საოცარ ბრწყინვალებას და სურნელებას გამოსცემდა. სვეტიდან მირონმა დაიწყო დენა, რომელიც სნეულებს კურნავდა. მისგან სხვა მრავალი სასწაულიც აღესრულებოდა, ამიტომ მას სიცოცხლის მომნიჭებელი — სვეტიცხოველი უწოდეს...

სამეფო ბაღში დაწყებული მშენებლობა იმ დროს დასრულდა, როდესაც რომის იმპერატორმა კონსტანტინემ და ელენე დედოფალმა უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი იპოვეს. ეკლესია ხისგან იყო ნაგები და მას ქვემო ეკლესია ეწოდა (რადგან პირველად, მირიან მეფის ბრძანებით ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია აშენდა,

რომელსაც ზემო ეკლესია ეწოდა. ამჟამად ის სამთავროს დედათა მონასტრის სახელწოდებითაა ცნობილი, სადაც განისვენებენ წმინდა მირიან მეფე და ნანა დედოფალი). ქვემო ეკლესიის მთავარი საყრდენი იყო ზემოხსენებული ცოცხალი — ან ცხოველი სვეტი, რის გამოც, ტაძრის სახელად სვეტიცხოველი დამკვიდრდა...

V საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, როდესაც საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიური გახდა — ე.ი. მოიპოვა დამოუკიდებლობა (მანამდე იგი ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა) და გაძლიერდა, მცხეთა საპატრიარქო რეზიდენციად გამოცხადდა, სვეტიცხოველი კი — საკათედრო ტაძრად, საჭირო გახდა, მცხეთაში ახალი, უფრო დიდი ტაძარი აგებულიყო. ვახტანგ გორგასლის ბრძანებით, იმ ადგილას, სადაც მირიანისეული ხის ტაძარი იდგა, დიდი ზომის, ქვის სამნავიანი, ბაზილიკური ტიპის ტაძარი ააგეს.

ვახტანგ მეფის მიერ აგებულმა სვეტიცხოვლის ტაძარმა 5 საუკუნე იარსება. X საუკუნეში, ქართლის კათალიკოსის, მელქისედეკის გადაწყვეტილებით, მცხეთაში ახალი საპატრიარქო ტაძრის მშენებლობა დაიწყო. ეს მოხდა 1010 წელს, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ მესამის (1001-1014 წ.წ.) დროს. ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობდა მეფე გიორგი პირველის (1014-1027 წ.წ.) მეფობის პერიოდში. ტაძრის მშენებლობა 19 წელი გრძელდებოდა, ხუროთმოძღვარი არსუკიძე გახლდათ, რომლის შესახებაც სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილი წარწერაც მიუთითებს. სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ ფასადზე კი, ჩასმულია ქვა, რომელზეც ხუროთმოძღვრის მკლავი და გონიოა გამოსახული, ქვემოთ აქვს წარწერა: „ხელი მონისა არსუკიძისაი, შეუნდვეთ“. სწორედ ამ გამოსახულებამ და წარწერამ შვა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, არსუკიძემ აჯობა თავის მასწავლებელს და ამის გამო ხელი მოჰკვეთეს, თუმცა ამის შესახებ არავითარი ისტორიული მოწმობა არ არსებობს.

სწორედ არსუკიძის მიერ აგებული სვეტიცხოვლის ტაძარია ჩვენამდე მოღწეული, გარკვეული ცვლილებებით.

სვეტიცხოვლის ტაძარში დაფლულია ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმინდეები — საუფლო კვართი და ელია წინასწარმეტყველის ხალენი (მოსასხამი). ისტორიული წყაროების მოწმობით, ტაძარში დაკრძალული უნდა იყოს 10-ზე მეტი ქართველი მეფე: დავით ულუ, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი V, ალექსანდრე დიდი და სხვები, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ ვახტანგ გორგასლის, ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის საფლავებმა მოაღწია.

■

შაჰმა ხალიჩა მოქსოვა, საკოლოქს ვაფუძნა და შეუთვალა...

სიღნაღში ჯადოსნური ხალიჩა დაბრუნდა

რა ხანია, ისტორიამ მიიბარა ქალაქის შუაგულში მდგარი, გაერთიანება „სოლანის“ ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის დაზგების ხმაური. შესაბამისად, დავიწყებას მიეცა ჭრელაჭრელა ხალიჩები, რომლებმაც, ხალხური რეწვის ჭეშმარიტი შედევრი — ბორჩალოური ხალიჩა ჩაყლაპა. მაგრამ ამ ბოლო დროს, იმავე შენობის ერთ-ერთი მივარდნილი ოთახიდან კვლავ გაიგონებთ საქსოვი დაზგების ჯერ ძალამოუკრებელ სუსტ ხმას...

მაია გოგოლაძე

მცირე ისტორიული ექსკურსი

აზერბაიჯანელი მქსოველი, ლატიფ ქერიმოვი ირწმუნება, რომ ადამიანებმა ხალიჩის ქსოვა თავდაპირველად, ობობას ქსელზე დაკვირვებით დაიწყეს; თუმცა, ჯერ კიდევ ძალიან შორი იყო ნამდვილ ხალიჩამდე, რომლის „წინაპრად“ ფარდაგი უნდა მივიჩნიოთ. თვით ფარდაგი კი ჯერ ღობის წნულის წესით იქსოვებოდა, შემდეგ გადავიდნენ უბოჭკოო ხალიჩის, მერე — ე.წ. სუმახების და ბოლოს, კლასიკური ხალიჩის ქსოვაზე. ასეთი იყო განვითარების საფეხურები.

XVსაუკუნის საქართველოში მიმდინარე ისტორიულმა მოვლენებმა სრულიად გამორჩეულ — ბორჩალოს ტიპის ხალიჩების სკოლას ჩაუყარა საფუძველი. კერძოდ, 1747 წელს, ირანის შაჰმა ჰუსეინმა საქართველოში ჩამოასახლა სპარსული წარმოშობის ბორჩალოს მომთაბარე ტომი, რომელიც თავდაპირველად, სუნდუზის უდაბნოში ბინადრობდა. ის ყარაის ველის, ბადიაურისა და იორმუღანლოს ტერიტორიაზე დასახლდა.

ამ ტომმა ჩვენში ხალიჩების ქსოვის განსაკუთრებული ტექნოლოგია შემოიტანა.

საგულისხმოა, რომ სანამ კომუნისტები სახელთა შეცვლის დიდ კამპანიას დაიწყებდნენ, მანამდე, მარნეულს, სწორედ იქ დასახლებული სპარსული ტომის მიხედვით შერქმეული სახელი — ბორჩალო ერქვა. იქ შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა: ქართველები, სომხები, ქურთები, აზერბაიჯანელები, რომელთაგან თითოეულმა ხალიჩის ქსოვის პროცესში საკუთარი ტექნოლოგია ჩადო და როგორც მიჩურინმა გამოიყვანა განსაკუთრებული ჯიშის ვაშლი, ისე წარმოიშვა განსაკუთრებული ტიპის — ბორჩალოური ხალიჩა, რომელსაც, მსოფლიო მასშტაბით ანალოგი არ მოეპოვება — ის უნიკალურია, ფერების დაყენების ტექნიკითა და ქსოვის ტექნოლოგიით.

1800 წლიდან მოყოლებული, ბორჩალოს ხალიჩები 110 წლის განმავლობაში იქსოვებოდა. არსებობდა ოჯახები, რომლებიც მხოლოდ ერთსა და იმავე ნახატზე მუშაობდნენ და საკუთარი ხელწერით გამორჩეულ ხალიჩებს ქსოვდნენ, ალამაზებდნენ, უცვლიდნენ შეფერილობას, კონტურებს, მაგრამ კონფიგურაცია და ქსოვის ტექნოლოგია იგივე რჩებოდა.

„ეს ხალიჩები დღესაც ძალზე ძვირფასია, რის დასტურადაც ერთი ფაქტი იკმარებს: ლონდონის „ალბერტისა და ელენეს“ მუზეუმში ინახება XX საუკუნის შუა წლებში მოქსოვილი ბორჩალოური ყარაჩოფის ხალიჩა, მაღალი ვორსით, რომლის სიგრძე 2,20, ხოლო სიგანე — 3,25 მეტრია. მუზეუმმა ის 750.000 გირვანქა სტერლინგად შეიძინა, მაშინ როცა სპარსული ხალიჩა 50.000 დოლარზე მეტი არ ღირს,“ — ამბობს **დათო გერაია**,



ადამიანებმა ხალიჩის ქსოვა თავდაპირველად, ობობას ქსელზე დაკვირვებით დაიწყეს; თუმცა, ჯერ კიდევ ძალიან შორი იყო ნამდვილ ხალიჩამდე, რომლის „წინაპრად“ ფარდაგი უნდა მივიჩნიოთ

რომელმაც გადაწყვიტა, სიღნაღში ბორჩალოური ხალიჩის ქსოვის ტრადიცია აღორძინოს და ამ მიზნით, ქალაქის ხელმძღვანელობისგან სამუშაო ფართი ითხოვა, რისთვისაც ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის ერთი ოთახი შესთავაზეს. საწარმოს დარაჯმა, ალე მჭედლიშვილმა საგულდაგულოდ გადანახული და დაცული დაზგები გაუწყო. დათომ დაზგების მოწყობილობაში მცირეოდენი ტექნიკური ცვლილებები შეიტანა, რათა

შესძლებოდა, არა „კომუნისტური“, არამედ ბორჩალოური ხალიჩის ქსოვა.

ხალიჩის ბედი კომუნისტურ ეპოქაში

— დათო, კომუნისტების მისამართით ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ნაკლები სამდურავი ითქმის: მათი მმართველობის დროს მოხდა, რომ პარიზის ერთ-ერთ პრესტიჟულ გამოფენაზე სიღნაღში მოქსოვილ ხალიჩას მთავარი პრიზი მიენიჭა. პოსტკომუნისტურ ეპოქაში კი ხალიჩების ფაბრიკაც დაიხურა და ადამიანებიც უმუშევრები დარჩნენ...

— ვერ დაგეთანხმებით. ჩვენი წინაპრებისთვის ხალიჩის ქსოვა იყო ხელოვნებასთან წილნაყარი, ღვთის სადიდებლად მიმართული ხელსაქმე. ათეისტმა კომუნისტებმა კი ყველაფერი გააფუჭეს, რადგან მათ ხარისხი კი არა, რაოდენობა აინტერესებდათ. შეყარეს ფაბრიკებში მქსოველები და რადგან ხალიჩა ყველაზე სწრაფად თურქული წესით იქსოვება, ეს წესი დანერგეს. თავად განსაჯეთ: ქსოვის ტექნოლოგიით პირველ ადგილზე დგას ბორჩალოური ქსოვა, მეორეზე — თურქმენული, მესამეზე — სომხური, მეოთხეზე — აზერბაიჯანული, რასაც მოსდევს დაღესტნური და მხოლოდ ამის შემდეგ მოდის თურქული, ყველაზე მდარე ტექნოლოგიით ქსოვა. გარდა ამისა, კომუნისტებმა ფერების დაყენება მოსკოვსა და ლენინგრადში დაიწყეს, სადაც ამ საქმის კულტურა საერთოდ არ არსებობდა. მაშინ, როცა ჩვენი წინაპრები ფერის დაყენების მიზნით, შესაბამისი მცენარეების მოძებნას, გამოხმობას და დამუშავებას მთელ წელს ანდომებდნენ, მათ ქიმიური საღებავები გამოიყენეს. ამ ცუდი ტექნოლოგიით კომუნისტები ინკუბატორის წიწილებივით სერიულად უშვებდნენ უხარისხო ხალიჩებს და თუ სიღნაღურმა ხალიჩამ საფრანგეთში გაიმარჯვა, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ საქართველოში იყო მოქსოვილი, სადაც ერის გენეტიკურ კოდში ბორჩალოური ხალიჩის ქსოვის ტექნოლოგია დევს.

საიდუმლო, რომლის მოპარვას და გამოძალვას ცდილობენ მავანნი

დღეს საქართველოში სულ 5 კაცი მოიძებნება, ვინც ბორჩალოური ხალიჩის ქსოვის ტექნოლოგიას ფლობს, უფრო ზუსტად — ხალხური რეწვის ამ უმშვენიერესი დარგის ჭეშმარიტი პროფესიონალია (თუმცა, სამწუხაროდ, დღეს, ისევე, როგორც ყველა სფეროში, აქაც პროფესიონალებს ყველაზე მეტად უჭირთ გზის გაკაფვა, რადგანაც მათ წინ ეღობებიან ამბიციებით შეპყრობილი უნიჭო დილეტანტები). ამ 5 კაცს შორისაა დათო ბერაია, ყოფილი ფეხბურთელი, რომელსაც ხალიჩის ქსოვის იდუმალებით მოცული საქმე, საფეხბურთო შეჯიბრებაზე ბელგიაში ყოფნის დროს, იქ გაცნობილმა ქართველმა ებრაელმა შეასწავლა.

— ეს საქმე მთლიანად ოთხი პროცესისგან შედგება: ძაფების დამზადება, ქსოვა, მოჭრა-დამუშავება და გაყიდვა. აქედან სამი საიდუმლოა.

— ეგეს, ის მაინც გამიმხილოთ, სად და როგორ აპირებთ ხალიჩების რეალიზებას? ამაში მაინც ხომ ვერავინ შეგეცილებათ?

— შემეცილებიან და მეტსაც იზამენ! უკვე მეცილებიან გარკვეული არაკომპეტენტური სამსახურები. საშინლად გვატკინეს გული. ნუ დამაკონკრეტებინებთ, რომელ ფონდში — დავწერე პროექტი გრანტის მოსაპოვებლად. ღვთის შეწევნით, კატამ ლომი რომ გაზარდა და ხეზე ასვლა არ ასწავლა, ის ხერხი ვიხმარე და არ გავშიფრე ქსოვის ტექნოლოგია. ფონდში გრანტზე უარი გვითხრეს, დაგვიბარეს და შეეცადნენ, ჩვენთვის ეს ცოდნა გამოკითხვით დაეტყუათ. ამ გზით რომ ვერაფერს გახდნენ, სიღნაღში ჩამოგვაკითხეს და ტექნოლოგიის მოპარვა სცადეს. მათ ამ პროექტით ერთ-ერთი ქვეყანა დაინტერესეს, რომელიც მზად არის, გამოყოს კოლოსალური თანხა, მაგრამ — არა ჩვენთვის. ხოლო ვისთვისაც განისაზღვრა ამ გრანტის გამოყოფა, მათ უბრალოდ, არ ძალუძთ ჩვენი პროექტის განხორციელება.

— არ ცდილობთ, ქვეყნის შიგნით ვინმე დააინტერესოთ?

— დღეს საქართველოში ხალიჩა აღარავის აინტერესებს. ინვესტორები შეიძლება, სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში მოიძებნოს.

ქსოვის სიღნაღური ტრადიცია

დათო ბერაიამ თავისი მიზნის მისაღწევად სიღნაღი იმიტომ აირჩია, რომ აქ მქსოველები ეგულებოდა. ისინი ახალი ოსტატის ხელმძღვანელობით ხელახალ კვალიფიკაციას გადიან — დათოს თქმით, „კომუნისტურ“ ქსოვას ივიწყებენ და ბორჩალოურს სწავლობენ. ლაურა თარალაშვილს, ირინა ხუნაშვილს, ნათია ხუციშვილს, თინათინ მაღრაძეს, ეკა ხატიაშვილს და სხვა მქსოველებს დიდი ენერგია სჭირდებათ. ერთი ხალიჩის დასრულებას კი 3-4 თვე უნდა, ამიტომ მქსოველის შრომის ანაზღაურებას ხალიჩის დასრულება არ განსაზღვრავს. აქ კვადრატული მეტრის მოქსოვა 50 ლარადაა შეფასებული და მთავარი დროის ფაქტორია: რამდენადაც დახელოვნებულია მქსოველი, იმდენად სწრაფად ქსოვს და შესაბამისად, გასამრჯელოსაც მეტს იღებს.

რაზე მოგვითხრობენ ხალიჩები

— როგორც თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ გაზეთი, ისე ვკითხულობთ ჩვენ ხალიჩას, — ფარული სიამაყით მეუბნება დათო და ლაურა თარალაშვილის მიერ მოქსოვილ ერთ-ერთ ფიგურას მიჩვენებს, — ეს რა არის?

— ბადრიჯანი! — ვპასუხობ თავმომწონედ.

— გული არ გაიტეხოთ, ვინც ხალიჩის კითხვა არ იცის, ყველას ასე ჰგონია. ეს ბუთაა — დაბალი ბუჩქი, რომელიც აზერბაიჯანში იზრდება და იყენებენ, როგორც გასათბობ საშუალებას. ეს კი ბოლია და არა ბადრიჯნის ყუნწი. გარშემო „უზორად“ ნაძვის ხეები კი არა, მეჩეთები აქვს ამოქსოვილი. არც ესაა დოლარის ნიშანი, მოკლე-მოკლე ტალღებია — ანუ წყლის ფორმულა. გულში ქართული ბორჯღალია. ჰიტლერი დაბადებულიც არ იყო თავისი სვასტიკიანად, ქართველები სიცოცხლის სიმბოლოდ ბორჯღალს რომ ვაქსოვდით ხალიჩებში. ამ ორნამენტს, ბორჯღალის გულში, ქილისა ჰქვია და პატარა სოფელ ნორნქილისაზე მიანიშნებს, რომელიც თელეთთან ახლოს მდებარეობს და სადაც ეს „უზორი“ წამოიშვა.

— ესე იგი, ხალიჩები მთელ ისტორიას შეიცავენ?!

— უჰ, თან რამხელას!

აქა ამბავი ნამდვილი ზღაპრისა

— ამერიკაში, მეტროპოლიტენ-მუზეუმში ინახება აზერბაიჯანული ხალიჩა — შაჰნაზარ შირვან დივიჩი. მისი „სახელი და გვარი“ მიანიშნებს, რომ წარმოიშვა სპარსეთის კუთხეში — შირვანში და მოიქსოვა ქალაქ დივიჩში. ეს ხალიჩა შუა საუკუნეებში მოიქსოვა და მისი შექმნის ამბავი ზღაპარს ჰგავს: შირვანის ცნობილი შაჰი, მუჰამედი რომ გარდაიცვალა, შაჰის ტახტზე მისი უცოლშვილო ვაჟი, 16 წლის ნაზარი ავიდა. მან ბრძანება გასცა, რომ ქვეშევრდომებს მისთვის საცოლედ ჭკვიანი ქალი მოეძებნათ. ქალი, რომელიც შეარჩიეს, ეტყობა, მართლა ჭკვიანი იყო: მან იკითხა — ჩემმა საქმრომ რა ხელობა იცისო? ქვეშევრდომებს გაუკვირდათ: რა ხელობა უნდა იცოდეს, შაჰიაო!.. — ეგ ხელობა არ არის, შეისწავლოს რაიმე და ცოლად გავყვებიო. ნაზარმა ხალიჩის ქსოვა შეისწავლა. მოქსოვა ერთი ცალი, საცოლეს გაუგზავნა და შეუთვალა — აი, ეს ხელობა ვიციო. მათ იქორწინეს. გავიდა ხანი და ირანის ომში შაჰი ტყვედ ჩავარდა, როგორც რიგითი მეომარი. ითხოვა — ოღონდ თავს ნუ მომჭრით და ფულს გაშოვნინებთო. ტყვეობაში ყოფნისას, მან 7 ხალიჩა მოქსოვა, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ის გახლავთ, რომელიც მეტროპოლიტენ-მუზეუმში ინახება. ერთი ცალი ცოლთან გაატანა მტრებს — მაგ ქალს უყვარს ხალიჩები და იყიდისო. ცოლი მაშინვე მიხვდა ქმრის გასაჭირს და 5 ხალიჩის მოქსოვა კიდევ დაუკვეთა, რათა სანამ რაიმეს იღონებდა, ქმრისთვის სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა. ბოლოს კი, საერთოდ დაიხსნა ტყვეობიდან... ზღაპარი არ გეგონოთ, ნამდვილი ამბავია და შეგიძლიათ, ისტორიაში შეამოწმოთ...

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვენდობით დათო ბერაიას და ამ ამბის ქვეტექსტიც შესანიშნავად გვესმის.

■

qarTuli „elada", mSobliuri kuTxidan waRebuli peSvi miwa da saxlis darajad datovebuli mTvare

ყველაფერი შესავლით იწყებაო — რიტორიკაში წერია. მე კი შორეული ათენიდან თანამემამულეებს მინდა ვუამბო ერთი ქართველი მანდილოსნის ანა ყურშავიშვილის შესახებ, რომელიც 3 წელია, „აბჯარასხმული" ცხოვრობს უცხო ქვეყანაში, მაგრამ თავისი წილი მზე, ცა საქართველოსი თან წამოუღია, უბით კი მცხეთის დედა-მონასტრის ეზოდან წამოღებული ქართული მიწა დააქვს, რომ ყოველწამიერი კავშირი არ გაუწყდეს სამშობლოსთან, ფესვებთან...

ლიგია მუმკუდიანი

პროფესიით ჟურნალისტია და ათენში ჩამოსვლასა და სხვათა „მოჯამაგირეობასთან" ერთად, უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დააარსა ქართული დიასპორის პირველი ქართული გაზეთი რასაც მალე, ამ გაზეთის ლიტერატურული დამატება, ჟურნალი „თაობაც" მოჰყვა.

საქართველოში ისეთი ბუმია ჟურნალ-გაზეთების, ვიღას გაუკვირდება ახალი შექმნა, მაგრამ სულ სხვაა უცხოეთში, უცხო მიწაზე არალეგალურად მცხოვრები (სამშობლოდან აქამდე ფეხით ჩამოსული) ქალისათვის გაზეთისა და ჟურნალის რედაქტორობა, როცა არსაიდან არის ფინანსები, პოლიგრაფიული ბაზა, კომპიუტერი. ქუჩაში — პოლიციის შიშით მალულად გასვლა, სახლში კი, მოხუცი ავადმყოფის მოვლა, 24-საათიანი შრომა გიწევს და ნოსტალგია, შვილებისა და შვილიშვილების მონატრება გიკლავს გულს...

ანა ყურმავიშვილი და ავთანდილ მიქაბერიძე, უწმინდესისა და უნეტარესის კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ათენში ვიზიტის დროს (2004წ.)

ქამვეთის ტაძრის მოძღვართან, მამა ელიზბართან ერთად

წარმოშობით თიანეთიდანაა — იმ ადგილებიდან, სადაც ვერცხლის ივრის ნაპირებზე ისევ ქვითინებენ ბებერი წნორები 27 წლის მირზა გელოვანის არდაბრუნების გამო... მირზა გელოვანის ტოლები და სწორები ყოფილან ანას მშობლები. ერთხელაც, მისთვის ბავშვობაში უთქვამს მამას (რომელსაც ყველა თურმე, სიყვარულით პაპას ეძახდა): „ისეთი ბიჭი იყო მირზა, როგორც ჭექა-ქუხილი, მაგრამ ზოგჯერ ბავშვივით ალალი და გულუბრყვილო, უკვირდა — რჯულძაღლიაო წუთისოფელი — ამბობდა... ქართველებმა დავკარგეთ და ბელორუსიის ბავშვებმა იპოვეს და უვლიან ძმათა სასაფლაოზე, რა უნდა იქ, კაცო?!. იმისი ადგილი აქ არის, მთაწმინდაზე... ახალგაზრდობაში რიყეზე ჩამოდიოდა და კენჭებს ვისროდით წყალში; ისეთი მიზანი ჰქონდა მასთან გაჯიბრებასაც ვერ ვბედავდით, ახლა, ლექსს იტყოდა!.. გეგონებოდა, ცა გაიხსნა..."

იქნებ, ამიტომაც უძღვნა ანამ მირზა გელოვანს პირველი პუბლიცისტური წერილი თუ ნოველა...

მამა აღარ ჰყავს, აღარც დედა, რომელმაც მთელი სიცოცხლე გულში გარჭობილი ლახვარივით ატარა ავად

მოსაგონარი 1937 წელი, „ტროცკისტის დობა“, როცა მისი ძმა დახვრიტეს, როგორც „სამშობლოს მოღალატე“ და დის ქმარიც ზედ მიაყოლეს. მაინც შემორჩენილი ჰქონია სიკეთით სავსე გული პროფესიით პედაგოგს. მთის ქალებისათვის ქსოვის საამქრო გაუხსნია, ოჯახ-ოჯახ აღმოუჩენია და უგროვებია ნიჭიერ ქალთა ნახელავი, შიბიანი წინდები, ხელთათმანები, ხურჯინები და ფარდაგები. ერთ ხევსურ ქალს ლექსიც კი მიუძღვნია მისთვის:

„შენ გაიხარე მარგოო,
შაგრჩეს ეგ ლამაზ ქალები,
შენ რო არ გვყვანდე თიანეთს
დაგვეთხრებოდა თვალები.
ან უსაქმოზა შაგვჯამდა,
ან მოქეიფე ქმარები...“

4 ლამაზ ქალთაგან ანა უმცროსია. ნაბოლარასა და ყველაზე პატარას, უფროსი დები განებივრების უფლებას არ აძლევდნენ, სულ ჩასჩიჩინებდნენ — ისწავლე და იშრომეო... ნახევარ საუკუნეს გადასცდა. უკან მოსახედი ლამაზი წარსული — 3 კარგი შვილი, 4 შვილიშვილია...

ხასიათით „ფაციფუცაა“, სულ ეკარგება კალამი, მობილური. დიდი იუმორის პატრონი გახლავთ. სიკეთის საკეთებლადაა დაბადებული და წყენის „ორგანო“ ამოკვეთილი აქვს. ზოგჯერ თავადაც განცვიფრებულა — ნუთუ, ყოველივე მე გადამხდა თავსო?!. — და მაინც ქართველ ემიგრანტთა გვერდით არის, გვერდით კი არა — „კაკალ გულში“ ტრიალებს. მას ყველა იცნობს, თუ არ იცნობს, უყვარს მაინც — თავისი „ელადით“, „თაობით“... და კიდევ — მტკიცე ხასიათის გამო. მარგალიტივით აგროვა აქაური ქართველების მიერ დაწერილი ლექსები, ნოველები, ემიგრანტული ჩანაწერები, თავი მოუყარა, წიგნად აკინძა, „ვითარცა მადლი სიკეთესა და ზედა ქმნილი“ და მას ათენში მცხოვრები თუში პოეტის, ეთერ იჭირაულის ლექსის — „მთვარე დავტოვე სახლის დარაჯად“ — უწოდა. „მთვარეს“ — „ნისლის კიბე“ მოჰყვა, სადაც ახალი 14 ავტორი „მოაგროვა“... თავის გარშემო შემოიკრიბა ქართველები სოხუმიდან, ქართლ-კახეთიდან, იმერეთ-სამეგრელოდან და პირველად, საბერძნეთის ისტორიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისისადმი მიძღვნილი ზეიმი კესარიონის მერიის დარბაზში გამართა, ხოლო დედის დღე — 3 მარტი ასევე საზეიმოდ აღნიშნა ათენის ძირძველ უბანში — სინდაგმაზე, რედაქციისა და ათენის ქართული ინსტიტუტის (დირექტორი — ცნობილი ქართველი ელინისტი ავთანდილ მიქაბერიძე) ერთობლივი ღონისძიებით.

ცოტა ხნის წინ, „ელადის“ რედაქციაში მისი ინიციატივთ შეიქმნა ლიტერატურულ-თეატრალური საზოგადოება (ხელმძღვანელი — მირიან ზალოშვილი), რომელიც დიდი დავით გურამიშვილის იუბილეს მოსაწყობად ემზადება. ■

ვიქტორ სანეევი
ოლიმპიადების საუკუნის ლეგენდა

XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებული ვიქტორ სანეევი 1945 წლის 3 ოქტომბერს, სოხუმში დაიბადა. საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადების რვაგზის ჩემპიონი, 4 ოლიმპიადის კვარცხლბეკზე ასულა: მეხიკოს, მიუნხენისა და მონერალის ოლიმპიადების ოქრო და მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლი დაისაკუთრა. არაერთხელ დაუმყარებია მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი.



გოგი ფრანგიშვილი

როდესაც მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე სამმხტომელთა ასპარეზობების დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ვიქტორ სანეევს სთხოვეს, აეხსნა მისი მრავალრიცხოვანი გამარჯვების საიდუმლო, მან უპასუხა: — „გამარჯვებების წყურვილი, მუდმივი ვარჯიში, საკუთარი სისუსტეების დაძლევის უნარი და ცოტა იღბალიც“.

დიდ სპორტში სოლიდური წარმატებების მისაღწევად და ოლიმპზე ასასვლელად, უდავოდ, ოთხივე ფაქტორი მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი ალბათ მაინც შრომისმოყვარეობაა.

მე ერთადერთი არა ვარ, ვისაც თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ვიქტორ სანეევის ვარჯიშისთვის უდევნებია თვალყური. დარსა და ავდარში, თოვლსა და წვიმაში ვიქტორი მარტოდმარტო, პარტნიორებისა და მწვრთნელის გარეშე დაუღალავად შრომობდა. დაგვეთანხმებით, ასეთ პირობებში წვრთნა, მით უმეტეს მძლეოსნობაში, ერთობ ძნელია და ბევრისთვის მოსაწყენი იქნებოდა, მაგრამ სანეევი ამას სიამოვნებით აკეთებდა. სწორედ ეს იყო მისი დაუვიწყარი გამარჯვებების მთავარი მიზეზი. ყველაზე სამახსოვრო კი, ვიქტორ სანეევისათვის 1968 წლის 17 ოქტომბერი გახლდათ, როდესაც მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე თავისი პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა.

მეხიკოს ოლიმპიური თამაშები გამორჩეული იყო თანამედროვეობის ოლიმპიურ მოძრაობაში. პირველი ოლიმპიური რეკორდი ჯერ კიდევ ასპარეზობების დაწყებამდე დაფიქსირდა. მეხიკოს სტარტებში 112 ქვეყნის 5500-მდე ათლეტი მონაწილეობდა. თვით შეჯიბრებებზე კი სპორტსმენებმა 27 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს, მათ შორის 14 — მძლეოსნობაში. ვიქტორ სანეევმა სამმხტომელთა ტურნირზე ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. რეკორდების ასეთ სიუხვეს სპეციალისტები მეხიკოს გეოგრაფიული მდებარეობით ხსნიდნენ: მექსიკის დედაქალაქი ზღვის დონიდან 2240 მეტრის სიმაღლეზეა გაშენებული. „აცტეკის“ სტადიონზე გამართული ასპარეზობებიდან ყველაზე დრამატული სამმხტომელთა პაექრობა აღმოჩნდა.

ამ სახეობაში შეჯიბრებები თავდაპირველად, საკვალიფიკაციო ნორმატივისათვის (16,10 მ) დაიწყო. სანეევისათვის ეს ნორმატივი ადვილად დასაძლევი იყო, მაგრამ მოდუნების უფლება არ ჰქონდა და მანაც სრული მობილიზებით, პირველსავე ცდაზე წარმატებით შეასრულა თავისი ნახტომი. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ ამ დროს, იტალიელმა ჯუზეპე ჯენტილემ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (17,10 მ) და მეტოქეებსაც სერიოზული საფიქრალი გაუჩნდათ. თუკი საკვალიფიკაციო სტარტებში იტალიელმა ასეთი მაღალი შედეგი აჩვენა, მეორე დღეს, ფინალურ სერიაში კიდევ უფრო დიდი ნახტომები იყო მოს-

ალოდნელი. მაგრამ შეძლებდნენ კი დანარჩენები ჯენტილესთან კონკურენციას?!

— მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ პირველ რიგში, საჭირო იყო თვით ოლიმპიადამდე მიღწევა. მაქსიმალურად უნდა ამეცილებინა თავიდან ტრავმები. კარგ ფორმაში უნდა ვყოფილიყავი, ნერვული სტრესებიც გასათვალისწინებელი იყო და ბოლოს — საკუთარი თუ მეტოქეთა შესაძლებლობებიც საღად შემეფასებინა. ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე ვფიქრობდი, რომ სამხტომში გამარჯვებისათვის 17-მეტრიან ზღვრის გადალახვა იქნებოდა საჭირო და შინაგანად ამისთვის ვემზადებოდი. სხვათა შორის, იმ პერიოდისთვის ჩემი შედეგები ამ მაჩვენებელს უახლოვდებოდა კიდეც, თუმცა ჯუზეპე ჯენტილეს რეკორდი მაინც დამაფიქრებლი იყო, რადგან იგი საკვალიფიკაციო შეჯიბრების დროს დაამყარა. ამასთან, ფინალურ სერიაში სხვა მეტოქეებისგანაც იყო მოსალოდნელი მაღალი შედეგები. მათ შორის კი იყვნენ: ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, პოლონელი იოზეფ შმიდტი და ბრაზილიელი ნელსონ პრუდენსიო. ამიტომ ვცდილობდი, შეძლებისდაგვარად ზედმეტად არ მენერვიულა და მშვიდად ვყოფილიყავი მთავარი შეჯიბრებებისათვის... მეორე დღეს ასპარეზობების დაწყებამდე, საკმაო დაძაბულობა იგრძნობოდა. მოთელვის დროს გავისინჯე პულსი — 120 დარტყმა წუთში. ჩემი მწვრთნელების აკოფ კერსელიანისა და ვიტოლდ კრეერისა კი 160-მდე აღწევდა!.. კრეერმა ბარათი მომაწოდა ბოლო დარიგებებით: „შეასრულე ფართო გამორბენი. ბოლომდე შეინარჩუნე სისწრაფე! ნახტომისას ნუ იჩქარებ!“

ვიქტორ სანეევის პირველი ცდა ერთობ მოკრძალებული აღმოჩნდა (16,49 მ). რვა უძლიერეს ფინალისტს შორის მოსახვედრად, ეს შედეგი საკმარისი არ იყო თუმცა, ჯერ საგანგაშო არაფერი იყო — მთავარი, ნახტომის ტექნიკურად სწორად შესრულება გახლდათ. მაგრამ იტალიელმა მძლეოსანმა, რომელიც სანეევის შემდეგ ხტებოდა, მეტოქეების ნერვებს კიდევ ერთი გამოცდა მოუწყო. პირველსავე ცდაზე იგი 17,22 მ-ზე გადახტა და საქმეც მოთავებულად ჩათვალა, ჯუზეპე ჯენტილე უკვე ოლიმპიურ ჩემპიონობას ზეიმობდა...

— იტალიელის შედეგი, რა თქმა უნდა, ძალზე სოლიდური იყო, მაგრამ მე თავს ვიმშვიდებდი, არ უნდა დამეკარგა საკუთარ თავზე კონტროლი. ძალზე ნერვიულობდნენ ჩემი მწვრთნელები, განსაკუთრებით — საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიტოლდ კრეერი. იგი გამუდმებით მიყვიროდა და ტრიბუნიდან მაძლევდა მითითებებს, მე კი თავს ვიმშვიდებდი. როდესაც მეორე ცდაზე, მთავარ ფინალში მოსახვედრად საჭირო ნორმატივი შევასრულე, ვგრძნობდი, რომ ჯერ კიდევ მთელი ძალით არ ვიხარჯებოდი. მესამე ცდაზე კი, საღი გონებით გავიაზრე ყველა მოძრაობა და სარეკორდო ნახტომიც გამომივიდა — 17,23 მ... მახსოვს, გავიფიქრე, — ძალიან კარგი, რომ მსოფლიო რეკორდი დავამყარე. კიდევ ვიბრძოლებ. აბა, მიდით, ახლა თქვენი ჯერია, იხტუნავეთ-მეთქი.

ბრაზილიელი ნელსონ პრუდენსიო ოლიმპიურ თამაშებამდე არაფრით გამოირჩეოდა. პირადი საუკეთესო შედეგიც საკმაოდ მოკრძალებული ჰქონდა — 15,17 მ. მაგრამ ბრაზილიელები სამხტომში ტრადიციულად ძლიერი სკოლით ამაყობდნენ და არცთუ ისე უსაფუძვლოდ: წინა წლებში მათ ორჯერ იმარჯვეს ოლიმპიურ თამაშებზე. აქაც, მეხიკოში პრუდენსიომ სიურპრიზი შესთავაზა მეტოქეებს — მორიგ ცდაზე 17,27 მ-ზე გადახტა და ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. პრუდენსიო ასპრაზობების ლიდერი გახდა. ეს უკვე მესამე მსოფლიო რეკორდი იყო, რომელიც იმ დღეს დაამყარეს მხტომელებმა.

სანეევის მეოთხე და მეხუთე ცდა უხეირო აღმოჩნდა. იგი კვლავ მეორე ადგილზე რჩებოდა, მაგრამ ერთი ცდის უფლება კიდევ ჰქონდა.

— მშვიდად ვიქტორ, — ვეუბნებოდი ჩემს თავს, — არ იჩქარო. გაიაზრე ყველა მოძრაობა, გამორბენის, ხტომებისა და ფრენის ყველა სტადია, იფიქრე შესრულებაზე. მხოლოდ ცივი გონება!

ბოლო, მეექვსე ცდა უხერხულად დავიწყე. მივხვდი, რომ არეკნის ნიშნულამდე ერთი ნაბიჯი დამაკლდებოდა. ამიტომ ყოველი აკვრისას ვცდილობდი, ამენაზღაურებინა დაკარგული სანტიმეტრები. სილაში რომ ჩავეშვი, მსაჯისკენ მივიხედე, მინდოდა, გამეგო, რა შედეგი მქონდა. ჩვეულებრივ, მსაჯის გამომეტყველების მიხედვით შეუძლებელია, მიხვდე ნაჩვენებ შედეგს. ისინი მკაცრნი და მიუკერძოებელნი არიან, მაგრამ ზოგჯერ მაინც ამჟღავნებენ ადამიანურ თვისებებს. მექსიკელ მსაჯს რომ გავხედე, მან ოდნავ შესამჩნევად გამიღიმა. მივხვდი, რომ გავიმარჯვე და ინსტინქტურად ავხტი. ამ დროს, ტაბლოზეც დაიწერა — 17,39 მ — ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი! და თუმცა ჩემ შემდეგ, ჯენტილეს ერთი ცდა კიდევ ჰქონდა დარჩენილი, ვგრძნობდი, რომ მას საამისოდ ძალა აღარ ეყოფოდა.

ვიქტორ სანეევმა თავისი პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. ბრაზილიელი ნელსონ პრუდენსიო მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო იტალიელ ჯუზეპე ჯენტილეს კვარცხლბეკზე მხოლოდ მესამე ადგილი ერგო.

მეხიკოს ოლიმპიური თამაშები გამორჩეული იყო

ზაფხულის XX ოლიმპიური თამაშები ქართველი სპორტსმენებისათვის ყველაზე ბარაქიანი აღმოჩნდა: მიუნხენში ჩვენმა ათლეტებმა 11 მედალი მოიპოვეს, მათ შორის 6 — ოქრო. ვიქტორ სანეევმა კი ამ თამაშებზე ოლიმპიური ჩემპიონის მეორე ტიტული დაისაკუთრა. თუმცა გამარჯვება არც ამჯერად ყოფილა ადვილი.

ოლიმპიადისწინა სეზონი სანეევისათვის, ერთობ უიღბლო გახლდათ: ტრავმებისგან განამებულმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც წაგო, ევროპის ჩემპიონის ტიტულიც დაკარგა და კუბელმა პერეს დუენიასმაც მისი მსოფლიო რეკორდი ერთი სანტიმეტრით გააუჯობესა.

— ყველაზე ცუდი ის იყო, რომ საშინლად მტკიოდა ფეხი. ნაკრების მწვრთნელებსაც ეჭვი ეპარებოდათ, შეეძლებდი თუ არა ოლიმპიადაზე გამოსვლას. ნუთუ, ამ ფეხის ტრავმის გამო უნდა გამომეტოვებინა ოლიმპიადა?! მიუნხენამდე ხომ სულ ცოტა დრო რჩებოდა?! ამიტომ გადავწყვიტე, ორი კვირით სოხუმში წასვლა და დასვენება. ახლაც არ ვიცი, ყველაზე მეტად რამ მიშველა — დედის მალამომ, რომლითაც ვიზელდი ფეხს, ვარჯიშებისაგან დასვენებამ თუ სოხუმის ზღვამ, მაგრამ ფაქტია — ორიოდე კვირაში ფეხი თითქმის აღარ მტკიოდა და ვიგრძენი, რომ შეჯიბრებაზე გამოსვლა შეძეძლო. თუმცა, კვლავ სიფრთხილე და



თითქმის 15 წელია, იგი ოჯახთან ერთად ავსტრალიაში ცხოვრობს, თუმცა საქართველოსთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია

ოლიმპიადამდე გამოზომილად მოქმედება იყო საჭირო. ამიტომ ვცდილობდი, ვარჯიშებზე თავი შემეკავებინა, არ ავყოლოდი საერთო აჟიოტაჟს. ხდება ხოლმე, რომ ახალგაზრდები ცდილობენ თავის გამოჩენას, ზედმეტად აღგზნებულნი არიან და დროზე ადრე „გადაიწვებიან“ ხოლმე. არც ტრავმებია იშვიათი...

მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე სამმხტომელთა ასპარეზობებში ვიქტორ სანეევს ძველ მეტოქეებთან ერთად, ახალი კონკურენტებიც დაემატნენ — მეხიკოს ცნობილი ოლიმპიური ფინალისტებიდან ხუთნი კვლავ ცდილობდნენ ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. მათ შორის იყვნენ: ჯუზეპე ჯენტილე და ნელსონ პრუდენსიო. რაც შეეხება ახალ მეტოქეებს, აქ პირველ რიგში აღსანიშნავი იყო მსოფლიო რეკორდსმენი — კუბელი პერეს დუენიასი და გერმანელი იორგ დრემელი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე აჯობა სანეევს. მაგრამ მოგეხსენებათ, ოლიმპიადები ყოველთვის გამოირჩეოდა სიურპრიზებით. გამონაკლისი არც მიუნხენი ყოფილა. ჯენტილემ და ხუენიასმა საკვალიფიკაციო ნორმატივები ვერ შეასრულეს, ამიტომ სანეევიც ფრთხილობდა.

— მწვრთნელებთან ერთად გადავწყვიტეთ, განსაკუთრებული დაძაბულობის გარეშე გამევლო კვალიფიკაცია, ისე, რომ ნორმატივიც შემესრულებინა და მეტოქეებისთვისაც მეგრძნობინებინა, რომ საბრძოლველად მზად ვიყავი. პირველსავე ცდაზე 16,85 მ-ზე გადავხტი და ძირითად ასპარეზობებში მონაწილეობის უფლებაც დავიბევე, მაგრამ მთავარი, ხვალინდელი ფინალი იყო. მეორე დღისთვის მწვრთნელებთან ერთად შევიმუშავე „პირველი დარტყმის ტაქტიკა“. უკვე საკმაოდ გამოცდილი ვიყავი და ვცდილობდი, არ მენერვიულა, ყველაფერი ზუსტად შემესრულებინა. მეხიკოს ოლიმპიადის მსგავსად, ვიტოლდ კრეერის „შპარგალკა“ აღარ მჭირდებოდა, თავად ვიცოდი, როგორ შემესრულებინა გარბენი და ნახტომები. მართლაც, პირველსავე ცდაზე ავტომატიზმამდე დაყვანილი მოძრაობები გამომივიდა და ჩინებული შედეგიც მივიღე — 17,35 მ.

მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე ვიქტორ სანეევი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბოლო — მეექვსე ნახტომის შემდეგ ავიდა, მიუნხენში კი ოქროს მედალი მან პირველსავე ცდაზე დაიბევა. გერმანელი იორგ დრემელი ვერცხლს დასჯერდა (17,31მ), ხოლო ბრაზილიელი ნელსონ პრუდენსიო მეორე ოლიმპიური (ამჯერად — ბრინჯაოს) მედლით ერთობ გახარებული იყო (17,05 მ).

მიუნხენში მოპოვებული მეორე ოქროს მედლისთვის ვიქტორ სანეევი საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დააჯილდოეს. მაგრამ სპორტსმენმა მალე, საკუთარ თავს უკეთესი ჯილდო უსახსოვრა: სოხუმში გამართულ ტურნირზე — ვიქტორ სანეევის სახელობის თასის გათამაშებაზე იგი 17,44 მ-ზე გადახტა და მსოფლიო რეკორდსმენის ტიტული დაიბრუნა.

სანეევამდე სამხტომში ზედიზედ ორი ოლიმპიური ოქრო ბრაზილიელ დე სილვასა და პოლონელ შმიდტს ჰქონდათ მოპოვებული, მაგრამ სამჯერ გამარჯვება მანამდე ვერავინ შეძლო. ვიქტორი პირველი ათლეტია, რომელმაც ზედიზედ სამჯერ აისრულა ყველა სპორტსმენის ოცნება.

1976 წელს, მონრეალის ოლიმპიური თამაშებისთვის ვიქტორ სანეევი უკვე სოლიდურ ასაკში იყო და სერიოზულ მეტოქედ მას აღარც მიიჩნევდნენ, ამასთან, ერთი წლით ადრე, ბრაზილიელმა ჟოაო კარლოს დე ოლივეირამ ფანტასტიკური შედეგი აჩვენა: მეხიკოში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობებზე იგი 17,89 მ-ზე გადახტა. სანეევი, როგორც ყოველთვის, ყველაზე უკეთ სწორედ ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადებოდა და ოლიმპიური სიმშვიდითაც იმარჯვებდა. ამჯერადაც ასე მოხდა: ჩვენი ათლეტი მეხუთე ცდაზე ყველაზე შორს — 17,29 მ-ზე გადახტა, ოლივეირამ მხოლოდ მესამე შედეგი აჩვენა — 16,90 მ; ხოლო ვერცხლის მედალი ამერიკელ ჯეიმს ბაგსს ერგო — 17,18 მ.

— მონრეალში ჩემი ძველი ნაცნობებიდან, ბრაზილიელი ნელსონ პრუდენსიოც ასპარეზობდა. სამწუხაროდ, ჩვეულ ფორმაში არ იყო და საკვალიფიკაციო შეჯიბრებებიდანვე გამოეთიშა ტურნირს. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის სამახსოვროდ, ლამაზი ბრელოკი მაჩუქა და გამარჯვება მისურვა. საინტერესოა — გამარჯვება მან მე მისურვა და არა თავის თანამემამულეს — ოლივეირას. საბედნიეროდ, ჩემი და პრუდენსიოს სურვილი ასრულდა.

ვიქტორ სანეევისათვის ყველაზე დრამატული მისთვის მეოთხე — მოსკოვის ოლიმპიური თამაშები იყო. 35 წლის ვეტერანის მთავარი „მეტოქე“ ისევ ტრავმები აღმოჩნდა. ამასთან, თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიაზე, „ლუჟნიკის“ სტადიონზე ოლიმპიური ჩირაღდანი სწორედ სანეევმა შეიტანა. მოგვიანებით, ვიქტორი იტყვის, რომ ამ ცერემონიამ ფსიქოლოგიურად მას დიდი ენერგია დაახარჯვინა და ასპარეზობების საბოლოო შედეგზე, ამ ფაქტორმაც იქონია თავისი უარყოფითი გავლენა.

რაც შეეხება მეტოქეებს — მის მთავარ კონკურენტად კვლავ მსოფლიო რეკორდსმენი, ბრაზილიელი ჟოაო კარლოს დე ოლივეირა ითვლებოდა. მისი რეკორდი იმ პერიოდისათვის ისევ ძალაში რჩებოდა. როგორც ჩანს, სანეევზე მეტად, ბრაზილიელი მხტომელის საბჭოთა მსაჯებს ეშინოდათ და მოარული ხმებით, მესამე ცდაზე, ესტონელ ააკ უუდმიაეს რამდენიმე სანტიმეტრი „წაუმატეს“. ტალინელი მხტომელი 17,35 მ-ით ასპარეზობების ლიდერი გახდა. ოლივეირა 17,22 მ-ით მეორე იყო, ხოლო სანეევს ბოლო ცდის წინ, მესამე შედეგი ჰქონდა.

— ფეხები ძალიან მტკიოდა. ვერც გამაყუჩებელმა ნემსმა დამიამა ტკივილი. ბოლო ნახტომისათვის ვემზადებოდი. ტკივილები გვერდზე გადავდე, დავივიწყე. ჯანდაბას, რომც მომტყდეს ფეხები, მაინც გადავხტები-მეთქი, — ვფიქრობდი. ტრიბუნებიდან გულშემატკივრები შეძახილებით მამხნევებდნენ, მაგრამ პირიქით, უფრო მიშლიდნენ. დაველოდე — იქნებ, ცოტა მინელდეს-მეთქი...

ყველა ხვდებოდა, რომ ეს ვიქტორ სანეევისათვის ცხოვრებაში ბოლო ნახტომი იქნებოდა. მსაჯებიც თანაუგრძნობდნენ ლეგენდარულ მძლეოსანს... 17,24 მ — ეს მეორე შედეგი იყო მოსკოვის ოლიმპიადაზე. ვიქტორ სანეევი ვერცხლის მედალს დასჯერდა. ოქრო ააკ უუდმიაემ დაისაკუთრა, ხოლო ბრინჯაო — ოლივეირამ ირგუნა.

საზეიმო დაჯილდოების ცერემონიაზე, როდესაც უკვე კვარცხლბეკზე იდგნენ, ბრაზილიელმა ათლეტმა ოთხი თითი გაიშვირა სანეევისაკენ, რითიც ყველას დაანახვა, რომ ვიქტორი უძლიერესი სამმხტომელია მსოფლიოში...

მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ, 25 წელი გავიდა, მაგრამ ვიქტორ სანეევს არასდროს არსად უთქვამს, რომ ბოლო ოლიმპიადაზე, თურმე მსაჯები დახმარებიან ესტონელ მხტომელს; თუმცა გულშემატკივრები დღემდე თვლიან, რომ გამარჯვება პრაქტიკულად ვიქტორს ეკუთვნოდა. თავად სანეევი კი ამბობს, რომ ბოლო ცდის დროს ძლიერი შემხვედრი ქარი რომ არ ყოფილიყო, იგი მეოთხე ოლიმპიური ოქროსთვისაც ბოლომდე იბრძოლებდა.

3 ოქტომბერს ვიქტორ სანეევს 60 წელი შეუსრულდა. თითქმის 15 წელია, იგი ოჯახთან ერთად ავსტრალიაში ცხოვრობს, თუმცა საქართველოსთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. თვის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მას საიუბილეო საღამოს უწყობს და ვიქტორის გულშემატკივრებსაც კიდევ ერთხელ ექნებათ ცოცხალ ლეგენდასთან შეხვედრის საშუალება.

■

ქალი, რომელიც უიარაღოდ ვერ ძლებს

ნინო სალუქვაძე, გარდა იმისა, რომ საქართველოს ტყვიის მსროლელთა ისტორიაში, სპორტის ამ სახეობის საუკეთესო წარმომადგენელია, ერთადერთი ქართველიცაა, რომელსაც 5 ოლიმპიადაზე უასპარეზია. სალუქვაძე სეულის ოლიმპიადის ოქროსა და ვერცხლის მედალთან ერთად, ოცამდე მსოფლიო რეკორდის მფლობელია. ამასთანავე, იგი ექვსჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი როგორც პირად, აგრეთვე გუნდურ ჩათვლაში და მრავალჯერ აქვს მოგებული ევროპის პირველობა. ხუთჯერ კი ნინო მსოფლიო თასს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ ამ სპორტსმენის წარმატებაში უდიდესი როლი მამამ — ვახტანგ სალუქვაძემ შეასრულა, რომელიც ბავშვობიდან მოყოლებული, საკუთარი შვილის პირად მწვრთნელობას დღემდე აგრძელებს.

ლაშა თაბაგარი

ტირში – ყალათბურთის დარბაზიდან

— მამაჩემი ტყვიის მსროლელი რომ არ ყოფილიყო, ალბათ ვერც გავიგებდი, სპორტის ასეთი სახეობა რომ არსებობდა. ის 30 წლის განმავლობაში გამოდიოდა, როგორც საკავშირო, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე და საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის გამარჯვებულიც გახლავთ. მამა დიდი ხნის განმავლობაში, ქვეყნის ნაკრების წევრი იყო, მაგრამ ოლიმპიადაზე ასპარეზობამ არ მოუწია. იგი 1960 წელს რომში დაგეგმილი ოლიმპიური თამაშებისთვის გუნდში ფაქტობრივად, პირველ ნომრად ითვლებოდა, მაგრამ იმ პერიოდში არსებული წესის მიხედვით, ნაკრებში რამდენიმე სპორტსმენი ოლიმპიურ ციკლში ნაჩვენები შედეგის მიხედვით ხვდებოდა, ნაწილს კი მწვრთნელთა საბჭო ირჩევდა; მამამ რომში გამგზავრების უფლება შედეგით კი მოიპოვა, მაგრამ სამწუხაროდ, მის მაგივრად ოლიმპიადაზე სხვა წაიყვანეს. სანამ ტირში მივიდოდი, კალათბურთის სექციაში ვვარჯიშობდი და ჩემს გუნდთან ერთად მოზარდებს შორის ქალაქის ჩემპიონატიც მაქვს მოგებული. შემდეგ ჩვენმა ოჯახმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა და მოუცლელობის გამო მშობლებმა საკალათბურთო დარბაზში ვეღარ მატარეს. მთელი დღე ეზოში უსაქმოდ რომ არ ვყოფილიყავი, დედაჩემის რჩევით, მამამ პისტოლეტით სროლაში ვარჯიში დამაწყებინა.

ნაადრევი წარმატება

— საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 1966 წელს დაბადებულ გოგონათა შორის მოსწავლეთა სპარტაკიადისთვის ემზადებოდა, რომელშიც ჩემი მონაწილეობა არარეალური ჩანდა, რადგან ნაკრების სხვა წევრებზე 3 წლით უმცროსი ვიყავი. ყველას გასაოცრად, ამ ტურნირზე გამოსვლის უფლება მაინც მოვიპოვე. სპარტაკიადის, რომელიც 1984 წელს ტაშკენტში გაიმართა, ფავორიტად უკრაინელები მიიჩნეოდნენ, მაგრამ ჩვენმა ნაკრებმა 4 ოქროს მედალი მოიპოვა და სპარტაკიადის ჩემპიონები გავხდით. ოქროსმედალოსნებს შორის მეც ვიყავი და ამის შედეგად, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს. იმ წელს, ევროპის ჩემპიონატზე არ წამიყვანეს, რადგან ჩათვალეს, რომ ასაკით პატარა ვიყავი, სამაგიეროდ, მომდევნო წელს მოვახერხე ევროპული ოქროს მოგება. 1986 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ტყვიის მსროლელებს შორის 4 წელიწადში ერთხელ იმართება, უკვე საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების შემადგენლობაში ვიასპარეზე. მაშინ 17 წლის ვიყავი და ჩემთვის ამხელა ფორუმში მონაწილეობა უდიდესი პასუხისმგებლობა იყო. ჩემპიონატი ჩვენი გუნდის გამარჯვებით დასრულდა, ხოლო პირად ჩათვლაში მესამე ადგილი დავიკავე. 1987 წელს, სეულში ოლიმპიურ კვირეულზე მსოფლიო რეკორდი დავამყარე. იმავე წელს, საბჭოთა კავშირის პირველობაზე 7 ოქროს მედალი მოვიგე.



როგორც მამამ მომიყვა, ერთხელ სროლაში ქალთა შეჯიბრება დახურულ სასროლეთში ტარდებოდა და იგი ერთ-ერთი მონაწილისთვის სავალალოდ დასრულდა

ოლიმპიური ოქრო და სეჟარიჩის რევანში

— 1988 წელს სეულის ოლიამპიადისთვის საკმაოდ კარგად ვიყავი მომზადებული, მაგრამ ნაკრებში ძირითადი აქცენტი დობრანჩევაზე კეთდებოდა, რომელიც გუნდის ლიდერად ითვლებოდა და თავის დროზე ჩემი კერპიც იყო. როდესაც სპორტული პისტოლეტით მრგვალ სტენდზე სროლის შედეგები გამოცხადდა, აღმოჩნდა, რომ ყველაზე კარგად მე მქონდა ნასროლი, რაც სხვებისთვის მოულოდნელი გახლდათ.

ამის შემდეგ, შეჯიბრება იმავე იარაღით სწრაფ სროლაში გაიმართა, სადაც ტრადიციულად კარგად გამოვდიოდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ უშუალო კონკურენტს — იუგოსლავიელ იასნა სეკარიჩს, რომელიც ამ დისციპლინაში ძლიერი არ იყო, დავამარცხებდი. მოვლენები სწორედ ასე განვითარდა და პირველი ადგილი დავიკავე. მეორეზე — იაპონელი მსროლელი გავიდა, ხოლო იასნამ იმდენად ცუდად შეასრულა ეს ეტაპი, რომ ბრინჯაოს მედალი ერგო. სამაგიეროდ, მან რევანში პნევმატური პისტოლეტით სროლაში ამიღო. სამწუხარო ის იყო, რომ ფინალამდე ამ დისციპლინაში ოლიმპიური რეკორდი დავამყარე, მაგრამ ფინალში სეკარიჩთან დავმარცხდი და ვერცხლის მედალს დავჯერდი. ასე რომ, სეულში ერთი ოქრო და ერთი ვერცხლი მოვიპოვე. როგორც შემდეგ მამამ მითხრა, როდესაც სპორტული პისტოლეტით სროლისას ოქრო ავიღე, ხოლო პნევმატურით ფინალამდე რეკორდი დავამყარე, საბჭოთა კავშირის ნაკრების შტაბში ყველა დარწმუნებული იყო, რომ მეორე ოქროსაც მოვიგებდი და წინასწარ პლაკატიც მოუმზადებიათ წარწერით: „ნინო, გილოცავთ მეორე ოქროს მედალს!“ სამწუხაროდ, ეს ვარაუდი არ გამართლდა... იმავე წელს, მსოფლიო ჩემპიონატი იუგოსლავიაში, იასნა სეკარიჩის სამშობლოში ჩატარდა. უდიდესი მხარდაჭერის მიუხედავად, იასნა ფინალში მე-7 შედეგით მოხვდა. სპორტის ამ სახეობაში გულშემატკივრობა სიჩუმის დაცვით გამოიხატება, მაგრამ როდესაც ის ისროდა, დარბაზი ინგრეოდა. ხმაური ყველა მონაწილეზე ცუდად მოქმედებდა, მათ შორის ჩემზე, მაგრამ ღვთის წყალობით, ნერვიულობის მიუხედავად, კარგი შედეგი ვაჩვენე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს სტენდთან ვიღაც იდგა და ჩემს ნასროლ ტყვიებს „ათიანებში“ არჭობდა. საბოლოოდ, იუგოსლავიაში მსოფლიო ჩემპიონი გავხდი.

დამალული დეპეშა

— 1991 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი ჯერ დაშლილი არ იყო, ნაკრებში, სხვა ქართველებთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადებოდი. ამ დროს, გუნდში მოვიდა ზვიად გამსახურდიას ბრძანებით დაწერილი დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თუ ჩემპიონატზე გამოვიდოდით, ქვეყნის მოღალატეებად გამოგვაცხადებდნენ. ეს დეპეშა რუსებმა დაგვიმალეს და მსოფლიო პირველობაზე ისე წაგვიყვანეს. თუმცა, საბოლოოდ სიტუაცია ისე წარიმართა, რომ ჩვენ იმ წელს ნაკრებში არ გვიასპარეზია. 1992 წელს, როდესაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ქართველ სპორტსმენებს ბარსელონის ოლიმპიადაზე დსთ-ის ნაკრების სახელით გამოსვლა მოგვთხოვეს. ყოველივე ძალიან გამაღიზიანებელი იყო, რადგან ნაკრებში ადგილის მოპოვება თავიდან მომიხდა. აქედან გამომდინარე, ოლიმპიადაზე გამოფიტული წავედი და მე-7 ადგილი დავიკავე, რამაც უდიდესი ტრავმა მომაყენა.

შეიარაღებული, მაგრამ არა საშიში

— როდესაც საქართველოში სიტუაცია აირია, იტალიელი სპონსორები გამომიჩნდნენ: იარაღის მწარმოებელი ფირმა „ბინელი“ და ტყვიებისა — „ფიოკი“, რომლებმაც შეჯიბრებებზე ჩემი წაყვანა საკუთარ თავზე აიღეს.

იასნა ფინალში მე-7 შედეგით მოხვდა. სპორტის ამ სახეობაში გულშემატკივრობა სიჩუმის დაცვით გამოიხატება...

სპორტული ფორმის შენარჩუნება წლების განმავლობაში, მათი დახმარებით მოვახერხე. სახელმწიფოდან არავითარი დახმარება არ მქონდა და აქ სავარჯიშოდ ელემენტარული პირობაც კი არ არსებობდა. ღია სასროლეთი საქართველოში მხოლოდ სოხუმში იყო, ამიტომ ჩვენ დახურულ ტირში ვვარჯიშობდით. ოლიმპიადა კი ჩვეულებისამებრ, ღია ცის ქვეშ იმართება და როდესაც სპორტსმენი ვარჯიშზე სულ სხვა განათების ქვეშ ისვრის, ვიდრე შეჯიბრებაზე, ბუნებრივია, იგი სასურველ შედეგს ვერ აჩვენებს. იმ წლებში ძირითადად, გერმანიაში ვემზადებოდი და საქართველოში ვარჯიში 1997 წლიდან განვაახლე. აქვე გეტყვით, რომ არეულობის დროს, ქუჩაში თავის დასაცავად საკუთარი იარაღით დავდიოდი. არც მაშინ და არც ახლა, იარაღით მომარაგების მხრივ პრობლემა არ შემქმნია: თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ იარაღის მწარმოებელ რამდენიმე ფირმასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და ისინი უასასყიდლოდ მიგზავნიან. დღესაც, თუ სადმე მსოფლიოში ახალი სპორტული პისტოლეტი გამოდის, იგი მეც აუცილებლად მაქვს. პნევმატურ პისტოლეტებში უპირატესობას ავსტრიულ „შტერმანს“ ვანიჭებ, ხოლო სპორტულში — „ჰაინვერბაუს“. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის პერიოდში, ყველაზე კარგ იარაღად ადგილობრივი წარმოების „ხაერ 30“ ითვლებოდა. მისმა გამომგონებელმა რიაზანოვმა 1986 წელს ამ პისტოლეტის ახალი მოდელი მაჩუქა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იგი რუსებმა ჩამომართვეს. აღნიშნული იარაღის წარმოების უფლება რიაზანოვსაც წაართვეს და მისი დამზადების ლიცენზია გერმანელებს ისე მიჰყიდეს, ავტორს არც კი ჰკითხეს. ამის გამო, რიაზანოვს ნერვიულობისგან მეტროში ინფარქტი დაემართა და გარდაიცვალა.

მუხთალი იარაღი და კომპიუტერის შეწირული ვერცხლი

— მამა ყოველთვის მამზადებდა იმისთვის, რომ შეჯიბრების მსვლელობისას შეიძლებოდა იარაღი გაფუჭებულიყო ან რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა მომხდარიყო. მართლაც, ხშირად ყოფილა, რომ პისტოლეტი სრულიად მოულოდნელად მწყობრიდან გამოსულა. საბჭოთა კავშირში ჩვენთვის სპეციალური ტყვია — „ოლიმპი“ მზადდებოდა, რომლის წარმოებაც გასაიდუმლოებული იყო. სროლის შემდეგ, ცარიელ მასრებს ვაგროვებდით და ვაბარებდით, რომ მისი შექმნის საიდუმლო საზღვარგარეთ არ გასულიყო. პირველად ევროპის ჩემპიონატზე რომ გავემგზავრე, შეჯიბრების მსვლელობისას, როდესაც ბოლო სერია უნდა მესროლა, ტყვია არ გავარდა. ვიფიქრე — პისტოლეტის დატენა ხომ არ დამავიწყდა-მეთქი? — და ლულაში ახალი ტყვია ჩავდე, რომელიც საკმაოდ ძნელად ჩავიდა. გასროლის შემდეგ, სტენდი ორ ადგილზე გაიხვრიტა. როგორც აღმოჩნდა, ორი ტყვია გავისროლე, ხოლო იარაღის ლულა ისე გაიბერა, რომ იგი გადასაგდები გახდა. ცხადია, დავინტერესდი, თუ რატომ მოხდა ყოველივე და გავარკვიე, რომ პირველად იარაღი მასრაში დენთის არქონის გამო არ გავარდა. ასეთი რამ კი წარმოუდგენელი იყო, რადგან, როგორც აღვნიშნე, ჩვენთვის ტყვიებს სპეცშეკვეთით ამზადებდნენ. მახსოვს, ერთ-ერთი ასპარეზობისას, ჩემს პისტოლეტს სასხლეტი გაუფუჭდა — არადა, შეჯიბრება უკვე მთავრდებოდა. უკანასკნელ მომენტში, უზბეკმა სპორტსმენმა მათხ-

ოვა თავისი იარაღი, რომლითაც პირველი ადგილის დაკავება მოვახერხე. მას შემდეგ, რაც მიზანში სროლა დავიწყე, „შვიდიანიში“ არასოდეს მომირტყამს, მაგრამ 1996 წელს, ატლანტის ოლიმპიადაზე ქულების აღრიცხვის ახალდანერგილი კომპიუტერული სისტემის მიზეზით, ტურნირის ფინალში შეცდომით ორჯერ „შვიდიანი“ დაფიქსირდა და მეორე ადგილის მაგივრად, მეშვიდე დავიკავე. მაშინ, პროტესტიც ვერ გამოვთქვით, რადგან, ორგანიზატორებმა გვითხრეს — პროგრესს ეწინააღმდეგებითო. სულ ახლახან, იასნა სეკარიჩს იგივე შეემთხვა. ერთ-ერთ შეჯიბრებაზე, როდესაც იგი ისროდა, შედეგის დაფიქსირებისას ცდომილება დიდი იყო და მაშინვე ვუთხარით მის მწვრთნელს, ქულათა აღრიცხვის სისტემა შეემოწმებინა. მართლაც, ასპარეზობა ორი საათით შეაჩერეს და აღმოჩნდა, რომ კომპიუტერი ქულებს არასწორად ითვლიდა. ბოლოს და ბოლოს, სეკარიჩმა ჩვენი დახმარებით ტურნირზე პირველი ადგილი და შესაბამისად, ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

ყველაზე დიდი წარმატება სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პერიოდში

— სიდნეისა და ათენში ასე თუ ისე, მომზადებული წავედი, მაგრამ როდესაც სპორტსმენს ჩემსავით ვიზისთვის, ბილეთისა და ყველა წვრილმანი საკითხის მოსაგვარებლად უწევს სირბილი, კარგი შედეგის ჩვენება ძნელია. ამიტომ მეც ორივე ოლიმპიადაზე არცთუ ისე კარგად გამოვედი. შარშან თბილისში ტირის გახსნა მოვახერხეთ, სადაც სავარჯიშოდ ნორმალური პირობაა შექმნილი და წელს, 2 თვის მანძილზე მომზადებულმა საქართველოს ქალთა გუნდმა ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დავიკავეთ. მსგავსი შედეგი ჩვენს ნაკრებს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პერიოდში არასდროს ჰქონია. მე, ნინო უჩაძემ და თამილა ასათიანმა უკრაინის, პოლონეთის, გერმანიის, უნგრეთისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები დავამარცხეთ, რომელთა შემადგენლობაში როგორც მსოფლიო, ასევე ოლიმპიური ჩემპიონებიც გამოდიოდნენ. არადა, ჩვენ სულ სამნი ვიყავით გუნდში და სათადარიგო მსროლელიც კი არ გვყავდა. მომავალ ოლიმპიადამდე კიდევ 2 წელია დარჩენილი და დიდი სურვილი მაქვს, პეკინისთვის 2 ლიცენზია მოვიპოვოთ. მოსამზადებელი გეგმა უკვე შედგენილი გვაქვს და თუ ხელშეწყობა გვექნება, ალბათ, ამას მოვახერხებთ.

უბედური შემთხვევა

— საერთოდ, ნებისმიერმა მსროლელმა იარაღის ხმარება კარგად იცის და ამიტომ, იმის შანსი, რომ სასროლეთზე უბედური შემთხვევა მოხდეს, თითქმის გამორიცხულია. მაგრამ როგორც მამამ მომიყვა, ერთხელ სროლაში ქალთა შეჯიბრება დახურულ სასროლეთში ტარდებოდა და იგი ერთ-ერთი მონაწილისთვის სავალალოდ დასრულდა. თურმე, ტირში ჰაერი დენთით ისე გაიჟღინთა, რომ მონაწილეთაგან რომელიღაცას სროლის დროს გული წაუვიდა და სანამ მიწაზე დაეცემოდა, მისი იარაღიდან გასროლილი ტყვია გვერდზე მდგომ სპორტსმენს ფეხში მოხვდა. საერთოდ, ჩვენ მიერ გახსნილი ტირის დანიშნულება, გარდა სპორტსმენების მომზადებისა, ისიც გახლავთ, რომ ადამიანმა იარაღთან მოპყრობა ისწავლოს: ყველას კარგად ახსოვს, თუ რამდენი უბედურება მომხდარა, არცოდნისა და იარაღის გაუფრთხილებლად გამოყენების გამო.

შეუღლება დაჭრის შემდეგ

— ჩვენი მსროლელი ვაჟების უმეტესობა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილეობდა და ბევრი მათგანი იქ საქართველოს ერთიანობას შეეწირა. ჩემი მეუღლე გოჩა, რომელიც ყოფილი მორაგბეა, ასევე იბრძოდა აფხაზეთში და დაჭრილიც იყო. ერთმანეთი მეგობრის ქორწილში გავიცანით, თუმცა, მას შემდეგ, ხშირი შეხვედრა არ გვქონია. მის მიმართ სიმპათია მაშინ უფრო გამიჩნდა, როდესაც შევიტყვე, რომ ომობდა და დაზარალდა კიდეც... ხშირად მეკითხებიან: გოჩას დაჭრამდე გაჰყევით ცოლად თუ შემდგომო? როდესაც ვპასუხობ, რომ დაჭრის შემდეგ-მეთქი, ყველას უკვირს. ერთხელ, მეუღლესთან და მის მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ ვიმყოფებოდით. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც ტაბელური „მაკაროვის“ იარაღი ჰქონდა, მიზანში სროლა შემომთავაზა. მართალია, მანამდე, „მაკაროვით“ არასოდეს მისვრია და ვიფიქრე, — არ შევრცხვე-მეთქი, — მაგრამ გამოწვევა მივიღე. ჰოდა, იქვე ახლოს მდგომი ფარდულის ბოქლომს 15 მეტრიდან შუაგულში მოვარტყი და ის ნატყვიარი დღემდე ხელუხლებელია.

დაპირისპირება რუსულად და სტუმართმოყვარეობა ქართულად

— საბჭოთა პერიოდში, თუ ქართველი სპორტსმენი რუსზე ერთი თავით მაღლა არ იდგა, საკავშირო ნაკრებში ვერ მოხვდებოდა. მსროლელთა გუნდში 60 ადამიანი ირიცხებოდა და შემადგენლობაში დიდი ხნით სტაბილურად დამკვიდრება რთული გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში ასაკით ერთ-ერთი ყველაზე უმცროსი ვიყავი, პრობლემა არავისთან ურთიერთობისას არ მქონია. რუსეთის მსროლელთა გუნდის წევრებიდან, ძველი ნაცნობები რომ მხვდებიან, მეუბნებიან, რომ ამჟამად ნაკრებში დაძაბული სიტუაციაა და ზოგიერთი სპორტსმენი ერთმანეთს არც ელაპარაკება. ჩემს დროს ასეთ რამეს ვერავინ გაბედავდა და უშუალო კონკურენტებსაც კი ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება გვქონდა. იუგოსლავიაში მიმდინარე ბრძოლების დროს, იასნა სეკარიჩს, რომელიც წლების განმავლობაში ჩემი უშუალო მეტოქე იყო, შევეხმიანე და ოჯახით თბილისში ჩამოსვლა შევთავაზე, რათა ბალკანეთში ომის დამთავრებამდე ჩვენთან ეცხოვრა.

ფსიქოლოგი მამა

სროლაში სპორტსმენის ფსიქოლოგიურ მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩემთვის საუკეთესო ფსიქოლოგი, მამა გახლდათ. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ამდენი წელი აქტიური სპორტსმენი ვარ. მახსოვს, ერთ-ერთ საკავშირო სპარტაკიადაზე შეხვედრის დასაწყისში ძალიან ცუდი შედეგი მქონდა. სასროლეთში ციოდა და პირველი ეტაპის შემდეგ, გარდა იმისა, რომ ხელები გამეყინა, ნერვიულობისაგან ხმაც მიკანკალებდა. ამ დროს მამა შეეცადა, ჩემი ყურადღება არა სროლაზე, არამედ სხვა საკითხზე გადაეტანა. ამან ისე დამაწყნარა, რომ ფაქტობრივად, ჩაგდებული გამოსვლა, მესამე ადგილზე გასვლით დავასრულე. ერთ-ერთმა სპორტსმენმა კი, რომელმაც პირველ ეტაპზე მაღალი შედეგი აჩვენა, მწვრთნელის უმართებულო რჩევის გამო, ასპარეზობაში მე-7 ადგილი დაიკავა.

■

ფრაზები გენიალური

ვაჟკაცობა იმისათვის გვაქვს, რომ ჩვენსას ვუპატრონოთ და სხვისას მოვერიდოთ.

შილერი

ძალადობა — გონჯებს

145 წლის წინ, ინგლისში ჯოზეფ კერი მერიკი დაიბადა, რომელიც ბედისწერის წყალობით მსოფლიოში ყველაზე ცნობილი გონჯი ადამიანი გახდა. 25 წლის წინ, ეკრანებზე მერიკის სავალალო ბედისადმი მიძღვნილი, დევიდ ლინჩის ფილმი — „ადამიანი-სპილო“ გამოვიდა. სხვის სიმახინჯეზე აგებული ბიზნესი მუდამ შემოსავლიანი საქმე იყო: სხვისი ტანჯვის საყურებლად ხალხს ფულის გადახდა არასოდეს დანანებია...

ფიზიკური ანომალიებისადმი თანამედროვე პუბლიკის ინტერესს ყველაზე ელვარე აფიშაც კი ვერ გააღვივებს

(დასაწყისი იხ. „გზა“ №40)

X-ადამიანები

XX საუკუნის ყველაზე ცნობილი შოუმენი, ფინეას ტეილორ ბარნუმი 1891 წელს გარდაიცვალა და მასთან ერთად, მასშტაბური საცირკო შოუების ვარსკვლავიც ჩაესვენა.

კინემატოგრაფის განთიადზე ბევრს ეგონა, რომ არასტანდარტული გარეგნობისა და ჯანმრთელობის ადამიანები ეკრანზე ადგილს ვერ დაიმკვიდრებდნენ, მაგრამ მუდამ სიახლის მომლოდინე მაყურებლის გასართობად, ეკრანებზე საშინელებათა ფილმები გამოჩნდა, რომელთა მთავარი გმირები შემზარავი გარეგნობითა და განსაკუთრებული სიმახინჯით გამოირჩეოდნენ. კინოსტუდია Universal-ის ფილმებს — „ნოტრ-დამელი კუზიანი“ (1923 წ.) და „ოპერის აჩრდილი“(1925 წ.) — უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ტოდ ბრაუნინგის შედევრმა „დრაკულამ“ (1931 წ.) ავტორებს უზარმაზარი მოგება მოუტანა.

Universal-ის წარმატება სტუდია MGM-ის მესვეურთ გულზე არ ეხატებოდათ და კონკურენტის დამარცხება მათივე იარაღით გადაწყვიტეს. MGM-ში ნამდვილი საშინელებათა ფილმის გადაღება გადაწყვიტეს და ამისათვის ტოდ ბრაუნინგი გადაიბირეს. Universal-ის საბოლოოდ დასაჩოქებლად, გადაღებებზე ნამდვილი ჯუჯები მიიწვიეს. სურათი ჟღერადი სათაურით — „გონჯები“ ეკრანებზე 1932 წელს გამოვიდა. კინოფილმში ბარნუმის ძველი ვარსკვლავების გარდა ახალი სახეებიც გამოჩნდა. მიკროცეფალი შლიცის როლს თავად მიკროცეფალი შლიცი ასრულებდა, ადამიანი-მუხლუხო ძველებურად ვირტუოზულად უკიდებდა სიგარას. ფილმში ერთადერთ ლამაზმანს, რუსი მსახიობი ოლგა ბაკლანოვა განასახიერებდა, მაგრამ მისი პარტნიორი ნამდვილი ქონდრისკაცი იყო. სურათის სიუჟეტის მიხედვით, ცირკის ლამაზმანი კლეოპატრა ცოლად ამავე დასის წევრ ჯუჯას მიჰყვება, რათა მის ფულს დაეპატრონოს და ცირკის ძალოსანთან ერთად, მის მოწამვლას ცდილობს, მაგრამ მახინჯი ადამიანებისგან შემდგარი დასი ბოროტმოქმედებს სასტიკად უსწორდება. ფილმის დასასრულს, დასახჩრებული კლეოპატრა და მისი საყვარელი არენაზე დანარჩენ გონჯებთან ერთად გამოდიან და წარმოდგენაში მონაწილეობენ.

ფილმის – „გონჯები“ – ჩავარდნის შემდეგ, არაგრადიციული გარეგნობის მსახიობების ხსნას, მხოლოდ ამერიკის მიყრუებულ რაიონებში გამართული გასტროლები წარმოადგენდა

ტოდ ბრაუნინგმა მორიგი გენიალური სურათი შექმნა, მაგრამ კრიტიკამ ფილმი მიუღებლად და ამორალურად მიიჩნია. მაყურებლისთვის, რომელიც Universal-ის საშინელ ზღაპრებს სიამოვნებით უყურებდა, MGM-ის ახალი სურათი ზედმეტად რეალისტური აღმოჩნდა. „გონჯების“ ცინიკური პოეზიის ღირსეულად შეფასება ვერც იმდროინდელმა ესთეტებმა შეძლეს.

დაცარიელებული დარბაზების შესავსებად, კინოთეატრების ადმინისტრაცია „გონჯებს“ სხვა ფილმებით ცვლიდა. ატლანტაში ადგილობრივმა ცენზორებმა სურათი გაქირავებიდან პირველსავე დღეს მოხსნეს. სარეკლამო სტრატეგიამაც დააღალატა.

„სიამის ტყუპის სექსუალური თამაშები“, „შეიძლება თუ არა, რომ ჯუჯამ ნორმალურ ქალზე იქორწინოს?“ — ამგვარმა სლოგანებმა ინტელიგენცია დააფრთხო და კრიტიკამ სურათი უარყოფითად შეაფასა. ადამიანებმა, რომლებიც გონჯების სანახავად სიამ-

ოვნებით დაიარებოდნენ ცირკში, ფართო ეკრანზე მათი ხილვა არ ისურვეს.

„გონჯებმა“ ტოდ ბრაუნინგისა და სურათში მონაწილე მსახიობების კარიერა გაანადგურა. მახინჯი მსახიობები ცირკიდანაც ნელ-ნელა ქრებოდნენ. 1930-იან წლებში, რასობრივი სიწმინდისა და ჯანაღი სხეულის კულტმა უდიდესი პოპულარობა მოიპოვა, ამიტომ იყო, რომ ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანთა ყურება შოუმენებისა და მაყურებლისთვის უინტერესო შეიქნა.

მიყრუებულ რაიონებში ეს ბიზნესი კიდევ დიდხანს, 50-იან წლებამდე ყვაოდა. სოფლის ბაზრობებზე მოხეტიალე ბალაგანის წარმოდგენები, სადაც წვეროსანი ქალები, ქონდრისკაცები და ცხოველთა მსგავსი ადამიანები გამოდიოდნენ, სრული ანშლაგით ტარდებოდა. ამ წლებში სახელი გაითქვა ჯორისსახიანმა ქალმა, რომელმაც ოლქის უმახინჯეს ქალთა კონკურსზე გაიმარჯვა და შოუბიზნესში ამ გზით შეაღწია. უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ადამიანი-ლობსტერების საცირკო დინასტია, რომელთა შვილები ხელ-ფეხის ნაცვლად, საცეცებით იბადებოდნენ. ხალხი ადამიანი-სელაპის და ადამიანი-კუს სანახავად წარმოდგენაზე ისევ თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

ამერიკა თანდათან იცვლებოდა და ქვეყანასთან ერთად, მისი მკვიდრნიც იცვლებოდნენ. გუშინდელი ფერმერები ქალაქებში გადავიდნენ საცხოვრებლად და ბალაგანებს მაყურებელი შემოაკლდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში, ამ ჟანრმა კვდომა დაიწყო. ბარნუმის დასის მსახიობები სოლიდური ქონების მფლობელნი იყვნენ, ახლა კი უჩვეულო გარეგნობის მსახიობებს სავალო ბედი ერგოთ. ამის მაგალითად, ადამიანი-ლობსტერების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის, გრედი სტაილზის ბედი გამოდგება. სტაილზმა ბალაგანში მუშაობით მოკრძალებული კაპიტალი დააგროვა, შემდეგ კი სმა დაიწყო და ალკოჰოლიზმით დაავადდა. გრედი მუდამ უხიაგი ხასიათით გამოირჩეოდა. როდესაც მისმა ქალიშვილმა გათხოვება მოინდომა, მამამ სასიძო დაიწუნა და ქორწილამდე ერთი დღით ადრე, სიცოცხლეს გამოასალმა. მრავალწლიანი საცირკო კარიერის განმავლობაში, სტაილზმა მისივე სიმახინჯისგან სარგებლის მიღება კარგად ისწავლა. ნაფიც მსაჯულთა გულის აჩუყება არ გასჭირვებია. მკვლელს, ელექტრონული სკამის ნაცვლად, 15-წლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს და განაჩენი იმით დაასაბუთეს, რომ კიდურების ამგვარი დეფექტის მქონე ადამიანს ამერიკის ვერც ერთი ციხე ვერ შეინახავდა.

ცირკის ვარსკვლავი, ჯინი ტომენი კარიერის დასრულების შემდგომ, უზრუნველი სიბერით ტკბებოდა. მისთანებს დღეს უმუშევრობა და უპენსიობა ელის

სტაილზის თავგადასავლები ამით არ დასრულებულა. გრედი ცოლის გასაღლახად საცეცეებსაც კარგად იყენებდა. ერთხელ ღამით, ცოლს ყელზე დანა მიაბჯინა და განუცხადა, რომ მეორედ ყელს გამოსჭრიდა. ტერეზა ამას არ დალოდებია: პირველ ქორწინებაში შეძენილი თავისი ვაჟი, რომელსაც მეტსახელად კუნძისთავიანს ეძახდნენ და რომელიც პურის ფულს ცხვირის ნესტოებში ლურსმნების ჩაჭედებით შოულობდა, სტაილზის მოსაკლავად წააქეზა. კუნძისთავამ ამ საქმისთვის ერთი ნარკომანი დაიქირავა. 1992 წლის 2 დეკემბერს, ადამიანი-ლობსტერი საკუთარ საცირკო ვაგონში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს. ტერეზა სტაილზს 12-წლიანი პატიმრობა მიესაჯა. დღეისათვის მან სასჯელი უკვე მოიხადა და ციხიდან გათავისუფლდა. ნარკომან კილერს 19 წელი მიუსაჯეს, კუნძისთავა კი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს ციხის გისოსებს მიღმა გაატარებს, რადგან, მისთანებისათვის ამერიკის ციხეები ზედმიწევნით კარგადაა აღჭურვილი.

1990-იან წლებში ბალაგანების ვარსკვლავი საბოლოოდ ჩაესვენა. ცოტა ხნის წინ, ორი დასი ამერიკის გზებს კიდევ სერავდა. ახლა მხოლოდ ერთი — „ძმები გრიმების შოუ“ დარჩა, სადაც წვეროსანი ქალის ხილვა მაყურებელს მხოლოდ 1 დოლარი უჯდება. იქვეა ადამიანი-ხვლიკი, რომლის ერთადერთი ღირსება, მწვანე სვირინგია. აქა-იქ ნიჭიერი მარტოხელა მსახიობებიც ჩანან. 2002 წელს, ბაზრობებზე ჯერ კიდევ შეხვდებოდით ღამურა-ბიჭუნას, რომელიც კარვის შესასვლელთან იდგა და მაყურებელს უხმობდა. კარავში შესულთ, ბრგე, ჩასუქებული ყმაწვილი ხვდებოდა, მაყურებელს ესალმებოდა და ამბობდა: „გამარჯობათ, მე ღამურა-ბიჭუნა ვარ. ბავშვობაში ღამურამ მიკბინა და ამის შემდეგ საშინლად გავსუქდი. მოზარდები ჩემზე აფრენენ, უფროსები კი ხშირად, დაბნეულნი მიცქერენ, ალბათ ჰგონიათ, რომ ზურგზე ფრთები უნდა მქონდეს. როგორ ფიქრობთ — ფრთები რომ მქონდეს, აქ გავჩერდებოდი?“ ამ ბიჭს ფრთები მართლაც, არ აქვს...

ცხვირში ლურსმნის ჩაჭედების ხელოვნებამ ვერ დაიხსნა მსახიობი თავკუნძა ციხისაგან

ამერიკასა და ევროპაში დღესდღეობით მახინჯთა შოუ ადამიანის ღირსების შებღალვის სიმბოლოდ ითვლება, მაგრამ ამგვარი შოუს პოტენციურ მონაწილეთა პრობლემების გადაჭრაც არავის სურს. სამაგიეროდ, ადამიანი-სპილო დღემდე ახსოვთ. იმ სახლს, სადაც ჯოზეფ მერიკი დაიბადა, ცოტა ხნის წინ მემორიალური დაფა მიამაგრეს, რომელიც იუწყება: „ჯოზეფ კერი მერიკი, ლესტერის ვაჟი — ყველა თაობის ადამიანთათვის სიმამაცისა და ღირსების ჭეშმარიტი მაგალითი. მისი მეგობრებისაგან. 2004 წელი“.

■

ნატალი პორტმანი: პრავილური შიშველი ნატურა!

ჰოლივუდის ყველაზე ნორჩი და იდუმალებით მოცული ვარსკვლავი ყველაზე მეტად ყურადღების ცენტრში შარშან მოექცა, როცა ლიუკ ბესონის კრიმინალური ფეერიის — „ლეონის“ გაგრძელებაში გადასაღებად მიიწვიეს.

იდუმალებით მოცული 22 წლის შავგვრემანი გოგონას გარშემო არსებული ბურუსი სრულად ალბათ, არასოდეს გაიფანტება. ნატალის არ უყვარს ინტერვიუს მიცემა, საჯარო გამოსვლებს მუდამ გაურბის და პასუხს მხოლოდ მისთვის მისაღებ შეკითხვებზე სცემს. მაგრამ მაშინ, იძულებული გახდა, ჟურნალისტებს შეხვედროდა და გახმაურებული ბოევიკის შექმნის პროცესთან დაკავშირებით მოეთხრო მათთვის.

ახალ სურათში ნატალი პორტმანის გმირი, მაცდუნებელი ლოლიტადან არანაკლებად მაცდურ მკვლელ ქალად მოევლინა მაყურებელს. „სცენარი იმდენად მომეწონა, რომ გადაღებების გამო წინასწარ დაგეგმილი შვებულება გადავდე. ერთადერთი სირთულე ის გახლდათ, რომ ფორმის აღსადგენად, სპორტდარბაზში სიარული ხშირად მიწევდა. იმდენად გადაღლილი ვიყავი, რომ ფეხსაცმელზე თასმების შეკვრის თავიც კი არ მქონდა“, — იხსენებდა შემდგომ, ნატალი.

ლიუკ ბესონის მიერ 1994 წელს გადაღებული ფილმი პროფესიონალი მკვლელის (ჟან რენო) და მოზარდი გოგონას (ნატალი პორტმანი) ურთიერთობათა შესახებ მოგვითხრობს. „ლეონის“ სინჯებზე, ექიმისა და დიასახლისის ქალიშვილმა, რომელიც მაშინ 12 წლის იყო, 20 ათას პრეტენდენტს შორის გაიმარჯვა. ნატალის ასაკი როლისთვის შეუფერებელი იყო (სცენარის მიხედვით, გმირი მასზე რამდენიმე წლით უფროსია), ნიჭიერი მოზარდის მშობლებმა კი რეჟისორს მკაცრი მოთხოვნები წაუყენეს: მათ კატეგორიულად მოითხოვეს, რომ სურათში ძალადობის სცენები და შიშველი ნატურის ამსახველი კადრები არ ყოფილიყო. ბოლოს, სწორედ ნატალი პორტმანის ბავშვურმა, ამაღელვებელმა გულწრფელობამ და მისი და ჟან რენოს ჰარმონიულმა დუეტმა განაპირობა ფილმის წარმატება.

12 წლის გოგონამ სრულიად არაბავშვური ვნება იმდენად დამაჯერებლად ითამაშა, რომ ჟურნალისტები კინოს მეტრ რენოსა და ნორჩ მსახიობს შორის ჩასახულ რომანზეც კი ალაპარაკდნენ. მთავარი როლის შემსრულებელთან და რეჟისორთან ურთიერთობის შესახებ კითხვებს ნატალი პორტმანს დღესაც ხშირად უსვამენ.

„ისინი ჩემთვის ჭეშმარიტი მასწავლებლები არიან. მათ მუდამ თვალდახუჭული გავყვები. ისინი მამაშვილურად მეპყრობიან და ამასთანავე, როგორც თანატოლს, ისე მექცევიან“, — პასუხობს ნატალი.

კინემატოგრაფიულ წრეებში ცნობილია, რომ მსახიობი პედანტურობით გამოირჩევა. ნატალის ბავშვობიდანვე არ უყვარდა დაგვიანება და საკუთარ გეგმებში კორექტივების შეტანა. მომავალი კინოვარსკვლავი სკოლაში მუდამ ფრიადებზე სწავლობდა, გაკვეთილებზე წუთითაც არ იგვიანებდა და სანიმუშო მოსწავლე გახლდათ. ბროდვეიზე წარმატების მისაღწევად, დასვენებაზე ხელის აღებაც ხშირად უწევდა. 16 წლის მსახიობი, ბროდვეის თეატრის სცენაზე 6 თვის მანძილზე თამაშობდა და თან ღამეებს ათევდა, რომ თანატოლებს სწავლაში არ ჩამორჩენოდა. ცხოვრების ამგვარ რიტმს ნატალი მშობლებმა შეაჩვიეს. შვილის სამსახიობო კარიერის აღმასვლის პირველ წლებში, კინოსა და თეატრის მესვეურებთან ურთიერთობებსაც ისინი აწესრიგებდნენ.

ნატალის ბავშვობისა და ოჯახის შესახებ მის თაყვანისმცემელთაგან მრავალ ჭორს შეიტყობთ. უკანასკნელ ხანებამ-



დე ითვლებოდა, რომ მისი მშობლები 70-იან წლებში კიშინიოვიდან ისრაელში გადავიდნენ საცხოვრებლად. თავად ნატალი იერუსალიმში დაიბადა. 1984 წელს კი, ოჯახი აშშ-ში გაემგზავრა. პორტმანი — ნატალის ბებიის გვარია, რომელიც მსახიობმა ფსევდონიმად აიღო, მისი ნამდვილი გვარი კი, დღემდე ყველასათვის უცნობია.

ნატალის არ უყვარს საკუთარი წარმოშობის შესახებ საუბარი, მამაზე კი ბევრ რამეს ჰყვება ხოლმე: „ის გამუდმებით კითხულობდა, შემდეგ კი, გამოცდებს აბარებდა. დილით 5 საათზე დგებოდა, რომ საკონტროლო წერისათვის მომზადებაში დამხმარებოდა. სახლში 94-ქულიანი ატესტატი რომ მიმეტანა, დაკლებული 6 ქულის გამო აუცილებლად მომთხოვდნენ პასუხს“... — იხსენებს მსახიობი.

დღესდღეობით, ნატალი სრულიად დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს. ჰარვარდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს და კონტრაქტის გაფორმების დროს, მშობლების მსგავსად, სცენარიდან ძალადობის სცენების ამოღებას კატეგორიულად მოითხოვს. პირადი ცხოვრების შესახებ კვლავაც ჯიუტად დუმს, მაგრამ ამბობენ, რომ ბოლო ხანებში, ახალგაზრდა ვარსკვლავს ლოს-ანჯელესელ როკერთან, ადამ ლევინთან ახლო ურთიერთობა აკავშირებს.

ნატალი ვეგეტარიანელია. ხორცს და ყველს არ ეკარება. სპირტიანი სასმელი და ნარკოტიკები არასდროს გაუსინჯავს და პირობას დებს, რომ სულ მალე, უსაყვარლეს საღეჭ კანფეტებზეც უარს იტყვის. როგორც ჩანს, ახალგაზრდა კინოვარსკვლავს სისუსტე არ ახასიათებს... გარდა ერთისა: ნატალი თავის ნამდვილ გვარს ძველებურად მალავს! მიუხედავად ამისა, მის თაყვანისმცემლებს თავიანთი კერპი ძველებურად თავდავიწყებით უყვართ — იმდენად უყვართ, რომ ცოტა ხნის წინ, ინტერნეტში „ნატალი პორტმანის ეკლესიაც“ კი გაჩნდა!..

■



პერის ჰილტონი მდიდარ ბეიძენს შოხდება და კიდევ უფრო მდიდარ ბეიძენს პოულობს

ახლახან, პერის ჰილტონი მდიდარ ბიზნესმენს დაშორდა. მაგრამ მალე, კიდევ უფრო მდიდარი მამაკაცი მოძებნა და ახალი რომანი გააჩაღა. ჰილტონის ახალი ბოიფრენდი, 20 წლის სტავროს ნიარჩოსია. სტავროსი საზღვაო კომპანიის მემკვიდრეა და როგორც ამბობენ, მისი ოჯახის ქონება 7,5 მილიარდ დოლარს აღწევს. წინა მეგობარს პერისი 5 თვის განმავლობაში ხვდებოდა და მას ოქტომბრის პირველ რიცხვებში

დაშორდა. ცოტა ხნის შემდეგ კი, ლოს-ანჯელესის ღამის კლუბში ნიარჩოსთან ერთად იხილეს. Hilton-ის იმპერიის ერთადერთმა მემკვიდრემ ხმაურიანი სკანდალებით გაითქვა სახელი. რამდენიმე ხნის წინ, პრესა იუწყებოდა, რომ ჰაკერებმა ინტერნეტის მეშვეობით, პერისის ფიჭური ტელეფონის კოდი გახსნეს და მისი სატელეფონო წიგნაკის შინაარსი ქსელში გამოაქვეყნეს. მთელ მსოფლიოში გაბმულ ნომრების აბლაბუდის ქსელში, ემინემის, ბრიტნი სპირსის, კრისტინა აგილერას, ენდი როდიკის, ეშლი სიმფსონის, ვიქტორია გოტის, ვინ დიზელისა და ანა კურნიკოვას მობილური ტელეფონების ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართებიც აღმოჩნდა. საზოგადოებამ მსახიობების — ედრიან ბროუდის, ლიუკ უილსონის, ლინდსეი ლოხანის, ლილი სობესკისა და პეტა უილიამსის, რეპერების — Jay-Z-ის, ფარელ უილიამსისა და ჯგუფ Limp Bizkit-ის ლიდერის, ფრედ დარსტის ტელეფონის ნომრებიც შეიტყო. ეს ნომრები ინტერნეტის ერთ-ერთ საიტზე გამოქვეყნდა. ჰაკერებმა ყველა ნომერს პატარა ბარათი დაურთეს, სადაც პირადად პერის ჰილტონს ასე მიმართავენ: „ძუკნავ, მოგვიტევე. შენი კოდი DFNCTSC-ელმა ზანგებმა გახსნეს“.

■

გვინეტ პელტროუ ორი შვილის დედა გახდება

კინოსამყაროში გვინეტ პელტროუს ორსულობის შესახებ ჭორები აქტიური მსჯელობის საგანია. თავად მსახიობი აცხადებს, რომ ჩვილი გაზაფხულზე მოევლინება ქვეყანას და რომ ეს ამბავი მასა და მის მეუღლეს, კრის მარტინს უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს. „გვინეტი ორსულობით გამოწვეული სიხარულის დაფარვას ცდილობს, სინამდვილეში კი, აღფრთოვანებულია. ის 99%-ითაა დარწმუნებული, რომ ბავშვი კრისის ერთ-ერთ საგრიმიოროში ჩაისახა“, — განაცხადა პელტროუს მეგობარმა. „ოჯახური ცხოვრების შესახებ დასმულ შეკითხვებს გვინეტი სიხარულით პასუხობს“, — ამბობს მისი მეორე მეგობარი. მკითხველს შევახსენებთ, რომ უფროსი გოგონას, ეპლის დაბადების შემდგომ, მსახიობი ოჯახს უამრავ დროს უთმობს, ცდილობს, შვილი საკუთარ გატაცებას — იოგას აზიაროს და ესპანური ენა შეასწავლოს. ბოლო ხანებში, პრესაში ხშირად იბეჭდებოდა ცნობები იმის შესახებ, თითქოს გვინეტისა და კრისის ოჯახურ ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე ვერ არის, მაგრამ ამას პელტროუ მუდამ უარყოფს. ■

ჰენე ზელვეგერი „თვალების“ ჰიმეიჯში ითამაშებს

ჰოლივუდს ჯერჯერობით, ყველა იაპონური საშინელება არ გადაუკეთებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკელ კინემატოგრაფისტებს წინ კიდევ მრავალი წლის სამუშაო ელით. „ზარის“ (ნაომი უოტსი), „მუქი წყლის“ (ჯენიფერ კონელი) და „წყევლის“ (სარა მიშელ გელარი) შემდეგ, „თვალების“ რიმეიკის გადაღებები იგეგმება. სურათს „ოსკარის“ მფლობელი, რენე ზელვეგერი დაამშვენებს. ფილმის სიუჟეტი მორიგი მისტიკური ამბის გარშემო ვითარდება. მთავარ გმირს თვალის რქოვანას გადაუნერგავენ. ოპერაციის შემდგომ, გმირი უცნაურ სურათებს ხედავს, რაც აშკარად, რქოვანას დონორთან არის დაკავშირებული... პროდიუსერებმა სურათის რეჟისურა ხიდეო ნაკატას მიანდვეს, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი ფილმებისა და „ზარის“ ამერიკული სიკველის ავტორია. ეს ფილმი ცოტა ხნის წინ გამოვიდა ეკრანებზე, მაგრამ უკვე ცხადი გახდა, რომ ის ავტორთა იმ- ■

ნიკოლას კეიჯს მესამე ცოლმა ვაჟიშვილი აჩუქა

ცნობილ კინოვარსკვლავს, „ოსკაროსან“ ნიკოლას კეიჯს მესამე ცოლმა, ელის კიმმა ვაჟიშვილი აჩუქა. ყოფილი ოფიციანტი კეიჯს 2004 წლის ივლისში გაჰყვა ცოლად. მშობლებმა ბავშვს უცნაური სახელი — კალ-ელი დაარქვეს. მას სუპერმენის შესახებ შექმნილი კომიქსების გმირს დაესესხნენ. ბავშვის სრული სახელი — კალ-ელ კოპოლა კეიჯია. კეიჯის წარმომადგენელმა პრესას განუცხადა, რომ დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს, მშობლები კი ბედნიერები არიან. ნიკოლას კეიჯს მსახიობ კრისტინ ფულტონთან 15 წლის ვაჟი სესტონი ჰყავს. კეიჯმა და კიმმა ერთმანეთი შარშან თებერვალში გაიცნეს. მათი შეხვედრა იმ რესტორანში შედგა, სადაც კიმი ოფიციანტად მუშაობდა. გაცნობიდან ორიოდე თვეში კი, ისინი დაინიშნნენ. „ოსკაროსანი“ კეიჯისთვის ეს ქორწინება რიგით მესამეა. პირველ მეუღლესთან,

პატრისია არკეტთან ერთად ნიკოლასმა 6 წელი იცხოვრა და 2000 წელს გაეყარა. კეიჯისა და ლიზა-მარია პრესლის ქორწინებამ კი, მხოლოდ 4 თვე გასტანა. ■

დეპარდიე — პაპარაცების ხისხვა



პროფესიონალმა იტალიელმა ფოტოგრაფმა, დარიო ორლანდიმ პოლიციას მიმართა და ცნობილ ფრანგ მსახიობს, ჟერარ დეპარდიეს უჩივლა. ორლანდიმ განაცხადა, რომ დეპარდიემ მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ეს ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც დეპარდიე მეგობარ ქალთან ერთად ფლორენციის ერთ-ერთ ბაზრობაზე იმყოფებოდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სახელოვანი მსახიობი იცნეს და ფოტოსურათების გადაღება დაიწყეს. ამის შემხედვარე, მოშორებით მდგომმა პაპარაციმაც აპარატი მოიმარჯვა. დეპარდიემ ორლანდი შეამჩნია და ანიშნა, იქაურობას გასცლოდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ფოტოგრაფი უკან დახევას არ აპირებდა და თავისთან მიიხმო, მიახლოებულ ორლანდის მოულოდნელად თავს დაესხა და საკუთარი შუბლით სახე დაუზიანა. დაზარალებულს სახეზე სისხლჩაქცევები აღენიშნება. ორლანდიმ საავადმყოფოს■ მიმართა.

ვინ თავში ბაკვნია სიკვდილი

ხუტა იოსავა

(დასაწყისი იხ. „გზა“ №39-40)

ფეხმოტეხილი ახალგაზრდა კაცი — ბადრი თავისი ფანჯრიდან მოპირდაპირე სახლის მცხოვრებთა ყოფას აკვირდება. ერთ დღეს, ის შეამჩნევს, რომ შუახნის ცოლ-ქმრის ბინაში რაღაც უჩვეულო ხდება. ბადრის ვარაუდით, ქმარმა თავისი ავადმყოფი ცოლი მოკლა... მეგობრის, კახას დახმარებით, ბადრი იმ კაცის ვინაობასაც დაადგენს და ტელეფონის ნომერსაც, შემდეგ დაურეკავს და ეტყვის — ყველაფერი ვიცი და დუმილისთვის ფული გადამიხადეო. ბოროტმოქმედი — საბა შეხვედრაზე პისტოლეტით შეიარაღებული გაეშურება. ამ დროს, ბადრის დავალებით, კახა ფანჯრიდან ცოლ-ქმრის ბინაში შეაღწევს და მკვდარ ქალსაც ნახავს. ბადრი ყოველივეს თავის ძველ მეგობარს, გამომძიებელ პაატას აცნობებს, რომელიც თავდაპირველად, ეჭვის თვალით უყურებს ბადრის „შერლოკჰოლმსურ“ შესაძლებლობებს. ტელეფონით მეორედ საუბრისას, საბა ბადრის ადგილსამყოფელს გამოიცნობს. ბადრი ვერ უკავშირდება პაატას და სთხოვს კახას, მოძებნოს გამომძიებელი. ცოტა ხნის შემდეგ, შემოსასვლელ კარს მიღმა, ბადრი ფაჩუნს გაიგონებს... რამდენიმე წუთში, მის ბინაში იარაღშემართული საბა შეაღწევს... მაგრამ მოსალოდნელი ანგარიშსწორების ნაცვლად, ბადრი მისგან აღსარებას მოისმენს... ბავშვთა თავშესაფარში გაზრდილი საბა მას საკუთარი ცხოვრებისა და სიყვარულის ამბავს მოუყვება და ეტყვის, რომ უკურნებელი სენით დაავადებული ცოლის, უძვირფასესი ადამიანის ტანჯვას ვერ გაუძლო და ბალიშით გაგუდა... აღსარება იმით დასრულდება, რომ სახლს, კახას მიერ გამოძახებული პოლიცია მოადგება. საბა ფანჯრიდან გადახტება, ეზოში დაყრილ ქვიშაზე დაეშვება და თავისი სახლის სახურავამდე სახანძრო კიბით ააღწევს...

ელვისებურად განვითარებულმა მოვლენებმა ბადრი შოკში ჩააგდო. ის ფანჯარასთან გარინდული იდგა და იმაზე ფიქრობდა, თუ სად დაუშვა შეცდომა. ორი კითხვა უტრიალებდა თავში: უნდა დაჰკავშირებოდა თუ არა თავის მეგობარ გამომძიებელს და უნდა ეხილებინა თუ არა საბა მკვლელობაში?.. მთვარის შუქით განათებულ სახურავზე კი, იარაღშემართული კაცი გაუნძრევლად იდგა და პისტოლეტიანი ხელი უცახცახებდა. იარაღიან კაცს ბადრი ბუნდოვნად ხედავდა. სამი-ოთხი წამიც და საბას ზურგს უკან ბადრიმ რამდენიმე მამაკაცის სილუეტი დალანდა. პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი შეიარაღებული პირები ფეხაკრეფით მიიწევდნენ იმ ადგილისკენ, სადაც ეჭვმიტანილი იდგა. მათ ბრძანება ჰქონდათ — საეჭვო მოძრაობისთანავე, ადგილზევე გაენადგურებინათ მკვლელი, მაგრამ საბა არ ინძრეოდა... მას ზურგს უკან ნაბიჯების ხმაც კი არ გაუგონია. ერთადერთი, რასაც მისი ცრემლიანი თვალი ხედავდა, ბადრის სილუეტი იყო. მკვლელს სურდა, გაეგო, რა ეფექტი მოახდინა მისმა აღსარებამ, იგრძნო თუ არა მსმენელმა მისი ტკივილი, მიხვდა თუ არა ბერბიჭა, რომ სიყვარულის დასაცავად, ზოგჯერ ყველაზე უკიდურესი და უკანონო ნაბიჯიც კი ზნეობრივია...

— საბა, — ყურში ჩაესმა უეცრად ირას თბილი, ხავერდოვანი ხმა და მკვლელი ადგილზე შეხტა. დაბნეულს, სახურავის სრიალა ზედაპირზე ფეხი დაუცურდა და ის იყო, ხუთსართულიანი კორპუსის სახურავიდან უნდა გადაშვებულიყო, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მხრებში ჩაავლეს ხელები, მერე მკლავები გადაუგრიხეს და გაკოჭილი კაცი ფრთხილად ჩაიყვანეს სხვენის ვიწრო კიბის საფეხურებზე.

როცა საბას მანქანაში სვამდნენ, ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელს „მაკაროვის“ პისტოლეტი, როგორც ნივთმტკიცება, გამჭვირვალე პარკში უნდა ჩაედო, მაგრამ შემთხვევის ადგილზე მისულმა პაატამ იარაღი გამოართვა და ჩამკეტი გადახსნა.

— ვაა!.. — აღმოხდა გაოცებულ გამომძიებელს.

— პისტოლეტში არც ერთი ტყვია არ დევს, — მხრები აიჩეჩა ჯგუფის ხელმძღვანელმაც და იქვე მანქანასთან მდგარ ბადრის შეხედა, რომელსაც სახეზე უცნაური განცდა აღბეჭდვოდა.

— არა-ა... ის ჩემს მოსაკლავად არ მოსულა, — კბილებში გამოცრა ფეხმოტეხილმა „შერლოკ ჰოლმსმა“ და გული შეეკუმშა. მას ერჩია, პისტოლეტში ვაზნები ყოფილიყო...

— ეტყობა, შეშლილია, ნამდვილად შეშლილია, — თითქოს თავის გამა-

რთლება სცადა ბადრიმ და სანამ მკვლელს წაიყვანდნენ, კოჭლობით აუყვა სადარბაზოს კიბეს.

პატრულის მანქანაც ნელა დაიძრა.

...პირველი დაკითხვის შემდეგ, ბორკილებადებული საბა ნომერ პირველ იზოლატორში მოათავსეს. ის საკანი, სადაც ცოლის მკვლელი შეიყვანეს, თორმეტ კაცზე იყო გათვლილი, მაგრამ შიგნით ოცდახუთ პატიმარზე მეტი გამოემწყვდიათ. გაშავებული ქვეშაგებლები, დაჟანგული საწოლები, საპირფარეშოს სუნით გაჟღენთილი კედლები და გაბოროტებულსახიანი ტუსაღები — ეს ყველაფერი საბას არ აკვირვებდა, რადგან ციხეში მრავალი წელი ჰქონდა გატარებული. მაგრამ პატიმრებს შორის ჩამოსაჯდომ ადგილსაც თუ ვერ იპოვიდა, ამას აღარ მოელოდა.

პატარა ფუთა, რომელშიც ტანსაცმელი და კბილის ჯაგრისი ედო, იქვე კუთხეში მიაგდო, თვითონაც ზედ ჩამოჯდა და თავი მკლავებში ჩარგო, დამხვდურთა დაჟინებული მზერა რომ აერიდებინა.

— რა ხდება, ბაბუ, ჯგუფურ გაუპატიურებაში გდებენ ბრალს? ჰა-ჰა-ჰა!.. — უსიამოვნო ხმით ჩაიქირქილა მასთან ყველაზე ახლოს მდგომმა პატიმარმა და ორი ჩამტვრეული კბილი გამოაჩინა. მის ხუმრობაზე სხვებიც ახარხარდნენ, მაგრამ საბას თავი არც წამოუწევია.

— შეეშვით, ტო... ერთი ხელიც დავარიგოთ... მერე თვითონ დაფქვავს, რისთვის გვიფეშქაშეს მაგის თავი... — ბოხი ხმით წამოიძახა საკნის ფანჯარასთან მოკალათებულმა, წვერგაუპარსავმა კაცმა და ტუსაღებს ანიშნა, აქეთ მოდითო.

რამდენიმე წუთით, საკანში საბას ყოფნა ყველას დაავიწყდა. ოთხი კაცი კარტს მაგიდაზე შლიდა, დანარჩენები კი გარს ეხვივნენ და ცდილობდნენ, გაერკვიათ, ვისკენ გადაიხრებოდა ფორტუნა. დაღონებულ პატიმარს კი, მათთვის არ ეცალა.

„ნეტავ, სად დავკარგე თვალი? ალბათ, ქვიშაში ჩამივარდა... — ფიქრობდა საკუთარ განცდებთან მარტოდ დარჩენილი საბა და დეტალურად იხსენებდა ბადრისთან შეხვედრის საღამოს. — თუმცა, ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს?! ირა ცოცხალი აღარ არის, ცალთვალასაც ვეღარ დამინახავს საბრალო ქალი, — ღრმად ამოისუნთქა საბამ და სახე ტკივილისგან მოეღუშა. — მე მას დავეხმარე, ის კი ჩემს შველას ცდილობდა, ამიტომაც გამომეცხადა სახურავზე, დამიძახა, გამაფრთხილა, რომ პოლიციას არ დავეჭირე...“ — თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა მკვლელი და პატარა ფუთაზე, ოთხად მოკეცილი, ოდნავ შესამჩნევად კანკალებდა.

ამ განცდებში საბამ ვერც კი შენიშნა, როგორ წამოადგა თავზე წვერგაუპარსავი, ჩია ტანის დამპალო და ირონიული ღიმილით ჩაეკითხა:

— ძმაკაც, წავაგე და უგუნებოდ ვარ... ერთი, მამიყევი, რისთვის დაგიჭირეს.

საბამ იქ მყოფ ბევრ დამნაშავეზე კარგად იცოდა ციხის კანონები, ისიც იცოდა, რისი უფლება ჰქონდა და რისი — არა... ის მძიმედ წამოდგა ფეხზე, წვერგაუპარსავი კაცის წინ აეყუდა და რამდენადაც შეეძლო ხმამაღლა დაიყვირა:

— ცოლი მოვკალი, შე ნაბიჭვარო! — თან ძველი, ჩხუბში ნაცადი მუშტი პირდაპირ სახეში „ჩააჭედა“ დამპალოს. აბეზარი კრიმინალი ბეტონის იატაკზე გაიშხლართა, თუმცა, მაშინვე წამოხტა...

საკანში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. პატიმრები საპასუხო დარტყმას ელოდნენ, მაგრამ მანამდე, ყველამ, მათ შორის დამპალომაც, საკნის ფანჯარასთან წამომჯდარი ქურდისკენ გაიხედა: მის გადაწყვეტილებას ელოდნენ, წიხლქვეშ გაეგდოთ ბაბუ თუ არა... მან კი, ოდნავ შესამჩნევად, უარის ნიშნად გააქნია თავი. ნირწამხდარ დამპალოს სახეზე მლიქვნელური ღიმილი გადაეფინა და მშვიდი ხმით იკითხა:

— რატომ, ბაბუ, გიღალატა? — მის სიტყვებში ზოგმა ირონია ამოიკითხა და გაცინება სცადა, თუმცა, ვერ გაბედა. აღარც საბას ამოუღია ხმა... მისი გამოწვევა არ მიიღეს, კრიმინალებთან ცოლის ღირსებებზე ლაპარაკით კი, ირას ხსოვნას ვერ შებღალავდა... პატიმარი მოცელილივით დაეშვა თავის ფუთაზე და კვლავ მკლავებში ჩარგო თავი...

ორი დღის შემდეგ, ბრალდებული გამომძიებელმა გამოიძახა. პაატამ საბას განუცხადა, რომ ირას ცხედარს სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა და მისი დასკვნით, ქალი ჰაერის უკმარისობისგან გარდაიცვალა.

— ეგ თავადაც ვიცი: ის მე გავგუდე. გთხოვთ, მხოლოდ ის მითხარით, ვინ მიხედა ცხედარს.

— მე კი გთხოვთ, თავის მოკატუნებას შეეშვათ. თქვენ დანაშაული აღიარეთ, მაგრამ ე.წ. თქვენი არგუმენტი, სი-ყვარუ-ლი, — ბოლო სიტყვა დამარცვლით და ოდნავი ირონიითაც კი წარმოთქვა გამომძიებელმა, — უმძიმესი სასჯელისგან ვერ გაგათავისუფლებთ.

— თქვენ ვერაფერი გაგიგიათ... — თავი ჩაღუნა საბამ. თუმცა თვითონაც ვერ მიხვდა, რატომ ითხოვდა კანონის დამცველისგან თანაგრძნობას.

— ციხეში ბევრი დრო გექნებათ იმისთვის, რომ თქვენი საქციელი გააანალიზოთ. ნებისმიერი მოტივით ჩადენილი მკვლელობა — უმძიმესი დანაშაულია.

საბა ერთხანს კვლავ უსიტყვოდ იჯდა, შემდეგ თავი წამოსწია და ცრემლიანი თვალით შეხედა გამომძიებელს.

— ერთ-ერთი უძველესი გადმოცემის თანახმად, — დაიწყო მან მშვიდი ტონით, — რომაელ კონსულს იმპერატორმა დანაშაულისთვის თვითმკვლელობა მიუსაჯა, რადგან ჯალათს კონსულის მოკვლის უფლება არ ჰქონდა. ამ კაცს თურმე, საშინლად უმძიმდა თავის მოკვლა, მაგრამ იმპერატორის განაჩენის არაღსრულება დიდი სირცხვილი იქნებოდა და ამ დროს, საყვარელი მამაკაცისთვის ნაბიჯის გასაადვილებლად, ქალმა მას ქარქაშიდან ამოჰგლიჯა მახვილი, მის თვალწინ დაიცა მკერდში და ვიდრე სულს განუტევებდა, ასეთი სიტყვებით მიმართა თავის მეუღლეს: „პეტ, გაბედე, ეს სულაც არ არის მტკივნეული“.

საბამ თხრობა შეწყვიტა, ღრმად ამოისუნთქა და გამომძიებელს შეხედა:

— თქვენი კანონებით, ეს თვითმკვლელობაც დანაშაულია?..

გამომძიებელი თავიდან დაიბნა, გაოცებით შეხედა ბრალდებულს, შემდეგ კი გამომცდელად ჩაეკითხა:

— ჰო, მაგრამ მგონი, თქვენ თავი არ მოგიკლავთ?..

საბას სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— შემომხედეთ. განა ვინმეს შეუძლია თქვას, რომ იმ ღამეს, ირასთან ერთად არ მოვკვდი?..

პაატა თითქოს ახლაღა გამოერკვა — დაჟინებით დააცქერდა დამნაშავეს და პირველად შენიშნა, რომ დაკავებიდან ოთხი დღის თავზე, საბა ერთიანად გაჭაღარავებულიყო...

ცოლის მკვლელის დაკითხვის შემდეგ, პაატამ დოკუმენტებს კიდევ რამდენიმე ფურცელი შემატა და შინ წასვლა გადაწყვიტა. მაგრამ გზაში მარშრუტი შეიცვალა და გეზი ბადრის სახლისკენ აიღო.

კარი კახამ გაუღო. გამომძიებელი ძველ მეგობრებს გადაეხვია და როცა სამზარეულოში გაშლილ სუფრას მოჰკრა თვალი, ოთახში შესვლაზე აღარც უფიქრია:

— ჩავალ, დასალევს ამოვიტან და ჩავუსხდეთ.

— თქვენ მაყუთი მომეცით და მე თვითონ წავალ, რაზეა ბაზარი?! — მხიარულად წამოიძახა კახამ და სანამ პაატა მის შეჩერებას მოახერხებდა, კახა უკვე, ბადრის მიერ მიწოდებულ ათლარიანს ხელში ათამაშებდა და კიბის ორ-ორ საფეხურს ახტებოდა.

— აბა, რას შვრება ჩვენი ავადმყოფი? მაგ ბინტებს როდის მოგხსნიან? — მხარზე ხელი მოხვია პაატამ მეგობარს.

— ექიმმა მითხრა, ორ კვირაში ცხენზე ჯირითსაც შეძლებო, — მხიარულად მიუგო ბადრიმ.

— აბა, ამის შემდეგ იკითხონ ჩვენმა კრიმინალებმა! ცხენზე ამხედრებული „შერლოკ ჰოლმსის“ რისხვას ვინღა გადაურჩება?! — გაიხუმრა გამომძიებელმა. მაგრამ ბადრის ღიმილი სახეზე შეაშრა, ნერვიულად წამოავლო წყლით სავსე ჭიქას ხელი და ბოლომდე გამოცალა.

— როგორ არის საბა? როდის იქნება სასამართლო?..

— ოჰოო! სახელიც დაგიმახსოვრებია. ალბათ, არც ერთ პროცესს არ გამოაკლდები. თუმცა, იქ რა უნდა აკეთო? განსასჯელი მხოლოდ სიყვარულზე ილაპარაკებს...

— მართალია, სიყვარული ბერბიჭების საქმე არ არის... — მოჩვენებითი სიმშვიდით ჩაილაპარაკა ბადრიმ და უკან დაბრუნებულ, აქოშინებულ კახას სთხოვა, კონიაკი ჩამომისხიო. შემდეგ, სასმელი სულმოუთქმელად გამოცალა და ისევ პაატას შეხედა, რომელსაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო.

— ისე, ჩემი ნება რომ იყოს, მაგ კაცს ხვალვე გავათავისუფლებდი. ოთხ თვეში მთლად გაჭაღარავებულა. როგორია ასეთი სიყვარული, ჰა? — მხრები აიჩეჩა პაატამ და როცა მასპინძლის დაზაფრულ სახეს წააწყდა, ხელი ჩაიქნია, სალაპარაკო თემა შეცვალა და მხიარული ამბების მოყოლით სცადა მეგობრების გართობა. ბადრი თვალს არ აშორებდა პაატას, იცინოდა, როცა მეგობრები იცინოდნენ, სვამდა, როცა თამადა სადღეგრძელოს შესვამდა, თუმცა, მათი ნათქვამი არც ერთი სიტყვა აღარ გაუგონია — მას ჭაღარა მკვლელი ედგა თვალწინ, რომელსაც მისსავე წარმოსახვაში შექმნილი, ირას სახე ენაცვლებოდა. რასაც ამ წუთებში ბადრი საბას მიმართ განიცდიდა, სიბრაზეც იყო, სინანულიც, შეცოდებაც და კიდევ ბევრი სხვა რამ... მას თითქოს შურდა კიდეც იმედგაცრუებული, სასოწარკვეთილი მკვლელის, თუმცა, საკუთარ თავთანაც არ სურდა ამის აღიარება.

— არა, არა!.. წარმოუდგენელია, — ხმამაღლა წამოიძახა ბადრიმ და სახეზე ნერვიულად ჩამოისვა ხელი.

კახამ და პაატამ გაკვირვებით შეხედეს მეგობარს, რომელიც დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით უხერხულად იღიმებოდა.

ამ შეხვედრიდან ერთი თვის შემდეგ, საბას სასამართლო პროცესი დაინიშნა. ბადრი საგანგებოდ მოემზადა ამ დღისთვის, ძვირად ღირებული პიჯაკი მოირგო, სუნამოც იპკურა, რომ უფრო თავდაჯერებულად ეგრძნო თავი და საოლქო სასამართლოში წავიდა. ის ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო და მის გარეშე პროცესი ვერ შედგებოდა — არწმუნებდა საკუთარ თავს. მაგრამ როცა მანქანა სასამართლოს ეზოში შეიყვანა, ეჭვი მაინც გაუჩნდა — იქნებ, დღეს შინ დარჩენა ჯობდაო?.. ცოტა ხანში, სასამართლოს დერეფანში შეაბიჯა და დარბაზის წინ გაჩერდა: კარის შეღება ვეღარ მოახერხა, ფეხები უკან რჩებოდა... მალე მოსამართლემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა... უკან დახევა გვიანი იყო. თავჩაღუნული შევიდა დარბაზში, სადაც საბას გულშემატკივრების წყრომას ელოდა. დარწმუნებული იყო, რომ არამკითხე მოამბეს მკვახე რეპლიკების მოსმენაც მოუწევდა, მაგრამ დარბაზში სრული სიცარიელე დახვდა...

„ალბათ, ირას სიკვდილის გამო არც ერთმა მისმა ახლობელმა თავი დაზარალებულად არ ცნო და პროცესზე არ გამოცხადდა. ბავშვთა სახლში გაზრდილ საბას კი, ვინ მოაკითხავდა?!“ — გაუელვა ბადრის გონებაში და ცარიელ სკამებს კიდევ ერთხელ მოავლო თვალი. სწორედ მაშინ შენიშნა დარბაზის ბოლოს, კუთხეში მიმჯდარი ანაფორიანი კაცი, რომელიც თანაგრძნობით მისჩერებოდა ბადრის.

„მთავარ მოწმეს“ დიდხანს არ უფიქრია — უნებურად, პირდაპირ მისკენ აიღო გეზი და გვერდით სკამზე ჩამოჯდომის ნება სთხოვა.

— დაჯექი, შვილო, — მიუგო მშვიდი ხმით მოძღვარმა და გაუღიმა.

რამდენიმე წამში, დარბაზში საბა შემოიყვანეს. ბადრი სკამზე გაქვავდა. მან ვეღარც კი იცნო დამნაშავე. ოთხ თვეში, ასაკოვანი, მაგრამ ჯან-ღონით სავსე მამაკაცი ჩია ბერიკაცად ქცეულიყო.

პროცესი დაიწყო...

მოსამართლეს საბრალდებო დასკვნის წაკითხვაც კი არ ჰქონდა დასრულებული, როცა სახაზინო ადვოკატის თხოვნით, პროცესი შეჩერდა: საბა შეუძლოდ გახდა და სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა. მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა.

ბადრი დერეფანში გამოვიდა. მას ფეხდაფეხ მოძღვარიც გამოჰყვა. პროცესის ორად ორი დამსწრე ფანჯრის რაფასთან კარგა ხანს, უბრად იდგა. ბოლოს, ბადრიმ ვეღარ მოითმინა და მღვდელს გამოელაპარაკა:

— მამაო, თქვენ ალბათ, ნათესავი ხართ...

— მამაჩემი, ირინა ჩოლოყაშვილის მოძღვარი იყო. როცა მამა გარდაიცვალა, რამდენიმე თვეში მღვდლად მაკურთხეს და მისი მრევლის წინამძღოლობაც ვიტვირთე, — ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა მან ბადრის. — ირინა ეკლესიური ადამიანი იყო, მაგრამ ქმრის მოქცევა ვერ მოახერხა... ძალიან წუხდა ამაზე, მისი სულისთვის ლოცულობდა, ყოველ წელს, აღდგომის მარხვას მონასტერში ატარებდა. თუმცა, საბა ბოლომდე მხოლოდ საკუთარ კერპს — ირინა ჩაოლოყაშვილს ეთაყვანებოდა. მას მიიჩნევდა თავის ღმერთად და მის გარდა, არავის აღიარებდა... ეს კარგიც იყო და... ცუდიც...

— იქნებ, ამიტომაც დაისაჯა, — თავისდა უნებურად წამოსცდა ბადრის და საკუთარ ნათქვამშივე დაეჭვდა.

— გონიერი ადამიანისთვის სიყვარული — ჯილდოა და არა სასჯელი, — ორაზროვნად მიუგო მოძღვარმა ბერბიჭას, რომელსაც უკვე სიტყვა „სიყვარული“ ყურს წვავდა.

— თქვენ აქ მის გადასარჩენად მოხვედით? — ირონიაშეპარული ხმით ჰკითხა ბადრიმ, რომელსაც არც თვითონ სწამდა მაინცდამაინც ღმერთის.

— არა მარტო მაგიტომ, არა... თქვენს გადასარჩენადაც, — კვლავ მშვიდად მიმართა მოძღვარმა.

ბადრიმ ენაზე იკბინა. თავადაც არ იცოდა, რას მოიმოქმედებდა, დარბაზიდან მოსამართლის თანაშემწეს რომ არ გამოეყო თავი და არ ეცნობებინა მათთვის — პროცესი ხვალამდე გადაიდო, ნუღარ დაელოდებითო.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — ნაძალადევი სიმშვიდით დაემშვიდობა ბადრი.

— ისევ შევხვდებით, — „დააიმედა“ მღვდელმა ბერბიჭა...

პროცესი არც მეორე დღეს განახლებულა და არც ორი კვირის შემდეგ. როგორც ბადრიმ პაატასგან შეიტყო,

საბა მძიმედ გახდა ავად. ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომუშავე მედპერსონალის მიერ დანიშნულ წამალს არ იღებდა. ერთადერთი, ვისთან შეხვედრასაც ითხოვდა, ირინა ჩოლოყაშვილის მოძღვარი იყო. საბა თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში, სულის გადასარჩენად ლოცულობდა და ცოდვების შენდობას ითხოვდა, თუმცა, მასთან ზიარებაზე მისულმა მოძღვარმაც კი არ იცოდა, რომ ამასაც ერთადერთი მიზნით აკეთებდა — ირას სიყვარულისთვის საბოლოოდ მოეხადა ხარკი, რადგან ეს იყო ირას ერთადერთი სურვილი, რომელიც მეუღლემ ვერ შეუსრულა...

ერთთვიანი ავადმყოფობის შემდეგ, საბა ცოტა მომჯობინდა. ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ფეხზე წამომდგარი განსასჯელი რომ დაინახეს, მაშინვე სასამართლო პროცესი დაინიშნა. ბადრი კვლავ გამოცხადდა საოლქო სასამართლოში, თუმცა იმ კუთხისკენ, სადაც მოძღვარი ეგულებოდა, არც კი გაუხედავს. ქურთუკის საყელო აიწია და პირველ რიგში მდგარ ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა. სახელმწიფო ბრალმდებელი, ადვოკატი, მოსამართლე — ყველანი ადგილზე იყვნენ, მაგრამ განსასჯელის მოყვანას ბადრაგი აგვიანებდა. ბოლოს, მოთმინებადაკარგული, მოსამართლის თანაშემწე მობილურს დასწვდა, უნდოდა, გაერკვია, რატომ აგვიანებდნენ პატიმრის მოყვანას. მაგრამ სანამ ნომერს აკრებდა, მისმა ტელეფონმა შემომავალი ზარი დააფიქსირა. თანაშემწე ყურადღებით უსმენდა თანამოსაუბრეს. შემდეგ — გასაგებიაო, — თქვა, დარბაზის გვერდით მდებარე, მოსამართლის ოთახში შევიდა და ჩუმად, მაგრამ მკაფიოდ წარმოთქვა:

— განსასჯელი 10 წუთის წინ გარდაიცვალა.

ეს სიტყვები დარბაზშიც გაიგონეს... ბადრი ფეხზე წამოიჭრა:

— შეუძლებელია! — დაიყვირა და სწორედ იმ მიმართულებით ისროლა მზერა, სადაც მოძღვარი ეგულებოდა. თუმცა, მღვდელი იქ არ დახვდა.

ბადრი დათრგუნვილი, მუხლებში ძალაგამოცლილი მილასლასდა სახლამდე, კარი გააღო, შინ შევიდა და იქვე, კედელთან ჩაიმუხლა. შემდეგ ძალა მოიკრიბა, სამზარეულოში შევიდა, რამდენიმე ჭიქა კონიაკი გადაჰკრა და როცა ოთახებს მოავლო თვალი, საკუთარი სახლის სიცარიელემ შეაშინა. როგორ უნდოდა ახლა, ვინმე ყოფილიყო მის გვერდით, თუნდაც ერთი ადამიანი, რომელსაც საკუთარ გაუცნობიერებელ ტკივილს გაუზიარებდა!..

— სიჩუმით და მარტოობით და-ვიღა-ლე, — ჩაილაპარაკა თავისთვის და კონიაკით სავსე ჭიქას ჰაერშივე გაუშვა ხელი. ბროლი იატაკზე დავარდა და ნამსხვრევებად იქცა. ჭიქის მტვრევის ხმას თეფშების მსხვრევის ხმაც მოჰყვა. ბადრი გრძნობდა, რომ სრულ მარტოობაში ეს უსიამოვნო, მჭახე ხმებიც კი სიამოვნებდა. როცა მაგიდაზე მდგარი ყველა ნივთი წვრილ ნამსხვრევებად იქცა, ის თითქოს დამშვიდდა, სააბაზანოში შევიდა, ცოცხი და აქანდაზი გამოიტანა და მარტოხელა კაცისთვის დამახასიათებელი აკურატულობით, დანაგვიანებული იატაკის მოწესრიგება დააპირა. სამზარეულოდან შესასვლელში გავიდა. როცა ცოცხი კართან ახლოს მდგარი, სარკეებიანი საკიდრის ქვეშ გამოუსვა, შიგნიდან რაღაც მრგვალი ფორმის ნივთი გამოგორდა. „ჭიქის ნამტვრევს არ ჰგავს“, — გაიფიქრა ბერბიჭამ და დაიხარა... ხელში აღებული მინის პატარა ბურთულა შეათვალიერა და გაოცებისგან აღმოხდა:

— შუშის თვალი!

კარგა ხანს ათვალიერა.

— ალბათ, მაშინ დაუვარდა, როცა აქედან გაქცევას ცდილობდა და კარს დაეჯახა.

ბადრის მაშინვე, საბას სიტყვები ჩაესმა: „საშინელ ტკივილს არ ვნაღვლობდი, მხოლოდ ის მადარდებდა, რომ ცალთვალა, ირას აღარ ვეყვარებოდი. მაგრამ ირა ისე იქცეოდა, თითქოს ჩემს შუშის თვალს ვერც კი ამჩნევდა“...

ბადრიმ თავი გადააქნია, ხელში ნერვიულად შეათამაშა მინის ბურთულა... თითები მძლავრად შემოაჭდო, თითქოს უნდოდა, ხელში ჩაფშვნოდა შუშის თვალი და მასთან ერთად — საბას მოგონებაც, მაგრამ მინის დასამსხვრევად ძალა არ ეყო... ხელის მტევანი გაშალა და თითებს შორის მოქცეულ ბურთულას კიდევ ერთხელ დახედა... ოთახში, სადაც დღის შუქს ნელ-ნელა ღამის სიბნელე ენაცვლებოდა, შუშის თვალიდან უჩვეულო სხივი გაკრთა. „ჩვენმა გრძნობამ ყველა გამოცდას გაუძლო“, — სადღაც ძალიან ახლოდან კვლავ ჩაესმა საბას სიტყვები ბადრის:

— შეუძლებელია! ნუთუ, შუშის თვალშიც კი მისი სიყვარული ჩარჩა?! — ჩაილაპარაკა და მინის ბურთულა ხელიდან გაუვარდა. ბადრი ერთხანს კიდევ იდგა გარინდული, შემდეგ, საკიდრიდან ქურთუკი ჩამოხსნა, შეშლილივით გავარდა შინიდან და კიბეზე დაეშვა.

სად მირბოდა ბადრი, თავადაც არ იცოდა. როცა გონს მოვიდა, უკვე ვანის ქუჩაზე მდებარე, ცხრასართულიანი კორპუსის წინ იდგა და მთელი ხმით ყვიროდა ქალის სახელს. მეორე სართულზე, საძინებლის ფანჯარაში, რომლის მიღმაც, ბადრის ბავშვობის მეგობარი, ნატო ეგულებოდა, სინათლე აინთო, ქათქათა ფარდა გადაიწია და ბერბიჭამ ხუჭუჭთმიანი, მაგრამ უკვე ჭაღარაშერეული ნატო დაინახა.

— ჩამოდი! სასწრაფოდ ჩამოდი! — უფრო ხმამაღლა დაიყვირა ბადრიმ.

ნატო საკუთარ თვალებს არ უჯერებდა: ღამპიონებით განათებულ ქუჩაში ის მამაკაცი იდგა, რომელიც ბავშვობიდან უყვარდა, რომლის გამოც, ყველა აბეზარი თაყვანისმცემელი ჩამოიშორა და 40 წლის ასაკში, კვლავ იმაზე ფიქრობდა, რომ ბადრის სიყვარულისთვის უიმედო ლოდინიც ღირდა. დაბნეულმა ქალმა რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, შემდეგ ფანჯრისკენ ზურგით შებრუნდა და ოთახის ფლოსტებითვე გარეთ გავარდა. ბადრი ნატას უსიტყვოდ გადაეხვია, ხელი ჩაჰკიდა და მანქანაში ჩასვა.

გათენებამდე, ბერბიჭა და მასზე მეოცნებე ქალი ღამის თბილისის ქუჩებში სეირნობდნენ. ბადრის ბევრი, ძალიან ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ დუმილს არჩევდა. ნატას კი ბედნიერი წამების დაკარგვის ეშინოდა და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

...დილით, როცა ქაშუეთის ეკლესიის კარი გაიღო, ბადრი ღვთისმშობლის ფრესკის წინ დაეშვა და რამდენჯერმე გამოისახა პირჯვარი. უნდოდა, „მამაო ჩვენო“ წარმოეთქვა, მაგრამ სიტყვები აღარ ახსოვდა... „ჯანდაბა... როგორ დამავიწყდა“, — გაბრაზდა საკუთარ თავზე და ფეხზე წამოდგომა დააპირა, მაგრამ თავი რომ წამოსწია, მის წინ, ანაფორაში გამოწყობილი მამაკაცი დაინახა — სწორედ ის მოძღვარი, რომელიც საბას პროცესზე მისი სულის გადარჩენას ცდილობდა.

— მამაო, თქვენ?!. — გაოცებით იკითხა ბადრიმ.

— ხომ გითხარით, შევხვდებით-მეთქი, — სათნო გამომეტყველებით, დაბალი ხმით უთხრა მოძღვარმა და ბადრის ფეხზე წამოდგომაში დაეხმარა.

— ...ეტყობა, ბედისწერაა... სწორედ თქვენ უნდა დაგვწეროთ ჯვარი, — წარმოთქვა აფორიაქებულმა ბერბიჭამ და ეკლესიის კედელთან ატუზულ ნატოს ჩაჰკიდა ხელი.

— დიდებულია! — თქვა მოძღვარმა.

დილის რვა საათზე, მოწმეების გარეშე, ქაშუეთის ტაძარში ბადრი და ნატო ჯვრისწერის მადლს ეზიარნენ.

შემდეგ კი, როცა ქალს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა ხდებოდა მის თავს, ნეფე-დედოფალი მანქანაში იჯდა. ბადრის, ვაკის სასაფლაოსკენ აეღო გეზი. რამდენიმე წუთში, ახალდაქორწინებულები ირას საფლავის წინ იდგნენ, რომლის გვერდითაც მუშები, კიდევ ერთი ადამიანის განსასვენებელს ამზადებდნენ.

— აქ საბას ჩაასვენებენ... ისინი კვლავ ერთად იქნებიან... რა კარგია, რომ მისი გასამართლება ვერ მოასწრეს... — ბედნიერი გამომეტყველებით წარმოთქვა ბადრიმ. შემდეგ, ჯიბიდან შუშის თვალი ამოიღო და ჯერ კიდევ სველ სამარეში ფრთხილად ჩააგორა.

ნატომ ზუსტად არ იცოდა, ვინ იყო ირა, მაგრამ იგრძნო, რომ სწორედ ამ უცნობი ადამიანის დახმარებით გამართლდა მისი უიმედო მოლოდინი.

იმ დღეს, საბასა და ირას სიყვარულზე ბადრის არაფერი უთქვამს ნატოსთვის. ან კი რა საჭირო იყო სიტყვები?!.

დასასრული

„ცოლობისა ყონყურსებზე ლიდი ჩვწყობს ბლიბს...“

მცხუნვარე ზაფხული სოფო ჭყონიამ თბილისში გაატარა. ამის გამო ვერც გაირუჯა და ვერც დაისვენა. ამბობს, რომ ძალიან გადაიღალა და ეს სახეზეც დაეტყო. მაგრამ ასეთი მსხვერპლის გაღება მოდის მოყვარულთათვის განკუთვნილი კაფეს გასახსნელად ნამდვილად ღირდაო...

ლელა ჭანკოტაძე

— Fashion-TV-ს კაფეს გახსნა საკმაოდ სოლიდურ თანხასთან არის დაკავშირებული. რთული იყო ლიცენზიის მოპოვება, რადგან ბევრი მოთხოვნა უნდა დაგვეკმაყოფილებინა. აუცილებელი პირობა იყო, საკუთარი ფართი მქონოდა და შემძლებოდა უამრავი საინტერესო ღონისძიების ჩატარება. საქართველოში ასეთი ბიზნესის წარმართვა ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ რთულია, ქართველს რაიმე მოაწონო. ამასთან, ჩვენში ბარის კულტურა არ არსებობს. იმ დღიდან, რაც გავიხსენით, ბარში თითქმის არავინ დამჯდარა — ყველა, კლუბში ჩადის. მინდა, ქართველებს გამოვუმუშავო ჩვევა — სამსახურის შემდეგ შევიდნენ ბარში, დალიონ კარგი კოქტეილი, მოუსმინონ მუსიკას და შემდეგ წავიდნენ შინ...

— თქვენთან გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს, რაც ყველას ამგვარი დასვენების საშუალებას არ მისცემს. რა კატეგორიის ადამიანებს შეეძლებათ თქვენთან შემოსვლა?

— ჩვენ დაწესებული გვაქვს ძალზე მკაცრი კონტროლი. სამწუხაროდ, ყველას ვერ შემოვუშვებთ, რადგან გვინდა, ეს ადგილი პრესტიჟული იყოს. მე არ ვამბობ, რომ ნებისმიერ ჩვენს კლიენტს ძვირად ღირებული ტანსაცმელი უნდა ეცვას, მაგრამ ეტიკეტი თითოეულმა მათგანმა უნდა დაიცვას. ეს მთელ მსოფლიოში მიღებული ფორმაა და ამგვარი რამ ყველა კლუბში არსებობს. ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებსაც არ ვუშვებთ.

— რას გულისხმობთ ჩაცმის ეტიკეტში?

— თუ ადამიანი ოდნავ მაინც არის მიახლოებული მოდასთან, ჩვენს კარს თამამად შემოაღებს. სპორტული ტანსაცმლითა და პიჟამათი არავის ვუშვებთ. ასეთი ფაქტები იყო: მთხოვეს — ამ ერთხელ შემოგვიშვი, მეორედ კარგად ჩაცმულები მოვალთო... ზოგს „კრისტიან დიორის“ ან რომელიმე ცნობილ მის ძვირად ღირებული სპორტუ საცმელი აცვია; ამას ცხადია, შევამჩნევთ და ასეთ კლიენტს პრობლემას არ შევუქმნით.

— თქვენს კაფეში სიგარეტის მოწევა, სასმელი და ნარკოტიკები იკრძალება?

— აქ თუ დათვრა ადამიანი და მერე წავიდა, ეს ჩვენი პრობლემა არ არის. მაგრამ ქუჩიდან მთვრალს არ შემოვუშვებთ. რაც შეეხება ნარკოტიკებს, ეს პრობლემა უკვე მწვავედ დადგა: სურდათ, შემოსულიყვნენ და აქ მიეღოთ ნარკოტიკი... საკმაოდ კარგი დაცვა გვყავს. დაცვის სამსახურმა ასეთი მცდელობების აღკვეთა იოლად შეძლო. მიკვირს, რატომ უნდა მოუნდეს აქ შემომსვლელს ნარკოტიკი. ეს არ არის კლუბი, სადაც ნარკოტიკის მოთხოვნილება ჩნდება.

— რა საღამოების მოწყობას აპირებთ?

— ჩვენ ვგეგმავთ მსოფლიოს ცნობილი მოდელებისა და დიზაინერების ჩამოყვანას. საქმიან წინადადებებს შევთავაზებთ ქართველ დიზაინერებსაც. ხელი უნდა შევუწყოთ სამოდელო ბიზნესის ხორცშესხმას. ეს მოგეხსენებათ, საკმაოდ ძვირად ღირებული ბიზნესია. მცირე თანხებით ვერაფერს გააკეთებ. დიდი თანხის ჩადება არავის სურს, რადგან მოდაში ჩადებული ფულის ამოღება ვერ ხერხდება. აქედან გამომდინარე, ჩვენში არც მოდის ინდუსტრიაა განვითარებული. ქართული მოდა ჩამკვდარია და მოდელები არავის სჭირდება. საზღვარგარეთ ქართველ მოდელებზე სამწუხაროდ, მოთხოვნილება არ არის.

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამერიკავკასიაში

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები

უახლესი ამერიკული მეთოდები - მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები

თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ

გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.

ბულაკეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რამდენი ცოლი ჰყავდა ლეგენდარულ მოკრივეს მუჰამედ ალის?

ა) ოთხი;
ბ) არც ერთი;
გ) ორი.

2. იტალიელები მუსოლინის მიიჩნევდნენ:

ა) ქვეყნის სექსსიმბოლოდ;
ბ) უძლიერეს მამაკაცად;
გ) ერის მამად.

3. რა ეწოდება გამელოტების შიშს?



ა) სპექტროფობია;
ბ) ურანოფობია;
გ) პელადოფობია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— რა არის ამის მიზეზი?

— ქართველები შრომას ვართ გადაჩვეული. ეს დიდი პრობლემაა. მოდელის პროფესიას უყურებენ, როგორც გართობას. გასათვალისწინებელია ჩვენი მენტალიტეტიც. არ შეგვიძლია, მოვერგოთ ცხოვრების იმ ტემპსა და რიტმს, რომელიც საზღვარგარეთ არის დამკვიდრებული. აქედან გამომდინარე, ქართველი გოგონები ვერ „ქაჩავენ“.

— ეს ხომ არ განაპირობებს ჩვენს სისტემატურ მარცხს სილამაზის საერთაშორისო კონკურსებზე?

— სილამაზის კონკურსებზე დიდი ჩაწყობა ხდება. კარგი გოგოც რომ წარმოადგენდეს ჩვენს ქვეყანას, მაინც არ გვექნება გარანტია, რომ ის გაიმარჯვებს. ხედავთ, რომ ძირითადად, ლათინური ამერიკის წარმომადგენლები იმარჯვებენ?.. ლათინურ ამერიკაში მიღებულია, მდიდარი კაცების მიერ სილამაზის კონკურსების ან რომელიმე მონაწილის დაფინანსება. ასე რომ, ტყუილად გვგონია, რომ სილამაზეა გამარჯვების ძირითადი პირობა. ამასთან, ჩვენი გოგონები ძალზე მოუმზადებელი მიდიან. მათ აქ მეტყველებას ასწავლიან, რაც „მის მსოფლიოზე“ არავის სჭირდება. ყველა მოდელს უამრავი პლასტიკური ოპერაცია აქვს გაკეთებული, მიუხედავად იმისა, რომ ამას ყველა უარყოფს. ორგანიზატორების გემოვნების ბრალია ისიც, რომ ქართველი „მისები“ ცუდად ჩაცმულები არიან ხოლმე.

— რადგან ისევ ჩაცმას შევეხეთ, იქნებ გვითხრათ, თქვენი აზრით, როგორი ჩაცმულია ხალხის მასა საქართველოში?

— მხოლოდ ერთეულები იცვამენ კარგად. საქართველოში კარგი ჩამცმელი რატომღაც იტალიელს ჰგავს. საერთო სტილი გვაქვს და გემოვნებაც — იდენტური. საერთოდ, კარგად ჩაცმა იოლი არ არის, რადგან ბევრ ფულს მოითხოვს.

— თქვენ ბევრი ძვირად ღირებული ტანსაცმელი გაქვთ?

— დიდი ხანია, ძალიან ძვირად ღირებული ტანსაცმელი არ შემიძენია, რადგან არ დამჭირვებია. თანაც, მე რატომ უნდა ვიყიდო, როცა თუნდაც, „ოსკარების“ ცერემონიაზე ძვირფას კაბებს და სამკაულებს ქირაობენ?.. საზღვარგარეთ ეს მიღებული ფორმაა. ჰოლივუდში ნახევარზე მეტი სწორედ დაქირავებული სამკაულით იწონებს ხოლმე თავს. საქართველოში ჯერჯერობით, „პრაკატის“ კულტურა არ არსებობს. სანამ უკეთესი სოციალური პირობები არ შეიქმნება, არაფერი გამოსწორდება... ზოგჯერ ვნანობ, საცხოვრებლად საზღვარგარეთ რომ არ წავედი. ხშირად დავდიოდი უცხოეთში და 3-3 თვე ვრჩებოდი ხოლმე. უკან რომ ვბრუნდებოდი, სულ მქონდა შეგრძნება, რომ დავბრუნდი ცარიელ, უსახურ და საშინელ ქალაქში. მაგრამ იმ ფაქტს, რომ აქ დავიბადე და ეს არის ჩემი სამშობლო, ვერ გავექცევი. სადაც არ უნდა ვიყო, ყველგან უცხო ვიქნები. ზოგი ამბობს, ბევრი ფული თუ გაქვს, სხვა ქვეყანაშიც იოლად მიგიღებენო. ეს სისულელეა: რამდენი ფულიც არ უნდა გქონდეს, საზოგადოების მაღალ ეშელონებში ვერ მოხვდები, ტურისტივით ცხოვრებას კი, რა აზრი აქვს?!. ჩვენი ქვეყანა ძალიან დაბალი დონისაა. ყველა უნდა ვეცადოთ, რაღაც გავაკეთოთ, რომ ქვეყნის დონე ავამაღლოთ, რათა მერე, უცხოელისთვის არ შეგვრცხვეს იმის თქმა, თუ საიდან ვართ. ნებისმიერს შეუძლია, წავიდეს და სუფთ მდიდარ ქვეყანაში იცხოვროს, მაგრამ ჯობს, აქ დავრჩეთ და საქმე ვაკეთოთ. ჩვენი ლამაზი ტანსაცმლით თავი აქ მოვიწონოთ. ■

„ჩვიანი“ Jaguar-ისაგან

ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონზე წარმოდგენილი ეს მანქანა, სამოდელო რიგის — XJ — ყველაზე დახვეწილ და მოწინავე ვერსიას წარმოადგენს. ამ წარმომადგენლობით სედანს Daimler Super Eight — დაარქვეს. ის V ტიპის 8-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათია აღჭურვილი, რომლის სამუშაო მოცულობა 4,2 ლ-ს, ხოლო სიმძლავრე 395 ცხ.ძ-ს შეადგენს. 100 კმ/სთ სიჩქარეს ეს ავტომობილი 5,3 წმ-ში აღწევს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია (ბუნებრივია, მანქანა სიჩქარის ელექტროშემზღუდავითაა აღჭურვილი).

ახალ „იაგუარს“ 6-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი და 18-დუიმიანი ჩამოსხმული დისკები აქვს. რადიატორის ცხაურსა და საბარგულის საკეტს საფირმო ასო-ბგერა — ამშვენებს.

Super Eight-ის კონსტრუქტორები განსაკუთრებული ყურადღებით უკანა სავარძლის მგზავრთათვის კომფორტის შექმნას მოეკიდნენ: „იაგუარის“ ჩვეულებრივ მოდელებთან შედარებით, სალონის ეს ნაწილი 999 მმ-ით ვრცელია. გარდა ამისა, უკანა სავარძელი ელექტრორეგულატორითა და გამოსაწევი მაგიდებითაა აღჭურვილი.

მანქანის სალონი ნატურალური ტყავითაა მოპირკეთებული, იატაკზე მატყლის ხალიჩებია დაფენილი. ტექნიკურ სიახლეთაგან აღსანიშნავია: კლიმატ-კონტროლის სისტემა, რომელიც ადამიანის ხმით იმართება და სალონში 4 ნაკადად აწვდის ჰაერს. Super Eight დაკომპლექტებულია აგრეთვე სანავიგაციო სისტემითა და თანამგზავრული ტელეფონით. ■

Opel Astra Twintop

ცნობილი კომპაქტური მოდელის ბაზაზე შექმნილი კუპე-კაბრიოლეტი ასევე ფრანკფურტში წარდგა ავტომოყვარულთა წინაშე. ამ ოთხადგილიანი ავტომობილის სერიული წარმოება 2006 წლის გაზაფხულისთვისაა დაგეგმილი.

Opel Astra Twintop-ის სიგრძე 4,48 მ-ს (ის ჩვეულებრივ ჰეჩბეკ „ასტრაზე“ 23 მმ-ით გრძელია), სიგანე — 1,76 მ-ს, ხოლო სიმაღლე — 1,41 მ-ს შეადგენს. ამ მანქანის მთავარ ტექნიკურ თავისებურებად, ფოლადისგან დამზადებული, დასაკეცი სახურავი წარმოადგენს. დახურული კუპიდან კაბრიოლეტად გადაქცევის ოპერაცია სულ 30 წმ-ს გასტანს. საამისოდ, მძღოლს სალონში მოთავსებული ღილაკის დაჭერა ან დისტანციური მართვის პულტის გამოყენება მოუხდება. დაკეცილი სახურავი საბარგულის ქვედანაყოფში თავსდება. ამის შედეგად, საბარგულის მოცულობა 450-დან 200 ლ-მდე მცირდება.

კუპე-კაბრიოლეტი იმავე ძრავებითაა აღჭურვილი, რომლითაც „ასტრას“ ჩვეულებრივი ჰეჩბეკი. აგრეგატების გამა 1,6 ლ მოცულობის (105 ცხ.ძ.) ბენზინის ძრავათი იწყება; მას მოჰყვება 1,8 ლ-იანი (125 ცხ.ძ.) და ორი 2-ლიტრიანი (170 და 200 ცხ.ძ.) ასევე ბენზინის ძრავა. რაც შეეხება დიზელის აგრეგატს — ის 1,9 ლ მოცულობისაა და 150 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. დამატებითი ოპციებიდან, Opel Astra Twintop-ის მყიდველებს ე.წ. ადაპტირებულ საკიდარს — IDS-Plus-სა და ბიქსენონის მაშუქებს შესთავაზებენ. ამ მანქანის ფასები ჯერჯერობით არ გამოცხადებულა. ■

Mazda ჯიდევ უფრო დასამახსოვრებელი გახდება

იაპონურმა კომპანია „მაზდამ“ თავისი მე-6 მოდელი განაახლა. ახლა ის წვიმის სენსორითა და მაშუქების ავტომატური ჩართვის მოწყობილობით აღიჭურვება. მძღოლს საშუალება მიეცემა, ანთების სისტემის გასაღებით აამუშაოს მინების ავტოამძრავი და მგზავრებისთვის განკუთვნილი საჰაერო ბალიში. ტყავისსალონიან კომპლექტაციას სავარძლების რეგულირების ელექტრომეხსიერებაც ახლავს თან. გაიზარდა ძრავების სიმძლავრეც: ორლიტრიანი ბენზინის აგრეგატი, წინანდელი 141-ის ნაცვლად, 147 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. იმავე სიმძლავრისაა დიზელის ძრავა, რომელიც ადრე 136 ცხ.ძ-ს ავითარებდა. მხოლოდ საბაზო მოდიფიკაციას (1,8 ლ მოცულობის ძრავათი) ექნება 5-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი, ყველა სხვა ვერსიას 6-საფეხურიანს დაურთავენ. ოპციის სახით კი, მომხმარებელს 5-საფეხურიან „ავტომატს“ შესთავაზებენ. ■

დალი ავაგუმაშვილი: ცოლებო, ნუ გაუკეთებთ ხალოებს ქმრებს!

ცნობილ პარაფსიქოლოგ დალი ავაგუმაშვილს უამრავი ადამიანი ემადლიერება. იგი პოპულარული ქართველი მომღერლის გია ავაგუმაშვილის (ანსამბლი „ოთხი გია“) და გახლავთ. ქალბატონმა დალიმ, სუხიშვილების ყოფილმა მოცეკვავემ, პროფესიით ექიმმა, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი მიატოვა და, ღვთის ნებით, ხალხის სამსახურში ჩადგა. მის მოსაცდელში მუდამ ცოცხალი რიგია, საიდან აღარ ჩამოდიან გაჭირვებულები დახმარების სათხოვნელად, ყოფილი პაციენტები ქალბატონი დალის შესახებ ლეგენდებს ჰყვებიან.

მგლის ტყავი და კბილი, არწივის ბრჭყალი, გველის თავი და ენა, მტაცებელი ცხოველის თათები, ბოქლომები და შავ ნაჭერში გამოკერილი ფურცლები არაბული წარწერებით, მოკლედ, რას არ შეხვდებით დალი ავაგუმაშვილის უჩვეულო „კოლექციაში“... ეს ჯადოები თავად დაზარალებულებს მოაქვთ...

— ამას წინათ, შუახნის ქალბატონი მესტუმრა, — ამბობს დალი, ქმარი გამექცაო, შემომჩივლა... ახალგაზრდა საყვარელმა ჯადო გაუკეთა და სახლიდან წავიდა. შენ რა გაუკეთე-მეთქი? — ვკითხე. მე ავხსენიო, — მიპასუხა. — როგორ-მეთქი... მაჩვენა ბოქლომი, ნემსი, შავი და თეთრი ძაფი, მაგნიტი, 7 ლურსმანი, შავი პილპილის მარცვლები და გაქონილი სურათები. ამ ყველაფერს თან ახლდა ფურცელზე დაწერილი „ინსტრუქცია“, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო.

— კი, მაგრამ ეს ხომ ჯადოა?

— დიახ, დიახ!.. გასაქანი რომ არ მივეცი, თვალზე ცრემლი მოადგა და თვითონვე აღიარა, რომ ქმრის ახალგაზრდა თანამშრომელზე იეჭვიანა და საკუთარ მეუღლეს ჯადო გაუკეთა. როგორც გაირკვა, ქმარი სახლიდან სხვა ქალის გამო კი არა, მისი სულელური საქციელისთვის წავიდა.

— რა ჩაიდინა?

— ერთ ჯადოს არ დასჯერდა და ქალიშვილი აიძულა, მამისთვის მგლის ქონი წაესვა, სამუშაო მაგიდის უჯრაში კი არაბულწარწერებიანი კვერცხი ჩაედო. მამამ ქალიშვილი ფაქტზე დაიჭირა. ოჯახში დიდი სკანდალი მოხდა, რის გამოც კაცი სახლიდან წავიდა. ამის მერე, ჩემთან მოდის და მთხოვს, — მეუღლე დამიბრუნეო!.. მინდა, ყველა ცოლი გავაფრთხილო: ნუ ჩაიდენთ ასეთ სისულელეს, ქმრისთვის ჯადოს გაკეთება გამოსავალი არ არის! ამ ქალბატონის მაგალითი ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს სხვებისთვის... დიახ, ოჯახი მართლაც ჯადომ დაუნგრია, მაგრამ მისსავე შეკვეთილმა... როგორც კი შეატყობთ, რომ მეუღლესთან ურთიერთობა გაგირთულდათ ან გეჩვენებათ, რომ ძველებურად აღარ უყვარხართ, მოლებთან და მჩხიბავებთან კი ნუ წახვალთ, ღვთის შეწევნა ითხოვეთ. ვინ მოთვლის, დანგრევის პირას მისული რამდენი ოჯახი გადამირჩენია გამოლოცვით!..

— რა ვუყოთ ჯადოს, თუ სახლში შემთხვევით ვიპოვეთ?

— მაშინვე დამირეკეთ და მოიტანეთ... დაწვა, მიწაში ჩაფლვა, ნაგავში ან წყალში გადაგდება უარესია, ჯადოს მასალის განადგურება მოხსნას როდი ნიშნავს... მჩხიბავი საგანგებო რიტუალით არღვევს ბიოველს და აურაში შეაქვს ნეგატიური პროგრამა, ასე რომ, სანამ ჯადო არ განეიტრალდება, მსხვერპლი მისი ზემოქმედების ქვეშ იქნება.

— ნაპოვნი ჯადოს სპეციალისტთან მოტანა რატომ არის აუცილებელი?

— ახსნის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა ტიპის ჯადოსთან გვაქვს საქმე, როცა ზუსტად მეცოდინება მაგიური ზემოქმედების სახე, ნეგატიური პროგრამის განეიტრალება გაცილებით იოლი იქნება... საერთოდ, ჯადო თუ დროულად არ ახსნა სპეციალისტმა, წლების განმავლობაში უარყოფითი ენერგია აურიდან ორგანოებზე გადავა და სხვადასხვა ავესტიკურ დაავადებას გამოიწვევს.

— რას ნიშნავს ავესტიკური დაავადება?

— აუხსნელი ჯადოს ზემოქმედებით გამოწვეულ ენერგეტიკულ დაავადებას ავესტიკური ეწოდება... ხშირია შემთხვევა, როცა ექიმი პაციენტს დიაგნოზს ვერ უსვამს, რადგანაც ორგანული დარღვევები არ აღენიშნება, მაგრამ ადამიანი მაინც ცუდად არის, რაღაც აწუხებს, მიზეზს კი ვერ ხვდება. ამ შემთხვევაში პაციენტს ექიმი და წამალი არ შველის, პირიქით, ქიმიური სამკურნალო პრეპარატების მიღება კიდევ უფრო ამძიმებს ავადმყოფის მდგომარეობას. ამიტომ გირჩევთ, დროულად მიმართოთ სპეციალისტს, თუ მართლა იპოვეთ სახლში ჯადო, რადგანაც ავესტიკური დაავადებების განკურნებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება.

— ჯადოთი უამრავი ოჯახი ინგრევა. შეგიძლიათ გაიგოთ, არის თუ არა ადამიანი მაგიური ზემოქმედების ქვეშ და ვინ არის ჯადოს დამკვეთი?

— რა თქმა უნდა, შემიძლია!.. სხვათა შორის, ჩემთან მკითხავების მიერ გაბრიყვებული უამრავი ადამიანი მოდის... მარჩიელები ხალხს ატყუებენ, ჯადო გაქვთ გაკეთებულიო, მათ მიერ შეშინებული ბევრი ადამიანი დამიმშვიდებია, მაგრამ როცა კაცი ნამდვილად იმყოფება მაგიური ზემოქმედების ქვეშ, დროულად უნდა შველა. სხვათა შორის, ჩემთან ეჭვიანი ქალბატონებიც ხშირად მოდიან ხოლმე. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ მის ქმარს საყვარელმა ჯადო გაუკეთა და ტყუილუბრალოდ ნერვიულობენ, უსაფუძვლო, ახირებული აზრების გამო მზად არიან ოჯახი დაანგრიონ. ჯერ ხომ დანამდვილებით უნდა იცოდეთ, იმყოფება თუ არა თქვენი მეუღლე მაგიური ზემოქმედების ქვეშ?!.

— თქვენს უნიკალურ „კოლექციაში“, ჯადოებთან ერთად, ბარაქაზე შელოცვილი ნივთებიც არის...

— დიახ, ჩემთან მოაქვთ მოლებისა და მჩხიბავების მიერ ბარაქაზე შელოცვილი ნივთები — კიდეწაჭრილი ლარიანები, შავ ნაჭერში ან ტყავში გამოკერილი ფურცლები არაბული წარწერებით... ხალხმა არ იცის, რომ შავში გამოკერილი შელოცვილი ნივთი არ შეიძლება ბარაქის მომტანი იყოს, ჯერ მარტო იმიტომ, რომ შავი ფერი, საერთოდ, დადებით ენერგიას შთანთქავს. გარდა ამისა, შავ ფერს შავ მაგიაში იყენებენ და არა დამცავი თილისმების გასაკეთებლად. საერთოდ, მინდა ვურჩიო ყველას: ერიდეთ მოლებთან სიარულს, ქრისტიანს ეს კარგს არაფერს მოუტანს.

— თვალსაც გამოლოცვით ხსნით?

— დიახ, ლოცვით ვხსნი შიშსაც, თვალსაც და ჯადოსაც... ზოგჯერ გათვალვა ჯადოზე უარესია. მინდა, გაგახსენოთ ცნობილი ფაქტი — ერთი გლეხი, აღარ მახსოვს, რომელი სოფლიდან, თვალებით ისეთ ძლიერ უარყოფით ენერგიას ასხივებდა, რომ დილით, გაღვიძების დროს ცოცხალი არსების შეხედვას უკრძალავდნენ.

— რატომ?

— ცხოველი იქნებოდა, ფრინველი თუ ადამიანი, ეცემოდა, ან ავადდებოდა, ანდა კვდებოდა. ამიტომ ფეხებთან, საწოლის ზემოთ, კედელზე დაამაგრეს ხის თარო, რომელზეც მისი ოჯახის წევრები რიყის დიდ ქვას დებდნენ. გლეხიც, გაღვიძებისთანავე ჯერ ქვას შეხედავდა და ისე დგებოდა. რიყის ქვა კვირაში ერთხელ იშლებოდა და თაროზე ახალს დებდნენ. ასე რომ, გათვალვამ, შესაძლოა, საგრძნობლად დააბინძუროს ადამიანის აურა.

— დეპრესიას თუ შველით?

— დიახ!.. თვითმკვლელობამდე მისული უამრავი ადამიანი გამომიყვანია უმძიმესი მდგომარეობიდან, სხვათა შორის, აურის უკიდურესი დაბინძურება ხშირად იწვევს დეპრესიას, ზოგ ადამიანს კი ხასიათი უფუჭდება, გუნება-განწყობილება დღეში რამდენჯერმე ეცვლება, მსგავს სიტუაციებში გამოლოცვა საუკეთესო შედეგს იძლევა. ნეგატიური ინფორმაციით, აურის დაბინძურება წარუმატებლობის მიზეზიც ხდება. ჩემთან მოდიან ბიზნესმენები, რომლებიც მოულოდნელად გაუთვალისწინებელ სიძნელეებს აწყდებიან, გამოლოცვა ადამიანს ჩაკეტილ გზებს უხსნის... ზოგჯერ ქალებში დეპრესიას მამაკაცთან სექსუალური ურთიერთობის გაწყვეტა და მარტოობის განცდა იწვევს, გამოლოცვა ამ შემთხვევაშიც სასურველ შედეგს იძლევა.

— ბოროტ ძალთაგან შეპყრობილებს შველით?

— შეპყრობილები მხოლოდ ლოცვით იკურნებიან. ფსიქიატრების პაციენტს და შეპყრობილს ზოგჯერ ერთნაირი სიმპტომები აქვთ, კერძოდ, ჰალუცინაციები — ვიზუალური ან სმენითი. თუ შეპყრობილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არ არის ნამკურნალები, ლოცვით მისი მდგომარეობიდან გამოყვანა შესაძლებელია.

— დღეს მთელი საზოგადოება სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება. თითოეულ ჩვენგანს იმდენი სანერვიულო და საზრუნავი აქვს, მიკვირს, საღ ჭკუაზე როგორა ვართ. ლოცვით სტრესის მოხსნა თუ შეიძლება?

— მართალი ხართ!.. უარყოფითი ინფორმაცით, მეტ-ნაკლებად, ყველა ადამიანის ბიოველია დაბინძურებული, მაგრამ ნერვულ სტერსს ადამიანები ერთნაირად ვერ უმკლავდებიან, ზოგს ისედაც სუსტი აურა აქვს და დამოუკიდებლად უჭირს პრობლემების დაძლევა, მათ სპეციალისტის დახმარება სჭირდებათ. ნეგატიურად დამუხტული ენერგიის ლოცვებით გასუფთავება ადამიანს დაკარგულ სიმშვიდეს უბრუნებს.

— ხალხი ისეა დაბეჩავებული და დათრგუნვილი სიღარიბისგან, რომ ყველგან ჯადო ელანდება. როგორ იგებთ, არის თუ არა ადამიანი მავნე ენერგეტიკული ზემოქმედების ქვეშ?

— პირველსავე შეხვედრაზე ყველას უტყუარად ვეუბნები, ჯადო აქვს გაკეთებული თუ გათვალულია. ამ პროცესს დიაგნოზის დასმას ვუწოდებ. როცა ადამიანის აურაში შევდივარ, მის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას ვიღებ.

— ქალბატონო დალი, გაქვთ თუ არა მკითხაობის ან ნათელხილვის უნარი?

— ტყუილად ვგონივარ ზოგიერთს მარჩიელი ან ნათელმხილველი. პერიოდულად, ლოცვის დროს, ღვთის ნებითა და შეწევნით, წინასწარ ვიღებ ინფორმაციას მომავლის შესახებ. არ ვიცი, პირველივე შელოცვაზე მიკარნახებს უფალი თუ მეხუთეზე, მაგრამ რასაც მაშინ ვამბობ, ყველაფერი უხდებათ. ეს არც მკითხაობაა და არც ნათელხილვა, შეკვეთით ვერაფერს ვიტყვი!.. შელოცვის დროს ყველას ვაფრთხილებ, გულისყურით მოისმინონ და კარგად დაიმახსოვრონ, რასაც ვამბობ... ზოგჯერ ღვთის ძალა ღამე მაღვიძებს და მალაპარაკებს, მაგრამ ჩემი სურვილითა და მონდომებით, ვერაფერს ვახერხებ, მხოლოდ მაშინ მეძლევა მომავლის წინასწარმეტყველების უნარი, როცა უფალს სურს.

— ორგანულ დაავადებებსაც კურნავთ?

— ღვთის ნებითა და შეწევნით გამოლოცვა დეპრესიასაც კურნავს, გართულებულ ნევროზსაც და სტრესსაც შველის, მაგრამ ორგანულ დაავადებებს არ კურნავს. ჩემთან უამრავი გულდამძიმებული და შეწუხებული ადამიანი მოდის შვების მისაღებად. უარყოფითი მუხტით დაბინძურებული აურის გასუფთავების შემდეგ ისინი თავს მშვენივრად გრძნობენ.

— ოჯახურ პრობლემებს თუ აგვარებთ გამოლოცვით?

— დიახ, ჩემთან ხშირად მოდიან ოჯახური პრობლემებით შეწუხებული ადამიანები, მაგრამ გამოლოცვის შემდეგ კატა-ძაღლივით გადაკიდებული რძალ-დედამთილი, ცოლ-ქმარი და დედა-შვილი ერთმანეთს ურიგდება. სახლის და მისი ბინადრების უარყოფითი ენერგიით დაბინძურებული აურის გაწმენდა ოჯახს სიმშვიდეს უბრუნებს.

— ხშირად მოჰყავთ თქვენთან შეპყრობილები?

— არცთუ იშვიათად... უმძიმესი შემთხვევები მქონია. ღვთის შეწევნით ბოროტ ძალთაგან გათავისუფლდა ეშმაკის ბრჭალებით დაკაწრული რამდენიმე ახალგაზრდა ქალი, 17 წლის გოგონა ძაღლივით ყმუოდა, ახალგაზრდა კაცი მამალივით ყიოდა, 40 წლის ქალბატონს უწმინდური ხან ბავშვის, ხან კაცის, ხანაც ქალის ხმით ელაპარაკებოდა, მაგრამ ლოცვის ძალამ ისინი ავსულთაგან იხსნა. სამწუხაროდ, ექიმებს შეპყრობილები ზოგჯერ სულით ავადმყოფები ჰგონიათ და მედიკამენტებით მკურნალობენ, რაც სასურველ შედეგს არ იძლევა და პაციენტის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. სატანურ ძალთა დამარცხება მხოლოდ ლოცვას შეუძლია.

— გადადის თუ არა ერთ ადამიანზე გაკეთებული ჯადო ოჯახის სხვა წევრებზეც?

— რა თქმა უნდა, გადადის!.. თუ ჯადოს დროულად არ მოიხსნით, იგი, დროთა განმავლობაში, თქვენს მეუღლეზე, შვილებსა და შვილიშვილებზეც კი გადავა. ძველი ჯადოები, 10-15 წლის გაკეთებული, ავესტიკურ დაავადებებს იწვევს.

— ნუთუ ჯადოს 10-15 წლის განმავლობაში შეუძლია ზემოქმედება?

— კოდი, ანუ ნეგატიური პროგრამა თუ არ მოიხსნა, ჯადოს ზემოქმედება არ განეიტრალდება და იგი ათწლეულების განმავლობაშიც მოახდენს უარყოფით ზემოქმედებას.

— როგორ უნდა გადავიდეს ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე გაკეთებული ჯადო ოჯახის სხვა წევრებზეც?

— როგორც უკვე აღვნიშნე, მჩხიბავი ჯადოს გასაკეთებლად ჯერ თავისი მსხვერპლის აურას არღვევს საგანგებო რიტუალის ჩატარებით და მერე შეაქვს მასში ნეგატიური პროგრამა (ანუ ჯადო). ის ადამიანები, ვინც მოჯადოებულთან ერთად ცხოვრობენ და სისტემატური კონტაქტი აქვთ მჩხიბავის მსხვერპლთან, უნებლიეთ ექცევიან ჯადოს ზემოქმედების ქვეშ, რადგანაც დაზარალებულის აურიდან ნეგატიური პროგრამა დროთა განმავლობაში ოჯახის სხვა წევრების აურაზეც გადადის და როგორც უკვე გითხარით, ავესტიკურ დაავადებებს იწვევს. ასე რომ, მშობელზე გაკეთებულმა ჯადომ შესაძლოა, შვილებიც დააზარალოს, ამიტომ გირჩევთ: თუ რამე საეჭვოს იპოვით სახლში, ნუ გადააგდებთ, სანამ სპეციალისტს არ აჩვენებთ.

— რას ურჩევთ იმ ადამიანს, ვინც მჩხიბავს სხვისთვის ჯადო შეუკვეთა?

— შევიდეს ტაძარში და უფლის წინაშე გულმხურვალედ ილოცოს, ცოდვილი სულის გადასარჩენად. სხვა ადამიანისთვის ჯადოს შეკვეთა უმძიმესი ცოდვაა, თუ არ მოინანიებს, საკუთარი ბოროტება ბუმერანგივით უკან დაუბრუნდება.

P.S. გითვალისწინეთ, ქალბატონი დალი ჩაწერის გარეშე არავის იღებს. დარეკეთ და ვიზიტის დრო წინასწარ შეათანხმეთ. ტელეფონით სიაში ჩაწერა შესაძლებელია ყოველდღე, 9-დან 16 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონები: 96.79.00; 8(99) 10.73.06.

რომანი „იტალიასა“ და „ინგლისს“ შორის

2003 წელს, 20 წლის მწვანეთვალება დებორა სალვალაჯო იტალიის სილამაზის კონკურსზე „მის ელეგანტურობად“ აღიარეს. ბუნებრივია, ამის შემდეგ სალვალაჯომ თავისი სამოდელო კარიერა უფრო წარმატებულად წარმართა. თუმცა, პოდიუმი დებორას ერთადერთი გატაცება როდია. ცოტა ხნის წინ, იგი ტელეკომპანია La 7-ის მესვეურებმა საფეხბურთო გადაცემის წამყვანად მიიწვიეს. გარდა ამისა, უკვე დიდი ხანია, რაც ლამაზმანს რომანი აქვს „რომას“ ყოფილ მცველთან, მატეო ფერარისთან, რომელიც ამჟამად ინგლისური „ევერტონის“ ღირსებას იცავს. ჯერჯერობით, შეყვარებულების ჰარმონიულ ურთიერთობას ხელს მხოლოდ ის უშლის, რომ მათ ერთმანეთისთვის ძალიან ცოტა დრო რჩებათ. ფეხბურთელი ნისლიანი ალბიონის მოედნებზე ასპარეზობს, ხოლო მოდელს ძირითადად, იტალიურ პოდიუმებზე უწევს გამოსვლა. აღსანიშნავია ისიც, რომ დებორა სალვალაჯოს ძალიან უყვარს მუსიკა, ცეკვა და მოგზაურობა. ფეხბურთის გარდა კი, იგი კიკბოქსინგითაც ყოფილა გატაცებული. ■

ცეკვა დონ დიეგოს სტუდიაში

ახალგაზრდა არგენტინელი მოცეკვავე, ვერონიკა პერდომო ყოველდღიურად უფრო პოპულარული ხდება თავის ქვეყანაში. მისი პერსონით არგენტინელთა დაინტერესება ერთი გარემოებით აიხსნება: ყოველ კვირას იგი მონაწილეობს სუპერპოპულარულ ტოქშოუში „საღამო მეათე ნომერთან ერთად“. როგორც ცნობილია, ამ პროგრამის ავტორი და წამყვანი მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი, დიეგო მარადონაა. თვით ტოქშოუ 13 გადაცემისგან შემდგარ ციკლს წარმოადგენს, რომელშიც 1986 წლის მუნდიალის ტრიუმფატორი სპორტსმენებთან, მსახიობებსა და სხვა ცნობილ ადამიანებთან მშვიდ ატმოსფეროში საუბრობს. საგულისხმოა, რომ პირველი გადაცემის სტუმარი — არც მეტი, არც ნაკლები — თავად „ფეხბურთის მეფე“, პელე გახლდათ. რაც შეეხება პერდომოს, იგი შოუს მსვლელობისას თავისი ცეკვით განსაკუთრებულ აურას ქმნის სტუდიაში. ■

ბოიერს დაუჯერეს

„ნიუკასლის“ ნახევარმცველი, ბოიერი არ გამოცხადდა სასამართლოში, სადაც იგი ავტომობილით სიჩქარის გადაჭარბებისთვის იყო დაბარებული. გამოუცხადებლობის მიზეზად ფეხბურთელმა თავისი საფოსტო ყუთის გასაღების დაკარგვა დაასახელა, რის გამოც, დროულად ვერ უნახავს უწყება. ბოიერის თქმით, მას გასაღები სასამართლო პროცესის დაწყებიდან რამდენიმე საათში უპოვია. უცნაურია, რომ მოსამართლეებმა „ნიუკასლის“ ნახევარმცველის ნათქვამი დაიჯერეს და სხდომა 9 ნოემბრისთვის გადადეს. თანაც, ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა კიდეც — რა ქნას ბოიერმა, ეპატიება, მას ხომ დიდი სახლი აქვს, რომელშიც პატარა გასაღების მოძებნა არცთუ ისე იოლი საქმეაო. ■

ფეხბურთელთა საყვარელი ქალების ნაკრები

რა სახის სიმბოლური ნაკრები აღარ შეუდგენიათ ჟურნალისტებს. გამონაკლისი არც Bild-ის კორესპონდენტები არიან. ამას წინათ, პოპულარულმა გამოცემამ ბუნდესლიგაში მოთამაშე ცნობილ ფეხბურთელთა ცოლებითა და მეგობარი გოგონებით დაკომპლექტებული ნაკრების შემადგენლობა გამოაქვეყნა. ცხადია, ეს ქალბატონები სიმბოლურ გუნდში არა თავიანთი საფეხბურთო მონაცემების, არამედ მომხიბვლელობის წყალობით მოხვდნენ. ამასთან, ლამაზმანებს საფეხბურთო მოედანზე სწორედ ის ადგილები მიუჩინეს, სადაც მათი ცხოვრების თანამგზავრები თამაშობენ. ამგვარად Bild-მა კარში 24 წლის ვერენა კერტისი „დააყენა“, რომელიც „ბაიერნის“ გოლკიპერის, ოლივერ კანის საყვარელია; დაცვაში „თამაშობენ“: „ვერდერის“ წარმომადგენლის, ტიმ ბოროვსკის მეგობარი, 21 წლის კოსმეტოლოგი, ლენა მიულბახერი; თომას რიდლის („კაიზერსლაუტერნი“) ცოლი, პროფესიით სტომატოლოგი ვანესა რიდლი; „ნიურნბერგის“ შვეიცარიელი ლეგიონერის, მარიო კანტალუპის გელფრენდი, მარი პანტე; ცნობილი მომღერლის, სარა კონორის და, „ვერდერის“ ფინელი მცველის, პეკი ლაგერბლომის ცოლი, მოდელი, ანა-მარია ლაგერბლომი.

ნახევარდაცვა ასე გამოიყურება: ოუენ ჰარგრავზის („ბაიერნი“) მეგობარი, 24 წლის კანადელი სტუდენტი, ჟანელ ხური; მიხაილ ბალოკის („ბაიერნი“) ცოლი, ყოფილი ოფიციანტი, ამჟამად კი დიასახლისი, სიმონე ლამბე; დომაშ როსიცკის („ბორუსია“) მეუღლე, ერთ-ერთ ჩეხურ ტელეკომპანიაში ამინდის პროგნოზის წამყვანი, რადკა კოჩუროვა; „ჰამბურგის“ ახალწვეულის, რაფაელ ვან დერ ვარტის ცოლი, ჰოლანდიური MTV-ის წამყვანი, სილვი ვან დერ ვარტი.

თავდასხმაში Bild-მა შემდეგი ლამაზმანები „გაამწესა“: როკე სანტა-კრუსის („ბაიერნი“) ცოლი, 23 წლის დიასახლისი, ხისელ სანტა-კრუსი; „ბორუსიის“ ფორვარდ იან კოლერის მეუღლე, ყოფილი ტოპმოდელი, ამჟამად კი დიასახლისი, ჰედვიკ კოლერი.

■

მარადონა ქველმოქმედებას ეწევა

დიეგო მარადონა ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი ნეაპოლური საზოგადოების მიერ მოწყობილ საქველმოქმედო აქციაში მიიღებს მონაწილეობას. არგენტინელმა სუპერვარსკვლავმა, რომელმაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ, სპეციალური პროგრამით 35 კგ დაიკლო, ამ აქციისთვის 20 ათასი დოლარიც გაიღო. ამჟამად დონ დიეგო ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევს და უძღვება ტოქშოუს — „საღამო მეათე ნომერთან ერთად“. სხვათა შორის, ამას წინათ, მარადონამ პირდაპირ ეთერში საჭადრაკო პაექრობა თვით ანატოლი კარპოვთან გამართა. ეს პარტია ბუენოს აირესში შედგა. კარპოვი თვალებახვეული თამაშობდა. სიმბოლური პარტია რამდენიმე სვლის შემდეგ მაყურებელთა აპლოდისმენტების თანხლებით დასრულდა. როგორც ჩანს, ფეხბურთელი არც თავის უახლოეს წარსულს ივიწყებს, როდესაც არაერთხელ მოხვედრილა საავადმყოფოში ნარკოტიკების მოხმარების გამო. ისე კი, არც ის იქნება გასაკვირი, თუ მომავალში დიეგო ფულს ჭარბ წონასთან მებრძოლ ორგანიზაციასაც გადაურიცხავს. ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი ნეაპოლური საზოგადოება — „გავიზარდოთ ერთად“ — 15 წლის წინ, ქალაქის ცენტრში, წმ. იანუარიუსის ქუჩაზე დაარსდა, რომელიც უპოვართა მფარველად ითვლება. მარადონა საზოგადოების დამაარსებელს, როზარიო ფიორენცეს არაერთხელ დახმარებია.

■

მოდელი დაოჯახებაზე ოცნებობს

მსახიობსა და ფოტომოდელ ევა ლონგორიას ჩვენი ტელემაყურებელი ტელესერიალით — „სასოწარკვეთილი დიასახლისები“ — იცნობს, სადაც ის გაბრიელას როლს ასრულებს. ამერიკელმა კალათბურთის ქომაგებმა კი ისიც იციან, რომ ევა „სან ანტონიო სპერზის“ მოთამაშის, ტონი პარკერის მეგობარია. 30 წლის ლონგორია ტონიზე 7 წლით უფროსია, მაგრამ ასაკობრივი სხვაობა მათ ურთიერთობას სულაც არ უშლის ხელს. უფრო მეტიც, ევა ოცნებობს, რომ პარკერის ცოლი გახდეს. — „მსურს თუ არა გათხოვება?.. დიახ, ძალიან მინდა. მაგრამ მანამდე, უნდა გავარკვიო, ამის სურვილი ტონისაც თუ აქვს“, — ამბობს ლონგორია, რომელიც ხაზს უსვამს იმას, რომ მსახიობის პროფესია მას ძველებურად აღარ იზიდავს: „ჰო, მინდა დავოჯახდე, ვოცნებობ, საქორწინო ცერემონიაზე, ბავშვზე, ოჯახზე. ისეთივე დიასახლისი მინდა გავხდე, როგორსაც კინოში ვთამაშობ...“

■

სექსი „ფორმულა-1“-ის ბოლიდში

დღემდე „მის ფორმულა-1“-ად რალფ შუმახერის მეუღლე, კორა ითვლებოდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ, მას კონკურენტი გამოუჩნდა. ეს გახლავთ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონის, ფერნანდო ალონსოს მეგობარი, ჯენი. ცოტა ხნის წინ, მან გერმანულ ქალაქ ჰამში მასწავლებლის კურსებზე დაიწყო სიარული, მანამდე კი ჯგუფ „გოტარდის“ კლიპის გადაღებაში მონაწილეობდა. 18 წლის ლამაზმანი ამაზე არ შეჩერებულა და სექტემბერში „მაქსიმისთვის“ ეროტიკული სურათები გადაიღო. სწორედ ამ გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ჯენიმ მკითხველს გაანდო, რომ მისი ყველაზე ველური ფანტაზია „ფორმულა 1“-ის ბოლიდში სქესობრივი აქტი ყოფილა. ვინ უნდა იყოს ამ დროს მისი პარტნიორი, ჯენის არ დაუკონკრეტებია, თუმცა ეს ისედაც გასაგებია: რა თქმა უნდა, იგი მოქმედ მსოფლიო ჩემპიონს, ფერნანდო ალონსოს გულისხმობდა.

■

9 წლის გოლფისტის რეკორდი

9 წლის კეიტ ლენგლის მიღწევის გამო, გინესის წიგნის იმ ნაწილის შეცვლა გახდება საჭირო, რომელიც გოლფის თამაშს ეხება. ცოტა ხნის წინ, გოლფზე უზომოდ შეყვარებული ინგლისელი გოგონა პირველ ახალგაზრდა მოთამაშედ მოგვევლინა, რომელმაც hole-in-one შეასრულა (ე.ი. ფორმულაში ბურთი პირველსავე ცდაზე ჩააგდო). ეს კეიტმა გოლფ-კლუბის — Forest Pines — მოედანზე შეძლო, რომელიც ქალაქ სკანტორპთან მდებარეობს. ამ შესანიშნავი დარტყმის შესრულებისას, ლენგლი 9 წლისა და 166 დღის იყო. წინა რეკორდი კი, ავსტრალიელ კეტრინ უებს ეკუთვნოდა, რომელიც კეიტზე 109 დღით უფროსია. გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალურმა პრესატაშემ უკვე გადაწყვიტა ლენგლის მიღწევის თვითმხილველებთან დაკავშირება, რათა Forest Pines-ის მოედანზე შემდგარი თამაშის დეტალები დააზუსტოს. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ კეიტი გოლფის გარდა, ჩოგბურთსაც შესანიშნავად თამაშობს.

■

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(13 - 19 ოქტომბერი)

ვერძი — 21/III-20/IV

თქვენთვის უსიამოვნო ტენდენციები ამ პერიოდშიც გაგრძელდება. ურთიერთობებში გარკვეული პრობლემებია მოსალოდნელი. ადრე თუ გარშემო მყოფები ყურადღებით განებივრებდნენ და თქვენი გეგმებით ინტერესდებოდნენ, ახლა სიტუაცია შეიცვლება და თქვენ მიმართ გამოვლენილი ყურადღება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და ქალწულთან, ნეგატიური — კუროსა და მარჩბივთან. **პოზიტიური დღეები**: 14, 16, 19. **ნეგატიური დღეები**: 13, 17.

კურო — 21/IV-21/V

ახლობელი ადამიანები მოულოდნელი სიხარული და საჩუქრებით გაგანებივრებენ. კარგი პერიოდია ოჯახური შენაძენებისთვის — რაც თქვენს ოჯახში სიხარულსა და ჰარმონიას შემოიტანს. ასევე ხელსაყრელი დროა საკუთარი საქმიანობის დასახვეწად და ურთიერთობების დასასტაბილურებლად. აუცილებლად იაქტიურეთ და დადებით შედეგს მიიღებთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ლომთან, ნეგატიური — ვერძსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 13, 17, 19. **ნეგატიური დღეები**: 14, 15.

მარჩბივი — 22/V-21/VI

ეს კვირა საკმაოდ დაძაბული იქნება როგორც ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობების თვალსაზრისით, ასევე — ფინანსურადაც. კიდევ ერთხელ მოგიწევთ დაუმტკიცოთ გარშემო მყოფებს, თუ რაოდენ საჭირო ადამიანი ხართ. შეეცადეთ, ახლობლებთან კრიტიკული არ იყოთ — რჩევები მათ დიპლომატიურად და ტაქტიანად მიაწოდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და მერწყულთან, ნეგატიური — ვერძსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები**: 14, 16, 17. **ნეგატიური დღეები**: 18, 19.

კირჩხიბი — 22/VI-22/VII

გირჩევთ, საკუთარი დრო რაციონალურად გამოიყენოთ, ფუჭ და არაფრის მომცემ საუბრებზე დროს ნუ დაკარგავთ. საქმიანი შეხვედრებისას საკუთარ პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას აუცილებლად ხაზი გაუსვით. ჯანმრთელობის თვალსაზრისით კრიტიკული პერიოდია, ამიტომ, ფიზიკურად ნუ გადაიტვირთებით. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — ვერძსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები**: 15, 18, 19. **ნეგატიური დღეები**: 13, 16.

ლომი — 23/VII-23/VIII

შემოქმედებითი სამუშაო, რომელიც ამ პერიოდში გამოგიჩნდებათ, პოზიტიურად იმოქმედებს როგორც თქვენი ცხოვრების სულიერ, ისე მატერიალურ მხარეზე. თუმცა, არ არის გამორიცხული, იმის შეგრძნებაც დაგეუფლოთ, რომ ვინმე გატყუებთ; ეს საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ იქნება, რადგან მოტყუების და გაქურდვის აღბათობა გაიზრდება. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური — ღრიანკალსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები**: 13, 14, 17. **ნეგატიური დღეები**: 15, 18.

ქალწული — 24/VIII-23/IX

გააორმაგეთ ყურადღება, რათა თქვენ გარშემო თავმოყრილმა პრობლემებმა თქვენი აჩქარება და აქედან გამომდინარე, შეცდომების დაშვება არ გამოიწვიოს. მოსალოდნელია, მოხდეს თქვენი ფინანსური მდგომარეობის გამყარება. თუმცა, ეს უფრო ძველ, ადრე დაწყებულ საქმეებთან იქნება დაკავშირებული. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თხის რქასთან, ნეგატიური — კირჩხიბსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები**: 14, 15, 19. **ნეგატიური დღეები**: 13, 18.

სასწორი — 24/IX-23/X

ყველანაირად შეეცადეთ, რომ მხოლოდ იმ საქმეებსა თუ პრობლემებზე იფიქროთ, რომლებიც მოსვენებას არ გაძლევთ და მოგვარებას გადაუდებლად საჭიროებს. ცხოვრებისეული ცვლილებისთვის შესაბამისი პერიოდია, ამიტომ, სერიოზული ცვლილებებიც კი უმტკივნეულოდ ჩაივლის. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და მერწყულთან, ნეგატიური — მშვილდოსანსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 14, 17, 18. **ნეგატიური დღეები**: 15, 16.

ღრიანკალი — 24/X-22/XI

თქვენი ამჟამინდელი ცხოვრება საკმაოდ გადატვირთული იქნება ყოფითი პრობლემებით, რომლებიც გადაუდებლად უნდა გადაჭრათ. მოქმედებისას შეეცადეთ, საკუთარ ინტუიციას მიენდოთ და „კეთილისმსურველთა“ რჩევებს ყური არ დაუგდოთ. რადგან, მათი ვაირჩევები დიდ ვერაფერ დახმარებას გაგიწევთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და კირჩხიბთან, ნეგატიური — ლომსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები**: 13, 15, 16. **ნეგატიური დღეები**: 14, 19.

მშვილდოსანი — 23/XI-21/XII

წინ საკმაოდ დატვირთული კვირა გელით. ახალი ინფორმაცია თქვენს დაძაბვას გამოიწვევს. შეეცადეთ, მოვლენები თუ ფაქტები რეალურად შეაფასოთ და ისე იმოქმედოთ. ნუ დაგეუფლებათ მარტოსული და მიტოვებული ადამიანის შეგრძნება, გაჭირვების ჟამს კი გაბედულად სთხოვეთ დახმარება მეგობრებს, უარს ნამდვილად არ მიიღებთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური — სასწორსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები**: 16, 17, 18. **ნეგატიური დღეები**: 13, 14.

თხის რქა — 22/XII-20/I

ურიცხვი პრობლემის მოგვარებამ მოსალოდნელია, გადაგღალოთ. ასე რომ, სულიერ განტვირთვაზეც იზრუნეთ. სავარაუდოდ, ამას მოახერხებთ, რადგან შესაძლოა, სტუმრად წახვიდეთ ანდა პირიქით, თქვენთან იყოს დიდი სტუმრიანობა. ეს ძალიან კარგი საშუალება იქნება იმისათვის, რომ საფუძვლიანად დაისვენოთ და განიტვირთოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და თხის რქასთან, ნეგატიური — მარჩბივსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები**: 13, 18, 19. **ნეგატიური დღეები**: 15, 17.

მერწყული — 21/I-19/II

ეს კვირა თქვენთვის კარმული იქნება. ამიტომ, თუ ამ პერიოდში რაიმე პრობლემები გაგიჩნდათ, მაშინ მათი სათავე, სავარაუდოდ, წარსულში უნდა ეძებოთ. არ არის გამორიცხული, რომ ძველი შეცდომების გამოსწორება და ვალების გადახდა მოგიხდეთ. ნუ ინერვიულებთ, ძალიან მალე სიტუაცია თქვენთვის სასარგებლოდ შეიცვლება. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური — კუროსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 15, 17, 18. **ნეგატიური დღეები**: 14, 16.

თევზები — 20/II-20/III

ამ პერიოდში ძველი პრობლემების გადაჭრისა და მთელი რიგი საკითხების მოგვარების შანსები გაგიჩნდებათ, თუმცა, შესაძლოა, რომ ამ ყველაფრისთვის ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაც კი დაგჭირდეთ. თუ თქვენ ხელოვნების სფეროში მოღვაწეობთ, მოსალოდნელია, რომ თქვენს პროფესიასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი გარიგება გააფორმოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — კუროსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები**: 14, 16, 18. **ნეგატიური დღეები**: 13, 19.



54-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-გ.

ანეკდოტები

***

რაჟიკუნას უთხრეს:
— ყველაზე კარგი ქვრივი ქალია.
რაჟიკუნამაც ინატრა:
— თუ მასთეა... ქვე, ნეტავი, მალე დაქვრივდებოდეს ჩემი ცოლიკუნა!

***

კახელი მასწავლებელი კახელ მოსწავლეს:
— მიხოვ, მაჰყევი გაკვეთილი.
— ვიცი როო?!
— დაჯექი, შე ვირო!
— ე!.. ვდგავარ როო?!
— ახლავე დატოვე კლასი!
— მიმაქვს როო?!

***

სუფრის წევრი მიმართავს თამადას:
— ბატონო თამადა, ერთი ისეთი რამე თქვით, რომა... ჯიგარი დამეთუთქოს და ვიტირო!
— შენ კი დაუმეგობრდი კობა ბექაურს!

***

ორმა მთვრალმა კაცმა ტაქსის მძღოლის განაწყენება მოინდომა და მძღოლს ჰკითხეს:
— ძმაო, ნაგავს არ წაიღებ?
— კი, ბატონო, დასხედით!

***

— ჭიჭიკია, ბუჯო, მართლა მეიგე ლატარიაში 10000$?
— მააშ!..
— მერე, შენი ცოლი რაფერ შეხვდა მაი ამბავს?
— ოო... სიხარულისგან ენა ჩოუვარდა!
— ღმერთო, ეგ ხომ ერთბაშად ორი ბედნიერებაა!

***

მანიაკს შვილი ეკითხება:
— მამიკო, რატომ გარბის ბებია ტყეში ზიგზაგებით?
— ეგა შვილო, ვისთვის ბებიაა და ვისთვის კიდევა სამიზნე... ერთი მომაწოდე ეგ ტყვიები...

***

წიგნის მაღაზიაში:
— მე მინდა წიგნი „მამაკაცი — ქალის მბრძანებელი“.
— ფანტასტიკა გვერდით სექციაში იკითხეთ.

***

ქმრები საუბრობენ:
— ცოლი მირჩევს, ყველაფერი უმად ვჭამო, ასე უფრო სასარგებლოაო.
— ხოხ!.. არც ჩემსას უყვარს საჭმლის მომზადება...

***

უცოლო მამაკაცებმა კითხვით მიმართეს გამძღე ქმრების საზოგადოებას, ვისაც ქორწინების 25 წელზე მეტი სტაჟი აქვთ:
— რომელი ქალები არიან უფრო ერთგულნი: ქერა, შავგვრემანი თუ წითური?
— ჭაღარა! — მიუგეს ერთხმად.

***

ნასვამი მამაკაცი ტაქსს:
— ტაქსიი!..
— გისმენთ!
— ვაკეში მიდიხართ?
— კი, ბატონო.
— მაშინ, აბა, ჰე... კეთილი მგზავრობა!

***

კახელს თავზე დააჯდება ყვავი, კახელი ხელს აუქნევს და გასძახებს:
— სხვა ხე ვერ ნახე, შე შობელძაღლო?!

***

— როგორ მოვიქცე, პარაშუტი თუ არ გეიხსნა? — ეკითხება მაიზერი ინსტრუქტორს.
— ხელები მაგრად აქნიე... ფრთებივით, — პასუხობს ინსტრუქტორი.
რამდენიმე წუთის შემდეგ ილუმინატორზე კაკუნია.
— ახლა რა ვქნა?!

***

სვანი ექიმთან მივიდა:
— ექიმო, წნევა მაქვს და მიშველეთ!
— რაზე ატყობ, რომ წნევა გაქვს?
— ექვს მეტრზე ვშარდავ და სხვებს ვაწუხებ.



***

მასწავლებელი ეკითხება მიხოს:
— აბა მიხო, ოთხს რომ მივუმატოთ რვა, რამდენია?
— ვუმატებ... ვუმატებ და... არაფრით არ ემატება, მასწავლებელო.

***

— ყველაფერი მივატოვე — მოწევაც, დალევაც და ცოლიც!
— ცოლი რატომღა?
— ამხელა ბედნიერებას არ იმსახურებდა.

***

დედა ეუბნება შვილს:
— შვილო, დისკოთეკაზე ამდენს ნუ დადიხარ, თორემ დაყრუვდები.
— არა, გმადლობ, დედიკო! უკვე ვისადილე.

***

გურული ცოლს მოიყვანს.
პირველ ღამეს ცოლი ფანჯარასთან დგას და მორიდებით იყურება.
გურული ამხნევებს:
— ეჰჰ, ბაღანეს ხათრიზა, თვარა, რავა გაკადრებდი მე შენ ამას!..

***

ვეფხვი ლომს აუხირდა:
— შენ რატომ ხარ ცხოველთა მეფე?!. მეფე მე უნდა ვიყო.
ლომი პასუხობს:
— ტყეში შევიდეთ და ვინც მეტ ნანადირევს გამოიტანს, მეფეც ის იყოს.
ლომი ბლომად ცხოველს გამოიტანს, ვეფხვი კი მაგარი ნაცემი და დაფლეთილი გამოვა. ლომი ეკითხება:
— რა მოხდა?
— რა მოხდა და ამ ტარიელამ ხო გამიხურა საქმე!..

რას უნდა ელოდეთ ხვალინდელი დღისგან?

ფსიქოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი ადამიანის ბედ-იღბალზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს მისი განწყობილება: თუკი სიცოცხლით სავსე, ხალისიანი ადამიანი ბრძანდებით, ხვალინდელი დღისგან წარმატებებს უნდა ელოდეთ; ხოლო თუკი შიშითა და ძრწოლით შეჰყურებთ მომავალს, უსიამოვნებები შესაძლოა, მართლაც არ აგცდეთ. როგორ გავლენას ახდენს თქვენი ემოციური განწყობილება თქვენს ბედ-იღბალზე? ამას ტესტის მიხედვით გაიგებთ.

1. ნებისმიერ ეპოქაში ცხოვრების შესაძლებლობა რომ მოგცემოდათ, რომელ დროში ისურვებდით ცხოვრებას?

ა) წარსულ ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ არ იყო ის უამრავი საზიზღრობა, რაც დღეს ჩვენ გარშემო ხდება;

ბ) მომავალ ეპოქაში, როცა ცივილიზაციის პროგრესი გადაწყვეტდა დღეს არსებულ უამრავ პრობლემას;

გ) ჩვენს ეპოქაში ცხოვრებაც მაკმაყოფილებს.

2. როგორი გრძნობა გეუფლებათ სატელევიზიო რეკლამის ყურებისას?

ა) ნერვები მეშლება;

ბ) ინტერესით ვუცქერ;

გ) არანაირი გრძნობა არ მეუფლება;

3. როგორ ფიქრობთ, უკანასკნელ წლებში კლიმატური პირობები შესამჩნევად გაუარესდა?

ა) დიახ, ეს ხომ სრულიად ცხადია;

ბ) ჩემი აზრით, კლიმატური პირობები სულაც არ გაუარესებულა, ისეთივეა, როგორიც ადრე იყო;

გ) ამ საკითხზე არ მიფიქრია.

4. გესიზმრებათ თუ არა კოშმარები?

ა) დიახ, ზოგჯერ;

ბ) არა, ძირითადად სასიამოვნო სიზმრებს ვხედავ;

გ) სიზმრებს საერთოდ არ ვხედავ.

5. გარდაუვალი სიბერის შიში ხომ არ გაქვთ?

ა) უსიამოვნო გრძნობა მეუფლება, როცა წარმოვიდგენ, რომ დავბერდები და დავუძლურდები;

ბ) ნებისმიერ ასაკს აქვს თავისი უპირატესობა;

გ) ეს სრულებითაც არ მაღელვებს.

6. გჯერათ თუ არა განსაკუთრებული ნიშნების არსებობის ანუ ხართ თუ არა ცრუმორწმუნე?

ა) მჯერა ამ ნიშნების არსებობის, რადგან საკუთარ თავზე არაერთგზის დავცადე;

ბ) მხოლოდ კეთილი ნიშნების არსებობის მწამს;

გ) ცრუმორწმუნე არ გახლავართ.

7. მართალია თუ არა, რომ ცუდ ამინდში ადამიანს შრომისუნარიანობა უქვეითდება?

ა) დიახ, ასეა, ცუდ ამინდში ადამიანი მოჟამულ ხასიათზეა და საქმეც ხელიდან არ გამოსდის;

ბ) ცუდ ამინდს ყურადღებას არ ვაქცევ;

გ) ცუდ ამინდში გამამხნევებელი საშუალების გამოძებნას ვცდილობ და საქმეებს საკმაოდ კარგად ვუმკლავდები.

8. სარკეში ყურებისას, რაზე ფიქრობთ ხოლმე?

ა) სამწუხაროდ, წლებს თავისი მიაქვს;

ბ) სახეზეც მშვენივრად გამოვიყურები და ფიგურაც შენარჩუნებული მაქვს;

გ) მართალია, ღმერთმა ტოპმოდელის გარეგნობით არ დამაჯილდოვა, მაგრამ მომხიბლაობა ნამდვილად არ მაკლია.

9. საკუთარ ნაცნობებზე რას ფიქრობთ ხოლმე?

ა) სასურველია, რომ ისინი უფრო საინტერესო და გულისხმიერი ადამიანები იყვნენ, ვიდრე სინამდვილეში არიან;

ბ) ისინი შესანიშნავი ადამიანები არიან!

გ) მართალია, ისინი უნაკლოები არ არიან, მაგრამ საერთო ჯამში, საკმაოდ სიმპათიური ადამიანები არიან.

10. როგორი განწყობილება გეუფლებათ უფრო ხშირად, საღამო ხანს?

ა) უკმაყოფილებისა და სიცარიელის;

ბ) სიხარულის;

გ) კმაყოფილების.

დაანგამეთ ქულები:

პასუხების ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 0 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 3 ქულა, „გ“ ვარიანტში — 1 ქულა.

ტესტის შედეგები

0-7 ქულა: თქვენს ხასიათში მინორული განწყობილება ჭარბობს. ხშირად გეჩვენებათ, რომ ადამიანები სათანადოდ არ გაფასებენ და არც ბედი გწყალობთ მაინცდამაინც. ალბათ, მართლაც, უკეთესი ხვედრის ღირსი ხართ, მაგრამ დაფიქრდით, რას აკეთებთ მის მოსაპოვებლად?

8-14 ქულა: საოცრად გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით: არც სასოწარკვეთილებაში ვარდებით და არც მძაფრი ემოციები გახასიათებთ. ცდილობთ, ცხოვრება მიიღოთ ისეთად, როგორიც ის სინამდვილეშია. მართალია, ამგვარი მიდგომა გულგატეხილობისა და იმედგაცრუებისაგან გიცავთ, მაგრამ დიდ წარმატებას არ გიქადით. გამოავლინეთ სულ ცოტა მეტი ოპტიმიზმი და საკუთარი ძალების რწმენა და უამრავი სიხარულის მიზეზიც გამოგიჩნდებათ.

15-30 ქულა: სიცოცხლის სიყვარულითა და ოპტიმიზმით ხართ აღსავსე: წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას არ აქცევთ. სამაგიეროდ, წარმატების სიხარულს საკმაოდ მძაფრი ემოციებით გამოხატავთ — ოღონდ, ზოგჯერ ფაქტებისადმი მაინცდამაინც ობიექტური მიდგომით არ გამოირჩევით. ეცადეთ, უფრო ობიექტურად შეაფასოთ ადამიანებიცა და მოვლენებიც.

შიმპანზემ სიგარეტს თავი დაანება

ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ზოოპარკის ბინადარმა შიმპანზემ სიგარეტის მოწევას თავი დაანება მას შემდეგ, რაც მისთვის საგანგებო, გამორჩეულად გემრიელი კერძების მომზადება დაიწყეს და კარგი მუსიკის მოსმენას მიაჩვიეს.

რამდენიმე ხნის წინ, ზოოპარკის ვეტერინარებმა 27 წლის მაიმუნს, სახელად აი-აის, ჯანმრთელობის გაუარესება შეამჩნიეს. ამის მიზეზად კი ის მიიჩნიეს, რომ შიმპანზე 16 წლის განმავლობაში ეწეოდა სიგარეტს. აი-აიმ მოწევა 1989 წელს — მაშინ დაიწყო, როცა პარტნიორი მოუკვდა. 1997 წელს, მაიმუნმა კიდევ ერთი მეგობარი დაკარგა, ხოლო მისი „ქალიშვილი“ სხვა ზოოპარკს გადასცეს. ამ ამბის შემდეგ, აი-აი კიდევ უფრო აქტიური მწეველი გახდა.

იმისათვის, რომ მაიმუნი ამ მავნე ჩვევისაგან გაეთავისუფლებინათ, ზოოპარკის თანამშრომლებს მთელი პროგრამის შემუშავება მოუხდათ: ისინი მაიმუნს დელიკატესებით ანებივრებენ, საუზმის შემდეგ სასეირნოდ დაჰყავთ, ყურსასმენების მეშვეობით კი, სასიამოვნო მუსიკით უტკბობენ სმენას; ხოლო დღის მეორე ნახევარში, სატრენაჟორო დარბაზში ავარჯიშებენ.

როგორც ექსპერიმენტის ავტორები ამბობენ, აი-აის დიეტა ისეთი სასარგებლო პროდუქტებისაგან შედგება, როგორებიცაა — რძე, ბანანი, ბრინჯი...

საერთო ჯამში, ვეტერინარებმა სასურველ შედეგს მიაღწიეს. ექსპერიმენტის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, შიმპანზეს სიგარეტი აღარც კი გახსენებია. ამჟამად ზოოპარკის თანამშრომლები მისთვის პარტნიორს ეძებენ.

■

ვირთხამ ავიალაინერის მგზავრები შეაშინა



რამდენიმე დღის წინ, განსაცვიფრებელი ინციდენტი მოხდა ფილიპინებში: თვითმფრინავი მანილის აეროპორტში ავარიული წესით დაეშვა. ამის მიზეზი კი ბორტზე მყოფი ვირთხა გახლდათ.

ავიაკომპანია Qatar Airways-ის თვითმფრინავში მყოფი მგზავრები პანიკამ მოიცვა, როცა თვითმფრინავის ბორტზე უზარმაზარი ვირთხა შენიშნეს, რომელიც სალონის ყველა კუთხე-კუნჭულში „შინაურულად“ დარბოდა. შეშინებულმა მგზავრებმა ეკიპაჟის წევრებს მოსთხოვეს — ან სასწრაფოდ დაეჭირათ მღრღნელი, ანდა მოეთხოვათ პილოტისთვის, რომ თვითმფრინავი დაუყოვნებლივ, უახლოეს აეროპორტში დაესვა.

ეკიპაჟისდა გასაოცრად, პილოტმა სასწრაფოდ დაშვების გადაწყვეტილება მიიღო, ავიალაინერი მანილის აეროპორტში დასვა და ავარიული სიგნალი ჩართო. რამდენიმე წუთში, თვითმფრინავისკენ დამხმარე ბრიგადა გაეშურა.

თუმცა, 13-საათიანი ძებნის შემდეგ, როცა ბრიგადის წევრებმა განაცხადეს, რომ მათი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, თვითმფრინავმა რეისი ჩვეულებრივად გააგრძელა.

როგორც აეროპორტის სტაჟიანი თანამშრომელი — ოქტავინო ლინა ამბობს, მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე, მსგავს სიტუაციას არასოდეს შესწრებია.

■

ცხოველთა ევთანაზია ფასიანი გახდება

საფრანგეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ფასიანი გახადოს შინაური ცხოველების კრემაცია. ამ პროცედურის ღირებულება 180 დოლარი იქნება. თუმცა, შედარებით ხელმოკლეებს საშუალება ექნებათ, ცხოველები საკუთარ ეზოში ან ბაღში დამარხონ.

საფრანგეთის სახელმწიფო ორგანიზაციამ (SIFO), რომელიც მკვდარი ცხოველების უტილიზაციით დასაქმებულ დაწესებულებებს აერთიანებს, სახელმწიფოს მიმართა თხოვნით, რომ შინაური ცხოველების კრემაციაზე გარკვეული თანხა დაწესებინა. ქვეყნის ხელისუფლებამ საკითხი განიხილა და მივიდა დასკვნამდე, რომ მართლაც აუცილებელია ამგვარ პროცედურაზე ფიქსირებული გადასახადი — 180 დოლარი დაწესდეს. სახელმწიფოს ხარჯზე მოხდება მხოლოდ ავადმყოფი და იშვიათი ცხოველების, ასევე იმ ცხენებისა და პონების კრემაცია, რომლებიც იპოდრომისა და სხვა გასართობი დაწესებულებების საკუთრებაა.

კანონის მიღების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ SIFO-ს გამოთვლებით, გასულ წელს, ქვეყნის ბიუჯეტიდან, მარტო ცხოველთა კრემაციაზე 600 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ამასთან ერთად, სახელმწიფომ საკუთარი ხარჯებით 4 მილიონი უპატრონო ცხოველი დამარხა. ჩინოვნიკების აზრით, ასეთნაირად თუ გაგრძელდა, ქვეყნის ბიუჯეტი საგრძნობლად დაზარალდება.

სტატისტიკურად, შინაურ ცხოველთა რაოდენობით საფრანგეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა, უმეტესწილად კი, ამ ქვეყნის მოსახლეობას, კატა (10 მლნ) და ძაღლი (9 მლნ) ჰყავს.

■

ფოტოკუთხეები



ყველაზე ეროვნული მედია-პროექტი

638/26

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი **რეპორტიორი** შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და მოიპოვეთ სტიპენდია

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება

პროექტის პარტნიორია თბილისის მერია და საკრებულო;

შეხვედრამდე

„ეზალონი“ ყოველ შაბათს 18 საათზე „იმედის“ არხზე

ᲔᲠᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡ, ᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ

ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲘᲗ ᲛᲘᲗᲘ ᲡᲘᲛᲒᲐᲜᲘᲗ – ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ